

116/2


ერავნი

თვიური ქურნალი ۱ - 6.

წელიწადი გეთორმეტი

№ V

მაისი, 1905



შინაანტენი

- I—დანაშაული და საჯეოლი.—რომანი ქავს ნაწილად
ო. მ. დოსტოევსკისა, ნაწილი მესამე, თავი I-II.
არგმანი ინ-ანისა 33
- II—შუთი.—პორფილენქოსი, თარგმანი ეპ. ბაქრაძისა 53
- III—სამართველოს მკლესია და მისი დასაწყისი—
თავი IV. (დასასრული)—ს. გორგაძესა 1
- IV—საზოგადოებრივი, უნაური და სარმულოებ-
რივი უოცა-მდგომარეობა იაპონიისა.—ქვეუანს,
ხადხი, გ. გოსტოგოვისა, საცხოვრებელი ბინები, თარ-
გმანი ინ-ანისა 1
- V—ვითალიზმი და მიმანიზმი.—ანდრია ბატარეასი 31
- VI—ნარიზი.—1) მელოტის მიკრობი.—2) ახალი კუნძული.—3) მი-
ზეზი მცენარეთა აყვავებისა.—4) პატარა ელექტრონული მოძ-
რავი.—5) სოციალ-დემოკრატები და ეროვნული კითხვა.—6) სა-
ხალხო სკოლათა მასწავლებლების დადგენილებანი.—7) ლა-
ჩარი-გმირი.—8) ძალა და კანონი.—9) როგორც მოხვალ,
სვინაო... 77

(იხილე მე-2 გვერდი,

ଅମ୍ବାଜିତ

116/1905/A

୦୫
୩-୭୫

ଯତ୍ନର ପୁଣ୍ୟକାଳୀ

ଶ୍ରୀଲଙ୍ଗିଷ୍ଠାଦିତ ଶ୍ରୀତନ୍ତମହାରୀ

No. A.

୧୯୦୬୦, 1906

୧୯୦୬୦

ବ୍ୟାକ

ବ୍ୟାକ ପଦ ପଦ ପଦ ପଦ ପଦ ପଦ ପଦ ପଦ ପଦ

1906

Дозволено цензурою. 13 іюля, 1905 г. Гіфлісъ.

შინაარსი

116-1905/2

83.

I—დანაშაული და სასჯელი.—რომანი ეჭვს ნაწილად თ. მ. დოსტოევსკისა, ნაწილი მესამე, თავი I—II. თარგმანი ინ-ანისა	1
II—შუთი.—ქოროლენკოს, თარგმანი ექ. ბაქრაძისა .	53
III—საჩართველოს მკაფიოებისა და მისი დასაცუისი— თავი IV. (დასასრული)—ს. გორგაძისა	1
IV—საზოგადოებრივი, შინაური და სარწმოებ- რივი პოლა-მდგრადარეობა იაპონიისა.—ქვევანა, ხალხი, გ. გოსტოგოვისა, საცხოვრებელი ბინები, თარ- გმანი ინ-ანისა	31
V—ვითალიზი და მეჩანიზმი. — ანდრია შეტარაძისა .	65
VI—ნარიზი.—1) მელოტის მიერობი.—2) ახალი კუნძული.—3) მი- ზეზი მცენარეთა აყვავებისა.—4) პატარა ელექტრონული მოძ- რავი.—5) სოციალ-დემოკრატები და ეროვნული კითხვა.—6) სა- ხალხო სკოლათა მასწავლებლების დადგენილებანი.—7) ლა- ჩარი-გმირი.—8) ძალა და კანონი.—9) როგორც მოხვალ, სეინათ...	77

VII—გიაზრი მიმოხილვა.—1. სამღვდელოების ყრილობა.—თავად-აზნაურობისა და ბანკის კრებები.—სათავად-აზნაურო სკოლის საზოგადოების კრება.—ერობის დეპუტაცია.—საყოველთაო გაფიცვა ტფილისში.

89

VIII—უცხოეთის მიმოხილვა—1. იუჯაკოვის წერილი ცუსიმას ბრძოლაშე.—2. გერმანია და საფრანგეთი.

107

დაწატება:

IX—გიაზრი მიმოხილვა.—ა. ჭლდიაშვილისა 7—1 2

დანაშაული და სასჯელი

(რომანი)

მქონე ნაწილები თ. მ. დოსტოევსკისა

ნავილი მისამა *.)

I

წამოიწია რასკოლნიკოვმა, დივანზედ დაჯდა.

ანიშნა ხელით რაზუმინინსა, რომ უთავბოლო და მხურ-
ვალე ნუგეშის ცემა, რომლითაც რასკოლნიკოვის დედასა და
დას მიშმართა დასამშვიდებლად, შეეწყვიტა, დაუჭირა ორთა-
ვეს ხელი და მთელი ორი წამი ხან ერთს უყურებდა, ხან მე-
ორება. დედას კიდევაც შეეშინდა. ეტყობოდა სახეზედ რას-
კოლნიკოვსა, რომ რაღაც რამ გრძნობას მთლად გაეტანჯა;
მაგრამ უძრავი იყო და უგნური როგორლაც ეს გამომეტყვე-
ლება. პულხერია ალექსანდროვნას ტირილი აუვარდა.

გაფითრებული იდგა ავდოტია რომანოვნაც, ხელი მთლად
უკანკალებდა.

— შინ წადით... აი, ეს გამოგყვებათ,—ჩაილაპარაკა აჩ-
ქარებით რასკოლნიკოვმა და რაზუმინინზედ მიუთითა,—ხვა-
ლამდის; ხვალ-კი ყველა გადაწყდება... დიდი ხანია, რაც ჩა-
მოხვედით?

— დღეს საღამოთი, როდიონ,—უპასუხა დედამა,—მატა-
რებელმა დაიგვიანა საშინლად. მაგრამ არა, როდიონ, ვერსად
წავალ, თავს ვერ დაგანებებ! შენთან გავათვე დამესა...

*.) იხ. „მოამბე“ № 4, 1905 წ.



— ნუ მტანჯავთ, გეჯაყვათ! შეემუდარა აღელვებული
და ხელი გააქნია.

— მე ვიქნები როდიონთანა,— შეპყვირა რაზუმინინმა, —
არც ერთ წამს თავს არ დავანებებ; სტუმრების დარღი არა
მაქვს, კისერიც მოუტეხნიათ! ბიძა ჩემი ჰყავთ პრეზიდენტათა.

— ოჯ, ნეტავი, რითი შევიძლებ მადლობა გადაგიხადოთ,
— დაიწყო ისევ პულხერია ალექსანდროვნამა და რაზუმინინს
ხელი ხელზედ მოუჭირა, მაგრამ გააწყვეტინა ისევ რასკოლ-
ნიკოვმა:

— არ შემიძლიან, არა, — გაიმეორა გაბრაზებულმა, — ნუ
მტანჯავთ! კმარა, წადით... არ შემიძლიან!..

— წავიდეთ, დედი! ერთ წამის მაინც არის გარეთ გავი-
დეთ, — წასჩურჩულა შეშინებულმა დუნიშ დედასა, — ჰედავ,
უარესათა ვკლავთ.

— როგორ, ნუ-თუ სამის წლის უნახავს არ შემიძლიან
ვუცქირო მაიშც! — მოჰყვა ტირილს პულხერია ალექსანდროვნა.

— მოიცათ, — გააჩუმა კვალად რასკოლნიკოვმა, — აღარ
მაცდით, აზრები მერევა... ლუეინი ნახეთ?

— არა, როდიონ, მაგრამ იცის, რომ ჩამოვედით. გავი-
გეთ, მართლა, როდიონ, რომ ყოფილა კიდევაც დღეს შენ
სანახავადა, — დასძინა პულხერია ალექსანდროვნამ მოკრძა-
ლებითა.

— დიახ... მიყო წყალობა... მაგრამ დავემუქრე, დუნია,
კიბიდამ ჩაგიძახებ-მეოქი და გავაგდევი...

— როდიონ, რას იმბობ! ნუ-თუ მართლა?.. ხუმრობ
უთუოდ, — დაიწყო შეშინებულმა პულხერია ალექსანდროვნა-
მა და თან დუნიას გადაპედა.

ავდოტია რომანოვნაც გაშტერებული შეპყურებდა ძმასა
და უცდიდა, რა იქნებოდა შემდეგ. ნასტასიას უკვე ნათქვამი
ჰქონდა ადრევე, რომ როდიონსა და ლუეინს ლაპარაკი მოუ-
ვიდათ, მაგრამ რაზედა და რამდენად ცხარედ, ეს ვერ გადას-
ცა, რადგანაც თვითონაც ვერ გაეგო საკმაოდ გარკვევითა.



ამიტომაც მოუთმენარად უცდილნენ ორივენი, როდის გაიგებ-
დნენ ნამდვილსა.

— დუნია, — დაიწყო ძლივს წვალებით რასკოლნიკოვმა,
— არ მინდა ეს ქორწინება მოხდეს. გთხოვ ამიტომ უარი
უთხრა უთუოდ, როგორც კი პნახავ, აი, თუნდხვალვე, რომ
შოგვწყდეს მთლად თავიდამა.

— ღმერთო ჩემო! — შეჰყვირა პულხერია ალექსანდროვ-
ნამა.

— ძმაო, იფიქრე, აბა, რას ამბობ? — დაიწყო ფიცხად ავ-
დოტია რომანოვნამა, მაგრამ მაშინვე თავი შეიმაგრა. — იქნება
ახლა არ შეგიძლიან, დაიღალე იქნება, — შეჰნიშნა წყნარად
დამა.

— ვბოდავ ვითომა? არა... ვიცი, ჩემის ბუღასთვის მის-
დევ ლუუინსა. მაგრამ მსხვერპლი არავისი არა მსურს, დაო.
მისწერე ამიტომ ხვალვე, რომ... უარს უცხადებ... მეც წა-
მიკითხე დილით და მორჩა, გათავდა!

— არა, მე ეგ არ შეგიძლიან! — შეჰყვირა შეურაცხყო-
ფილმა დამ. — რა უფლებითა, რაო?..

— დუნეჩა, ნუ ფიცხობ შენცა, კმარა, ხვალ ვილაპა-
რაკოთ... ვერ ჰედავ, განა, რომ... — ეცა შეშინებული დედა
ქალსა. — სჯობს ისევ წავიდეთ!

— პბოდაეს! შეჰლრიალა გადაკრულმა რაზუმინიმა, —
თორემ როგორ გაპბედავდა, ხვალ მთლად დაავიწყდება ე სი-
სულელე... დლეს-კი მართლა პანლურით გაისტუმრა. იგრე იყო,
მართალია. ისაც, რასაკვრელია, გაუწყრა... მცეცრმეტყველობ-
და, თავს გვაცნობდა, რომ მცოდნე კაცია, მერე-კი კუდი
ამოიძუა და მიმრჩანდა..

— მართალია, მაშა? — შეჰყვირა პულხერია ალექსანდროვ-
ნამა.

— ხვალამდის, ძმაო, — გამოეთხოვა თანაგრძნობით და. —
წავიდეთ, დედი... მშვიდობით, როდიონ!

— გესმის, დაო, — მიაჟვირა მიმავალსა, — იცოდე, არა
ვბოდავ; საძაგლობა და საზიზღრობაა ეს ქორწინება. დემ,

მე ვიყო ისევ ერთიცა და მეორეც, მაგრამ შენ-კი ნუ იქმნები... ორში უნდა ერთი იყოს... მართალია, საძაგელი ვარ და საზიზღარი, მაგრამ ამისთანა დას მაინც დათ აღარ ჩავთვლი, იცოდე. ან მე უნდა ვიყო, ან ლუუინი! წადით...

— რაო, რა იყო, გადირიე, თუ რა არის, მტარვალო! შეუყვირა რაზუმიხინმა.

მაგრამ რასკოლნიკოვს პასუხი აღარ მიუტია; იქნება იმიტომაც, რომ აღარც შეეძლო. მიწვა დივანზედა და დაუძლურებულმა პირი კედლისკენ იბრუნა. ყურადღებით გადაჭედა ავდოტია რომანოვნამ რაზუმიხინსა. შავი თვალები ელვასავით გააკვესა. შეკრთა თითქმის რაზუმიხინი ამ შეხედვაზედა. პულხერია ალექსანდროვნაც ელდანაკრავივით იდგა.

— არ შემიძლიან და კერც წავალ! — ედუდუნებოდა რაზუმიხინსა, მთლიად სასოება-დაკარგული. — აქ სადმე დავრჩები... ღუნია თქვენ გააცილეთ.

— არ შეიძლება, უარესს იზამს! — უპასუხა ჩურჩულითვე მოთმინებიდამ გამოსულმა რაზუმიხინმა. — გარეთ მაინც გავიდეთ. ნასტასია, მოგვინათე! გეფიცებით, — ეუბნებოდა ჩურჩულით კიბეზედ, — წელან მე და ექიმიც კინაღამ გაგვლახა! გესმისთ? თვითონ ექიმი! ვეღარა გააწყო-რა იმანაცა, გაუგონა და წავიდა; მე-კი ძირს დავრჩი, დიასახლისთანა, რომ ყური მევდო. მაგრამ, რა? წამომდგარიყო, ჩაეცვა ტანთა და გაპარულიყო. ახლაც უთუოდ ისრევე იზამს, თუ გააბრაზებთ. ღამე-კი ეს საშიში არის, აიტეხს რასმე... ვინ იცის...

— რას ამბობთ, რასა!

— და მეორეც, არც ავდოტია რომანოვნას შეუძლიერნ მარტოდ დარჩენა ნომრებში! იფიქრეთ, აბა, სადა ხართ ჩამომხტარი! ნუ-თუ ი გაიძვერა პეტრ პეტროვიჩს უკეთეს ბინის დაქირავება არ შეეძლო? მაგრამ იცით, რა არის, ცოტა გადაკრულში ვარ და იმიტომ... გავლანძლე; ყურადღებას ნუ მიაქცევთ...

— აქაურ დიასახლისთან ჩავალ, მაშა, — იმეორებდა თავისას პულხერია ალექსანდროვნა, — შევეხვეწები, რომ მე და ღუნიას

ამაღამ სადმე კუთხეში გაგვათევინოს ღამე. არ შემიძლიან
ასე გავუშვა მარტოდ!

ლაპარაკობდნენ კიბეზედ, სწორედ დიასახლისის კარებ
წინა და ნასტასიაც ქვეიდამ უნათებდა გზასა. რაზუმინინი
როგორდაც არაჩვეულებრივ იყო აღელვებული. ნახევარ
საათის წინ რომ რასკოლნიკოვს მოაცილებდა სახლში,
მართალია, ბევრსა ყბედობდა, მაგრამ ყოჩალად იყო და
თითქმის ფხიზლადაც, თუმცა ბევრი ჰქონდა საშინლად იმ
საღამოს დალეული. ახლა-კი როგორდაც აღტაცებული იყო
თითქოს და ღვინოც უცბად მოეკიდა. იდგა ქალებს შუა,
ეჭირა ორთავეს ხელი და შესანიშნავის გულახლილობით
უმტკიცებდა და ურჩევდა, რომ არ დარჩომილიყვნენ; თან
ყველა თავისს საბუთისა და სიტყვის დასამტკიცებლად მაგრა
უკერდა ორთავეს ხელსა; იქამდის მაგრა, რომ სტკენდა
თითქმისა და ავდოტია რომანოვნას მოურიდებლად თვალითა
სკმდა პირდაპირ. მაგრამ რაზუმინინი ამას ვერა ჰგრძნობდა
და თან-და-თან უფრო მაგრა იზიდავდა აზლოს. საკმარისი
იყო ებრძანებინათ, თავდაყირა დაეშვი პირდაპირ კიბიდამ
ჩვენი გულისათვისათ და იმავ წამს აუსრულებდა თხოვნასა,
ერთს წამსაც არ შეყოყმანდებოდა. მართალია, ჰგრძნობდა
და ჰქედავდა ჰულხერია აღექსანდროვნა, რომ მეტის-მეტად
თავისებური და მოურიდებელი იყო რაზუმინინი, მაგრამ
როდიონის ფიქრით გატაცებული არად აგდებდა ამასა და
მეორეც, ჰქედავდა, რომ განგებასავით იყო ეს ახალგაზრდა
მათ—და საშველად მოვლენილი. ამიტომაც რაზუმინინის
უცნაურობას არავითარს ყურადღებას აღარ აქცევდა. ავდოტია
რომანოვნაც შეშინებული და გაკვირვებული შეჰყურებდა
თავისს ძმის უცნაურს მეგობარსა და მისს მხეცურად თვალით
ჰამასა, მაგრამ ნასტასიას მიერ ნაამბობი იმდენს ნდობას
უნერგავდა უნებურად, რომ არ ეძლევინა შიშა და არ
გაექცა; თუმცა გული ერჯოდა ასე მოქცეულიყო. ესმოდა
თითქოს, რომ გაქცევაც აღარსად შეეძლო ახლა. მაგრამ
დიდ-ხანს არ იყო ასე. ათიოდე წამის შემდეგ სრულად დამშვი-

დღა, რადგან ჩვეულებათა პქონდა რაზუმიხინსა, უცბად აცნობდა თავს ყველასა, რა კაციც იყო.

— დიასახლისთან? არ შეიძლება, სისულელება საშინელი! — შეჰყვირა რაზუმიხინმა და დაუწყო თან პულჩერია ალექსანდროვნას რწმუნება; — მართალია, დედა ხართ, მაგრამ მთლად გადირევა და, ვინ იცის, მერე საქმე რითი გათავდება! ყური დამიგდეთ, რას გეტყვით: როდიონთან ახლა ნასტასია დარჩება, მე-კი თქვენ მიგაცილებთ სახლში; იმიტომ, რომ მარტოდ ქუჩაში თქვენი სიარული, ისაც ღამე, არ შეიძლება. ამის შესახებ პეტერბურგში სხვა წესებია ცოტა... მაგრამ რას დავეძებ!.. მოვირბენ მერე აქა და თხეთმეტის წამის შემდეგ, გაძლევთ ვატიოსანს სიტყვასა, მოხსენებას წარმოგიდენთ, — როგორ იქნება, ან ეძინება თუ არა! და სხვანი. ყური დამიგდეთ: წავალ მერე შინა, სტუმრები მყვანან იქა, მთვრალები ყველა და ზოსიმოვს წამოვიყვან. ექიმია; ისა სწამლობდა, მაგრამ მთვრალი როდია; არასოდეს მთვრალი არ არის ხოლმე! მივიყვან როდიონთანა და ისევე თქვენსა მოვირბენ. მაშასადამე, საათის განმავლობაში ორჯელ მიიღებთ ცნობასა, — და ექიმისაგანაცა, გესმისთ? ის-კი არა, რომ ჩემით გაცნობოთ რამე, არა. ექიმის ნათქვამს გაცნობებთ! თუ ცუდათ იქნება, გეფიცებით, თვითონვე მოვიყვანთ; არა-და, დაწეჭით და დაიძინეთ. მე-კი აქვე, დერეფანში, დაიძინებ, მთელი ღამე აქ ვიქნები, ვერას გაიგებს. ზოსიმოვსაც დიასახლისთან დავაძინებ, რომ, თუ საჭირო იქნება, მალე მივაშველო. მითხარით, რა უფრო სამჯობინოა ახლა როდიონისათვის.. თქვენა თუ ექიმი? ეჭვი არ არის, ექიმი მეტს დაეხმარება, ვიდრე თქვენა. მაშ, წადით შინა! დიასახლისთან-კი არ შეიძლება. მე შემიძლიან, მაგრამ თქვენ-კი არა: შინ არ შეგიშვებთ.... იმიტომ, რომ ტუტუცია... ავდოტია რომანოვნასა და ჩემზედ ეჭვს გაივლებს გულში; ვინ იცის, იქნება თქვენზედაც-კი იფიქროს რამე... მაგრამ ავდოტია რომანოვნაზედ-კი უთუოდ ასე იფიქრებს. სრულიად მოულოდნელის ხასიათისაა. მაგრამ მეც ტუტუცი ვარ... რას

დანიშაული და სასჯელი

დავეძებ! ორივ ერთია! წავიდეთ! ხომ მენდობით? მენდობით
თუ არა, მითხარით?

— წავიდეთ, დედი,— ურჩია ავდოტია რომანოვნამა, — ას-
რულებს უთუოდ, რასაცა გვპირდება. ეს არ იყო, გამიცოცხლა
ძმა. თუ მართლა ექიმსაც იქვე გაათევინებს ღამესა, იმას ხომ
სულ არა ემჯობინება რა!

— აი, თქვენ... თქვენ... გაიგეთ ჩემი ნათქვამი, იმიტომ
რომ ანგელოსი ხართ თქვენა! — შეჰყვირა აღტაცებულმა
რაზუმინინმა. — წავიდეთ! ნასტასია, შენ კიდევ ახლავ ზევით
ადი და არ მოჰორდე, სანთელი არ გაუქრო. თხუთმეტის
წამის შემდეგ უკანვე დავბრუნდები...

მართალია, არ დარწმუნებულა საბოლოოდ პულხერია
ალექსანდროვნა, მაგრამ ალარც წინააღმდეგობა გაუწია. ჩა-
ვლო რაზუმინინმა ორთავეს იღლიაში ხელი და კიბეზედ ჩა-
მოიყვანა. მაინც როგორლაც აფიქრებდა რაზუმინი: „მარ-
თალია, მოხერხებული და გულკეთილია, ეტყობა, მაგრამ
შესძლებს დაპირების შესრულებასა, ნეტა? გადაკრულშია!...“
ფიქრობდა პულხერია ალექსანდროვნა.

— ოჲ, მესმის; გეფიქრებათ, რომ გადაკრულში ვარ,
ვანა! — გააწყვეტინა ფიქრი რაზუმინინმა და თან ნაბიჯს უმატა,
ასე რომ ძლიერ-ლა მისდევდნენ ქალები. — სისულელეა! ესე
იგი... მთვრალი ვარ, ალარა გამეგება-რა, მაგრამ საქმე ხომ
ამაში არ არის. ღვინისაგან როდი ვარ მთვრალი. ისე,
უცბად მეცა თავში, რომ დაგინახეთ... მაგრამ რას დაეძებთ!
ყურადღებას ნუ მიაქცევთ: ვსტყუი, არა ვარ ღირსი... ღირსი
არა ვარ თქვენი სრულიაღ!.. აი, მიგიყვანთ სახლში და აქვე,
არხში, მთელს კასრს წყალს დავისხამ თავზედა და მორჩება, უც-
ბად გაივლის... ოჲ, რომ იცოდეთ, როგორ მიყვარხართ ორივე-
ნი!.. მაგრამ ნუ იცინით და ნუ ჯავრობთ!.. შეგიძლიანთ ყველას
გაუჯავრდეთ, მაგრამ მე-კი ნუ! იმიტომ, რომ მეგობარი ვარ
როდიონისა და, მაშასადამე, თქვენიცა. იმიტომ, რომ ასე
მინდა... მე ამას წინადევ ვვრძნობდი... შარშანვე. იყო
როგორლაც ერთი ასეთი წამი... მაგრამ არა, საიდამა, რო-

დესაც უცბად როგორდაც ჩამომიგარდით თითქოს ციდამა. მე-კი შეიძლება მთელს ღამესაც არ დავიძინო... ზოსიმოვს ეშინოდა წელანა, ჭყუიდამ არ შეიშალოსო. აი, რისთვის არ უნდა გავაბრაზოთ...

— რას ამბობთ მაგას! — შეჰყვირა დედამ.

— ნუ-თუ, მაშ, ექიმმა სთქვა აგრე? — დაეკითხა შეშინებული ავდოტია რომანოვნა.

— თქმით კი სთქვა, მაგრამ ასე როდია საქმე. ექიმმა წამალიც ისეთი გამოუწერა, თვითონა ენახე... და თქვენც მოხვედით... ეჭ!.. ნეტავი, ხვალ მაინც ჩამოსულიყავით! მაგრამ კარგია, წამოვვედით. ერთი საათის შემდეგ ყველაფერს თვითონ ზოსიმოვი მოგახსენებთ. ის როდი არის მთვრალი! მეც გამოვჭხიზლდები მინამდის... მერე, რათ გავსკდი ასრე, განა? იმიტომა, რომ კამათი ამიტეხს წყეულებმა! დაფიცებული ვიყავ, აღარ ვიკამათებ-მეთქი!.. რაღასაც სულელობენ! კინაღამ ჩხუბიც მომივიდა. მერე ბიძა დავუტოვე თავმჯდომარეთა და წამოველ... არ დაიჯერებთ: თხოულობენ, რომ აღამიანის პირადობა სრულიად წაიშალოს და აღტაცებულები არიან ამ თავისის სისულელითა! ერთი სიტყვით, აღამიანი თავისს თავს არ უნდა ჰვავდეს, სხვათ უნდა იქცეს! ეს არის მათის აზრით უაღრესი პროგრესი და განვითარება. მაგრამ, ნეტავი, თავისის ჭყუით მაინც არის სცრულბდნენ... სხვებსა ჰბაძავენ ისევა... გესმისი?

— მოიგმინეთ, — გააწყვეტინა მოკრძალებით პულხერია ალექსანდროვნამა.

მაგრამ უფრო გააცხარა ამ შენიშვნამა.

— მერე, როგორა გვინიათ? — ჰყიციროდა რაზუმიხინი, — იმიტომა ვკიცხავ, რომ სცრულბდნენ? სისულელე! მიყვარს კიდეცა, როცა სცრულბდნენ! ცრულბაა ერთად-ერთი უპირატესობა აღამიანისა, რომელიც დანარჩენ ცხოველებთან შედარებით მიჰნიკებია მასა. იცრუებ, მართალს მიაგნებ! იმიტომაც ვარ აღამიანი, რომ ვცრუობ. არც ერთის ჭეშმარიტებისათვის ისე არავის მიუგნია, რომ ერთი თოთხმეტჯერ

ძაინც არის არ ეცრუა; თოთხმეტჯერ-კი არა, იქნება ას თოთხმეტჯერაც იცრუა, ვინ იცის. სიცრუვე-კი საპატიო რამ არის. მაგრამ უბედურაბაც ის არის, რომ ჩვენდა თავად, ჩვენის ჭკუით ცრუობაც-კი არ შეგვიძლიან; იცრუე, რამდენიც გინდა, მაგრამ იცრუე შენებურად; აი, მაშინ შემიყვარდები და გაკოცებ. თავისებურად ცრუობა სხვისა მართალს მაინც სჯობიან. იმიტომ, რომ პირველს შემთხვევაში ადამიანი ხარ, მეორეში-კი თუთიყუში მხოლოდ! სიმართლე არსად გაგვექცევა, ცხოვრებას-კი შესწავლა უნდა. თორემ მაგალითები ბევრი ყოფილა. აბა ახლა რანი ვართ ჩვენა? ყველანი განურჩევლად, მეცნიერებისა, განვითარებისა, აზროვნებისა, გამოგონება-აღმოჩენისა, იღეალებისა, სურვილებისა, ლიბერალობისა, გონიერებისა, გამოცდილებისა და მრავალ სხვა განმანათლებელ ცოდნათა მხრივ მხოლოდ მოსამზადებელ კლასის გიმნაზიელებს ვგევართ! მოგვეწონა სხვისა ჭკუით ჩინჩალი და ლამის არის მთლად შეველით ზედა, ძვალსა და რბილში გაგვიჯდა! ასეა თუ არა? — ყვიროდა რაზუმიხინი და თან ქალებს ხელს უჭერდა მაგრა, — ასეა თუ არა?

— ოჲ, ღმერთო ჩემო, აბა, რა ვიცი, — უპასუხა წყნარად საბრალო პულხერია ალექსანდროვნამ.

— აგრეა, აგრე... თუმცა, ყველაფერ, ში არ გეთანხმებით, — მიუგო დინჯად ავდოტია რომანოვნამა და თან შეჰყვირა, ისე მაგრა მოუკირა რაზუმიხინმა ხელი.

— აგრეა, მაშა? თქვენ მეუბნებით, აგრეაო? მაშ თუ აგრეა, ამის შემდეგ თქვენ მხოლოდ... თქვენ... — შეჰყვირა აღტაცებულმა, — სიკეთისა, სიწმინდისა, გონიერებისა და... ყოველ სხვა ღირსების წყარო ხართ! მომეცით თქვენი ხელი, მომეცით... თქვენიც მომეცით, მინდა ამავ წამს მუხლ-მოდრე-კით დაგიკოცნოთ ორთავეს ხელი!

და ფილაქანთენილზედ ჩაიჩიქა, რომელიც საბედნიეროდ უდაბნოსავით იყო ცალიერი იმ ეამადა.

— მოითმინეთ, რას სჩადიხართ? — შეჰყვირა შეშფოთებულმა პულხერია ალექსანდროვნამა.

— ადექით, ადექით! იცინოდა და სწუხდა თან დუნია.

არაფრის გულისათვის, სანამ ორთავე ხელს არ მომცემთ! ჰო, აგრე; კმარა, ავსდგები და წავიდეთ კიდეც! უბედური ვარ, რეგვენი, ღირსი არა ვარ თქვენი, მოვრალი ვარ და მრცხვენიან კიდეც... უბედური ვარ და მრცხვენიან კიდეც! თქვენის სიყვარულისა, მართალია, ღირსი არა ვარ, მაგრამ თქვენ წინაშე ფეხთ ქვეშ გაგება და პატივისცემა-კი ზოგალეობაა ყველასი, თუ რომ ჯერ მთლად არ გაპირუტყვებული ადამიანი! და აკი ამიტომ მეც თაყვანსა გცემთ... იგერა თქვენი ნომრებიც! მაგრამ არა სტყუოდა როდონი, პეტრ პეტროვიჩი რომ გამოპანლურა წელანა! არა, როგორ გაბედა და გიქირავათ ასეთი ნომრები? ეს ხომ თავის შერტვენა არის! იცით, რა ხალხი დაიარება აქა? თქვენ-კი საპატიოდლო ხართ! საპატიოდლო ხართ, არა? იცოდეთ, მაშა, რომ სახიზღარი და საძაგელი გაიძვერა რამა ყოფილა თქვენი საქმრო!

— მოითმინეთ-და, ნუ დაივიწყებთ, ბატონო რაზუმიხინ, რომ...—დაიწყო პულხერია ალექსანდროვენამა.

— მაგრამ, ჰო, მართალსა ბრძანებთ, დამავიწყდა, მრაცხვენიან სწორედ! — მოიბოლიშა რაზუმიხინმა,— მაგრამ... მაგრამ... როდი უნდა გამიწყრეთ ამისათვისა! იმიტომ, რომ გულწრფელად გამბობ და არა... იმისათვისა, რომ... ვმ! საძაგლობაა ესა. ერთი სიტყვით, იმიტომ-კი არა, რომ მე თქვენ... ვმ! მაგრამ დეე, საჭირო არ არის, არ ვიტყვი; იმიტომ, რომ არ შემიძლიან!.. ჩვენ ყველამ მაშინვე გავიგეთ წელან, შემოვიდა თუ არა, რომ ჩვენის საზოგადოებისა არა ეცხო-რა. იმიტომ-კი არა, რომ პარიკმახერთან დახუჭუჭუჭებინა თმები და სცდილობდა თავისი გონებრივი ივლა-დიდება საჩქაროდ გაეცნო, არა! იმიტომ, რომ მზვერავი და ჩარჩი იქნება; იმიტომ, რომ ურიასავით წუწურაქი და ოინბაზი იქნება, ეტყობა. გვინდით ჭკვიანია? სულაც არა. ტუტუცია და ჩურჩუტი! ან მეგობრობას გაგიწვდოთ, განა? ღმერთო ჩემო! ჰედავთ,— და უცბად ნომრებში ასასვლელ კიბესთან შედგა.— მართალია, ახლა იქ, ჩემსას, ყველა მოვრალია, მა-

გრამ პატიოსნები არიან; მართალია, კიდევც ესცრულბთ ყველანი, მაგრამ ერთხელც იქნება სიმართლესაც მივაგნებო, იმიტომ, რომ პატიოსანსა და კეთილშობილს გზაზედ ვდგევართ. პეტრ პეტროვიჩი-კი არა სდგას კეთილშობილს გზაზედა. მართალია, ახლა ყველანი დავლანძლე ისინი, მაგრამ პატივს მაინც ვცემ; მართალია, ზამეტოვს პატივს არა ვცემ, იმიტომ რომ ლეკვია ჯერ ისევა, მაგრამ მიყვარს-კია! მიყვარს ზოსიმოვიცა, იმიტომ, რომ პატიოსნია და საჭმეც ესმის... მაგრამ კმარა, ყველაფერი ესთქვი, ყველაფერი მეპატია. მეპატია, განა? აგრეა თუ არა? წავიდეთ მაშა. ვიცნობ ამ „კარიდორსაცა“, ვყოფილვარ; აი, აქ, მესამე ნომერში, რაღაცა ოხრობა მოგვიხდა... თქვენ რომელში-და ხართ ჩამომხტარი? რომელი ნომერია? მერვე? აბა, დაიკეტეთ, მაშ, კარები და, ხუმრობა არ არის, არავის გაუღოთ. თხუთმეტის წამის შემდეგ ამბავს მოგიტანთ. ნახევარ საათს შემდეგ-კი ზოსიმოვსაც თან მოვიყვან. თორემ აი, ვნახავთ! მშეიღობით, მივრბივარ!

— ღმერთო ჩემო! დუნეჩა, რა იქნება, ნეტა? — დაეკითხა შეშფოთებული და შეშინებული პულხერია ალექსანდროვნა ქალსა.

— დამშვიდდით, დედი, — ანუგეშებდა დუნია და თან შლაპასა და წამოსასხამს იხდიდა, — ღმერთია შემწე. ტყუილად-კი არ მოგვივლინა ე კაცი; თუმცა ცოტა გადაკრულშია. გარწმუნებ, შეიძლება სრულიად ვენდოთ ამ კაცსა. ამასა პმოწმობს თუნდ მარტო ისაც, რაც დღემდის ჩვენის როდიონისათვის სიკეთე უქმნია).

— ეჲ, დუნეჩა, ღმერთმა იცის, მოვა თუ არა?! არა, როგორ დავთანხმდი და გავუშვი მარტოდ როდიონი!.. არ მეგონა სრულიადა, თუ ასეთს ყოფაში ვნახავდი! როგორ სასტიკად მიგვიღო, თითქოს ეწყინაო ჩვენი ნახვა...//

და თვალები ცრემლით აევსო.

— არა, დედი, აგრე არ არის. არც-კი შეგიხედნიათ რიგიანათა, სტიროდით სულა. საშინლად არის ავადმყოფობისაგან მოშლილი, იმიტომ მოგვეპყრა ასრე.

-- ოჰ, ეს ავადმყოფობაა, რომ დალუპვას მიპირებს! რა იქნება, ნეტა! მერე, როგორ გელაპარაკებოდა, დუნია,— ჩაეკითხა მოკრძალებით პულხერია ალექსანდროვნა და თან თვალებში ჩაკვირდა ქალსა, რომ გაეგო, რასა ფიქრობდა. მაგრამ ინუგეშა თავი იმითი, რომ დუნიავე ამართლებდა ძმასა; მაშასადამე, აპატია.—დარწმუნებული ვარ, გულს მოიბრუნებს ხვალა,—დასძინა ისევ თვითონ საცდელათა, რომ ეთქმევინებინა რამე.

— მე-კი მგონია და დარწმუნებულიცა ვარ, რომ ხვალაც იმასვე მეტყვის... გააწყვეტინა ავდოტია რომანოვნამა.

რასაკვრელია, ეს მხოლოდ მოიმიზება, თორემ იყო აქ ერთი საგანი, რომლის შესახებაც ხმის ამოღება ვერც-კი გაებედნა პულხერია ალექსანდროვნასა. მივიღა დუნია და აკოცა დედასა. დედამაც მაგრა ჩაიკრა გულში ჩუპათა, ხმა არ ამოუღია. დაჯდა მერე და დაუშეკო რაზუმიხინს ლოდინი. თანმოკრძალებით ქალს ადევნებდა თვალ-ყურსა, რომელსაც ასრევე მოლოდინში გულ-ხელი დაეკრიფა და დაფიქრებული თთახში გადი-გამოდიოდა წინ და უკანა. ჩვეულებათა ჰქონდა ფიქრის დროს ასე თთახში სიარული ავდოტია რომანოვნასა; ამიტომაც ეშინოდა მუდამ დედასა, არ დაერღოვია როგორმე სიჩუმე და ფიქრი არ შეეშლევინებინა ამ დროსა.

რასაკვრელია, სასაცილო იყო, რომ გადაკრულს რაზუმიხინს გულში უცბად ცეცხლებრ აღეგზნო ავდოტია რომანოვნასადმი ვნება; მაგრამ ვინც-კი ახლა გულხელ-დაკრეფილსა და დალვრემილ-დაფიქრებულს მოჰკრავდა თვალსა დუნიასა, ყველა უთუოდ ადვილად აპატიებდა ასეთს გატაცებასა, თუნდაც განსაკუთრებული მდგომარეობა რაზუმიხინისა იმ უამაღ სულაც არ მიეღოთ მხედველობაში. შესანიშნავად კარგი რამ იყო იმ უამაღ ავდოტია რომანოვნა,—მაღალ-მაღალი, ტანატი, რწმენით საესე, ძალ-ღონიანი: —ეს ეტყობოდა თვითონეულს მისს მიმოხვერასა და მოქვედებასა, თუმცა კიკლუციბა და მალხაზობა სულაც არ იყლდა. სახით ძმას ჰგავდა, მაგრამ სილამაზით ესა სჯობდა. თები წაბლის ფერი

ჰქონდა, თვალები, თითქმის შავი, ელვარე, ამაყი, ზოგჯერ კეთილად გამომეტყველი. სახეზედ ფერ-მკრთალი იყო, მაგრამ სწორებრივი როდი იყო ეს სიმკრთალე; ახალგაზრდობა და ჯანმრთელობა ნათლადა ჰქონდა აღბეჭდილი. პირის ნაყოფი ცოტათი პატარა ჰქონდა, ქვედა ტუჩი, ნორჩი და წითელ-წითელი, ნიკაპთან ერთად ოდნავ წინ წამოწეული. ეს იყო ერთად-ერთი ნაკლი მთლად მისის მშვენიერ პირისახისა, მაგრამ რაღაც საგანგებო გამომეტყველებასა და ხასიათს ჰმოწმობდა; სხვათა შორის, თითქოს სიამაყესაც. მთლად სახის გამომეტყველება-კი უფრო დარბასისლური და ჩატიქებული ჰქონდა, ვიდრე მხიარული. მაგრამ უხდებოდა საშინლად ღიმილი, ახალგაზრდობის უზრუნველი, მხიარული სიცილი! არც საკვირველია, მაშ, თუ ფიცხმა, გულახდილმა, უბრალომ, პატიოსანმა და ბუმბერაზივით ძალ-ღონით სავსე მოვრალმა რაზუმისინმა პირველს ნახვაზედვე გონება დაპკარგა. მასთან, თითქოს განგებ მოხდაო, პირველადვე შემთხვევა მიეცა ენახა ისეთს დროს სწორედ, როცა საყვარელ ძმის ნახვით იყო გახარებული. ნახა შემდეგ ისიც, როგორ შეუთამაშდა განრისხებულს ქვედა ტუჩი, ძმამ რომ კადნიერათა და მკაცრად უბრძანა,— და ველარ მოითმინა, გულს აჟყვა, დაემორჩილო.

მართალი იყო, წელი რომ წამოროშა მოვრალმა კიბეზედ: რასკოლნიკოვის დიასახლისი პრასკოვია პავლოვნა ავდოტია რომანოვნას სიყვარულს დასწამებდა უთუოდ რაზუმისინსა; არამც თუ ამის, ეჭვს მიიტანდა უთუოდ პულხერია ალექსანდროვნაზედაც-კი. მით უფრო, რომ ორმოც-და-სამის წლისას ჯერ კიდევ საკმიოდ შეპრჩენოდა ახალგაზრდობის სილამაზე და თავის წლოვანობასთან შედარებით გაცილებით ახალგაზრდათაც მოსჩანდა, როგორც ეს საზოგადოდ ემჩნევა ხოლმე მუდამ საღის სულისა და პატიოსან გულის პატრონს ქალებს. ერთად-ერთი საშუალებაა ეს თითქმის, რომ ადამიანმა მოხუცობის დროსაც-კი არ დაპკარგოს სილამაზე. თმა უკვე შესთხელებოდა და გასჭალარავებოდა, თვალებს გარშემო წვრი-

ლი ნაოჭი შეჰქვეროდა, ლოყები ჩასცვივნოდა და შეჰქმობოდა მუდმივის ზრუნვისა და მწუხარებისაგან, მაგრამ სახეს მაინც არ დაჰქარგვოდა თვისი მშვენება. ეს იყო იგივ ღერებების სახე, მხოლოდ ოცის წლით უფრო ხნიერი, მაგრამ ქვედა ტუჩი არ ჰქონდა მისებრ წამოწეული; აი, რითი განსხვავდებოდნენ. მგრძნობიარე იყო პულარია ალექსანდროვნა, მაგრამ უზომოდ არა, იყო მოკრძალე და აღვილად დამთმობი, მაგრამ ესაც ისევ განსაზღვრულ ზომამდე: შეეძლო ბევრი რამ დაეთმო, ბევრში შეჰრიგებოდა გარემოებასა, თუნდ მისი რწმენის წინააღმდეგიც ყოფილიყო ესა, მაგრამ პატიოსნებასა და თავისს წმიდა, უკიდურეს შეხელულებათა საზღვარს კი არასოდეს არ გადვიდოდა.

არ გასულიყო რაზუმინის წასვლის შემდგომ სულ ოცი წამი, რომ კარები ვიღამაც ორჯელ მოაკუნა ნელა და აჩქარებითა. დაბრუნდა.

— არ შემოვალ, არა მცალიან! — მიაძახა საჩქაროდ, როგორც-კი კარი გაუღეს. — სძინავს, მაგრამ დამშვიდებულია; ღმერთმა ჰქმნას, თუნდ ათი საათი იძინოს. ნასტასია უზის გვერდთა. ვუბრძანე, არ მოჰშორდეს. ახლავ ზოსიმოვს მოვა. თრევ და ის მოგახსენებთ ყველაფერსა. მერე-კი თქვენც დაიძინეთ, თორემ, რომ ვხედავ, ძალიანა ხართ დალლილნი...

და გასწია ისევ უკანა.

— რა ცოცხალი და ერთგული ახალგაზრდაა! — შეჰყვირა უზომოდ გახარებულმა პულხერია ალექსანდროვნამა.

— საუცხოვო ადამიანი უნდა იყოს, ეტყობა! — უპასუხა მხურვალედ ავლოტია რომანოვნამა და ისევ ოთაბში დაიწყო წინ და უკან სიარული.

თითქმის ერთის საათის შემდევ კვალად გაისმა „კარილოტაში“ ფეხის ხმა და კარების კაკუნი. ამ უამად დედა და ქალი სრულიად დაიმედებულნი უცდილნენ რაზუმინისა და აკი მართლა მოიყვანა კიდევ ზოსიმოვი. მაშინვე დასთანხმდა ზოსიმოვი ქეიფისათვის თავი მიენებებინა და რასკოლნიკოვის სანახავად წასულიყო, მაგრამ ქალებთან-კი უგულოდ

გაჰყა; არ ენდობოდა როგორლაც მთვრალს რაზუმისინა: მაგრამ თავმოყვარეობა მაშინვე დაიქმაყოფილა და დამშვიდია, როგორც-კი დარწმუნდა, რომ გრძნეულ მისანისავით მიელოდნენ. სულ რაღაცა ათი წემი დარჩა, რომლის განმავლობაშიაც თითქმის სრულებით დაამშვიდა პულხერია ალექსანდროვნა, რომ საშიში არა ჰქონდა რა ავადმყოფსა. ელაპარაკებოდა შესანიშნავის თანაგრძნობითა, მაგრამ თავდაპერითა და ძალდატანებით დარბაისლურად, როგორც საყურადღებო კონსულტაციაზედ შემშვენის ოც და შეიდის წლის ექიმსა; არც ერთის სიტყვით საგნისათვის არ გაჲაუზვევია და არ უჩვენებია, რომ სურვილი ჰქონდა თვითონ მათს კერძო და პირადს დამოკიდებულებას შემხებოდა როგორმე. შესვლის უმაღვე შეპირიშნა, რა მომხიბლველი რამ იყო ავდოტია რომანოვნა, მაგრამ განგებ თვალს არიდებდა და რაც ხანი ვიზიტათ იყო, ერთ-თავად პულხერია ალექსანდროვნას ელაპარაკებოდა მხოლოდ. და უველა ეს შესანიშნავს კმაყოფილებას აგრძნობინებდა. თვითონ, ავადმყოფის შესახებ-კი ის აზრი გამოსთვევა, რომ ამ უამაღ თითქმის კარგად არისო. რაც შეეხება მიზეზს ავადმყოფობისას, „მისის დაკვირვებით იგი უნდა ყოფილიყო „შედეგი მრავალ, როულ, ზნეოპრივ და ნივთიერ ზედგავლენისა, შიშისა, ზრუნვისა, შუათვისა, ზაგიერთა აზრებისა და სხ...“ შეპირიშნა ზოსიმოვმა, რომ ავდოტია რომანოვნა განსაკუთრებულის უერადღებით უგდებდა უურს ამ განმარტებასა და უფრო ვრცლად იწყო ამიტომ ლაპარაკი. პულხერია ალექსანდროვნას მიერ მოკრძალებითა და შიშით დაკითხვაზედ კიდევ: „ეჭვი ხომ არა გაქვთ პკუიდამ შეშლისაო“ სიცილით უპასუხა დამშვიდებულმა, რომ გაუზვიადებიათ მისი სიტყვები. — ჩასაკვრელა, ავადმყოფს რაღაცა უძრავი აზრი აწერებს, მორომანია ეტყობა თითქმის, რომელსაც დიდად ადევნებს თვალ-ყურსა, მაგრამ უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ თითქმის დღემდის ავადმყოფი ერთ-თავად ჰბოლავდა, და... გარდა ამისა, რასაკვრელია, მშობლების ჩამოსვლაც საკეთილოდ იმოქმედებს, ფიქრს გადაუყრის გული-

დამა,— „თუ, რასაკვრელია, ახალი რამ არ შეემოხვევაო საი-
მისო,“ დასძინა საგულისხმოდ. წამოდგა მერე, დარბაისლუ-
რიად გამოეთხოვა ლოცვა-კურთხევისა და მადლობის გრძნო-
ბით აღსავს დედასა და ქალს, რომელმაც თავისით გაუწო-
და მუდარით ხელი ზოსიმოვსა და სრულიად კმაყოფილი ში-
ნისაკენ გაემართა.

— ლაპარაკით ხვალ ვილაპარაკოთ; ახლა-კი დაიძინეთ
უთუოდ!— დაუმატა რაზუმინიშვილი და ზოსიმოვს გაჟყვა.

— არა, რა მ'ჰვენიერი გოგონაა ე ავდოტია რომანოვ-
ნა! შეპნიშვილი პირში ნერწყვ-მორეულმა ზოსიმოვმა, ქუჩაში
რომ გავიდნენ.

— რაო, მშვენიერიაო? შენ ანბობ მაგას! — შეპნიშვილი
რაზუმინიშვილი, ეცა უცბად ზოსიმოვსა და ყელში ხელი წაუჭი-
რა.— გაგიძედნია, აბა, და გითქვამს-და კიდევ... გესმის? გეს-
მის?— უყვიროდა და თან საყელოში ხელჩაკიდებულს იჯანჯლა-
რებდა, კედელზედ მიეჭყლიტა.— გესმის?

— გამიშვი, შე გადარეულო! უძახოდა ზოსიმოვი და
სცდილობდა თავი როგორმე გაენთავისუფლებინა.

მაგრამ გაუშვა თუ არა რაზუმინიშვილი, ერთი-კი შექსედა
და უცბად საშინად გადიხარხარა. რაზუმინიშვილი იდგა ჩუ-
მად დაფიქრებული და დაღვრემილი ძირს დაიყურებოდა.

— რასაკვრელია, ვირი ვარ მე,— წაიდუდუნა დაღვრე-
მილმა, მოქუშულმა,— მაგრამ შენც ხომ... არა ხარ ნაკლები.

— არა, მაგას-კი სტყუი. მაგისთანა სისულელეს
არასოდეს გულში არ გავიტარებ.

მიდიოდნენ ჩუმათა და მთლოდ რასკოლნიკოვის ბინას
რომ მიუახლოვდნენ, მაშინ-და დაარღვია სიჩუმე რაღაზედაც
დაფიქრებულმა რაზუმინიშვილი.

— ყური დამიგდე,— უთხრა ზოსიმოვსა,— კაი ბიჭი ხარ,
მაგრამ ყველა სხვა ნაკლთან, ვიცი, დიდი მატანტალა ხარ,
მასთან საკმაოდ გაურჩეველი. სუსტი და ნერვებ-აშლილი სა-
ძაგლობა ხარ, ჩასუქებული ღორივითა და არასფერს არ იკ-
ლებ,— აი, ამას ვეძახი საძაგლობისა. იქამდის ხარ განაზებუ-

დანაშაული და სასჯელი

ლი და გაფლტუნებული, რომ, გამოგორუდები, მიკვირს და ვერ გამიგია, როგორ-და ახერხებ, რომ ასე თავგამოდებითა სწამლობ ავადმყოფებსა: ბუმბულსა და თითოიკზედ გძინავს (ექიმსა!) და ღამ-ღამობით-კი ავადმყოფისათვის ძილს იფრთხობ. სამის წლის შემდეგ უთუოდ აღარ იკადრებ... მაგრამ ეშმაკმა იცის შენი თავი, საქმე მაგაში როდია; აი, რა უნდა გითხრო: დღეს უთუოდ დიასასლისის ბინაზედ უნდა გაათიო ღამე (ძლივს დავიყოლიყ!), მე-კი სამზარეულოში დავიძინებ. აი, მჩვენიერი შემთხვევა მოგეცემა, ახლო გაიცნო! მაგრამ ისე-კი არა, შენ რომ ფიქრობ? ნურც-კი გაივლებ გულშია...

— არა, მითიქრია.

— აქ, ძმაო, მორცხვობაა, სიჩუმე, მოკრძალება და უმანკუება სიტყვი, მაგრამ უყვარს ოხვრა, სანთელივით უცბად ხელში ჩაგდენება! გვვდრები, მისენ როგორჩე, გაფიცებ მილად ქვეყნიერობის ტარტაროზებსა! საუცხოვო სათამაშოა... გეფიცები, გედაგიხდი!

უარესად გადიხარხარა ზოსიმოვმა.

— ჰედავთ, როგორ მოსდებია! მაგრამ მე რას ვაქნევ, რასა?

— გ არწმუნებ, ბევრი არა დაგჭირდება-რა, რომე, რაც შოგესრუოს, ოღონდ გვერდთ უჯერ და ელაპარაკე-კი. ექიმეცა ხარ; აიღე და წიმლობარისამე დაუწიე. გეფიცები არ ინანებ. საკრავიც უდგას რაღაცა. ხომ იცი, ცოტავაელარუნებ. ერთი სიმღერა ვიცი, ნამდვილი რესულია: „ცრემლად მ ხურვალედ დავლენები“... უყვარს ძალიანა.—და აკი ჩეენი ამ-ბავიც სიმღერიდამ დაიწყო. შენ კი ხომ ფორტეპიანოს შშეენიერად უკრამ; ბ-ნო რუბინშტეინ... გეფიცები, არ ინანებ!

— რაო, პირობა რისამე მიეცი, თუ როგორ არის შენი საქმე? იქნება ხელწერილიცა აქვს? ან ცოლათ დაპირდი შერთვასა?..

— სულაც არა! და არც თუ თითონ არის ისეთი. საიდამღაც იყო, ჩებაროვი ასჩენოდა, მაგრამ...

— არ არის-და, თავი გაანებე, რაღას უცდი!



— არ შეიძლება აგრე-და!
 — რატომ არ შეიძლება, რაო?
 — რატომა და იმიტომა, რომ უხერხულია როგორლაცა!
 აქ, ძმაო, რაღაც მიმზიდველი ძალაც არის, და!
 — მაშ რაღათ შეიჩივი, თუ აგრე იყო?
 — სულაც არ შემიჩევია; პირ-იქით, თვითონ მოვსტ-
 ყუვდი როგორლაც სისულელითა და შემიჩევია. მაგრამ ორივ
 ერთია იმისთვის, მე ვიქნები, თუ შენ, ოღონდ გვერდა-კი
 უჯდეს ვინშე და ოხრავდეს მისთვის. აქ, ძმაო... არ შემიძ-
 ლიან გამოვსტვა; —იი, გესმის, ანგარიში ხომ იცი და ახ-
 ლაც კიდევ მჰეცადინეობ, ვიცი.. დაუწყე თუნდა და ინტეგ-
 რალური გამოანგარიშება ასწავლე; ღმერთმანი, არ გეხუმრე-
 ბი, ნამდვილს გეუბნები, ორივ ერთია იმისთვის: მოელი წე-
 ლიწადი ასე შენს ცქერასა და ოხრაში გაატარებს. სხვათა
 შორის, ერთხელ მოელი ორი დღე, მაგალითად, პრუსიელთა
 პარლამენტზედ ველაპარაკებოდი (სხვაზედ, აბა, რაზედ მელა-
 პარაკნა?); იჯდა ისიცა, მიგდებდა ყურსა, ოხრავდა და დნე-
 ბოდა! მაგრამ არ გაპედო და სიყვარულზედ კრინტი არ
 დასძრა, თორემ მორცხვია მეტად და მაშინვე კანკალი აი-
 ტანს; მაგრამ აჩვენე, ვითომ ველარ დაგილწევია თავი,—და
 ესაცა კმარა. მშვენივრად იცხოვრებ; მოსვენებული იქნები,
 როგორც შენს სახლში, —იკითხე, სწრე, წამოწექ, იჯექ,
 როგორც გესურვოს... შეიძლება აკოცო კიდეც, მაგრამ
 ფრთხილად-კი...

— კარგი, მაგრამ რა თავში ვიხლი?

— ეჭ, არ შეიძლიან აგიხსნა! იცი, რა არის: თქვენ
 ორივე ერთმანერთს ჰგევხართ ძალიანა! წინადაც ვფიქრობდი
 ხოლმე შენ შესახება... და მაგის გარდა, ხომ ვიცი, ამითი
 გაათავებ საქმესა! ერთი არ არის, მაშ, შენთვის, ადრე იქნე-
 ბა თუ გვიან? აქ, ძმაო, ისეთი თივთიკის საფუძველია, რომ,
 ეჭა! მაგრამ მარტო ეს არის, განა! ყველაფერი აქ იხვევს
 გულსა: აქ არის დასასრული ქვეყნიერობისა, ღუზა სიცოც-
 ხლისა, წყნარი ნავთსაყუდელი, დედამიწის გული, ქვეყნიე-

რობის საძირკველი, ესენტია ხაჭაპურებისა, მსუქან კუპატებისა, საღამოს სამოვრისა, ჩუმის ოხვრისა და თბილ-თბილის საწოლისა, — აი, ჰელავ, თითქოს მომკვდარიყო კიდეც, მაგრამ ცოცხალი ხარ იმავე დროსა, ორნაირი ხეირა გაქვს ერთადა! მაგრამ, ეჭე, ზორბად ვიცრუე, მგონი, ძილის დროა! ყური დამიგდე: ლამ-ლამბით ვიღვიძებ ხოლმე ზოგჯერა; ავდგები, მაშა, და დავხედავ. მაგრამ არა უშავს-რა, კარგად იქნება. ნუ შესწუხდები ძანა; თუ გინდა, შენც აპარედევი ერთხელა. მაგრამ შეპიშნავ თუ არა, რომ პბოდავს, ან სიცე აქვს, ან სხვა რამეს შეატყობ, მაშინვე გამაღვიძე. თუმცა, ვიცი, არა იქნება-რა...

II

დანაღვლიანებულმა და დაფიქრებულმა გაიღვიძა რაზუმი-ხინმა მეორე დღეს რვის ნახევარზედ. ბევრი რამ აუჩნდა უცბად ახალი და გაუგებარი ამ დილითა. არც-კი საღმე უფიქ-რია წინად, თუ ასეთს გუნებაზედ გაიღვიძებდა ოდესმე. ახსოვ-და ყოველივე დაწვრილებით, რაც-კი რამ გუშინ მოხდა და ესმოდა, რომ რაღაცა არაჩეულებრივი გარემოება აუჩნდა, განიცადა ისეთი რამ ახალი, რომლისგანაც განსხვავდებოდ-ნენ ყველა სხვა წარსული შთაბეჭდილებანი. ჰერძნობდა იმავ დროს, რომ შეუძლებელი იყო ამ ოცნების განხორციელება, — იქამდის შეუძლებელი, რომ შეპრცხვა კიდეცა და მაშინვე საჩქაროდ არსებითად საზრუნველ საგნების გარდაწყვეტას შეუდგა, რომლებიც გუშინდელმა დაწყევლილმა დღემ აუ-ჩინა.

ყველაზედ მეტად ესაზიარლა ის, რომ ღვინით გახეთქილმა გუშინ ქალს პირში საქმრო ულანძლა და უძაგა; მხოლოდ იშიტომ, რომ რაღაცა უსაფუძვლოდ ეჭვიანობა შეეხარა, თუმცა არც იმათი ერთურთი დამკიდებულება იცოდა და არც თვითონ კაცს იცნობდა რამდენადმე დაახლოვებით. მაგ-რამ ნ-კი რა უფლება ჰქონდა, ასე აჩქარებითა და წინდაუ-

ხედავად გამოეთქვა თავისი აზრი? ან მსაჯულობა ვინ სთხოდა! ან ნუ-თუ შესაძლებელია ავღოტია რომანოვნასთანა აღამიან-მა თავი უღირსად გაჰყიდოს ვისზედმე! ეჭვი არ-არის, იმასაც რამ ღირსება ექნება. ნომრები? მაგრამ საიდამ უნდა სცოდნო-და, რომ ასეთი საძაგელი რამ არის ეს ნომრები? და მეორეც, აკი სთქვა, ბინასაც ვუმზადებო... ფუ! რა სიმდაბლე და საძაგ-ლობა ჩაიდინა! ან რა სიმართლე მოუდგის, რომ მთვრალი იყო? ეს ხომ უფრო უარესი, სამარცხვინო და დამამცირებე-ლი თავის მართლება! აკი ნათქვამია: მთვრალი ფხიზლის მა-მხელიაო და მართლაც ასრე მოუვიდა: „გამოსთქვა ყველაფე-რი, რასაც-კი კუჭყიანი და მომშურნე გული ეუბნებოდა!“ მერე, ეპატიება, განა, ასეთი ოცნებობა მას, რაზუმინისა? შედარებით ამ ქალთან ვინ არის, ნეტა,—ვიღაცა ლოთი, ჭირვეული და საზიზლარი მკვეხარა? „შესაძლებელია, განა, ეს ორი, ერთი მეორის წინააღმდეგი აღამიანი ერთმანერთს ვინმემ შეადაროს?“ სისაცილოა და სხვა არაფერი. და საშინ-ლად გაწითლდა რაზუმინი; მოაგონდა უცბად აგრეთვე ის, გუშინ რომ წამოროშა: დიასახლისი ავღოტია რომანოვნას სიყვა-რულს დამზამებსო... და მთლად მოკვდა, ჩაითუთქა. მოუქნია მუშტი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სამზარეულოს ღუმელსა და სთხლიშა, ხელი დაიზიანა, აგური გადმოაგდებინა.

„რასაკვრელია,—წაიბუტბუტა ერთის წამის შემდეგ რო-გორლაც დამცირებულმა,—ყველა ამ საძაგლობასა და საზი-ზლრობას ვეღარასოდეს ვერ გამოვისყიდი... მაშიალამე, ფიქ-რიც შეტია ამრს შესახებ; უნდა მივიდე ჩუმად და... მოვა-ლეობა შევასრულო მხოლოდ... ასრევე ჩუმად, ხმის ამოუ-ლებლივა და... არც ბოდიში მოვიხადო, იმიტომ, რომ ლაპა-რაკი უქმი იქნება... იმიტომ, რომ გაჰქრა ყველაფერი სამუ-დამოდ!“

მაგრამ ტანთ რომ იცვამდა, როგორლაც მეტის გულ-მოდგინებით გაისინჯა ყველაფერი. სხვა ტანისამოსი, მართა-ლია, არა ჰქონდა და რომ ჰქონოდა, არც ჩაიცვამდა უთუ-ოდ,— „განგებ არ ჩაიცვამდა“. მაგრამ ყოველს შემთხვევაში

ჭუკუიანადა და ჩათლახად სხვებთან ყოვნა შეუძლებელი იყო
მაინც: არა ჰქონდა არავითარი უფლება შეურაცხყოფა მიე-
ყენებინა, მით უმეტეს, რომ თვითონვე ჰსაჭიროებდნენ მისს
დახმარებასა და თვითონვე იწვევდნენ. ამიტომაც ლამაზად
გაიჩიოქა ტანისამოსი. რაც შეეხება საცვლებს, ეს-კი მუდამ
რიგიანი ჰქონდა, რადგან სუფთა საცვლები უიმისოდაც
უყვარდა მუდამ.

დაიბანა დილით ლამაზადა,—ნასტიას ჰქონდა საპონი,—
ჩამოიბანა თმა და კისერი, დაითეთრა ხელები და რიგი ახლა
ჯაგარზედ მიღვა: არ იცოდა, რა ექნა—ჩამოეპარსა თუ არა
(პრასკოვია პავლოვნას მშვენიერი სამართებელი ჰქონდა განსვე-
ნებულ ზარნიცევისაგან დარჩენილი)... მაგრამ უარ-ჴყო გულ-
მოსულმა: „დეე, ასე იყოს! თორემ რას ეგვანება? იფიქრე-
ბენ, გაპარსულა, რომ... უთუოდ იფიქრებენ! არასფრის გუ-
ლისათვის ქვეყანაზედ ამას არა ვიქმ!“

„და... უმთავრესი-კი ის არის, რომ ბრიუვი, ჭუკუიანი
და მოუხეშავი რამ არის, ქცევაც ბრიუვული, დუქნური აქვს...
მართალია, იცის, რომ ცოტათი რიგიანი ადამიანია... მაგრამ
ამითი როგორ იამაყოს? როცა ყველა უთუოდ რიგიანი და
პატიოსანი უნდა იყოს და ცოტა იმაზედ უკეთესიც... იმიტომ,
რომ (ახსოვს კარგათა) მასაც ჩაუდენია ისეთი საქმეები...
უპატიოსნო, მართალია, არასოდეს, მაგრამ მაინც!.. ახლა რა
განზრახვა არა ჰქონია! ჰმ!.. და მერე? ყველა ეს ავდოტია
რომენოვნას დაუყენოს გვერდითა?! დიახ, დიახ! დეე! განგვე
ვიქმნები ისეთი ჭუკუიანი, ბრიუვი და მოუხეშავი, რა მენაღვ-
ლება! უარესიც ვიქმნები!..“

ასე ფიქრობდა რაზუმიხინი, რომ ზოსიმოვი წაადგა თავსა.
რომელსაც პრასკოვია პავლოვნას ზალაში ეძინა ღამე.

შინ აპირებდა ახლა ზოსიმოვი, მაგრამ ჯერ ავადმყოფი-
სათვის უნდოდა აეხედნა. მოახსენა რაზუმიხინშა, რომ გუ-
ლიანად ეძინა ავადმყოფსა. უბრძანა მაშინ ზოსიმოვმა არ გა-
მოეღვიძებინათ, ვიდრე თვითონ არ გამოიღვიძებდა და დაპირ-
და, ათს საათს შემდეგ შემოვივლიო.

— ეგ არის მხოლოდ, თუ შინ იქნება. — ფუჭ, დალახვრა ეშმაკი! არ იცი, ავაღმყოფს როგორ უწამლო! ისინი მოვლენ, ნეტა, თუ ეს წავა იმათანა? — დასძინა ზოსიმოვმა.

— ისინი მოვლენ უთუოდა, — უპასუხა რაზუმიხინმა, — და ოჯახის საქმეებზედ მოილაპარაკებენ. მე მაშინვე წავალ შენ-კი, როგორც ექიმს, რასაკვრელია, მეტი უფლება გაქვს აქ დარჩე.

— მე რომელი-და სულიერი მამა ვარ; მაშინვე წავალ; უიმათოდაც ბევრი საქმე მაქვს.

— ერთი მაწუხებს მხოლოდ, — გააწყვეტინა მოღუშვით რაზუმიხინმა, — რომ გუშინ გადაკრულმა რაღაც-რაღაცა... სისულელებზედ ვეყბედე გზა-გზა... სხვათა შორის, იმაზედაცა, რომ შიში გაქვს, ვითომ... ვაი თუ კკუიდან შეიშალოს...

— ქალებთანაც აკი იგივ დაიყბედევი გუშინა.

— ვიცი, ვიცი, სისულელე ჩავიდინევი! მცემე, თუ გინდა! როგორ არის საქმე, გქონდა მართლა რამ მიზეზი, თუ არა?

— სისულელეა, რას ამბობ, რის მიზეზი! შენ თვითონ არ იყავ, რაღაცა მონომანათ დამიხატევი, პირველათ რომ საექიმოდ მამიყვანე... გუშინ-კი, ი შენი ნაამბობით... ვიღაცა მხატვარზედ და სხ. უარესად გამიღვიე ეჭვი. არა, რა დროს იმაზე ლაპარაკი იყო, როცა, ვინ იცის, მიზეზად ისიც გაუხდა! მცოდნოდა, რომ კანტორაში ისეთი ამბავი შეემთხვა და ვიღაცა გაიძვერა თანაშემწემ ეჭვი მიიტანა... და შეურაცხჰყო! ჰმ!.. არ მოგცემდი მაშინ ნებასა, რომ ისეთი რამეები გვემბნა, მაგრამ რას იზამ, რომ არა ვიცოდი-რა! იცი, რა ხალხია ეს მონომანები? ცვარს ზღვად აქცევენ, რწყილს აქლებს აშობინებენ... რამდენადაც ზამეტოვის ნაამბობიდან მახსოვს გუშინ, საქმე თითქმის ნახევრად უკვე გამოირკვა ჩემთვისა. ეგ რა არის! მახსოვს, ერთმა 40 წლის იპოხონ-დრიით შეპყრობილმა როგორ გამოსქრა რვა წლის ბავშვს ყელი, იმიტომ მხოლოდ, რომ მისს ყოველდღიურს დაცინვას ველარ გაუძლო! აქ-კი ძონძებში გამოხვეულს ვიღაცა ბრიყვი

და თავხედი უბნის ზედამხედველის თანაშემწე ეჭვით უყურებს, ახლა ავადმყოფობა და! ლონე მიხდილს, იპოხონდრიით უეპყრობილს, იცი, რას უზამს! მასთან თუ თავმოყვარეობაც დიდი აქვს! და, ვინ იცის, იქნება ავადმყოფობის მიზეზად სულაც ეს გახდა! ეშმაკმა იცის!.. მართლა, კაი ბიჭია ე ზამეტოვი, მხოლოდ ცოტა, ჰმ!.. ტყუილად გვიამბო გუშინ ყველა ეს. ყბედია საშინელი, ეტყობა!

— ვის უამბო? მე და შენა, სხვას ხომ არავის!

— პორფირისაცა.

— მერე, რა არის, რომა?

— მართლა, გაქვს რამ გავლენა დედაზედა და დაზედა? ცოტა სიფრთხილით უნდა მოეპყრან დღესა...

— არა უშავს-რა, გაფრთხილდებიან! მიუგო უგულოდ რაზუმიხინმა.

— რად აუთვალწუნებია, ნეტა, ლუეინი? ეტყობა ფულიანია ი კაცი და არც ქალს უნდა სძულდეს, ვგონებ... თვითონ კი, მგონი, გახვრეტილი გროშიც არ მოეძებნებათ, არა?

— რასა მცდი, ნეტა? შეუყვირა გაბრაზებულმა რაზუმიხინმა.—აქვთ თუ არა აქვთ, რა ვიცი, აბა? ჰკითხე და გაიგებ, თუ გინდა...

— ფუჭ, რა სულელი რამა ხარ ზოგჯერ! გუშინდელი სიმთხრალე ღლესაც მოგდევს, გეტყობა... მშვიდობით ნახვამდის! პრასკოვია პავლოვნას ლამის გათევინებისათვის მადლობა მოახსენე ჩემ მაგივრადა. დაიკეტა, ბატონო, და დილის სალამზედაც პასუხი არ მომცა. თვითონ-კი შეიდან წამოდგა, სამზარეულოდამ „კორიდორით“ სამოვარი შეუტანეს... არ იქნა, მისს ხილვას ვერ ვეღირსევი...

სრულს ცხრა საათზედ რაზუმიხინი ბაკალევრის ნომრებში გამოცხადდა. დედაც და დაც ორივე დიდი ხანია მოუთმენარად ელოდნენ. შვიდზედ, თუ უფრო ადრე, ამდგარიყვნენ. შევიდა რაზუმიხინი, მოღრუბლელი და როგორლაც მოუხეშავად მიესალმა, რისთვისაც მაშინვე გაუწყრა, რასაკვ-

რელია, თავისს თავსა. ეცა მაშინვე პულხერია ალექსანდროვნა, დაუკირა ორთავ ხელები და ცოტას გასწყუდა, არ გადაჭირუნა. მოწიწებით გადაპეტდა რაზუმინიშვილი ავტოტია რომანოვნასა; მაგრამ მისს ამაყს სახეზედაც ისეთი მევობრული და გულითადი გრძნობა იხატებოდა, ისეთი მოელოდნელი პატივისცემა (დაცინვისა და სიძულვილის მაგივრად), რომ ეწყინა კიდევც თითქოს: ლანძღვა-გინებით რომ შეჰვებებოდნენ, იქნება უფროც იამებოდა, თორემ შეტად შერტევა ახლა. საბედნიეროდ, სალაპარაკო საგანი უკვე მზად ჰქონდა და ამიტომაც საჩქაროდ დაიწყო.

გაიგეს თუ არა, „ჯერ კიდევ არ გაუღვიძნია“, მაგრამ „ყველაფერი კარგად არისო“, პულხერია ალექსანდროვნამ მაშინვე განუცხადა, რომ ერთის საყურადღებო საგნის შესახებ უნდოდა აღრევე ერთად მოელაპარაკნათ. გაიხსნეს ჩაიდა სთხოვეს, რაზუმინისაც იმათთან დაელია: თქვენ მოგელოდით, არ დაგვილევიათ. დაურევა ზარი ავღოტია რომანოვნამა და ნომერში შემოვიდა ვიღაცა დაბრანძული მსახური, რომელსაც ჩაის მოტანა უბრძანეს. შემოიტანეს ბოლოს ჩაიც, მაგრამ ისე ჭუკვიანადა და სათაკილოდ, რომ შეჰრცხვათ ქალებსა. გულმოსულმა რაზუმინიშვილი მსახურსა, მაგრამ მოაგონდა მაშინვე ლუეინი და შერტევა, გაჩუმდა. სიჩუმე მალე პულხერია ალექსანდროვნამვე დაარღვეინა, რადგან ზედი-ზედ დაუწყო გაბმით ყველაფრის კითხვა, რითაც დიდად გაახარა რაზუმინინი.

მთელი ორმოც და ხუთი წამი ასე ძლევდა განუწყვეტლივ პასუხს კითხვებზედა და უამბო ყველაფერი, რაც-კი რამ უმთავრესი და საჭირო იყო როდიონის ბოლო წლის ცხოვრებიდამა. უამბო ბოლოს დაწვრილებით თვითონ ავადმყოფობის ამბავიც. თუმცა ბევრი რამ, მართალია, კიდეც გამოსტოვა, მაგალითად, კანტორაში შენამთხვევი ამბავი და მთელი მისი სამწუხარო შედევი. ყველაფერს ამას დედა და ლა ორივენი მაგ რამ, ცც ფნისენძან ნიეათ. რებ მგეოგორც-კი იფიქრა, ახლა-კი უკვე გავათავე და დავაკმაყოფილე

ჩემი ყურის მგდებლებით, მაშინ გამოირკვა სწორედ, რომ
თავიდამ იშეუძლენ ისევ საქმესა.

— მითხარით, გეთაყვათ, როგორა ფიქტობთ... მაგრამ
მაპატიეთ, რომ აქმდის ჯერ თქვენი სახელი არ ვიცი. — ჩეა-
რობდა პულხერია ალექსანდროვნა.

— დიმიტრი პროკოფიჩი.

— იცით, რა არის, დიმიტრი პროკოფიჩი, საშინლად მინ-
და გავიგო... საზოგადოდ... რა შეხედულებისაა როდიონი,
ე. ი. გესმისთ, როგორ იგისნათ: რა უყვარს, ან მოსწონს
და რა არა? მუდამ ასე ჭინკულიანობს, თუ არა? რა ჰსურს
და რა სწადიან, ან რას ოცნებობს, რა უფრო მეტად მოქმე-
დებს ახლა მასზედა? ერთი სიტყვით, მინდოდა...

— ეჭ, დედი, როგორ შეიძლება უველი მაგაზედ უცბად
პასუხის მოცემა! — შეპნიშნა ღუნიამა.

— ოჭ, ღმერთო ჩემო, როგორ ვიფაქრებდი, დიმიტრი
პროკოფიჩი, თუ ასე ვნახავდი ჩემს იროდიონსა.

— ეგ-კი სრულიად ბუნებრივია, — უპასუხა დიმიტრი
პროკოფიჩიმა. — დედა, მართალია, არა მყავს, მაგრამ ბიძა ყო-
ველ წელიწადს ჩამომდის ხოლმე და, წარმოიდგინეთ, თითქ-
მის ველარასოდეს ველარა მცნობს, გარეგნობითაც-კი, თუმცა
ჭკუით საესე და გონიერი იდამიანია. სამს წელიწადს ხომ,
რაღა თქმა უნდა, დიდად გამოიცვლებოდა. აბა, რა გითხრათ?
წელიწად-ნახევარია, როდიონს ვიცნობ: დალვრემილია ერთ-
თავად, თავმოყვარე და ამაყი; ამ ბოლოს დროს ხომ (იქნება
უფრო აღრეც) ეჭვი და იპოხონდრიაც შეეპარა. მაგრამ დიდ-
სულოვანია და გულკეთილი. არ უყვარს გრძნობების გაზიარება
და უფრო სისასტიკეს ჩაიტენს, ვიღრე გულს ვისმე გაუერ-
თებდეს. ზოგჯერ იპოხონდრიასა სულ არა ეტყობა-რა, მაგ-
რამ გულცივია და უგრძნობელი იმ ზომაშის, რომ გასტან-
ჯავს აღამიანსა. ხმას სულ ვერ ამოალებინებ ზოგჯერა! არა
სცალიან ერთ-თავად, ყველა ხელს უშლის ვითომა; თვითონ-
კი წევს ამ დროსა და არას აკეთებს, იმიტომ-კი არა, ვითომ
დაიცინებოდეს, ან მეტი სიმახვილე არ შესწევდეს, არა! გამო-

დის თითქოს, ასეთ უბრალო რამისათვის არ ეცალოს. ყურს არ დაუგდებს, ვინ რას ეუბნება. არასოდეს მისს ყურადღებას საყოველთაოდ საყურადღებო საგანი არ მიიჩიდას. საშინლად დიდად აფასებს თავისს თავსა და, ვგონებ, საბუთიცა აქვს ასე მოიქცეს. რა არის კიდევ?.. მგონია, თქვენი ჩამოსვლა კარგად იმოქმედებს.

— ღმერთმა ინებოს! შესძახა რაზუმიხინის ნაამბობით შეწუხებულმა პულხერია ალექსანდროვნამა.

ბოლოს ავდოტია რომანოვნასაც შეჰქედა რაზუმიხინმა. წინადაც ხშირად ავლებდა ხოლმე ლაპარაკის დროს თვალსა, მაგრამ თითო წამითა მხოლოდ და მაშინვე ისევ არიდებდა. ახლა-კი საყმაოდ დიდ ხანს უყურა. ხან მაჯიდას მიუჯდებოდა ავდოტია რომანოვნა და ისრე უგდებდა ყურადღებით ყურსა, ხან წამოდგებოდა და ჩვეულებისამებრ კუთხიდამ კუთხემდე გულხელდაკრებილი სიარულს მოჰყვებოდა; თან ტუჩებს იკვნეტდა და დრო და დრო კითხვებს აძლევდა, მაგრამ ისევე ისრე სიარულით, ჩაფიქრებული. იმასაც ძმასავით ჩვეულებათა ჰქონდა, ბოლომდის არ მოესმინა ლაპარაკი. ტანთ რაღაცა შავი სუბუქი მატერიის კაბა ეცვა, ყელზედ თეთრი ქალაბაია ჰქონდა მოხვეული. ბევრნაირად შეატყო მაშინვე რაზუმიხინმა, რომ ორივე დედა-ქალს სილარიბე ეტყობოდათ. ავდოტია რომანოვნას რომ დედოფალსავითა სცმოდა მდიდრულად, უთუოდ მაშინ უფრო ნაკლები შიში ექმნებოდა, ვიდრე ახლა. ახლა-კი უცბად შიში შეეპარა და ველარა გაებედნა-რა: ველარც ლაპარაკი, ველარც რისამე ქმნა.

— ბევრი რამა სთქით საყურადღებო როდიონის შესხება... და სთქით მოურიდებლად, პირდაპირ. კარგია ეგა-მე-კი მეგონა, ყველაფერში ეთანხმებოდით,— შეჰქიშნა ღიმილით ავდოტია რომანოვნამა.— იქნება მართალი იყოს ისიც, რომ საჭიროა უთუოდ გვერდთ ქალი ჰყავდეს,— დასძინა დაფიქრებულმა.

— მე ეგ არ მითქვამს, მაგრამ იქნება მართალიც იყოთ.
ეგ არის მხოლოდ...

— რა, რა არის?

— რა, და ის, რომ არავინ უყვარს; მაგრამ შეიძლება არც
შეიყვაროს,—გარდასწყვიტა რაზუმინინმა.

— რაო, ვითომ არ შეუძლიან სიყვარული?

— იცით, რა არის, ავდოტია რომანოვნა, თქვენ თვითონაც
საშინლად ჰერცებართ ძმასა, თითქმის ყველაფრით! წამოაყრან-
ტალა უცბად რაზუმინინმა, მაგრამ ისე მოულოდნელად, რომ
თვითონვე შერცხვა ნათქვამისა და გაწითლდა მთლიადა.

გადაჭხედა ავდოტია რომანოვნამა და უნებურად გაე-
ცინდა.

— როდიონის შესახებ შეიძლება. თქვენ ორივენი სცდე-
ბოდეთ,—შეპირენა ცოტათი გულნაკლულიდ პულხერია ალე-
ქსანდროვნამა.— ახლანდელის შესახებ როდი რასმე ვამბობ,
დუნეჩა. რასაც პეტრ პეტროვიჩი იწერება ამ წერილშია...
და რაც მე და შენა გვექნდა გულში, —იქნება ტყუილიც
იყოს ესა, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, დიმიტრი პროკოფიჩ,
რა ოცნების პატრონი და უინიანი, ახირებული რამ არის.
ვერასოდეს მისს ხასიათს ვერ ვენდობოდი ხოლმე მაშინაც-კი,
თხუთმეტის წლისა რომ იყო. მჯერა ახლაც-კი, რომ შეუძლიან
ისეთი რამ უცნაური აუტეხოს თავისს თავსა, რაც არც ერთს
სხვას ფიქრადაც-კი არ მოუვიდოდა... ან-კი რად გვინდა
შორს წასკლა: იცით, ამ წლი-ნახევრის წინ როგორ გამაკვირა
და კინაღამ კუკუიდამ არ შემშალა? მწერდა, წარმოიდგინეთ,
ამ ზარნიცევას, ე. ი. დიასახლისის, ქალი უნდა შევირთო!

— იცით რამე ამ ისტორიისა დაწვრილებითა? — ჩაეკი-
თხა ავდოტია რომანოვნა.

— გგონიათ, ცრემლებს შეუშინდებოდა და გამიგონებდა
რჩევასა? ან ავადმყოფობა, სიკვდილი და სიღარიბე ჩვენი
შეაყენებდა? — განაგრძობდა ფიცხად პულხერია ალექსანდრო-
ვნა. — ყველა ამ დაბრკოლებას გულდამშვიდებით გადაჭლახავ-
და. მაგრამ ნუ-თუ? ნუ-თუ არ ვუყვარვართ?

— არასოდეს ოვითონ არა უამბნია-რა ამ ისტორიისა,— უპასუნებდა ფრთხილად რაზუმინინი,— მაგრამ თვითონ ჭარნი-ცევასგან-კი, რომელიც ასრევე როდიონისავით გულჩათხრობი-ლია, ცატა რამა მაქვს გავინილი. მაგრამ დიდად მაოცებს ისაც, რაც ვიცი და გამიგონია.

— მაინც, მაინც, რა იცით, ჰაა? — დაეკიანენ ორივენი ერთად.

— საიმისო არასფერია მაინც. ვიცი, რომ საქმე გათავე-ბული ჰქონიათ, მაგრამ საკვდილს უსწვრია და თვითონ ქ-ნს ზარნიცევასაც არ სდომებია გულითა... გარდა ამისა, ამპობენ, ცუდის შესახედავობისა და მახინჯი იყო თითქმისო... მასთან ავადმყოფიც... და უცნაურის ხასიათისა... მაგრამ ჰქონია, ვგონებ, ზოგიერთა ღირსებაცა. ექნებოდა კიდევაც უთუოდ, თორემ, აბა, რას ეგვანებოდა... მზითვად სულ არა ჰქონია-რა და არც თუ ექნებოდა მზითვის იმედი... საზოგადოდ ძნე-ლია ასეთი საქმის შესახებ მსჯელობა.

— დარწმუნებული ვარ, ღირსეული ქალი იქნებოდა,— შეპნიშნა მოკლედ ავდოტია რომანოვნამა.

— ღმერთმა-კი მაპატიოს, მაგრამ გამეხარდა სწორედ, მისი სიკვდილის ამბავი რომ შევიტყე, თუმცა არ ვიცი, რო-მელი რომელს დაპლუავდა: ეს იმასა, თუ ის ამასა? დაასკვ-ნა პულხერია ალექსანდროვნამა და დაუწყო ისევ ფრთხილა-და და ნაწყვეტ-ნაწყვეტად, როდიონსა და ლუეინს შუა გუშინ მომხდარ ამბის შესახებ გამოკითვა, რაც, ეტყობოდა, არად ესიამოვნებოდა დუნეჩასა.

ეტყობოდა, ყველაზედ მეტად ეს ამბავი სწყინდა და არ ასვერებდა, შიშის ზარს სცემდა. უამბო ხელ-ახლად დაწვრი-ლებით რაზუმინინმა, რაც-კი მათ შორის მოხდა და თანაც დასძინა, რომ განზრახ ჩაიღინა როდიონმა ყველაფერი ეს, რომ ბრალი როდიონს მიუძღვოდა და ავადმყოფობა ვერ იპა-ტიებდა.

— ეტყობოდა, ავადმყოფობამდე ჰქონდა ყველაფერი მოსაზრებულიო, — დაასკვნა რაზუმინინმა.

დანაშაული და სასჯელი

— მეც აგრე მგონია, — უპასუხა გულმოკლულმა პულხერია ალექსანდროვნამა.

მაგრამ გაიკვირა საშინლად, რომ პეტრ პეტროვიჩის შესახებ იმ ქამად ასე ფრთხელად გამოსთვევა აზრი, თითქოს პატივსაც სცემსო. ავდოტია რომანოვნაც ასრევე გააოცა ამ გარემოებამა.

— აგრეთხ აზრისა ხირო, მაშ, პეტრ პეტროვიჩზედა? — ველარ მოითმინა და დაეკითხა პულხერია ალექსანდროვნა.

— თქვენის ქალის საქმროზედ სხვა აზრისა არც შემიძლიან ვიყო, — მიუგო მტკიცედა და ცოცხლად რაზუმინინმა. იმიტომ-კი არა, ვითომ უბრალო ზრდილობა მაღაბარაკებდეს ასე... არა... იმიტომ... იმიტომ თუნდაც, რომ ავდოტია რომანოვნამ თვითონ ამოირჩია ის თავისის ნებითა. ხოლო თუ გუშინ ცლანძლავდი ისრე, იმიტომ, რომ თვით მე ვიყავი საზიზლრად მთვრალი... გონება-დაბნეული. დიახ, გონება-დაბნეული და გადარეული სულმთლად... დღეს-კი მევე მრცხვენიან ყველა ამისა!..

გაწითლდა რაზუმინინი, გაჩუმდა, აენთო აედოტია რომანოვნაც, მაგრამ ლაპარაკი აღარ გააწყვეტინა. ხმა აღარ ამოულია მას შემდეგ, რაც ლუზინზედ დაიწყეს საუბარი.

პულხერია ალექსანდროვნა-კი როგორლაც გაუბედვად იყო, რაკი ქალი მხარს არ უჭერდა. როგორც იყო, გაბედა ბოლოს და ძლიერ, ენის დაბმით, გაუმრდავნა რაზუმინინსა, რომ ერთი რამ გარემოება მეტად აფიქრებდა და თან ერთ თავად ქალს უყურებდა.

— ჰედავთ, აი, დიმიტრი პროკოფიჩ, — დაიწყოძლივას; — მინდა, დუნერქა, ყველაფერი გულახლით გავუშედავნო დიმიტრი პროკოფიჩსა?

— რასაკიჩრელია, დედი, — შეპნიშნა დაუბრკოლებლივ ავდოტია რომანოვნამა.

— საქმე, აი, მოგახსენოთ, როგორ გახლავთ, — დაიწყო საჩქარლდ პულხერია ალექსანდროვნამა, თითქოს ნებართვამ უცბად ფრთხები შეასხაო. — გუშინდელ ცნობის პასუხად, ჩა-

მოსვლა რომ შევატყობინეთ, პეტრ პეტროვიჩს ბარათი გამოუ-
გზავნია. დაპირების ონახმად, გუშინ უნდა თვითონ დაგვხვედ-
როდა რკინის გზის სადგურზედა, მაგრამ არ ისურვა და თავისს
მაგივრად ვიღაც ლაქია გამოუგზავნა, რომელმაც მოგვასწავლა,
სად უნდა ჩამოვმხდარიყავით. თან დაებარებინა, მეც ხვალ
დილით, ესე იგი დღეს, გნახავთო. მაგრამ არც დღეს მოვიდა
და ამ დილით ეს ბარათი გამოგვიგზავნა... უმჯობესია, თვი-
თონ თქვენვე წაიკითხოთ. არის აქ ერთი მუხლი, რომელიც
დიდათ მაფიქრებს... თორემ, აი, თვითონვე პნახავთ ახლავე...
გთხოვთ, დიმიტრი პროკოფიჩ, პირდაპირ მითხრათ თქვენი აზრი,
როგორ სჯობიან რომ მოვიქცეთ! თქვენზედ უკეთ როდიონის
ხასიათი სხვამ არავინ იცის და ვერც რჩევას მოგვცემს ვინმე
უკეთესსა. მაგრამ გაფრთხილებთ ახლავე, რომ დუნერკამ უკვე
ყველაფერი გარდასწყვიტა მაშინვე. ეს არის მხოლოდ არ
ვიცით, როგორ მოვიქცეთ... ამიტომ გიცდიდით ასრე
მოუთმენრადა.

გადაშალა წინა დღის თარიღით დაწერილი ბარათი რაზუ-
მიხინმა და შედეგი ამოიკითხა:

„მოწყალეო ხელმწიფაო, პულხერია ალექსანდროვნა!
მაქვს პატივი გაუწყოა, რომ მოულოდნელ გარემოებათა გამო
თქვენი რკინის გზის სადგურზედ დახვედრა ვერ მომიხერხდა,
რისთვისაც სამაგიეროდ გამოგიგზავნეთ ყოვლად მოხერხებუ-
ლი კაცი, რომელსაც ბინაზედ უნდა მიეყვანეთ. ასრევე ვერ
მოვახერხებ ზოგიერთა საქმეებისა გამო სენატში თქვენს ხვალ
დილით ნახვასა, და მეორეც, მინდა, თქვენ შვილი და ავდო-
ტია რომანოვნამ კიდევ ძმა უჩემოდ ინახულოთ. მე-კი მო-
გესალმებით ხვალ, საღამოს რეა საათზედა, მაგრამ გადაჭრითა
გთხოვთ, ჩვენს შეხვედრას როდიონ რომანიჩი არ დაესწროს,
რადგანაც უმაგალითოდა და უზომოდ შეურაცხმულ გუშინ,
ავადმყოფი რომ ვინახულე. გარდა ამისა, მსურს ერთის საყუ-
რადღებო საგნის შესახებ კერძოდ თქვენი განმარტება და აზრი
შევიტყო. მაქვს პატივი ამასთანავე გაუწყოთ აღრევე, რომ
თუ არ აასრულებთ ჩემს თხოვნასა და როდიონ რომანიჩს

შევხვდები თქვენსა, იძულებული კიქმნები წავიდე მაშინვე და ნულარას დამემდურებით. გწერთ ყოველსავე ამს იმიტომ, რომ ორი საათის შემდეგ, მე რომ ვიყავი სანახავად, უცბად კარგად გამხდარიყო და გარეთაც გამოსულიყო. მაშასადამე, შეუძლიან თქვენსაც მოვიდეს. ვამტკიცებ ამას იმითი, რომ ჩემის თვალითა ვნახე ერთის დედაკაცის სახლში, რომლის ლოთი ქმარიც ცხენებს გაესრისათ და მოკლათ. ვიცი აგრეთვე ისიც, რომ უზნეოსა და გაფუჭებულს ქალს მოკლულისას ოც-და-ხუთ მანებამდე ფული თურმე მისცა, ვითომ და დასამარხადა, რამაც, გამოგიტყდებით, დიდად და დიდად გამაკვირვა, რაკი კარგად ვიცოდი, როგორის წვალებითა გქანდათ ეს ფული ნაშავნი. ვუცხადებ-რა ჩემს განსაკუთრებულს პატივისცემას ავღოტია რომანოვნას, გთხოვთ მიგულებდეთ თქვენდა ერთგულ მოსამსახურეთ 3. ლუჟინი».

— მირჩიეთ, როგორ მოვიქცე, დიმიტრი პროკოფიჩ? — დაიწყო თითქმის ტირილით პულხერია ალექსანდროვნამა. — მითხარით, როგორ ვუჩიო, ნუ მოხვალ-მეთქი? ისე დაეწინებითა თხოულობდა გუშინ, უარი უთხრას პეტრ პეტროვიჩსაო და ის-კი გვიბრძანებს, თვითონაც ნულარ მიიღებოთ! პირ-იქით, განვებ მოვა, რაკი გაიგებს და... ვინ იცის, რა მოხდება?

— მოიქეცით ისრე, როგორც ავღოტია რომანოვნასა ჰსურდეს, — მიუგო საჩქაროდ რაზუმინიშვილი.

— ეჭ, ღმერთო ჩემო! იცით, რას ამბობს... მაგრამ, ღმერთ მა იცის, რას ამბობს, აზრი სწორედ ვერ გამიგია! ამბობს, უკეთესი იქმნებაო, მაგრამ რის უკეთესი, არ ვიცი; საჭიროა უთუოდ, რომ დღეს საღამოს რეა საათზედ როდიონიც მოვიდეს და ერთმანეთს შეჰვედნენო... მე-კი მინდოდა წერილი არ მეჩვენებინა და ისრე როგორმე მომეხერხებინა, რომ არ მოსულიყო, აი, თუნდ თქვენის დახმარებითა... იმიტომ, რომ აღელდება, გაცეცხლდება... და ვერც გამიგია, ვინ ლოთი მამკვდარა, ან ქალი რა შეუშია აქა, როგორ შეეძლო მოლად თავისი ფული მიეცა .. რომელიც...

— ისეთის ვაი-ვაგლახით იყო ნაშოვნი, დედი, განა,— დასძინა ავლოტია რომანოვნამა.

— თითქმის აღარა გაეგებოდა-რა გუშინა,— ჩაილაპარაკა ჩუქად დაფიქრებულმა რაზუმინენმა.— რომ იცოდეთ, ან იქ, დუქანში, რა ამბავი დაეწია, თუმცა ჰქვიანურად მოქცეულიყო ძაან... ვმ! რაღაცა მკედარსა და ქალზედ-კი, მართალია, მეც მელაპარაკებოდა გუშინ საღამოთი, შინ რომ მიმყავდა, მაგრამ ვერა გავიგე-რა... მაგრამ თვითონ მეც რომ აღარა გამეგე-ბოდა-რა...

— უკეთესია, დედი, წავიდეთ როლიონთანა და იქ ვნა-ხოთ, როგორ მოვიქცეთ. მასთან დროც არის. მეთერთმეტე საათია!— შეჰყუირა უცბად, თავისს ვევბა, მინანქრიანს ოქროს საათს რომ დახხედა, რომელიც წვრილის ვენეციურის ძეწვეთ ჰქონდა ყელზედ ჩამოკიდული და ისე არ შეჰყეროდა მისს დანარჩენს გარეგნობასა.

„საქმროს საჩუქარია“ უთუოდ, გაიფიქრა მაშინვე რაზუ-მიხინმა.

— ოჳ, ღროა!.. ღროა, დუნეჩა!— დაფაცურდა პულხე-რია ალექსანდროვნა.— ვაი, თუ აქლა ისიც იფიქროს, ვითომ გუშინდელ ამბისა გამო ვუწყებით და იმიტომ არ მივდი-ვართ აქამდისინა. ოჳ, ღმერთო ჩემო!

ამბობდა პულხერია ალექსანდროვნა და თან საჩქაროდ წამოსახსამსა და ულაპას იხურამდა. ჩაიცა დუნეჩამაცა. ხელთათმნები თითქმის მთლიად დაგლეჯილები ჰქონდა, მაგ-რამ ღარიბი ჩაცმულობა ორსავ დედა-შეილს რაღაც რამ საგანგებო ღირსებას სხენდა, რაიცა საზოგადოდ ეჩჩნევა ყვე-ლას, ვინც კი იცის, როგორ ატაროს ღარიბი ჩაცმულობა. მოწიწებით უყურებდა რაზუმიხინი დუნეჩასა და ამაყობდა, რომ მას უნდა წაეყვანა იგი.

„დედოფალი იგი“— ფიქრობდა თავისთვის რაზუმიხინი,— „რომელიც წინდებს იკერებდა საპყრობილეში, უთუოდ იმ უამად უფრო წააგავდა ნამდვილს დედოფალს, ვიდრე სასახლის დღესასწაულობათა და წვეულობათა ღროსო“.

— ღმერთო ჩემო! — უესძახა პულხერია ალექსანდროვნამა, — რა მაფიქრებინებდა, თუ ჩემის საყვარელ შვილის როდიონის ნახვისა ასე შემეშინდებოდა?.. მეშინიან, დიმიტრი პროკოფიჩ, მეშინიან! — დასძინა კვალად და გაუბედავად შეჰედა შეშინებულმა.

— ნუ გეშინიან, დედი, — დაამშვიდა დუნიამა და დაჰკოცნა დედა, — სჯობს ისევ ნდობა და რწმენა იქონიო.

— ეჭ, ღმერთო! მეც აგრე უფიქრობდი, მაგრამ მთელს ლამეს ძილი არ მომკარებია!

ქუჩაში გავიღნენ.

— იცი, ღუნებეკა, როგორც კი ჩამთვლიმა დილით, უცბად განსვენებული მარტა პეტროვნა გამომეცხადა... მთლად თეთრები ცცვა... მოვიდა ჩემთანა, დამიჭირა ხელი და დამიწუო სასტიკად თავის ქნევა, თითქოს რაღასაც მამხელდა და მამტყუვნებდა... საკეთილოა, ნეტა, თუ არა? ეჭ, ღმერთო ჩემო, დიმიტრი პროკოფიჩ, იქნება არ იცით, რომ მარტა პეტროვნა გარდაიცვალა?!

— არა, არ ვიცი! ვინ მარტა პეტროვნაა?

— უცბად გარდაიცვალა საწყალი! წარმოიდგინეთ...

— მერე, დედი, მერე, — ჩაერია დუნია, — მარტა პეტროვნას ხომ არც კი იცნობენ ჯერა.

— ოჭ, არ იცნობთ მართლა? მე კი მეგონა, ყველაფერი იცით-მეთქი. მაპატიეთ, გეთაყვაო, დიმიტრი პროკოფიჩ, თითქმის ალარა გამეგება-რა, ისე ვარ გაბრუებული. გარწმუნებთ, რაღაც განგებათ მიმაჩინებართ; ამიტომაც იყო, რომ წარმოვიდგინე, უთუოდ მარტა პეტროვნაც ეცნობებათ-მეთქი. გარწმუნებთ, შეილისაგან არ გარჩევთ... მაგრამ ნუ გამკიცხავთ, რომ ასე გეუბნებით. ოჭ, ღმერთო ჩემო, მარჯვენა ხელზედ რა მოგსცლიათ ეგა? სად გაიტეხეთ!

— დიახ, რაღასც მომიხედა; — წაიდუდუნა ყურადღებით გაბედნიერებულმა რაზემიხინმა.

— მეტად გულახდით ვიცი ხოლმე ზოგჯერ ლაპარაკი, ასე რომ ჩშირად დუნია შემაყენებს და გამისწორებს ხოლ-

მე... მაგრამ, ღმერთო ჩემო, როგორ ქოხშია სცხოვრობს! ნეტავი, თუ გაიღვიძებდა? მერე, ი დიასახლისიც ოთახათ უფლის იმ ხუხულასა, ჰა? მომითმინეთ: ამბობთ, არ უყვარს გულის გაერთებაო; სხანს, ჩაშ, შეიძლება თავიც მოვაბეზრო და შევაძულო... ამ ჩემის წუწუნითა, ჰა?.. იქნება მირჩიოთ, დიმიტრი პროკოფიჩ, როგორ ეჯობინება, რომ მოვექცე? იცით, რა არის, სრულიად აღარა გამევება-რა, თავ-გზა დაბნეული დავიარები.

— ნუ დაუწყებთ ტყუილად რისამე დაუინებით გამოკითხვასა, თუ შეატყობოთ, რომ იღრიჯება: განსაკუთრებით, ერი-დეთ ჯანმრთელობის შესახებ გამოკითხვასა: არ უყვარს.

— აჲ, დიმიტრი პროკოფიჩ, რომ იციდეთ, რა ძნელია დედობა! აგერა კიბეც... რა საძაგელი რამ არის!

— დედიჯან, როგორ გაფითრებულხართ, დამშვიდდით, გენაცვათ,—ამშვიდებდა დუნია და თან უალერსებდა.—თქვენმა ნახვამ უნდა ბედნიერება იგრძნობინოს და თქვენ-კი აგრე სტანჯავთ თქვენს თავსა,—დასძინა დუნიამა და თვალები გაკვესა.

— მოითმინეთ, მე შევიხედავ ჯერა, გაიღვიძა, თუ არა? გააფრთხილა რაზუმინინმა.

და ქალებიც ჩუმად გაჰყვნენ უკან რაზუმინინსა. მეოთხე სართულს რომ გაუსწორდნენ, შეპნიშნეს, რომ დიასახლისის ოდნავ გამოლებულ კარების ჭუჭრუტანიდამ ვიღასიც წყვილი შავი თვალი ყურადღებითა ჰსინჯავდა მიმავალთა. მაგრამ შეპნედეს თუ არა ერთმანერთს დედა-ქალმა და დიასახლისმა, კარები უცბად ისე მაგრა შეიჯახუნა, რომ პულხერია ილექსანდროვნამ ცოტას გასწყდა არ შეპყვირა შეშინებულმა.

III

— კარგათ არის, შესძახა მხიარულად ზოსიმოვმა შესულებს.

ათი წამია, აგერ, მოსულიყო და გუშინდელივით კუთ-

ხეში იჯდა დივანზედა. რასკოლნიკოვიც მეორე კუთხეში იჯდა პირდაპირ, ჩატულ-დაბანილი და დავარცხნილი, რაიცა დიდი ხანია არ ჰლირსებოდა აქამდის. ოთახი უცბად მთლად გაივსო. მაგრამ ნასტასიამ მაინც მოახერხა შესვლა, აიტუზა კარგბთანა და დაუწყო ყურის გდება.

მართლაც-და კარგად იყო რასკოლნიკოვი, განსაკუთრებით გუშინდელთან შედარებით, მაგრამ არეული იყო ცოტა, ფერმიხდილი, დალვრემილი. გარევან შეხედულობით დაკრილს ან რამ ტკივილებით შეწუხებულს კაცს მოგაგონებდათ: წარბებ მოღუშულს, ტუჩებ მოკუმულს სახე ანთებიანს მიუვადა. ლაპარაკია ცოტასა და უგულოდ ლაპარაკობდა, თითქოს ძალას ატანს ვინჩეო, მოძრაობის დროს იშვიათად რაღაცა მოუსვენრობა ეტყობოდა.

საჭირო იყო მხოლოდ ხელი ჰქონოდა შეხვეული, ან თითზედ ჰქონოდა რამ ჩამოცმული, რომ თით დაიარავებულსა და დასიებულს, ან ხელ მოტეხილს კაცს დაჭმზგავსებოდა. დედისა და დის დანახვაზედ ფერმიხდილი და დალვრემილი სახე მაინც გაუნათლდა ერთს წამასა; ეს არის მხოლოდ მისს წინანდელს დალვრემილს მოწყენილობას რაღაც რამ ტანჯვა დააჩნდა ახლა. ნათელი გამომეტყველება მალე გაუქრა, მაგრამ ტანჯვა მაინც ეტყობოდა და ზოსიმოვიც ერთგულად ადევნებდა თვალ-ყურს, როგორც ახალგაზრდა, ავადყოფის გატაცებით შემსწავლელი ექიმი. შეპნიშნა გაკვირვებულმა ბოლოს, რომ დედისა და დის მოსელამ-კი არ გაახარა, უფროც დააფიქრა და გარდააწყვეტინა მხოლოდ, ერთი-ორი საათით მოეთმინა როგორმე ტანჯვა და თავი შეემაგრებინა. შეპნიშნა აგრეთვე, რომ თითოეული სიტყვა თითქოს რაღაცა მისს იარას ეხებოდა და ძლიერად სტკენდა. მაგრამ გაიკვირა ისიც, რომ გუშინდელი მონომანი დღეს ასე მოხერხებულად იმაგრებდა თავსა და გრძნობებს არავის უზიარებდა, გუშინდელივით უბრალოდ არა ბრაზობდა.

— დიახ, მე თვითონა ვერძნობ დღესა, რომ კარგათა ვარ თითქმის, — გამოეხმაურა რასკოლნიკოვი და თან ალერ-

სით მიეგება დედასა და დასა, რის შემდეგაც პულხერია ალე-
ქსანდროვნას სახე მთლად გაუნათლდა უცბად.—მაგრამ გშ-
შინდალივით როდი გამბობა ამასა,—მიუბრუნდა რაზუმინისა-
და მეგობრულად ხელი ჩამოართვა.

— მე-კი გამოოცა კიდეც, ისე კარგად დამიხვდა დღესა,
— ახარა კვალად ზოსიმოვმა, რომელსაც ამ ათი წამის გან-
მავლობაში, ეტყობოდა, ავადმყოფთან სალაპარაკო მასალა
თითქმის შემოჰლეოდა.—თუ ისე წავიდა საქმე, საშიო. უ-ოთ-
ხის დღის შემდეგ, იმედია, ისრევე იქმნება, როგორც ამ ერ-
თისა ან ორის თვის წინადა ყოფილა... და იქნება სამის თვის
წინადაცა... უნდა იცოდეთ, რომ დიდი ხნის დაწყებულია
ეს სენი... თორემ იქნება თქვენვე გამოტყდეთ, რომ დანაშა-
ულობა თქვენვე მიგიძლვით? დასძინა ფრთხილის ღიმილით,
თითქოს ეშინიან, კვალად არასფრით ავალელვო, გავაბრა-
ზოვო.

— იქნება აგრეც იყოს,—მიუგო გულცივად რასკოლ-
ნიკოვმა.

— ვამბობ იმიტომ, რომ თქვენი სავსებით გამრთელება
ახლა მხოლოდ და მხოლოდ თქვენზედვეა უმთავრესად და-
მოკიდებული. ახლა, როდესაც შეიძლება გულდამშვიდებით
გვლაპარაკოთ, მინდა გაგაგებინოთ, რომ თავდაპირველი მი-
ზეზები, რომლებმაც დაგაავადმყოფეს, უნდა უთუოდ როგო-
რმე თავიდამ მოიცილოთ, რომ სრულებით განიკურნოთ, არა-
და, შეიძლება უარესიც დაგემართოთ. რომელია და რა ხა-
სიათისაა ეს მიზეზები, რასაკვრელია, მე არ ვიცი, მაგრამ
თქვენ-კი უთუოდ უნდა იცოდეთ. ვიცი, დიდად გონიერი
ხართ და, მაშასადამე, შეპნიშნავდით კიდეც, რა გაგიხდათ
მიზეზადა. ჩემის აზრით, თქვენი დაავადმყოფება უნივერსიტეტი-
დამ გამოსვლიდამე უნდა იწყებოდეს უთუოდ. უსაქმოდ თქვენი
დარჩენა არ შეიძლება. ამიტომაც შრომა და გარკვეული რამ
მიზანი, ჩემის აზრით, ყველაზედ მეტს დაგეხმარებოდათ, ვვონებ.

— დიახ, დიახ, მართალს ამბობთ სრულიად... მალე,
აი, უნივერსიტეტში შევალისევ და ყველაფერი გამოკეთდება...

თავისი გონივრული რჩევა, ცოტა არ იყოს, იმიტომაც
დაიწყო თითქოს ზოსიმოვმა, რომ დედისა და ქალის წინ
თავი მოეწონებინა, მაგრამ გაიკვირვა საშინლად, როდესაც
დაასრულა ლაპარაკი და შეპინძნა, რომ რასკოლნიკოვს
სახეზედ დაცინება დაეტყო. მაგრამ ერთის წამით იყო ეს
შხოლოდ. პულხერია ალექსანდროვნამ მადლობა გადაუხადა
მაშინათვე, განსაკუთრებულით—კი გუშინდელ ღამისათვის, რომ
სასტუმროში მივიდა და შეილის მდგომარეობა აცნობა.—
როგორ, დამეც იყო, განა, თქვენსა?—დაეკითხა რასკოლ-
ნიკოვი,—თითქოს შეაშუოთა ამ ამბავმაო. —სჩანს, მაშ, არც
თქვენა გძინებიათ მგზავრობის შემდეგ?

— ეჭ, როდიონ, არაფერია, ორ საათამდის მხოლოდ.
ამაზედ ადრე შინაც თითქმის არ ვიძინებდით არასოდეს.

— არ ვიცი სწორედ, რითი გადავუხადო მადლობა,—
განაგრძობდა თავჩაკიდული, დალვრემით რასკოლნიკოვი.—
ფულს, რასაკვრელია, ვერ ვახსენებ, —მაპატიეთ-კი (მიუბრუნ-
და ზოსიმოვსა), —მაგრამ არ ვიცი სწორედ და ვერ გამიგია,
თქვენი ასეთი ყუჩადლება რითი და როგორ დავიმსახურე?
დიახ, ვერ გამიგია... და... ცოტა მემძიმება კიდეცა, იმიტომ
რომ—გამოგიტყვდებით—გაუგებარია ესა.

— ნუ გაცხარდებით-კია,—გაიცინა ძალდატანებით ზო-
სიმოვმა,—მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ჩემი პირ-
ველი ავადმყოფი ხართ: მორჩი და გათავდა. ეს-კი ხომ,
კარგად მოგეხსენებათ, ახალგაზრდა ექიმები საკუთარ ბავშვე-
ბივით შეიცვარებენ ხოლმე პირველს ავადმყოფებსა; ხშირად
იმ ზომადა, რომ მერე ვეღარც-კი ივიწყებენ. ასეა ჩემი
საქმეცა.

— იმის შესახებ ხომ სულ არას ვიტყვი,—დასძინა
რასკოლნიკოვმა და ხელი რაზემიხინისაკენ გააშვირა:—
შეურაცხყოფისა და წვალების მეტი ჩემგან არა მოაგონდება-
რა.

— ვერ ჰყურობთ ეშმაქსა! რაო, რა ძაან მოგლბობია
დღეს გული?—შეპირა რაზემიხინმა. ცოტა რომ მეტად შორს

გამკვრეტელი და დაკვირვებული ყოფილიყო რაზუმინინი, დაინახავდა, რასაკვირველია, აშეარად, რომ გულმოსალბობი და საგრძნობელი არა იყო-რა აქა, მაგრამ ვერ მიღწვდა. ავდოტია რომანოვნამ-კი მაშინვე შეპნიშნა, რადგან ფხიზლადა და ღრმად ადევნებდა ძმის ყურადღებას.

— თქვენ ხომ, დედი, რა გითხრათ, აბა,— განაგრძობდა გაზეპირებულ გაკვეთილივითა რასკოლნიკოვი.— დღეს-და წარმოვიდგინე მხოლოდ, რა რიგ დაიტანჯებოდით გუშინ ჩემს მოლოდინში.

სოქვა ესა და უცბად ჩუმად დას გაუწოდა ლიმილით ხელი. მაგრამ შეუხამებელი და გულითადი იყო ეს ლიმილი, ეს მისი გრძნობა. გახარებულმა და მაღლობელმა დამაც მაშინვე მაგრა ჩასკიდა ხელი. გუშინდლის აქეთ ეს მხოლოდ პირველად იყო, რომ დას მიშმართა რასკოლნიკოვმა. დედასაც მაშინვე აღტაცება და ბედნიერება დაეტყო სახეზედ, რომ და-მა ასე უჩუმრადა და საბოლოოდ შეურიგდნენ ერთმანერთსა.

— აი, ამისთვის არის, რომ მიყვარს ე ბიჭი! წაიღუდუნა უზომოდ გახარებულმა რაზუმინინმა და სკამზედ მხნედ შემოტრიალდა.— რაღაცა ისეთი მომხიბლველი მოქმედება იქვს!..

„მერე, რა კარგადა და მოხდენით მოუვა ხოლმე“, — ფიქრობდა თავისთვის დედა. „რა კეთილშობილები მიდრე-კილება აქვს და როგორ უბრალოდ, ზრდილობიანად დაასრულა თავისი გუშინდელი წყენა დისა, იმითი მხოლოდ, რომ ხელი გაუწოდა და გულით გადაჰედა... რა საუცხოვო თვალები აქვს, რა მშვენიერი სახე!.. ღუნებებისაც-კი სჯობიან თითქმის... მაგრამ, ოჯ, ღმერთო ჩემო, როგორ აცვია ტანთა!.. ავანასი ივანის რომ ღუქანში ვასია ბიჭი ჰყავს აქა-იქ სარბენლათა, ამაზედ უკეთ აცვია!.. მინდა, აი, გულით მენატრება, ვეცე ახლავე და გულში ჩავიკრა, დავკოცნო... და ვიტირო თანა... მაგრამ მეშინიან, მეშინიან... როგორლაც გამხდარა, ღმერთო ჩემო! აი, ხომ ალექსიანათაცა ლაპარაკობს, მაგრამ მეშინიან მაინცა! რათ მეშინიან, ნეტა?...“

— ემ, როდიონ, არ დაიჯერებ, — ჩამოართვა უცბად დედამა,— ან მე ან დუნერება რა უბედურები ვიყავით გუშინ... ახლა, როცა უველაფერმა მშეიდობით ჩაიარა და ისევ ბედნიერები ვართ, შეიძლება გიამბოთ კიდევ. წარმოიდგინე, მოვრბივართ გაცხარებულები, თითქმის პირდაპირ. რკინის გზის ვაგონიდამა, რომ გულში ჩაგიკრათ და უცბად, ეს დედაკაცი,— ჰო, აგერა, ისიცა! გამარჯობა, ნასტასია!.. გვეუბნება უცბად, რომ საოფლეთი ხარ ავათა და ეს-კია, სადღაული გაჰქიციხარ ექიმსა; სიცხიანი ქუჩაში გაპარულხარ და წარმოსულან შენ საძებნელათა. ვერ წარმოიდგენ, რა ყოფაში ვიყავით! წარმომიდგა უცბად, როგორ საზარლად დაიღუპა პორუჩიკი პოტანჩიკოვი, ჩვენი ნაცნობი და მეგობარი მამიშენისა. შენ ის არ გახსოვს, როდიონ, მაგრამ საოფლე პქმნდა იმასაცა, გავარდნილიყო შენსავით გარეთა და კაში-კი ჩამხრჩეალიყო. მეორე დღეს-ლა გამოათრის მკვდარი. ჩვენ ხომ უარესად გავაზვიადეთ ცველაფერი. გვინდოდა პეტრ პეტროვიჩი მოვეგებნა, რომ იმის შემწეობით მაინც არის როგორმე... იმიტომ, რომ მრტონი ვიყავით სრულიადა,— და საცოდავად როგორდაც გააგრძელა ხმა, მაგრამ ჩაუწყდა უცბად სულ მთლადა, რაკი მოაგონდა მაშინვე, რომ პეტრ პეტროვიჩის გახსენება სახითათო იყო მეტად; თუმცა ის იყო ირწმუნებოდა, „უველანი უკვე ბედნიერები ვართო ისევა“...

— დიახ, დიახ... რასაკვრელია, უველაფერი ეს არაფერი სასიამოვნოა... წაიღუდუნა რასკოლნიკოვმა, მაგრამ ისე დაფანტულადა და უყურადღებოდ, რომ დუნერებამაც-კი ვეღარ მოითმინა და გულგახეთქილმა შეჰქედა გაკვირვებულმა.

— რა უნდა მეოქვა კიდევა,— განაგრძობდა ჩაუიქრებული და სცდილობდა მოეგონებინა, — ჰო, მართლა: არ იფიქროთ, გეთაყვათ, დედი, და არც შენ, დუნერება, ვითომ არა მდომოდეს თქვენი ნახვა და თქვენს მოსვლას ვუცდიდი ვითომ.

— აბა, რას იმშობ, როდიონ! — შეჰქირა ასრევე გაკვირვებულმა პულხერია ალექსანდროვნამა.

„რაო, მოვალეობას ასრულებს და იმიტომ გველაპა-
რაკება ასე, თუ რა არის?“ — გაიფიქრა დუნებიკამა. — „გვირი-
გდება და ბოდიშს იხდის, თითქოს სამსახურს ასრულებდეს,
ან გაზეპირებულს გაკვეთილს გვეუნდებოდეს.“

— გავიღვიძე თუ არა, მინდოდა წამოვსულიყავი, მაგრამ
ტანისამოსმა დამაგვიანა; დამავიწყდა გუშინვე მეოქვა... ნასტა-
სიასთვისა... რომ სისხლი გამოეჩეცხა... ეს-კია ჩავიცვი ტან-
თა და...

— სისხლი! რის სისხლი? შეჰქვირა გულვახეთქილმა პულ-
ხერია ალექსანდროვნამა.

— არასფერია... ნუ შეგვინდებათ. გუშინ სიცხიანი
გასრესილს კაცს გავეხახუნე ჭუჩაში... მოხელესა... და იმის-
გან მომეცხო.

— როგორ თუ სიცხიანი? ე ხსომით რომ უველაფერი
მშვენივრად გახსოვს, — გააწყეტინა რაზემიხინმა.

— ევ მართალია, — დაეთანხმა როგორდაც განსაკუთრე-
ბულის მზრუნველობით რასკოლნიკოვი, — უველაფერი მახსოვს
თითქმის დაწვრილებითა, მაგრამ: რათ მოვიქეცი ისრე, სად
ვიყავი, ან რას ვამბობდი და რათა? ამას-კი კარგად ვერ აგი-
სნიოთ.

— ცნობილი მოვლენაა, — ჩაერია ზოსიმოვი, — საქმეს
სამაგალითოდ ხელოვნურად შეასრულებენ ხოლმე, მაგრამ
მოქმედების გავება და დასაწყისი-კი შერყეული აქვა, სხვა-და-
სხვა სნეულებრივ შთაბეჭდილებისაგან დამოკიდებული. ძილს
ემზგავსება თითქოს.

„ეს-კი იქნება სახეიროც იყოს, რომ შეშლილადა მოვ-
ლის“, გაიფიქრა რასკოლნიკოვმა.

— საღებიც ხომ იგრევვე იქცევიან თითქმის, — შენიშნა
დუნებიკამა და ზოსიმოვს ნაღვლიანად გადაპეტდა.

— სამართლიანი შენიშვნაა სრულიად, — მიუგო ზოსიმოვ-
მა. — ამ მხრივ მართლაც თითქმის უველანი შეშლილები ვართ,
იმ კიორე განსხვავებით მხოლოდ, რომ „ნამდვილი შეშლი-
ლები“ რაოდენადმე გვქარბობენ მხოლოდ. საჭიროა უთუოდ

ამიტომ საზღვარი ვიცოდეთ. ყოვლად უნაკლულო და გარ-
მონიულად განწყობილი კაცი-კი თითქმის არ მოიძებნება
სრულიად. ასში და ათასში შხოლოდ ერთია ასეთი და ისაც
სუსტი...

„შეშლილის“ ხსენებაზედ თითქმის ყველანი დაიღრიჯ-
ნენ. რასკოლნიკოვი-კი იჯდა ჩუმად დაფიქრებული და უც-
ნაური რამ ღიმი უქროდა ტუჩედა. რიღასიც ფიქრსა და
საგონებელში იყო.

— მერე, რაო, რომ გასრისეს? რა იყო? — გაგაწყვეტინე
წელანა! — შესძახ საჩქაროდ რაზუმინინმა.

— რა იყო? — და თითქოს გამოფხიზლდაო, — რა-და, ისა,
რომ... სისხლი მომეცხო, სახლში გადაყვანას რომ ვშველო-
დი... მართლა, დედი, მიუტევებელი რამ ჩავიდინე გუშინა:
თითქოს მართლაც ჩემს ჭკვაზედ არა ვყოფილიყო. რაც ფუ-
ლი თქვენგან მივიღე, გუშინ სულ იმისს ცოლს... მივეცი...
ქმრის დასამარხადა. საცოდავი ჭლექი ჭვრივი... და სამი პა-
ტარა ობოლი ახლა მშივრები არიან... ცალიერს სახლში...
ჰყავთ კიდევ ერთი ქალი... რომ გენახათ, იქნება თქვენც-კი
მიგეცათ, ვინ იცის... მაგრამ ეს არის, მე არა მქონდა არავი-
თარი უფლება მიცემისა, მით უფრო, რომ ვიცოდი კარგად,
რა წვალებითა და ვაი-ვაგლახით გქონდათ ნაშოვნი. ადამია-
ნი რომ ვისმეს ეხმარებოდეს, ჯერ უფლება უნდა ჰქონდეს
ამისი თორემ: „Crevez chiens, si vous n'êtes pas contents“. —
და გაცინა. — ასეა, დუნია, თუ არა?

— სრულიადაც არა, — მიუგო მტკიცედ დუნიამა.

— ეჲა! ეტყობა, მაშ... შენც რამ განზრახვით ამბობ
მაგასა!.. — წაიბუტბუტა რასკოლნიკოვმა და თითქმის ზიზღი-
თა და დაცინვით გადაჭხედა და გაიღიმა. — საჭირო იყო, მო-
მესაზრა ესა... საქებურია; შენთვისვეა უკეთესი. მაგრამ მია-
ღწევ იმ ზომამდე რომ ვეღარ გაპბედავ წინ წაწევასა და
უბედური შეიქმნები, წაიწევ წინა და იქნება უარესიც... მა-
გრამ ყველა ეს სისულელეა! — დასძინა გაბრაზებულმა, რომ
თავს ნება მისცა და ამდენი ილაპარაკა. — მინდოდა მეოქვა



მხოლოდ, დედი, რომ ბოდიშ ვიხდი თქვენთანა. მორჩი და გათავდა,—დაასკვით მკვახედ და სხარტად.

— კმარი, როდიონ, დარწმუნებული ვარ, იცოდე, რომ რასაც-კი სჩადიხარ, ყველაფერი ეგ მშვენივრება!—უპასუხა გახარებულმა დედამა.

— არა, მაგას-კი ნუ დაიჯერებთ,—გააწყვეტინა რასკოლნიკოვმა და თან პირი როგორდაც საღიმოდ დაელრიჯა.

ერთ ხანად დუმილი ჩამოვარდა. მთელს ამ ლაპარაკსა, შერიგებასა, პატივებასა და დუმილში რაღაც რამ ძალდა-ტანება მოსჩანდა. ამასა ჰერძნობდა ყველა.

„მართლაც-და, თითქოს ეშინიანთ ჩემი“, ფიქრობდა თავისთვის რასკოლნიკოვი და თან დედასა და დას ქვეშ-ქვეშ გაძყურებდა. და მართლაც ასრუ იყო: რამდენიც უფრო მეტადა სღუმდა პულხერია ალექსანდროვნა, იმდენი უფრო მეტად იბყრობდა შიში.

„შორიდამ-კი თითქოს მიყვარდნენ“, გაიფიქრა უცჹად.

— იცი, როდიონ, მართლა, მართა პეტროვნა ხომ ვარდა-იცვალა!—წამოიძახა უცბად პულხერია ალექსანდროვნამა.

— ვინ მართა პეტროვნა?

— ოჲ, ღმერთო ჩემო, მართა პეტროვნა სვიდრიგაილოვისა! გახსოვს, იმდენსა გწერდი იმის შესახება.

— ჟო-ო-ო! მახსოვს; მახსოვს... ვარდაიცვალა? მართლა? და შეხტა უცბადა, თითქოს ახლა ვაელვიძო. — ნუ-თუ მართლა? რითი მოჟვდა, რა იყო?

— წარმოიდგინე, უცბად!—დაიწყო საჩქაროდ შვილის ჩაკითხვით გამხნევებულმა.—მერე, მაშინ სწორედა, წერილს რომ გწერდი, თითქმის იმავ დღესა! წარმოიდგინე, მგონი, მიზეზად ის საზარელი კაცი ვაჭხლომია. ამბობენ, საშინლად თურმე უცემია!

— როგორ, აგრე ცხოვრობდნენ, ვანა? დაეკითხა რასკოლნიკოვი დასა.

— პირ-იქით. მოთმინებითა და ზრდილობიანად ებყრობოდა ცოლს. ბევრს შემთხვევაში თითქმის უზომოდ უთმობ-



და მთელი შვიდი წელიწადი... მაგრამ უცბად როგორლაც
მთლად დაკარგა მომინება.

— ეტყობა, მაშ, არც ისრე საძაგელი და საზარელი ყო-
ფილა, თუ შვიდი წელიწადი უთმენია. გეტყობა, მაშ, ამარ-
თლებ კიდევა?

— არა, არა! სულაც არა. საშინელება რამ არის! უსა-
ზარლესი აღარც-კი რამ წარმომიდგენია, — უპასუხა დუნიამ
აკანკალებულმა და მოილუშა, ფიქრმა მოიცვა.

— ეს იყო დილით, — დაიწყო ისევ საჩქაროდ პულხერია
ალექსანდროვნამა. — უბრძანა თურმე მაშინვე ცხენები შეე-
ბათ და სადილს შემდეგვე ქალაქს დააპირა, რადგანაც ჩვეუ-
ლებათა ჰქონდა, ამ გვარ შემოხვევის დროს უთუოდ ქალა-
ქისაკენ გასწევდა ხოლმე. ამბობენ, მადინათ ისადილაო...

— ნაცემა?

— ეს ჩვეულება-კი, მართალია, მუდამა ჰქონდა... და
როგორც-კი ისადილა, მაშინვე თურმე საბანაოდ წავიდა,
რომ არ დაეგვიანა... როგორლაც თურმე ექიმობდა ბანაო-
ბითა. ცივს წყალში თურმე ბანაობდა ყოველ დღე. მგარამ
ჩავიდა თუ არა წყალში, მაშინვე თურმე წვეთი დაეცა და
გაათავა ადამიანი.

— რასაკვრელია, აგრე მოუვიდოდა! — დაასკვნა ზოსი-
მოემა.

— მერე, ძალიან სცემა?

— ერთი არ არის, განა, — გამოელაპარაკა დუნია.

— ჰმ! ნეტავი თვეენ, დედი, რომ ასეთ სისულელეზედ
ლაპარაკობთ, — შეჰნიშნა უცბად გაბრაზებულმა რასკოლნი-
კოვმა.

— ეჭ, მეგობარო, რა მექნა, აღარ ვიცოდი, რაზედ მე-
ლაპარაკა, — ამოჰსკდა უცბად გულიდამ პულხერია ალექსანდ-
როვნასა.

— რა ამბავია, ყველას გეშინიანთ ჩემი, თუ რა არის? —
ჩაეკითხა სალიმოდ დალრეჯით.

— მართლაც რომ აგრეა, ძმაო, — მიუგო დუნიამა და
პირდაპირ ჩაშტერდა. — დედა თითქმის პირჯვარს იწერდა
შიშითა, კიბეზედ რომ ამოდიოდა.

ანლა ხომ მთლად დაელრიჯა სახე რასკოლნიკოვსა.

— ეჭ, რა დაგემართა, დუნია! ნუ გაჯავრდები, გეთაყვა, როდიონ!.. აბა, რად ამბობ, დუნეჩე! — დაუშუო ყველრება ქალსა. — მართალს გეუბნები სწორედ, მთელი გზა სულ იმასა ვოცნებოდი: ჩავალ, ერთმანერთსა ვნახავთ, ყველაფერს ვუამბობთ-მეთქი ერთმანერთსა... მასთან ისრე ბეღნიერადა ვგრძნობდი თავსა, რომ მგზავრობა არც-კი შემიტყვია! მაგრამ რას ვამბობ ან-კი! მე ანლაც ბეღნიერი ვარ... ტყუილად იმბობ, დუნია, ვითომ... ბეღნიერი ვარ თუნდაც იმითი მარტო, რომ შენა გხედავ, ჩემო როდიონ...

— კმარა, დედიჯან, — გააწყვეტინა შემკრთალმა და თან ხელი მოუჭირა რასკოლნიკოვმა, — მაგასაც მოვესწრებით!

უთხრა ესა და გაფითრდა უცბად, გაშტერდა. საზარელმა შეგრძნებამ მახლობელ დროისამ კვლავ სიკვდილივით ცივად დაურბინა ტანში. დაინახა აშეარათა, რომ საზარლად იცრუა; რომ არამც თუ დედასთან აღარსად ელირსება ლაპარაკასა, სხვასთანაც აღარავისთან რა ექნება ამას იქით საღაშარაჭო. იქამდის მტანჯველი და ძლიერი იყო შეგრძნება ამ აზრისა, რომ ერთს წამას სრულიად გაშტერდა; წამოდგა მერე, აღარავისთვის შეუხედნია და ოთახიდამ გასვლა დააპირა.

— რას სჩადიხარ? — შეუყვირა რაზუმიხინმა და ხელი წავლო.

დაჯდა მაშინვე რასკოლნიკოვი და დაიწყო ჩუმად აქეთ-იქით ყურება. ყველანი გაშტერებულები შეჰყურებდნენ.

— ყველა აგრე რამ მოგაწყინათ! — შეჰყვირა უცბად მოულოდნელად. — სთქვით რამე. აგრე რას სხედხართ! სთქვით, რაღას უცდით! აბა, ვილაპარაკოთ... შეკრებილხართ და გაჩუმებულხართ... აბა, ჰა, დავიწყოთ რამე!

— მადლობა ლმერთს! მე-კი მეგონა, გუშანდელივით დაემართა-მეთქი! — დაიმშვიდა გული პულხერია ალექსანდრია-ვნამა და პირჯვარი გამოისახა.

— რა დაგემართა, როდიონ? დაეკათხა უნდობლად ავ-დოტია რომანოვნა.



— არასფერი, ისე, რაღაცა მომაგონდა,— მიუგო და გა-
იცინა უცბად.

— თუ სასაცილო რამ იყო, ეგ კიდევ არასფერი, კარ-
გია! თორემ მეგონა... წაიღუდუნა ზოსიმოვმა და თან დივა-
ნიდამ წამოდგა.— მაგრამ დროა წავიდე; იქნება კიდევ შემო-
ვიარო... თუ აქ იქმნებით...

გამოეთხოვა და წავიდა.

— რა საუცხოვო კაცია!— შეჰქიშნა პულხერია ალექ-
სანდროვნამა.

— დიახ, საუცხოვო, მშვენიერი, განათლებული და
კკვიანი კაცია... დაიწყო უცბად სხაპა-სხუპითა და ცოცხლად
რასკოლნიკოვმა.— არ მახსოვს კარგად, მაგრამ ავადმყოფო-
ბამდე სადღაც მინახვს თითქოს... მგონია, სადღაც შევხვე-
დრივართ ერთმანერთსა... აი, ესაც კაი კაცია!— ანიშნა რა-
ზუმინებინზედა.— მოგწონს, დუნია?— დაეკითხა დასა და უცბად
ჩაღაზეჯაც გაიცინა ისევა.

— ძალიანა,— მიუგო დუნიამა.

— ფუ, რა ღორი რამა ხარ!.. უსაყვედურა დარცხვენილ-
მა და გაწითლებულმა რაზუმინინმა და სკამიდამ წამოდგა.

პულხერია ალექსანდროვნამ ოდნავ გაიღიმა, რასკოლ-
ნიკოვმა ძალზედ გადიხარხარი.

— საით, საით?

— მივდივარ... საქმე მაქვს.

— არაფერი საქმეც არა გაქვს! აქაო-და ზოსიმოვი წა-
ვიდა, შენც უნდა უთუოდ უკან გამოედევნო? ნუ წახვალ...
რომელი საათია? თორმეტი არ არის ჯერა? რა მშვენიერი
საათი გაქვს ეგ, დუნია! რაო, რას დაჩუმდით ისევა? ისევ და
ისევ მე ვლაპარაკობ სულა!..

— მარფა პეტროვნას საჩუქარია,— უპასუხა დუნიამა.

— ძვირფასი საათია,— დასძინა პულხერია ალექსანდრო-
ვნამ.

— ა-პ-ა! რა ზორბაც არის, ქალისას სრულიად არა
ჰგავს.

— ასეთი მომწონის მე,—უპასუხა დუნიამა.

„ეტყობა, მაშ, საქმროს საჩუქარი არა ყოფილა“, გაი-
ფიქრა რაზუმინინმა და გაეხარდა გულში.

— მე-კი მეგონა, ლუუინის საჩუქარია-მეფქი,—შევნიშნა
რასკოლნიკოვმა.

— არა, ჯერ არა უჩუქებია-რა,—აუხსნა დედამა.

— ა-ჰა-ა! გახსოვს, დედიჯან, მეც მიყვარდა და მინდო-
და შემერთო კიდეცა,—დაიწყო უცბად რასკოლნიკოვმა და
თან დედას დააშტერდა, რომელსაც ამ მოულოდნელმა მო-
გონებამა და კილომ ლაპარაკისამ მოლად თავ-გზა დაუბნია
თითქმის.

— როგორ არა, შვილო, მახსოვეს!

ჰულხერია ალექსანდროვნამ დუნეჩებია და რაზუმინინს
გადაჭხედა.

— ჰმ!.. დიახ! რა გიამბოთ? თითქმის აღარა მახსოვს-რა.
ავადმყოფი გოვო იყო, —განაგრძობდა დაფიქრებული და გა-
შტერებული ისევ,—მოლად დასნეულებული; უყვარდა გლა-
ხაკთა გაკითხვა და მონასტრებზედ ოცნებობა; ერთხელ კინა-
ღამ ცრემლად დაიქცა, რომ მიამბობდა ამასა. დიახ, დიახ...
მახსოვს... კარგად მახსოვს. გონჯი რამ იყო... საძაგელი. არ
ვიცი სწორედ, რად შემივარდა გული, იქნება იმიტომაცა,
რომ ავადმყოფობდა ერთ-თავად... კოჭლი და კუზიანი რომ
ყოფილიყო, მგონი, უფროც შემივარდებოდა... (ჩიფიქრდა
და გაეცინა). დიახ... რაღაცა საგაზაფხულო ბოდვა იყო...
— არა, ძმაო, ტყუილია, მარტო ბოდვას არ მიეწერება,—
შევნიშნა დუნეჩებამა.

ყურადღებითა და დაკვირვებით გადაჭხედა რასკოლნი-
კოვმა დასა, მაგრამ ვერა გაიკო-რა, რა უთხრა. წამოუგა მერე
ღრმად დაფიქრებული, მივიდა დედასთანა, დაპკონა, მობ-
რუნდა და თავისსავე ალაგას დაჯდა.

— როგორ, ახლაც გიყვარს, განა? — დაეკითხა გულაჩუ-
ყებული დედა.

— ვინა? ისა? ახლაც მიყვარს? ჰო, მართლა... იმისას

შეკითხებით! არა, არ მიყვარს. თითქოს საიქიოს ამბავი იყოს ყველა ესა... ვინ იცის, როდის მომხდარი...

კვლავ ყურადღებით გადაპირება ჩასკოლნიკოვმა.

— აი, თქვენც... თითქოს ათასი ვერსის მანძილიდამ გიყურებდეთ... მაგრამ ეშვამა იცის, რათ ვლაპარაკობთ ამასა! ან რათ კითხულობთ? — დასძინა გულმოსულმა და გაჩუმდა; თან ჩაფიქრებული ფრჩხილებს იკვნეტდა.

— რა საძაგელი ბინა გაქვს, როდიონ, კუბოს წააგავს სწორედა, — დაარღვია უცბად მძიმე სიჩუმე პულხერია ალექსან-დროვნამა. — დარწმუნებული ვარ, შენის აეადმყოფობის მიზე-ზი სანახევროდ ეს ბინაც არის.

— ბინა?.. — მიუვა დაბნევით. — მართალს ამბობ, მგო-ნი... მეცა ვფიქრობდი მაგასა... მაგრამ რომ იცოდეთ, დედიჯან, რა უცნაური აზრი გამოსთქვით ახლა, — დასძინა უცბად და უცნაურად გაიღიმა.

ცოტა ხანს კიდევ და მთელი ეს საზოგადოება, მახლობ-ლები და მხიარული კილო ლაპარაკისა სრულიად შესძულდე-ბოდა უთურდ სამის წლის უნახავს შვილსა. მაგრამ იყო აქ ერთი ისეთი საქმეც, რომლის გადადებაც სხვა დროსათვის შეუძლებელი და მოუხერხებელი იქნებოდა. ასე გარდასწყვიტა დილითვე, გაიღვიძა თუ არა.

— აი, რას გეტყვი, დუნია, — დაიწყო დალაგებითა და მკაცრად რასკოლნიკოვმა, — გუშინდღის გამო, რასაკვრელია, ბოდიშს ვიხდი, მაგრამ მოვალეობადა ვსოვლი გამოგიცხადო, რომ უმთავრესზედ უარს არ ვამბობ. ან მე უნდა ვიყო ან ლუჟინი. დევ, მე გულუქებული და საზიზლარი ვიყო, შენ არ უნდა იყო ასეთი. ჩვენგანი უნდა ერთი იყოს გაფუჭებული. მაგრამ მისთხოვდები თუ არა ლუჟინს, იმ დღიდან დათ ალარ ჩაგოვლი.

— როდიონ, როდიონ! ეს ხომ ისევ გუშინდელი ამბა-ვია! — შესძახა შეწუხებულმა პულხერია ალექსანდროვნამა. — ან რად ეძახი შენს თავს საზიზლარს და გაფუჭებულსა, ვერ გამიგია სწორედა! გუშინაც აგრევე იყო.

— მამ, — მიუვო ასრევე მტკიცედა და მკაცრად დუ-
ნიამა, — შემდარი ხარ სწორედ. დიდ ხანს ვიფიქრე წუხელა
და დაურწიუნდი ნამდვილათა, რომ სცდები. საქმე ის არის,
რომ შენის აზრით ვითომ ვიღასიც გულისათვის ვკისრულობ
ამ მსხვერპლისა. მაგრამ ტყუილია ეგ შენი ფიქრი; იმიტომ,
რომ გათხოვდებას გაჭირვებული მდგომარეობა მაიძლიერებს.
ხოლო რაც შეეხება მახლობელთა და ნათესავების გამოდგო-
მას, რასაკვრელია, ვეცდები, მაგრამ უმთავრესი მიზეზი-კი
ჩემის გათხოვდებისა სრულიადაც ეს არ არის...

„სტყუის!“ ფრქრობდა თავისთვის რასკოლნიკოვი და თან
სიბრაზისაგან. ფრჩხილებს იკვნეტდა. — „ამაყია და იმიტომ!“
არ უნდა გამოტყდეს, რომ კეთილისმყოფელობით მოსდის!
თავმოყვარეა და თავზეია! ო, ხასიათით მდაბალნო! სიყვარუ-
ლითაც კი ისე გიყვართ, თითქოსა გძულდეთ... ო, როგორ...
მძულხართ ყველანი!

— ერთი სიტყვით, ვთხოვდები პეტრ პეტროვიჩზედ იმი-
ტომ, — განაგრძობდა დუნება, — რომ მინდა უარესს დავაღწიო
თავი. გადაწყვეტილი მაქვს პატიოსნურად შევასრულო ყოვე-
ლივე, რასაც კი ჩემგან მოელის; მაშასადამე, მოტყუება სუ-
ლაც არა მაქვს ფიქრათა... აგრე საეჭვოდ რისთვის იცინი?

აენთო ავდოტია რომანოვნაცა, თვალებში რისხვა და-
ტყო.

— ყველაფერს შეასრულებ? — დაეკითხა რასკოლნიკოვი
და გესლიანიდ გაეცინა.

— დიახ, მაგრამ დრომდე. თვითონ დანიშვნამ დამანახეა,
რაც შეიძლება მომთხოვოს. რასაკვრელია, თავისს თავს დი-
დად და გაზეიადებულად აფასებს, მაგრამ იმედი მაქვს მეც
დამაფასებს... კიდევ იცინი, რისთვისა?

— შენ რაღასთვისა სწითლდები? ვიცი, დაო, სცრულ და
სცრულ განგებ, ქალურის ჯიუტობითა, რომ, რა არის, შენი
გაიყვანო... ვიცი, ლუქინის პატივისცემა არ შეგიძლიან: ვნახე,
რაც არის და ველაპარაკე კიდეც. მაშასადამე, ფულისთვის
ჰყიდი თავსა და მდაბლად იქცევი. მიხარიან ამიტომ, რომ
გრცხვენიან და სწითლდები!

დანაშაული და სახული

— არა, სტუი, არა ვცრუობ!.. — შეჰყვირა მოთმინებიდან გამოსულმა დუნეჩეამა. — არ მივთხოვდები არასოდეს, თუ, დარწმუნებული არ ვიქნები, რომ მაფასებს იგი; არ მივსოხვდები არასოდეს, თუ ვნახავ, რომ პატივს არა ვსცემ. ამაში-კი საზედნიეროდ დავრწმუნდები უთუოდ და იქნება დღესვეც. ასეთი ქორწინება კი არასოდეს საზიზლრობა და საძაგლობა არ იქნება, როგორც იძახი! მაგრამ თუნდ აგრეც იყოს და უပლებოდე, შებრალება არ უნდა იქონიო და აგრე უნდა მომექურა, განა? რად ითხოვ ჩემგან გმირობასა, როდესაც შენც არა ხარ იქნება გმირი? ეს არის მხოლოდ ბატონობა და ძალა-ფობა! თუ ვისმე დავღუპავ, იცოდე, მხოლოდ ჩემს თავს და-ვღუპავ, სხვას არავისა... ჯერ ხომ არავინ მომიკლიას!. აგრე რად მიცემი? რას გაფიტრებულხარ? რა დაგემართა, რო-დიონ? როდიონ, ძმაო!..

— დმერთო ჩემო! გული არ შეულონა! — შეჰყვირა პულხერია ალექსანდროვნამა.

— არა, არა... სისულელეა... არასფერია!.. თავს ბრუ დამეჩვა. გული როდი შემლონებია... გულის შელონება რას მიეკიან!.. ჰმ! დიახ... რა უნდა მეთქვა? დიახ: როგორ? და-რწმუნდები დღესვე, რომ პატივისცემის ღირსია და თვითონაც... პატივსა გცემს და გაფასებს... აგრე სოქვი, ვგონებ, არა? დღესვეო, განა? ან იქნება ყური ვერ მოვყარ კარგათა?

— უჩვენე, აბა, დედიჯან, რას იწერება პეტრ პეტროვიჩი, — მიჰმართა დედას დუნეჩეაძა.

აკან კალებულმა დედამ წერილი გადასცა. ყურადღებით ჩამოართვა რასკოლნიკოვმა, მაგრამ ვიდრე გაპხსნიდა, ჯერ დუნეჩეას გადაჭედა გაკვირვებულმა.

— უცნაურია, — წარმოსთქვა მძიმედ, თითქოს უცბად ფიქრმა რამ გაუელვაო, — რისთვისა ვზრუნავ ასრე? რისთვისა ვყვირით? გათხოვდი, ვისზედაც გინდოდეს!

ყველაფერი ეს თავისთვისა სოქვა თითქოს, მაგრამ ხმა-მაღლა და დასაცარამდენსამე ხანს გაშტერებული და დაფიქრებული უყურებდა.

გახსნა პოლოს წერილი, ისევ ისრე გაოცებულმა და
შძიმედ და ყურადღებით გადაიკითხა ორჯელ. განსაკუთრე-
ბით მოუსვენრობდა პულხერია ალექსანდროვნა. საზოგადოდ
ჟველი რალასაც მოელოდა საგანგებოსა.

— მიკვირს სწორედ, — დაიწყო მცირე ფიქრის შემდეგ
და წერილი დედას გაუშოდა, მაგრამ არავის კერძოდ ეს მისი
სიტყვები არ შეეხებოდა, — საქმეები აქვს ნაკისრი, ვეჭილობს
კაცი და ლაპარაკშიაც თავი ისე მოაქვს, ვითომ... რაღაცა
იყოს და ასე შეცდომებით კი სწერს.

ჟველი შეირჩა. არ მოელოდნენ ამასა.

— ჟველი ვეჭილები აგრე სწერენ, — შენიშვნა რაზუმისინშა.

— როგორ, შენც წაიკითხე განა?

— დიახ.

— ჩვენ ვუჩვენეთ, როდიონ... რჩევასა ვთხოვდით, —
დაიწყო დარცხვენით პულხერია ალექსანდროვნამა.

— ნამდვილი რომ ვსოდეთ, სასამართლოს კილოზეა
ნაწერი, — გააწყვეტინა რაზუმისინშა. — დღემდის სულ ასე
სწერენ სასამართლოს ქალალდებსა.

— სასამართლოსი? დიახ, აგრეა! საქმიანობა ეტყობა...
არ ითქმის, ძაან უცოდინარი იყოს დამწერი, მაგრამ არც
დიდი მცოდნე უნდა იყოს; საქმის კაცია, ეტყობა!

— არცა ვმაღავს პეტრ პეტროვიჩი, რომ შავ ფულზე-
და აქვს ანბანი ნასწავლი; პირ-იქით, თავიც კი მოაქვს, რომ
გზა თვითონ გაუკაფნია, — შენიშვნა ძმის შენიშვნით მცირედ
ნაწყენმა ავდოტია რომანოვნამა.

— მოსწონს და მიზეზიცა აქვს, — წინააღმდეგი არა ვარ.
შენ, ჩემო დაო, გეწყინა, მგონი, რომ მთელი წერილიდან
ასეთი დასკვნა გამოვიყვანე და გგონია, ვითომ განზრას
ვლაპარაკობდე ასეთ უბრალო რამეზე, რომ მით მეტად გი-
საყვედურო. პირ-იქით, ნაწერის გამო აზრად მომივიდა ერთი
მეტად საყრადღებო შენიშვნა. ერთს ადგილას ნათქვამი
აქვს წერილში: „ნულარას დამემდურებითო“, რითაც მეტად
ნათლად და აშკარად გემუქრებათ, რომ გაგურდებათ იმავ

წამს, როგორც კი თქვენსასა მნახავს. მაშინადამე, გემუქრებათ პირდაპირ, რომ თავს დაგანებებთ, თუ არ გაუგონებთ და პეტებურგში დაგტუვებთ. როგორა გვონია ახლა: შეიძლება ისრევე გეწყიონთ ეს ლუუინისაგან, როგორც ეს ამას (რაზუმინინზედ აჩვენებს), ან ზოსიმოვს მოეწერა, ან ჩვენგანს რომელსამე?

— არ-რა, — მიუგო ცოცხლად დუნიამა, — მაგას მეც მივხვდი მაშინვე, რომ მეტად დაუფიქტებლივ მოჰსელია, მაგრამ იქნება იმიტომაც, რომ წერა არ ემარჯვება... ეგ ნამდვილი გიფიქრია, ძმაო. არც მე მოველოდი...

— სასამართლოს გემოვნებაზეა ეს ნათქვამი და ამიტომაც არის, რომ ბრიყვულად მოუვიდა. მოვიყვან სხვა მაგალითსაც, რომელიც ჩემ შესახებ არის განვებ საზიზრად მოჭორებული. ფული გადავეც გუშინ ჭლექს ქვრივს, საკოდავს, სიღარიბით შეწუხებულსა, მაგრამ მოსახვენებლად-კი არა, „ვითომდა დასამარხადა“, როგორც ლუუინი მწამებს, — პირ-დაპირ დასამარხადა და თვითონ დედასა და არა ქალსა, რომელსაც „საზიზრარ ყოფაქცევისათ“ გაცნობთ და რომელიც მხოლოდ გუშინა ვნახე პირველითა. აქ მე სხვას ვერასა ვხედავ, ვარდა იმისა, რომ განზრახვა ჰქონია, რაც შეიძლება მეტი ჩირქი მოეცხო ჩემთვისა და ერთმანერთს შევძულებოდით. მაგრამ ევ არის უბედურობა, რომ ისევ სასამართლოს კილოზე აქვს ყველა ეს გამოთქმული და მასთან მიზანიც ერთობ აჩქარებითა და გულუბრყვილოდ გამეღავნებული. კვიინი კაცია, ეტყობა, მაგრამ გონივრულად რომ მოიქცეს, ამისთვის მარტო ტვინი. როდია საკმარისი. ყველა ეს მშვენივრად ახასიათებს იმისს კაცობასა... ვფიქრობ ამიტომ, ვერც შენ დაგაფასებს ღირსეულადა. მაგრამ, იცოდე, გატყობინებ ყოველსავე ამას მხოლოდ სიკეთით, სხვა არასფრითა...

ალარ უპასუხნია დუნებისა. უკვე ყველაფერი ვარდაწყვეტილი ჰქონდა, მხოლოდ საღამოს-ლა უკდიდა.

— როგორ გადასწყვიტე, მაშ, როდიონ? — დაეკითხა წელანდელზედ უარესად შეწუხებული პულხერია ალექსანდრიოვნა, რომ ასე საქმიანის კილოთი იწყო ლიკარია როდიონმა.

— რაო, რა უნდა გადავწყვიტო?

— რა, და ისა, პეტრ პეტროვიჩი რომ იშერება შენზედა; საღამოთი რომ მოვალ, როდიონი ნუ იქნებაო თქვენსა. რას აპირებ... მოხვალ, თუ არა?

— ეგ, რასაკვრელია, თქვენ უნდა გადასწყვიტოთ და არა მე. თუ—კი ასეთი წინადადება არ შეურაცხყოფთ არც თქვენა და არც დუნისა, რასაკვრელია, მოვიქცევი ისრე, როგორც თქვენთვის იქმნება სამჯობინო,—მიუგო ცივად.

— დუნეჩამ უკვე გადასწუვიტა და მეც ვეთანხმები,— დააჩქარა განმარტება პულხერია ალექსანდროვნამა.

— გარდავწყვიტე, როდიონ, რომ უთუოდ დაესწრო შენცა; ხომ მოხვალ?—დაეკითხს ავლოტია რომანოვნა.

— მოვალ.

— გთხოვთ, თქვენც მობრძანდეთ საღამოს რვა საათი-სათვის,—მიშმართა ახლა რაზემიხინსა. — დედიჯან, ამათაცა ვთხოვ.

— საუცხოვოა, შვილო, როგორც გესურვოს,—დასძინა პულხერია ალექსანდროვნამა.—აგრე სჯობიან; პირფე-რობა და ცრუობა არ მოყვარს. სიმართლე ყველის სჯობიან... თუნდ იჯავროს ახლა პეტრ პეტროვიჩმა, თუნდ არა, ორივ ერთია ჩემთვისა.

ან—ანი.

(გაგრძელება იქნება)



მ უ თ ი

გრაფიკული განვითარების სამსახური

I

— დიდი ქარი ამოვარდება, ძმობილო.

— დიახ, ბატონო, საშინელი ქარიშხალი ამოვარდება. მე კარგად ვიცნობ ამ აღმოსავლეთის ქარს. ვაი იმისი ბრალი, ვინც ღამე ღვაზედ დარჩება.

— წმინდა იოსებმა დაითაროს ჩვენი მეზღვაურები განსაცდელისგან. მეთვეზეები კი, მგონი, კიდეც დაბრუნდნენ.

— აბა შეხედეთ! ავერ, იქით, იალქანს მოვკარ თვალი.

— ჩიტის ფრთა იყო. შეგიძლიან კედელს შეეფარო. ეხლა კი მშეიღობით, ორი საათის შემდეგ გამოიცვლები. ათის თავი წავიდა. დარაჯი კი დარჩა პატარა ციხის კედელზედ, რომლის გარშემო ზღვა ღრიალებდა და სჩეფდა.

მზე ჩადიოდა. ქარი ძრიელდებოდა და ჰელეჯდა ირე-მარეს. სისხლის ფრად შეღებილი დასავლეთი თავ-ზარსა სცემდა ადამიანს და წყველას და კრულვას უქადდა. ოჯ, რა შავად, რა ცივად გამოიყურებოდა ზღვის სივრცე. აქა-იქ მის შავ პირზედ უკვე მოსხანდნენ აქაფებული, თეთრი ტალღები. ზღვა კი უფრო ღრიალებდა, უფრო სჩეფდა და გრგვინავდა დიდ ხან დაფარულ სიბრაზისაგან.

ცასაც დიდი მოძრაობა ეტუმოდა, გრძელი ღრუბლები გასაოცარი სისწავეებით მიცურავდნენ დასავლეთისკენ და ერევოდნენ იმ სისხლის მორევს, რომელსაც მთელი დასავ-ლეთი მოცვა. ზღვაზედ მოახლოვებული კექა-ქუხილის

სუნი იდგა. მხოლოდ ერთგან შორს—შორს მოსჩანდა დაგვიანებული ნავი, რომელიც ციხისკენ მიისწრაფოდა, რომ იქ შეეფარებინა თავი და უბედურებას გადარჩენოდა. ზღვის შორი ნაპირი ბუნდად გამოიცირებოდა ნისლიან სალამოში. ზღვა გამუდმებული ღრიალებდა და მიაქანებდა ზეირთებს ჯერ ისევ განათებულ დასაელეონისკენ. ნავის იალქანი ხან იმალებოდა და ხან ისევ გამოჩნდებოდა. ნავი ძლიერ-ძლიერობით დასცურავდა ამ აღელვებულ ზღვაზედ. თითქოს ერთმანეთს გასჯიბრებოდნენ ზღვა და ლამის წყვდიალი, რომ შთაენთქათ საცოდავ. აი, აგერ ციხის ჰედელზედ გამოჩნდა სინათლე. თუმცა ნავი არსადა სჩანდა, მაგრამ მეოვეზეს მაინც წეეძლო დაენახა საიმედო სინათლე ამ ცივ, აღელვებულ ზღვაზედ.

II

— შესდექ! ვინა ხარ?

დაუყვირა დარაჯმა ნავს და თოფი დაუმიზნა. მაგრამ ზღვა თოფზედ საშიშია. მეთევზეს არ შეუძლიან შეაყენოს საკე, რადგან ზღვის ტალღები გადააბრუნებენ ნავს, ამას-თანავე ისპანელების ძველი თოფი ვერ იღებს კარგად მიზანში. ნავი ფრთხილად ელის ტალღას. დაუშვებს, იალქანს ცელჭი ტალღა დაეხმარა და პატარა ნაეთსადგურისკენ წასწია.

— ვინა ხარ? დაიყვირა კიდევ დარაჯმა, რომელიც აქამდის ყურადღებით ადევნებდა თვალ-ყურს ნავის მოძრაობას.

— ქმაო—უპასუხა მეთევზემ,—გამიღე კარი, აგრემც შეგეწვევა წმინდა იოსების მადლი.—ხედავ, რა ქარიშხალია?

— მოითმინე, მეგობარო, ათისთავი ეხლავე მოვა. აქ კედელზედ გამოჩნდნენ ჩრდილნი, მერე გაიღო კარი; და ისპანელებმა შინ შეიყვანეს მეთევზე. და რა სიამოვნებით მოიგონებს იგი მრისხანე ზღვის, რომელზედაც ამ ცოტა ხნის წინათ მიცურავდა იმის პატარა ნავი.



კარები ჩაიკეტეს. ამ დროს უშველებელი ტალღა, სტვენით და გრიალით მოაწყდა კარებს და შეანძრია იგი. ციხის ერთ ერთ კუთხის ფანჯრიდან კი მოსჩანდა შეკრთალი სინათლე, რომელიც ანათებდა ნავთსათვურში მყოფ ნავს.

III

ამ კუთხეში ისპანელებს მოეთავსებინათ სამხედრო ციხე. ერთს წუთს ჩაქრა მკრთალი სინათლე და ფანჯარასთან გამოჩენდა ვიღაცა კაცის ჩრდილი; ვიღამაც გადმოხედა გააფთრებულ ზღვას და მოშორდა. სინათლემ კვალად შეითამაშა ზღვის ტალღებზედ.

ეს იყო განდგომილი ხუან-მარია-ხოზე მიგუელი. აჯანყების დროს, ისპანელებმა დაატყვევეს იგი და სიკვდილი გადაუწყვიტეს; მაგრამ მერე, ვიღასიც მეცადინეობით, აპატიეს და სიცოცხლე მიანიჭეს, ე. ი. განმარტოებულ კუნძულზედ ჩასვეს ციხეში. აქ მიგუელს მოხსნეს ბორკილი, რაღაც განდგანაც საჭირო არ იყო: ქვითკირის კედლები, რკინის მოაჯირიანი ფანჯარა და უძირო მიუკარებელი ზღვა, უკარგავდა ადამიანს ყოველსავე იმედს განთავისუფლებისას. მიგუელს შეეძლო ფანჯარაში ეცქირნა, მოეგონებინა წარსული და... ჰქონდა კიდეც იმედი განთავისუფლებისა.

პირველ ხანს, როცა ამომავალი მზე ცელქად შეათამა-შებდა თავის სხივებს ზღვის ტალღებზე და გამოჩნდებოდა ნისლში მოცული შორი ნაპირი, მიგუელი დიდხანს გაშტერე. ბით უცქეროდა სამშობლო მთებს, სოფელს, რომელიც პატარა წერტილათ-ლა მოსჩანდა, ათვალიერებდა ნავთსათვურს, გზებს, მთის პატარა ბილიკებს, რომელზედაც მოსჩანდნენ ჩრდილნი და იმათში... იმის სატრაფოც. სამშობლოს მთები-დან გაისმის თოფის გრიალი, ზღვაზე წამოვლენ იალქნები აჯანყებისა და თავისუფლების დროშით. მიგუელი ემზადებოდა აშისთვის და სკუდილობდა ფრთხილად ამოელო ფანჯრიდან რკინის მოაჯირი.

· მაგრამ გაიარეს წლებმა. ნაპირზედ მშვიდობიანობა სუფევდა. მხოლოდ ოქა-იქ ზედ დასცურავდნენ მეთევზეს ნავები. წარსული მიგუელს სიზრად-ლა ეჩვენებოდა. სოვლემდა დამშვიდებულ ნაპირს და როცა ნაპირზედ ბოლი გამოჩნდებოდა, და სამხედრო ნავები იწყობდნენ ზღვაზედ სიარულს გაშმაგებულის სისწრაფით, მიგუელმა იცოდა, რომ გამოსაცვლელად დარაჯები მოჰყავდათ.

ასე ამრიგად გაიარეს კიდევ წლებმა. მიგუელი დამშვიდდა, თავის ოკნებაც კი დაივიწყა, თვით სამშობლო მხარესაც კი გულგრილად დაუწყო ცქერა, და აღარ სცდილობდა მოედუნებინა ფანჯრის მოაჯირი. ან რისთვის? მაგრამ როცა აღმოსავლეთის ქარი წამოუბერავდა და ტალღები ანძრევდნენ ქვებს ზღვის ნაპირზედ, მის გულშიაც იღვიძებდა ყრუ, გამოურკვეველი გულის ტკივილი. ეჩვენებოდა, რომ ბურუს მოცულ ნაპირიდან მოჩბიან მისკენ ჩრდილნი და გულსაკლავად რაღასაც მაღლა უყვირიან.. მიგუელმა კარგად იცოდა, რომ ეს თვით ზღვა ყვირის, მაგრამ მაინც ყურს უგდებდა და მის გულში მძლავრი, ბურუს მოცული მღელვარება იღვიძებდა. ტუსალის პატარა ოთხში, კუთხიდან-კუთხემდინ მიდიოდა პატარა ბილიკი: ეს ხანგრძლივი სიარულით დაამჩნია იატაკს გაშმაგებულმა მიგუელმა. ეხლაც, ხანდახან, ამისთანა საშიშლამებში, ის გულშოდვინეთ აჯავგურებდა ფანჯრის მოაჯირს და ანგრევდა მის გარშემო კედელს, მაგრამ ამაოდ. მეორე დილით კი, როცა დამშვიდებული ზღვა ნაზად ეალერსებოდა ნაპირს და რაღასაც ეჩურჩულებოდა მას, მიგუელსაც ავიწყდებოდა ის საშინელი, თავგანწირული წუთები. ჰერმნობდა, რომ მას მოაჯირი კი არა, ხან მძვინვარე, და ხან ნაზად მოალერსე ზღვა იჭერს, ხანკი... სამშობლოს მიძინებული ნაპირი.

IV

ასე, ამ მდგომარეობაში გაიარეს წლებმა, რომლებიც მიგუელს დღეებად ეჩვენა. ძილის დრო არა სუფევს შეგნე-

პისათვის და მიგუელის ცხოვრება ციხეში ხომ სულ გამოურ-კვეველი ძილი იყო. ძილშიც კი ელანდებოდნენ მოჩვენებანი. ხან და ხან, მზიან დღეებში სამშობლო ნაპირიდან გამოჩნდე-ბოდა ბოლი. ამ დროს ციხეში დიდი მოძრაობა იწყებოდა, ყველა რიღასთვისაც ემზადებოდა. წინანდელზედ ხშირად დაცურავდნენ ზღვაზედ სამხედრო გემები ბაირალებით. მი-გუელი ხან გულგრილად უცქეროდა ამ მოძრაობას, ხან კი გაკვირვება იხატებოდა მის მრავალ-ტანჯულ სახეზედ. ერთ-ხელ მოესმა კიდეც, თითქო ხეობაში და მთის ნაპირზედ თოვი გავარდაო, გამოჩნდა ბოლი, რომელიც ნელ-ნელა გადნა ცის ლურჯ სიკრცეში. პატიმარი მოებრაუჭა ფანჯრის მოაჯირს და შეანძრია იგი. მოაჯირი მოდუნდა, აგური და მიწა ჩამო-ცვივდა იატაკზედ.

გაიარა კიდევ რამდენიმე დღემ. ნაპირი ისევ მიწყნარდა, ჩაჩუმდა. მხოლოდ ზღვის ზეირთები ჩუმი დუდუნით მისდევდნენ ერთმანეთს და ეალერსებოდნენ დალონებულ ნაპირს. მი-გუელს ესეც სიზმარი ეგონა.

ამ საღამოს ზღვა ისევ გაცოფებული ლრიალებდა; ისევ მღეროდა თვის თავზარდმცემ სიმღერას და კვნესით და ოხვ-რით ბანს აძლევდა ჩაფიქრებული ნაპირი.

მიგუელმა მხრები აიწია და გადასწყვიტა ადრე ჩაწოლი-ლიყო ლოგინში. დევ, ზღვამ როგორც უნდა იხმაუროს; დევ, როგორც უნდა, დაიხსნას თავი ამ ტალღებიდან მეთვეზის ნავამა, რომელიც მან ზღვაზედ შეამჩნია. მონის ნავი—მონურ ნაპირიდან მომავალი,—მონიბაში უნდა დაიღუპოს! რა საქმე აქვს მიგუელს ან ნავთან, ან ზღვის გრიგალთან. წამოწვა. დაღამდა. დარაჯმა მოიტანა ლამპარი და შესდგა ფანჯარაში, რომ გაენათებინა მიგუელის ბნელი ოთანი. ლამპარის შუქზედ გამოჩნდა სარეცელზედ მწოლარე პატიმარი. ფერმკრთალს, თვალ დახუჭულ მიგუელს მშვიდად ეძინა, მხოლიოდ ხან და ხან ჭმუხვნიდა თავის სქელ წარბებს და სახეზედ მწუხარება ეხატებოდა. ერთბაშად თვალები დააკყიტა და წამოხტა. ვინ ეძახის... გაშმაგებული ზღვის ზეირთები ლრიალებენ და ეხლე-ბიან კედელს.

აქათუებული ზღვა თავის სიმღერას გაჰკიოდა. მას ბანს აძლევდნენ ციხის ცივი კედლები; თითქოს რაღაცა საზრელმა გადაირბინა კუნძულზედ და მისწყდა შორს ლურჯ სივრცეში. მიგუელი წამოხტა და მიგარდა ფანჯარის, რომ დაენახა თეთრი იალქანი. რამდენიმე წუთის ძილი მას საუკუნედ ეჩვენა. ირგვლივ ბნელოდა. ზღვა შფოთავდა და ისმოდა ტალღების კვნესა და სტვენა. თუმცა ამისთანა ქარიშხალი ხშირი არის ზღვაზედ, მაგრამ მიგუელი კარგად იცნობდა ამ ჰექა-ქუჩილს და რაღაც არა ჩვეულებრივ გრგვინვას მიწის ქვეშ. ეხლავი, როცა ყველაფერი მიწყნარდა, გრგვინვის მაგივრიდ, მიწიდან მოისმა რაღაცა ჩუმი, ნაზი, უცხო ხმები. ის კიდევ გაშმაგებული მიგარდა ფანჯარის, მოეჭიდა მოაჯირს და გაიხედა წყველიაღში. ზღვა საშინელებას წარმოადგენდა; შორი ნაპირი ხშირ ნისლი მოეცვა, მხოლოდ ერთი გადმოხედა დედამიწას წითელშა, ნისლით მოცულმა მთვარემ; ცოტახნით გამოტყორცნდი სხივები ცელქად შეთამაშდნენ ზღვის ტალღებზედ და ისევ მაღვ მიიმაღნენ. დარჩი მხოლოდ ძლიერი, ველური, მოუსვენარი და დამცინავი ხმაურობა. მიგუელი თრთოდა, ზფოთავდა, ვით ზღვა. დიდი-ხნის ძილის შემდეგ იმისმა ტანჯულმა სულმა კვლავ გაიღვიძა, გონება დაუბრუნდა, და გაცოცხლდნენ აქამდის დახშული გრძნობანი. მიგუელს გაახსენდა ყველა ის, რაც ნახა მან რამდენიმე დღის წინად ნაპირზედ. ეს ხომ სიზმარი არ იყო! არა! არა! ეს იყო მოძრაობა, თოფების სროლა... ეს იყო აჯანყება!..

კიდევ გადაირბინა ზღვაზედ ძრიელმა მოჩქეფარე ტალღამ; კიდევ მოისმა უცხო, ნაზი, მოალერსებმა. მიგუელი მივარდა ფანჯარის და ლონივრათ შეანძრია ივი. ჩამოცვივდა მიწა, გაჯი, აგურის ნატეხები და მოაჯირი ამოვარდა ბუდი-დან.

ფანჯარისთან კი მიგუელს ულიმოდა და ალერსით ეძახდა პატარა ხავი.

V

ამ დროს კედელზე დარაჯი გამოსცვალეს

— წმინდათ იოსებ! წმინდათ მარიამ!.. წაიპუტბუტა ახლად მოსულმა და კედელს მოეფარა. ზღვის მეტის-მეტ სიბრძნისაგან ქაფი მოეგდო და უზარ-მაზარი ზეირთები ერთმანეთს გაშმაგებულნი სცემდნენ. ქარი კუუაზე დ იშლებოდა; კუნძული იძეროდა და კენებოდა. ზღვის ძირიდან, ვით მოჩენებანი, მოძერებოდნენ ნაპირზე დიდრონი ქვები, მრავალ საუკუნეთა წინად დამარხულნი ზღვის ძირში. უშველებელმა ტალღამ შემოჰკრა სწორედ მაშინ, როცა მიგუელი ფანჯრიდან გადახტა. წყალმა დამალა იგი, დააყრუა და წააქცია... ასე გონება დაკარგული მიგუელი დიდხანს ეგდო ნაპირზედ. მის გვერდით კი ღმუილით მიჰქოდა რაღაცა უზარმაზარი ბრაზიანი, დამცინავი. როცა გრვინვა ცოტათი მისწყდა, მიგუელმა გაახილა თვალი. ცაზედ მიუურავდნენ შავი ღრუბლები. ადამიანი არამც თუ ხედავდა. არამედ გრძნობდა მათ მოძრაობას დასავლეთისკენ. ამ საერთო მოძრაობაში არ იღებდნენ მონაწილეობას ციხის კედლები, რომლებიც უძრავად და გულგრილად გაჰყურებდნენ ბუნების გრვინვას. ამ წყვდიად ლამეში დოლაბებიდან ზარბაზნები მოსჩანდნენ. შორეულ სადგომიდან გალობის ხმა მოისმა, დაფის ხმა: ჯარისკაცნი ლოცულობდნენ. კუთხის ოთახიდან კვალიდ ციმუმებდა სანთელი. მიგუელი წამოდგა და გაეშურა სინათლისკენ... არა, ზღვა მატყუარია, მაცდური, საშიში. მიგუელი თავის ოთახში უნდა შევიდეს, ჩაწვეს ლოგინში და ტკბილად დაიძინოს. მხოლოდ მოაჯირი აწუხებს: თუ ნახეს, იფიქრებენ გაქცევა სდომებია ამ საშიშ ლამეშიო. არა, არ გაიქცევა... ზღვა შთანთქავს. მიგუელი მოექიდა ჩარჩოს, ავიდა ფანჯარაზე და შესდგა. ჩუმად იყო დაცარიელებული ოთახი. სანთლის ცვითელი შუქი ანათებდა იატაკს, კედლებს და კუთხეში ლოგინის თავზედ მოსჩანდა წარწერა: „ხუან—მარია—ხოზე—მიგუელი. განდგომილი, გაუმარჯოს თავისუფლებას. ირგვლივ კედლებზე მოს-

ჩანდნენ წარწერები: „ხუან — მიგული“, და რიცხვები. თავდა-პირველიდ, მიგული დღეებს ნიშნავდა კედლებზედ, თვეებს... „დედავ ლვთისაო, ორი წელიწადი კიდევ გავიდა... სამი... ლმერ-თო, დაიფარე ჩემი გონება... მიგული... მიგული... მეათე წელიწა-დი მარტო რიცხვით-ლა იყო აღნიშნული უშენიშვნოდ. მხოლოდ სუსტი ხელით ამოკრილი სახელი. კვალიად მოსჩანდა კედელ-ზედ. შემდეგ ანგარიში წყდებოდა. ყველა ამას, ცივად, ულ-მობლად, ანათებდა სანთლის ყვითელი შუქი. და ცხადად დაინახა: მის ლოგინში ვიღაც წევს და ტკბილად სძინახს, მშეიდად სუნთქვას. ეს ვინ არის? მიგული? ის მიგული, რომელიც შემოვიდა აქ ჯან-ლონით სავსე, რომელიც შესტ-რფოდა და შეპაროდა თავისუფლებას?... კიდევ გაისმა ჰაერ-ში ტალღის სტვენა და გრიალი. მიგული გადახტა ნაპირზედ. ერთი კიდევ წამოუქრიალა ტალღამ და მალე ისევ მიჩუმდა. ფანჯრიდან კვალიად მოსჩანდა სანთლის ოქი და მკრთალად უნათებდა გზას განთავისუფლებულ მონას.

VI

თოფზედ დაყრდნობილს დარაჯს კი მიებრუნებინა ქარის-თვის ზურგი და ლოცვას ამონდა; ყურს უკდებდა ზღვის ღრი-ალს, ქარის სტვენას. ცა ისევ შავად ჩამოწვა. მთელი ქვეყა: ნიერობა შთაენთქა ამ წყვდიადს, რომელიც გამეფებული ყა-ყველგან, — ცაში, ჰაერში, ზღვაზედ. ამ უკუნეო ღამეშიც კი მოსჩანდნენ აქაფებული ტალღები რომლებიც, მირბოდნენ ნა-პირისკენ და შორს შორს, კედლის იქით ისროდნენ თავიანთ წინწკლებს. დარაჯმა ილოცა, მიბრუნდა ნაპირისკენ და გაშრა, გაკვირვებისგან! ნავთსადგურის ახლო, იქ, სადაც ზღვა ცოტა არ იყოს დამშვიდებული გამოიცქირებოდა, დასცურავდა პა-ტარა ნავი. იგი მიეშურებოდა შეა აღელვებულ ზღვისკენ. აგერ გამოჩნდა იალქანი და აფრიალდა ჰაერში. ნავი წაბორძიკდა და მიიმალა. ამ დროს მიგულმა მიიჩედა უკან და მოეჩვენა,

რომ კუნძული და სანთლის მიმკვდარებული სინათლე, რომელიც თითქოს თვალ-ყურს ადევნებდა იმის მოძრაობას, ჩაცვიდნენ სადღაც უფრსკრულში. მის წინ ზღვა ჩქეფარე, ზღვა მშეფოთარე, რაღასაც გრგვინავდა. სიხარულით აიგსო მიგუელის მიმკვდარებული გული. უფრო მძლავრად დააწვა ორთაყვირს, მოსწია იალქანს და შეპყვირა... ეს იყო ყვირილი სიხარულისა, უსაღვრო აღტაცებისა, ახლად გაღვიძებულ და გამორკვეულ ცხოვრებისა. გაისმა თოფების ხმა, ზარბაზნის ჭექა-გრიალი. გიუმა ქარმა მსწრაფლ მოიტაცა იგი და განფანტა ჰაერში. ტალღა გიუივით მიაქანებდა ნავს. მიგუელი იმედით მიიწევდა წინ და აღტაცებული გასცეროდა სამშობლოს მხარეს. ის ეხლა თავისუფალი იყო; აღარავინ შეეხებოდა მას მთელ დედამიწის ზურგზედ; ყველა სიცოცხლეს შესტრფის, შეპხარის, ის-კი თავისუფლებას. ნავი აცურდა ტალღის წვერზედ, შეტორტმანდა და ნელ-ნელა ჩიმოეშვა ძირს. ციხის კედლიდან ამ დროს მას უკანასკნელად მოჰკრეს თვალიდა კიდევ გაისმა იქიდან თოფების სროლა-გრიალი.

VII

მეორე დილით მჩე მედიდურად ამოცურდა ლურჯ, მოკაშკაშებულ ცაზედ. აქა-იქ დარჩენილი ლრუბლები სწრაფად მიცურავდნენ ცაზედ. ზღვა მშვიდდებოდა და ნაზად ეალერსებოდა ნაპირებს, თითქოს რცხვენიან გუშინდელ თავის გახელების და სიმჟაცრისაო. ლურჯი ტალღები ისევ ბუტ-ბუტით, ცელქად მიხტოდნენ ნაპირისკენ და საამურად, ათასფერად ბრწყინავდნენ მზის შუქზედ. შორი გამოცოცხლებული ნაპირი ნათლად მოსხანდა დაწმენდილ ჰაერში, ყველგან იღიმოდა ახლად გამოღვიძებული ცხოვრება. პატარა გემი დაცურავდა ზღვის პირთან; მას თვალს ადევნებდნენ ის-ჰანელები, რომლებიც შეკრებილიყვნენ ნაპირზედ.

— დაიღუპებოდა — სთქვა ერთმა. — რა სისულელეა. არა, დონ-ფერნარდო?

ახალგაზრდა ოფიციერმა მიიბრუნა მისკენ თავისი ნაღვ-
ლიანი სახე.

— დიახ, დაიღუპებოდა — სთქვა იმან. — იქმნება ეხლა
სამშობლო ციხიდან უკერის თავის საპატიომროს. ზღვამ მია-
ნიჭი მას რამდენიმე წუთი თავისუფლებისა. ნუ თუ არა სჯობს
ის ერთი წუთი, მონობაში გატარებულს მთელ საუკუნეს?!

— მაგრამ ეს რა არის? შეხედეთ... აქ ოფიციერმა გადა-
სცა მოლაპარაკეს დურბინდი და მიუთითა სამარეთისაკენ.
გაღმა, მთის წვერზედ, იქ, საღაც განდგომილები სცხოვრობ-
დნენ, გამოჩნდა თეთრი ზოლი. ხმა არსაიდან არ ისმოდა.
მხოლოდ ზოლი ხან გამოჩნდებოდა ხოლმე და ხან ისევ ქრ-
ებოდა ხეობაში. ამის პასუხად ზღვიდან მოისმა ზარბაზნების
გრიალი. პატარა ხანს უკან ყველაფერი მიწყნარდა. ზღვაც
და ნაპირიც დადუმებული ე.

ოფიციერმა ერთმანეთს შეხედეს. რას ნიშნავდა ეს
არაჩვეულებრივი გამოცოცხლება აჯანყებულთა შორის? იქნ-
ება უხარიანთ ტუსაღის გაქცევა? ნუ თუ უბრალო თოფის
სროლაა აჯანყების მოლოდინში? პასუხი არ იყო. ბრწყინვა-
ლე ტალღები მხიარულად იცინოდნენ და ეალერსებოდნენ
ზღვის კიდეს.

ებ. ბაქრაძეა.

საქართველოს მკრთხია და მასი დასაწყისი

(იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიძის უძლვნის აფტორი)

(დასასრული *)

IV

შირველი იერარქია

ზემო თქმულით შეგვეძლო გაგვეთავებია ჩვენი წერილი, უკეთუ ერთი გარემოება არ იქცევდეს ყურადღებას. ჩვენ ვგულისხმობთ ერთ უუძველეს თქმულებას, რომელიც წმ. ნინოს „ცხოვრების“ ასენ კათალიკოსის მიერ (მე-Х საუკ.) შემუშავებულ ვარიანტშია შეტანილი და, როგორც ქვემოთ დავინახავთ, თვით ანტიოქიის უუძველეს წყაროებშიაც ყოფილია მოხსენებული. ეს თქმულება შეეხება ანტიოქიის მღვდელთ-მოძღვრის ევტანის (323—340 წ.) მოგზაურობას საქართველოში ხალხის მოსანათლავად და საეკლესიო საქმეთა მოხაწყობად. ზოგს ჩვენს მკვლევარს გონია, ვითომც ეს თქმულება „მტკიცეთ დადგენილი“ ცნობა იყოს ჩვენი მატიანებისა;¹⁶⁸⁾ მაგრამ, სამწუხაროთ, ეს ამბავი ჯერ-

*) იხ. „მთამბე“ № IV.

¹⁶⁸⁾ „По твердо установленнымъ даннымиъ грузинскихъ лѣтописей,—аѣბомъ ბ-бо ა. ნატრაშვილი,—для крещенія грузинъ присланъ былъ императоромъ Константиномъ Великимъ антіохійскій патріархъ Евстаѳій“. ნახ. „Мцхета и его соборъ Свети-Цховели“, стр. 159.

ჯერობით მტკიცეთ დადგენილი არ არის: მაგალითად, პროფ. ალ. ხახანაშვილი ამ თქმულებას მერჩინდეს შეთხულ ამჟად თვალის და გადაკრით ამპოპს რომ აღნიშნული ცნობის მიღება შეუძლებელია.¹⁶⁹⁾ ჩვენს აზრს ამ საგნის შესახებ მკითხველი ქვემოთ დაინახავს. აქ კი ჯერ თვით ამ აღვილს მოვიტანთ უცვლელათ არსენ კათალიკოზის თხზულებიდან:

„ხოლო ვინახევან განსრულდა შენება წმიდათა მათ ეკლესიათა და არღარი იყო ნაკლულევანებად, გარნა მღუდელნი ხოლო, წარავლინნა მოციქულნი საბერძნეთად სწავლითა და მოძღვრებითა ნეტარისა ნინოსითა მეურას მიმართ და ითხოვნა მოძღვარნი და მასწავლელნი ღუთას-მსახურებისანი. ხოლო მანურვალემან მან ტრუალმან ღუთის-მსახურებისამან კონსტანტინე, ისწავა რა მიხეზი სათხოველისა, მოციქულნი იკი მრავალსა პატრიარქა სიყარულასასა ღირსყენა და მიუვლინა მათ კათა ანტონქელ პატრიარქი ფრიადითა პატივითა, კაცი სარწაცუნო და სიპრინითა და ცოლრებითა განშვენებული, რომელი ნათლითა მართლმადიდებლობისათა ყოველსა სოფელსა ნათობდა. რამეთუ იყო მას უამსა ნიკეას წმიდასა მას და დიდებულსა კრებასა სამას ავტომეტო წმიდათა მამათასა, რომელთა თანა დაამტკიცა მართლი სარწმუნოებად და დაამხუნა საღვროთისა მას ბუნებასა ზედა განკუეთილებისა შემომღებელნი. ესე ფრიადითა ძლუნითა გამდიდრებული მასწავლელად სჯულისა და წესთა და მოძღვრებად ღუთის მეცნიერებისა მეუისა მიმართ ქართველთასა მოივლინა“.¹⁷⁰⁾

ამასვე იმეორებს ანტონქელ მღვდლის მიხეილ ბრეკის „სია ანტონქელ პატრიარქებისა“.¹⁷¹⁾

არა ნაკლებ საყურადღებოა დავით აღმაშენებელის (1089—1125 წ.) თანამედროვე ბერის, ეფრემ მცირის, წე-

¹⁶⁹⁾ ნახ. Источники по введ. хр. въ Грузии. стр. 44—45.

¹⁷⁰⁾ „ცხოვრება წმიდა ნინოსი“. გამცემა საეკლესიო მუზეუმისა № 10. ტფილისი. 1902 წ. გვ. 34—35.

¹⁷¹⁾ აი ეს ადგილი, რესულად ნათარგმნი ეპისკ. პორფირი უსპენსკის მიერ: „25. Евстафий. Сей святый, какъ повѣствуетъ Саадъ,

რილიც ამავე საგნის შესახებ. ეფრემს მოყავს საკუთხო სწორი თარგმანი თეოდორიტე კორელის მოთხოვნისა ქართველთა შოქუევის შესახებ, სიტყვა-სიტყვით გადმოვცემს იმ ადგილის, სადაც თეოდორიტე კონსტანტინეს მიერ მღვდელ-მთავრის ამორჩევისა და საქართველოში გამოგზანაზე ამბობს, და უკანასკნელ დასძენს:

„ამის უკვე თეოდორიტე ქსოდებ მოიხსენებს; ხოდო სხვათა წერადან შანს სახელდებით პოვნილ არს სახელი ტყვისა მის, ჩვენ ტყვეთა მხსნელისად, რამეთუ ბერძულად ნონნა უწოდებ წმიდასა მას, რომელსა ჩვენ მცირეთ შეცვალებითებრე ნინოდ სახელვსდებთ.—გრეთვე სახელიცა მივლი-

сыть Янха антioхица, былъ епископомъ въ Алеппѣ до соборованія 318 богоносныхъ отцовъ въ Никеѣ и по смерти патріарха (Антioхійскаго) Павлина былъ возведенъ... на патріаршій престоль... Евстаѳій предсѣдательствовалъ въ этомъ Соборѣ и разглагольствовалъ съ самодержавнымъ Константиномъ, хваля его и утверждая въ вѣрѣ, и опровергая богохульство Ария. Онъ препирался съ этимъ еретикомъ и съ его послѣдователями. Его отмѣнило уважать царь. По окончаніи Никейскаго Собора Евстаѳій отправился въ Антioхію къ престолу своему и былъ тамъ принятъ съ великою честію.—Въ это время увѣровали во Христа Грузини при посредствѣ находившейся у нихъ въ плѣну святой Нонны. Они послѣствомъ извѣстили о семъ самодержавнаго Константина и просили его прислать къ нимъ добродѣтельнаго и ученаго архиерея, дабы онъ крестилъ ихъ и научилъ христіанской вѣрѣ. Это обрадовало сего царя и онъ послалъ къ нимъ антioхійскаго патріарха Евстаѳія, потому что Грузія причислялась къ его епархіи. Евстаѳій прибылъ къ нимъ и, огласивъ ихъ, крестилъ всѣхъ и преподалъ имъ основныя понятія о христіанской вѣрѣ; потомъ, рукоположивъ имъ епископовъ, священниковъ и діаконовъ, и освятивъ нѣсколько церквей и составивъ изъ нихъ паству свою, возвратился въ Антioхію*. баб. Порфирий еп. Чигиринскаго: Востокъ Христіанскій.—Сирія, въ „Труд. Кіевск. Духовн. Академіи“ за 1874 г. т. II, іюнь, стр. 368—369.

ნებულისა მის ეპისკოპოსისა ესრეთ პოვნილ არს, ვითარმედ თვით ევსტათი იყო ანტიოქელ პატრიარქი, რომელმან დაამ-ყარა ეკლესია იგი მირიანის მიერ მცხეთას აღშენებული, და უკურთხა მათ კათალიკოსი მთავარ ეპისკოპოსი; ხოლო მეფემან ქართველთამან და ყოველთა მთავართა მისთა დაუ-წესეს პატრიაქია ანტიოქიისასა მოსასყიდელად ნივთთა წმი-დისა მირონისათა აგარაკები ათასი კუამლი ქვეყნისაგან ქარ-თველთასა, რათა საფასო შემოსავალთა მათთა იყოს ფას ნივთთა მირონისათა, რამეთუ მათ ემთა არასადა წმიდა იქნებოდა მირონი თვინიერ ანტიოქიას და მიერ განეყოფოდა ყოველთა".¹⁷²⁾

სიტყვა-სიტყვით ამასვე ამბობს ეფრემის თანამედროვე ანტიოქელი მღვდელ-მონაზონი წმ. სიმეონ საკვირველ-მოქმედის მონასტრისა, ნიკონ მთაშაველი, თვის „ტაქტი-კონის“ მე-37 თავში.¹⁷³⁾ ნიკონის „ტაქტიკონი“ დაწერილი ყოფილა 1072—1088 წლებს შეა.¹⁷⁴⁾ და ეს გარემოება სრულიად ცადლ-ყოფს, რომ აღნიშნული თქმულება ანტიო-ქიაში მე-XI საუკუნეზე აღრე უნდა ყოფილიყო ცნობილი. მაშიაძე, კუიადაც გასაკვირი არაა, რომ ამ თქმულებით მე-X საუკუნის მცხოვრებს არსენ კათალიკოზსაც ესარგებდნოს.

ასეთია ცნობები, რომელნიც დღეს ხელთა გვაქვს აღნიშნულ საგნის შესახებ.

როგორც ვიცით, ბაზანტიიელ მწერალთაგან მხოლოდ თეოდორიტე აღნიშნავს, რომ, როცა კონსტანტინემ ქართველ მოციქულების მოსვლის მიზეზი გაიკო, ამოარჩია კაცი სარწმუნოებით შემკული და მღვდელმთავრის ხარისხით შემთ-სილი და ქართველებს მქადაგებლად გაუგზავნა. რუფინიკი

¹⁷²⁾ ქრონიკები I, გვ. 36. შეად. „ანალი ვარიანტი...“ გვ. XLIII—XLV.

¹⁷³⁾ ნახ. 1) Правосл. Пал. Сборникъ. т. VI, вып. 1: „Три статьи по русск. палестиновѣдѣнію“ Архим. Леонида. стр. 46—47.

¹⁷⁴⁾ იქვე გვ. 39.

საზოგადოთ შენიშნავს, რომ კონსტანტინემ სიამოვნებით აასრულა ქართველთა მეფის თხოვნათ, მაგრამ რაში მდგომარეობდა ეს „ისრულება“ ან სახელდობრ რა და რა ხარისხის მექონი სასულიერო პირები გამოგზანა მან საქართველოში, ამის შესახებ-კი არას ამბობს. ¹⁷⁵⁾ შედარებით უფრო ვრცელ ცნობებს იძლევა „მოქცევაშ ქართლისად“, რომლის თქმითაც კონსტანტინე იმპერატორმა ქართველებს ერთი ეპისკოპოსი, ორი მღვდელი და ერთი დიაკონი გამოუგზანა: „და მოსცა მეფემან — იოვანე ეპისკოპოსი და ორინი მღვდელნი და ერთი დიაკონი“. ¹⁷⁶⁾ ამასვე იმეორებს წმ. ნინოს „ცხოვრების“ ყველა ვარიანტები მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ერთი დიაკონის ნაცვლათ სამ დიაკონს აღნიშნავს, ¹⁷⁷⁾ — გარდა შატბერდისეული ვარიანტისა, რომელიც, ჩვეულებრივ, სასწაულთ-მოქმედებით გატაცებულია და საჭიროდ არა თვლის კონსტანტინესაგან მიღებულ ეპისკოპოსის სახელი და სამღვდელოების რაოდენობა გვიჩვენოს. ¹⁷⁸⁾

ახლა ვიკითხოთ: რანაირათ შეიძლება ქართულ და ანტიოქიურ წყაროთა შეთანხმება? პირველნი საბერძნეთიდან მოსულ ეპისკოპოსად იოანეს თვლიან, უკანასკნელნი-კი საქართველოში პირველი ეპისკოპოსის დაარსებას ანტიოქიის მღვდელთ-მოძღვარს ევსტატის მიაწერენ. რას ნიშნავს ეს? ნუ თუ ეს წინააღმდეგობა არ არის?

ამ ამბავს, ალბათ, წმ. ნინოს „ცხოვრების“ ერთი ვარიანტის რედაქტორიც ჩაუფიქრებია, და იგი ცდილობს ალნიშნული საკითხი შემდეგნაირათ აღსნას.

„ხოლო პირველიად ესე საცნაურ ვკოთ, რომელი ღირს არს ძიებისა, — ამბობს იგი, — რამეთუ ვითარება გვიპოვნიეს ბერძულთა წერილთაგან გარდმოღებული სულ მცირედ გა-

¹⁷⁵⁾ Источники по введ. хр. въ Грузии. стр. 11 и 6.

¹⁷⁶⁾ ქრონიკები I, გვ. 31.

¹⁷⁷⁾ შეად. საბინინის „საქართვ. სამოთხე“, გვ. 143; „ქ.-ცხოვრება“ I, გვ. 125; საეკლესიო მუშ. ხელნაწერი № 160, გვ. 123 და სხვანი.

¹⁷⁸⁾ „ახალი ვარიანტი...“, გვ. 50.

შოკლებული... წმიდისა ნინოს მოქცევად ქართველთა ნათე-
სავისა, კეშმარიტი და უკომელი თეოდორიტეს მიერ აღწე-
რილი, წარმოჩენილ არს წმიდათა მამათაგან, რამეთუ უკვე
თეოდორიტე მეფისა კონსტანტინესაგან წარმოვლენილსა ეპის-
კოპოსსა თვით ევსტათი ანტიოქელ პატრიარქსა იტყვის ქარ-
თლის განმარტვისათვის საღვთოთა სჯულითა და საქმეთა გა-
ნკვაბდისათვის! ხოლო აქა (ე. ი. წმ. ნინოს „ცხოვრებაში“-ო)
იმანეს იტყვის, და თუ ვითარ წინააღმდეგომ არს სიტყვად
სიტყვისა,— ფრიად საძიებელ არს. ესე უკვე უექვეველ არს,
რამეთუ თვით თავადი ევსტათი წარმოგზავნილ არს: თეოდო-
რიტე კეშმარიტი უწყოდა, ვინადგან იგიცა ანტიოქელი იყო;
გარნა ევსტათის გუერდით უექველად მაშინ იმანეცა ყოფილ
არს: ევსტათი იმისთვის, რათა მეფე და ყოველი ერი გზასა
ვიდრე— მე კეშმარიტისა დააცენებ და ასწაოს და განმართ-
ნეს სჯულნი საღვთონი, და, რაეამს დაამტკიცნეს, თვით
თავადი უკვე კვალად იქცეს თვისსავე მას საყდარსა; ხოლო
იმანე— რათა დაადგრეს და არა დაუტევნეს, ვითარცა ახალ-
ნერგნი და უსწავლელნი და საზრდელისა მტკიცისაგან ჯე-
რეთ უცხონი. “¹⁷⁹⁾

ასეთია ამ, ჩეენთვის უცნობის, პატიოსან მუშავის ჰი-
პოსტია, რომელიც თვით მას „უექველ“ კეშმარიტებად მია-
ჩნდა. რასაკვირველია, საჭირო არაა ამ პირის ვინაობის გარ-
კვევას გამოვუდევთ; ეს კი ცხადია, რომ იგი ეფრემ-მცირე
არ არის, რადგან, როგორც ჩანს, მას ეფრემის თარგმანით
უსარგებლნია, თუმცა სრულის სისწორით კი ვერა, თორებ
არც იტყოდა, ევსტათი ინტიოქელის გამოგზავნა საქართვე-
ლოში თეოდორიტეს მოთხრობილია: ეფრემ მცირე ამას არ
ამბობს, პირიქით ის ძლიერ ნათლათ აღნიშნავს, რომ ცნობა

¹⁷⁹⁾ საეკლესიო მუხეუმის ხელნაწერი № 160, გვ. 126—127.
მსგავსიერ შენიშვნა, როგორც პროფ. ა. ზახანაშვილი გადმოგვცემს, ჩუბი-
ნაშვილის ბიბლიოთეკის ერთ ხელნაწერშიაც ყოფილა მოთავსებული (ნაბ.
Источники по введ. хр. въ Грузии, стр. 46).

წმ. ნინოს სახელისა და ეპისკოპოსის კინაობის შესახებ „სხვათა წერილთა შინა პოვნილ არსო“.¹⁸⁰⁾

რა თქმა უნდა, აღნიშნული ჰიპოტეზა ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილებს. ევსტათი ანტიოქელი უბრალო პირი არ იყო. ასე რომ, უკეთუ კონსტანტინე იმპერატორის მინდობილობით მას მართლა ემგზავროს საქართველოში, ცხადია, ეს ამბავი არც ბაკურ-მეფეს (რომლის ყმაშვილობაშიაც ქართველთა მოქადაგი მოხდა) დარჩებოდა შეუნიშნავი და, უეპველია, რუფინსაც მოუკეებოდა. მართალია, იმ დროის ისტორიულ პირთაგან რუფინი მხოლოდ კონსტანტინეს იხსენიებს საკუთარი სახელით, ქართველთა მეფის, დედოფლის და თვით წმ. ნინოს სახელის შესახებ კი არას ამბობს, თუმცა ძლიერ საეკვთა მის მთხრობელს მეფე-ბაკურს ამათი სახელები არ ცოდნოდეს და რუფინისთვის არ ეთქვას, — მაგრამ ეს გარემოება, სხვათა შორის, რუფინის გულმავიწყობითაც შეგვიძლია ავხსნათ; შესაძლოა, როცა თავის „საეკლესიო ისტორიის“ აღწერას შეუდგა, მას გადაქრით აღარ ხსომებოდეს ქართველი მეფის და ქართველთა განმანათლებელ ტყვე-ქალის სახელი და, ამიტომ, ემჯობინებინოს, შეცდომის ასაშორებლად, სრულიათ აღარაფერი დაეწერა მათ საკუთარ სახელების შესახებ. მაგრამ ძნელია ანტიოქიის მამათ-მთავრის შესახებაც ესევე ითქვას: რუფინს მისი სახელი არ დაავიწყდებოდა; ხოლო არც ის შეგვიძლია ვიფიქროთ, ვითომც რუფინს ცოდნოდეს ევსტათის შესახები თქმულება და განვებ დაემალოს იგი: საამისოთ საქმაო საბუთი არ მოგვეპოება.

¹⁸⁰⁾ ამიტომ შეცდარად უნდა ჩათვალოს პატივცემულ პროფესორის აღ. ხახანაშვილის აზრი, ვითომც ევსტათი ანტიოქელის შესახებ თქმულებას ეფრემ მცირე თეოდორიტეს მოთხრობაზე ამცარებდეს (Историки по введ. хр. въ Грузии, стр. 45). როგორც თვით ეფრემი ამბობს, ამ საგნის შესახებ მას თეოდირიტეს ისტორიით კი არ უსარგებლნია, არამედ „სხვა წერილებით“, რომელიც ანტიოქიაში უპოვნია. ხოლო რომ ანტიოქიაში ამგვარი თქმულება ნამდეილათ ყოფილა, ეს ჩვენ უკვე დავინახეთ მიხეილ ბრევისა და ნიკონ მთაშაველის წერილებიდან.

ცხადია, მაშიასადამე, რომ ევსტათი ანტიოქელს საქართველოში არ უმოგზავრნია, ან უკეთ რომ ვთქვათ, ის მღვდელ-მთავარი, რომელიც ქართველებს იმა. კონსტანტინესა-გან მიუღიათ, ევსტათი ანტიოქელი არ ყოფილა. და ჩვენც ვეთანხმებით, რომ პირველი ეპისკოპოსი, რომელიც ქართველებმა საბერძნეთიდან მიიღეს, იყო ითანე. მიუხედავათ ამისა, მაინც გავდედავთ და ვიტყვით, რომ არა გვაქვს საკმაო საფუძველი, ანტიოქურ წყაროთა ზემორე აღნიშნული ოქმულება უფალგარა ისტორიულ სიმართლეს მოკლებულ ზღა-პრად აღვიაროთ და იმ მკვლევართ დავეთანხმოთ, რომელნიც ამ ტრადიციულ თქმულებაში ხედავენ „გამოძახილს“ (ΟΤΓΟ-ლიკი) მხოლოდ იმ ეპოქისას, რომელიც ქართველთა მოქცევის შემდეგ დაიწყო.¹⁸¹⁾ ჩვენ გვვნია, რომ აღნიშნულ ტრადიციულ თქმულებაში თავს ითარავს გამოძახილი არა მარტო იმ ეპოქისა, რომელიც ქართველთა მოქცევას მოდევდა, არამედ იმ ეპოქასაც, რომელსაც თვით ეს მოქცევა ეპუ-თვნის. ამას ჩვენ გვაფიქრებინებს შემდეგი საყურადღებო გა-რემოება.

როგორც უკვე მოვიხსენეთ, რუფინი და „მოქცევაა ქართლისაა“ ერთხმათ იღიარებენ, რომ პირველი სამღვდელოება ქართველებმა კონსტანტინესაგან მიიღესო. მაგრამ, რაში გამოიხატა თვით კონსტანტინე-იმპერატორის მონაწალეობა ამ საქმეში,—ამის შესახებ არც ერთი და არც მეორე წყარო არავითარ ცნობას არ იძლევა. ბევრს ვერაფერს უმა-ტებს ამ კითხვის გადაწყვეტის თეოდორიტე კირილის გაზია-დებული პერიფრაზი რუფინის მოთხრობისა; ამ პერიფრაზით, როცა იმპერატორმა ქართველი მოციქულების მისვლის მიზე-ზი შეიტყო, „ამჟარიშად კაცი შემკული სარწმუნოებითა“ და გამოგზანა საქართველოში მქადაგებლიდ.¹⁸²⁾ რა თქმა უნდა,

¹⁸¹⁾ „Можно установить съ нѣкоторымъ вѣроятіемъ, что въ традиціи о присылкѣ первого архіерея изъ Антиохіи слы-шатся отголоски эпохи, слѣдовавшей за крещеніемъ грузин-скаго народа“. Хахановъ, Источники... стр. 45.

¹⁸²⁾ იქვე გვ. 11.

ძნელი დასჯერებელია, ლეთისმოსავ იმპერატორს, რომელმაც
კრების ამ გარდაწყვეტილებას თავისი დასტური მიცა, მეორე
წელსვე დავიწყებოდეს იგი და ანტიოქიის მღვდელმთავრის-
თვის უძრალო ჩერვა მაინც არ ეკითხნოს ისეთს მაიმე
საქმეში, როგორიც იყო ახლად დანერგულის ქართველთა
ეკლესიის ორგანიზაციი და მის იერარქიულ მდგომა-
რეობის მოწესრიგება. არ ვფიქრობთ, საქართველოში პი-
რველ სამღვდელოების გამოგზავნა იმ პირის დაუკითხა-
ვათ მომხდარიყოს, რომლის კათედრის ეკლესიურ-იერა-
რქიული უბირადესობა აღმოსავლეთის პროვინციებში იმ
დროს ყოველ ექვს გარეშე უნდა ჩაითვალოს. მეტსაც
ვიტყოთ: შესაძლოა, იმპერატორმა კონსტანტინემ ქართ-
ველთა ეკლესიის მოწესრიგების საქმე სულაც ანტიოქიის
მღვდელმთავარს მიანდო, ხოლო ამ უკანასკნელმა ამთარჩია
მღვდელმთავარი ითანე, ორი მღვდელი, ერთი დიაკონი და,
იმპერატორის სახელით და თვისი ლოცვა-კურთხვით, მოცი-
ჭულებთან ერთად, საქართველოში წარმოგზანი. რა თქმა

Бертсонъ, Ист. Христ. Церкви. I, стр. 284. შედ. გვერდი 147).—
საუზრადდებოა თეით ანტიოქელთა შეხედულება მათი მამათმთავრის ტერი-
ტორიალურ უფლებებზე პირველ თოხ საუკუნის განმავლობაში: „Въ
то время во всей вселенной были только три патриарха: Антиохийский, Римский и Александрейский. Патриархъ Антио-
хийский вѣдалъ всѣ области Малой и великой Азии, которая
есть Anatolia=Востокъ, начиная отъ Скутари (предмѣстіе
Константинополя на Малоазійской сторонѣ) и всѣ къ востоку
мѣста около Бѣлага (Каспійскаго) моря до предѣловъ Востока,
и всѣ страны у Чернаго моря вокругъ его, а также и Йеру-
салимъ и окрестности его. Но впослѣдствіи..., послѣ второго
и третьего вселенского собора, Константинопольскій патрі-
архъ Анатолій, во время Четвертаго собора, принялъ отъ
антioхийскаго патріарха Максима всѣ области Азіи отъ Ску-
тари до Малатіи, хотя римскій папа Левъ и негодовалъ на
это укороченіе апостольскаго антиохийскаго престола...“ ба.
М. Брекъ, „Списокъ Антиохийскихъ патріарховъ“ въ Тр.
Кievsk. Дух. Академіи за 1874 г. т. II, стр. 361—362.

უნდა, ამინირს წარმოგზავნაზედაც შეეძლო ეგექვა „ქართლის მოქცევას“, რომ პირველი სამღვდელოება მირიან მეფეს კუნისტანტინე იმპერატორმა „მოსცაო“, რადგან სიტუცა „მოსცა“ ამ შემთხვევაში მხოლოდ იმის გამომხატველია, რომ აღნიშნულ საქმეში ინიციატივა იმპერატორს ეკუთვნოდა, როგორც მთელ იმ სახელმწიფოს თავსა და უზენაეს გამგეს, საღაც ანტიოქია და ომოსივლეთის სხვა ეკლესიები იმყოფებოდა.

ასე გვაქვს ჩვენ წარმოდგენილი ის რთული ეკლესიურ-ადმინისტრატიული კომბინაცია, რომელიც, ჩვენის ფიქრით, საქართველოში პირველი სამღვდელოების გამოგზავნას წინაურბოდა და რომელსაც „ქართლის მოქცევის“ ქრონიკა ჩვეულებრივის ლაკონიზმით გამოხატავს: „მოსცაო“. მართალია, ამ კომბინაციის შესახებ რუფინის მოთხრობა, — ეს უუძველესი პირველ-წყარო ჩვენი საეკლესიო ისტორიისა, — პირდაპირ არაფერს ამბობს, მაგრამ, როგორც უკვე შენიშნული გვაქვს, არც არაფერს ისეთს იძლევა, რაიც ამ კომბინაციის წინააღმდეგს ამტკიცებდეს, იგი მხოლოდ სდუმს ამ საქმის შესახებ, მაგრამ დუმილი ხომ ყოველთვის უარის ყოფის არ მოასწავებს. სამართლიანათ ფიქრობენ, რომ იმ დროს, როცა მცხოვრები მოინათლენ, რუფინის მთხრობელი ბაკური ძლიერ ახალგაზდა იყოო. ¹⁸⁴⁾ ჩვენის ანგარიშით იგი მაშინ 10 წლის მეტის ვერ იქნებოდა. ¹⁸⁵⁾ მართალია, ათი წლის ბავშვს შეეძლო დამახსოვრებოდა, მაგალითად, უცხო პირის მოსელი და მალე ისევ უკან გაბრუნება და მერე ისიც ისეთი გამოჩენილი

184) დ. ბაქრაძე: „ისტორია საქართველოსი“ გვ. 149.

185) ჩვენის ანგარიშით (ნახ. ზემოთ, თავი II), მირიან მეფე უნდა ახულიყო ტახტზე 298 წლის მახლობლათ, როდესაც იგი სულ ბევრი-ბევრი 25 წლის ვაჟაცი იქნებოდა († 361 წ.), ე. ი. სწარეთ იმ ასაკისა, როდესაც შესაძლო უნდა ყოფილიყო მას შეილი რევი (ბაკურის მამა) ყოლებოდა; ვთქვათ რევს ბაკური მიეკა 18 წლისას (298+18=316 წელს); 326—316=10 წელი, —ამ ხნის უნდა ყოფილიყო ბაკური, როდესაც საბერძნეთიდან საქართველოში პირველი სამღვდელოება შემოვიდა.

პირისა, როგორიც ევსტათი ანტიოქელი იყო, უკეთუ მას სა-
ქართველოში მართლა ემოგზავრნა; და თუნდ თვითონაც
არ დამახსოვრებოდა, უკველია, მოსწრებული პირები
მაინც გადასცემდენ, როცა იგი წამოიზრდებოდა. მაგრამ ეს-
ვე არ ითქმის ჩევნ-მიერ ზემოთ დასახელებულ კომბინაციის
შესახებ. ეს კომბინაცია იმდენათ როგორც ეკლესიურ-აღმინი-
სტრატიულს მოვლენას წარმოადგენს განვითარებულ სახელ-
მწიფოს ცხოვრებისას, რომ მისი ჯეროვანათ შეგნება და წარ-
მოდგენა არამც თუ 10 წლის ბაკურს, არამედ თვით ქარ-
თველთა მეფეს და მეფის კარზე მყოფ ქართველებსაც კი,
ვვონებთ, ძლიერ უნდა გაქირვებოდათ. არც ვვიქტორი, მა-
ინც და მაინც ვინმე შესულიყოს იმის გამოკითხვაში, თუ სა-
ხელდობრ რომელი კათედრისაგან იყო გამოგზავნილი ის
პირები ეპისკოპოსი, რომელიც ქართველებმა იმპერატორის
კონსტანტინეს სახელით მიიღეს: საქმაო იყო, რომ იგი კონ-
სტანტინეს ინიციატივით მოვიდა საქართველოში; ამაზე მე-
ტრის გაგება იმ ღრმას ქართველისთვის საჭირო არ იყო. და,
ალბათ, ამითი უნდა აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ რუფინს
ჩევნ მიერ აღნუსხულ კომბინაციის შესახებ არაფერი აქვს
შეტანილი თვის მოთხრობაში. ეს მით უშეტეს სარწმუნო
ხდება, რომ თვით ბაკურის მცირე ხნოვანს მეფობაში,
რომლისგანაც რუფინს ქართველთა მოქუევის ამბავი გაუგო-
ნია, მცხეთის კათედრა ერთმა იმ პირთაგანმა დაიჭირა, სახელ-
დობრ „იაკობ მღვდელმა“, რომელიც იოანესთან ერთათ
იყო მოსული საბერძნეთიდან,¹⁸⁶⁾ მაშასადამე, ახალი მღვდელ-
მთავრის მისაღებათ განმეორებით ანტიოქიაში წასვლა ბა-
კურის ღრმას საჭირო აღარ უნდა ყოფილიყო, რადგან იაკო-
ბი უკვე საქართველოში იმყოფებოდა, მის ეპისკოპოსად ხელ-
დასხმას კი მეზობელი ეპისკოპოსებიც შეასრულებდენ.¹⁸⁷⁾

¹⁸⁶⁾ ნახ. „მოქუევად ქართლისად“ (ქრონიკები I, გვ. 40).

¹⁸⁷⁾ პირველი მხოფლით კრების მე-4 კანონის თანახმათ, როცა საჭი-
როება მოითხოვდა ან „სიშორე“ გზისა ხელს უშლიდა, ეპისკოპოსის ხელ-
დასხმა (χειροτονίა) სამს მეზობელ ეპისკოპოსსაც შეეძლო; თვით ამ ხელ-

ასე ვხსნით და ასე გვესმის რუფინის დუმილი და „ქართლის მოქცევის“ ლაკონიზმი ქართველთა პირველი სამღვდელოების შესახებ. და ჩვენი პიპოტება ორ უმთავრეს აზრს შეიცავს: ა) კონსტანტინე იმპერატორის დროს და მისივე განკარგულებით საქართველოის ახლათ დანერგულმა ეკლესიამ სამღვდელოება ანტიოქიის კათედრისგან მიიღო; ბ) ამ ამბავს, სიტყვის სიმოკლის გულისთვის, უფრო კი, ვგონებთ, საკმარის მასალების უქონლობისა გამო, „ქართლის მოქცევის“ ავტორი ორი სიტყვით აღნიშნავს: „მოსცა მეფემან (კონსტანტინემ),“ ხოლო რუფინი, ზემოთ დასახელებულ მიზეზის გამო, ამავე ამბავს დუმილით ატარებს.

უკანასკნელი აზრის განმარტვას ჩვენ აღარ დავუბრუნდებით, რადგან ამის შესახებ, რაცა ვთქვით, ვგონებთ, ისიც უნდა კმარიყოს; ხოლო, რაც შეეხება პირველ აზრს, არ შეგვიძლია იქიდან ის დასკვნა არ გამოვიტანოთ, რომელიც თავისთავათაც გამომდინარებს, სახელდობრ: უკეთუ პირველი სამღვდელოება საქართველოს ეკლესიამ ანტიოქიიდან მიიღო, ცხადია, ეს ეკლესია იმ თავითვე ანტიოქიის კათედრის ხელმძღვანელობის ქვეშ შესულა, ან უკეთ რომ ვთქვათ, მასზე დამოკიდებული გამხდარა, რადგან, მეორე მსოფლიო კრების მეორე კანონის თქმით, ძველ დროში უცხო ტომთა ეკლესიების უზენაესი მართვა-გამგეობა იმ საეკლესიო „ჩვეულებით“ განისაზღვრებოდა, რომლის ძალითაც ყოველ ახლათ დანერგულ ეკლესის ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა იმ უფროს ეკლესიის კუთვნილებას შეადგენდა, რომელსაც პირველიდანვე სამღვდელოება და მქადაგებლები ყავდა იქ გაგზანილი.¹⁸⁸⁾ უმჭველია, ამას შემდეგ ანტიოქიის ეკლე-

დასხმის დამტკიცება კი მთელი ოლქის უმაღლესი გამგის (მიტროპოლიტის ანუ „პატრიარქის“) საქმე იყო. ნაბ. Правила св. вселенскихъ соборовъ съ толков. ч. I. Москва. 1877 г., стр. 14—15.

¹⁸⁸⁾ „Церкви же Божии у иноплеменныхъ народовъ должныствуютъ быти правими, по соблюдавшемуся до нынѣ обыкновенію отцовъ“. II-го всел. соб. 2-ое прав. баѣ. Прав. всел.

სიაც ეცდებოდა ახლათ შეძენილი საწყისო ხელიდან აღარ
გაეშვა ან სხვა რომლისამე კათედრისთვის არ დაეთმო. მარ-
თლაც, ვხედავთ, რომ ანტონქის პატრიარქი დღემდე ამნა-
ირს ტიტულს ატარებს: „უუნეტარესი, უულვალებრივესი და
უუწმინდესი პატრიარქი დიდისა საღვთო ქალაქისა ანტონ-
ქისა, სირიისა, არაბეგისა, კალიკისა, ბერაასა, მესოპოტა-
მისა და სარულიად აღმოსავლეთისა, მწყემსი მწყემსთა, მე-
ცამეტე მოცავულთა შორის, უფალი და მეუფე“.¹⁸⁹⁾ რა
თქმა უნდა, ანტონქის კათედრას ამ ტიტულში მოხსენებულ
ტერიტორიიდან დღეს მესამედიც აღარა აქვს შეჩერენი-
ლი, მაგრამ ეს მომასწავებელია მხოლოდ იმისი, რომ ერთ
დროს დიდებულ ანტონქის, შემდეგში, დროთა ვითარების
გამო, პოლიტიკურ შესუსტებასთან ერთათ, ეკლესიური უფ-
ლებანიც თანდათან შესუსტებია და ჩამოცულია. ჩვენ უკვე
შემთხვევა გვქონდა იმისი ნიმუში მოგვეტანა, თუ როგორ
უცქერის თვით ანტონქის ეკლესია თვის საკუთარულებელებს
ტერიტორიალურ უფლებათა სივრცეს და როგორა ხსნის იგი
ამ უფლებათა თანდათანს შევცირებას. მიხეილ ბრეჯის „სით“,
ეს პროცესი მაშინ გაძლიერებულა, როცა საში მსოფლიო
პატრიარქს გვერდში მეოთხე მსოფლიო ეპისკოპოსიც ამოდ-
გომია, სახლდობრ ეპისკოპოსი „ახალის რომისა“, ანუ კო-
ნსტანტინოპოლისა. ამ დროს ანტონქის პატრიარქს დაუკარ-
გავს მთელი მცირე აზია („отъ Скутары до Малатии“), თუმცა
რომის პაპი ამისი წინააღმდევი ყოფილა.¹⁹⁰⁾ და მართლაც,

соборовъ съ толков. ч. I, стр. 84.—аმ კანონის სრული განმარტება
იხ. *Архим. Иоанна*: „Опить Курса церковнаго законовъдѣнія“.
Спб. 1851 г. ч. I, стр. 500. ავორის განმარტებით, „უხუცესი
ეკლესიები ახლათ დანერგილ ეკლესიებს უგზავნიდენ მღვდლებს, ეპისკო-
პოსებს, მედაგებლებს და არჩევდენ მათ საქმეებს“.

¹⁸⁹⁾ А. П. Лебедевъ, Кратк. свѣдѣнія объ Александр.,
Антюх. и Иерусалимскомъ патріархатахъ („Богословск.
Вѣстн.“ за 1901 г. февраль. стр. 224).

¹⁹⁰⁾ Тр. Киевск. Дух. Акад. за 1874 г. т. II, стр. 362.



შსოფლიო კრებათა კანონებში შემდევს თანდათანობას ვამჩნევთ: პირველი მსოფლიო კრება (325 წ., როცა კონსტანტინოპოლი ჯერ აუშენებელი იყო) ანტიოქიის კათედრის უპირატესობას რომის და ოლექსანდრიის ეპისკოპოზებთან ერთად ოღიარებს;¹⁹¹⁾ მეორე მსოფლიო კრებამ კი (331 წ.) ცალკე საეკლესიო ერთეულებად გამოაცხადა შემდევი პროვინციალური ეკლესიებიც: ასიისა, პონტიისა და თრაკიისა,¹⁹²⁾ რომელნიც მეოთხე მსოფლიო კრების მე-28 კანონის ძალით კონსტანტინოპოლის კათედრის ხელქვეითნი შეიქნენ.¹⁹³⁾ ასე დასრულდა იმ ისტორიულ პროცესის მსვლელობა, რომელმაც კონსტანტინოპოლის მღვდელმთავარი მსოფლიო პატრიარქის უფლებებით შემოსა, დანარჩენს აღმოსავლეთის პატრიარქებს კი შედარებით უფრო მცირე მნიშვნელობა არგუნა და ძველ ტერიტორიალურ უფლებათაგან ყველაზე უფრო მეტი ანტიოქიის კათედრარის ჩამოაცალა. კონსტანტინოპოლის კათედრის აღნიშნულს ამაღლებას მსოფლიო კრებათა მამანი იმ მოსაზრებით ასაბუთებდენ, რომ კონსტანტინოპოლი პოლიტიკურათ „ახალი რომის“ და, ამის გამო, საეკლესიო საქმეებშიც ძველი რომის მსგავსათ უნდა განდიდებულ იქნასო.¹⁹⁴⁾ ერთი სიტყვით, კონსტანტინოპოლის დაარსების შემდევ საეკლესიო ცხოვრებამ შემდევი ტენდენცია მიიღო: შემცირება სხვა ეკლესიათა ტერიტორიალურ და საპატიო უფლებებისა კონსტანტინოპოლის კათედრის სასარგებლოდ. სამართლიანათ შენიშნავს ჭეშმს რობერტსონი, რომ კონსტანტინოპოლის კათედრას ჯერ კიდევ ფორმალურათ მიუღებელი ქონდა განსაკუთრებული საეკლესიო უპირატესობანი, როცა ანტიოქიის დიდი საპატიო კათედრიდან ეკლოქსი ეპისკოპოსის კონსტანტინოპოლში გადაყვანა მისთვის

¹⁹¹⁾ I კრებ. მე-6 კანონი. Прав. всел. соб. съ толк. ч. I, стр. 23.

¹⁹²⁾ II კრებ. მე-2 კანონი. იქვე გვ. 83.

¹⁹³⁾ იქვე გვ. 243—244.

¹⁹⁴⁾ იქვე გვ. 244.

ამაღლებად ითვლებოდა. ¹⁹⁵⁾ ცხადია, ამ ტენდენციის ძალას ანტიოქიის ეკლესია ვერც საქართველოს ეკლესიის შესახებ აცდებოდა, მით უმეტეს, რომ, როგორც ქართულ წყაროებიდან ჩანს, ქართველი მეფეები წმინდა საეკლესიო საქვების შესახებაც კი იმპერატორების დაუკითხავთ არას აკეთებდენ. ¹⁹⁶⁾ რა თქმა უნდა, ამ გვარ პირობებში, ანტიოქიის კათედრას თუ სურდა ივერიის ეკლესია შეენარჩუნებია, გაცილებით უფრო თვალსაჩინო და კონკრეტული საბუთი უნდა წარმოედგინა თვისი უფლებების დასაცველად ქართველთა ეკლესიის შესახებ, ვინემ ის მკრთალი ისტორიული გარდამოცემა, რომ პირველი ეპისკოპოსის წარგზავნა საქართველოში იმპერატორმა კონსტანტინემ ანტიოქიის პატრიარქს მიანდოო. წერილობითი საბუთები ამის შესახებ, შეიძლება არ მოიპოვოდა, ზეპირ გაღმოცემა კი მაშინდელ პირობებში ვერავის დააჯერებდა,— და, იი, ჩვენ ვხედავთ, რომ ანტიოქიის მწერლობაში თავს იჩენს თქმულება, რომელიც გადაჭრით ამბობს, რომ საქართველოს აბლაც-დანერგულ ეკლესიის ადგილობრივ განმტკიცება და პირველი სამღვდელოების გამწერება ევსტათი ანტიოქელს ეკუთვნისო; მან საკუთარ ფეხით მოიარა საქართველო, აკურთხა პირველი მღვდელმთავარი და „საღვთო კანონად დაუწესა ანტიოქიის პატრიარქის ხელ-ქვეშ ყოფილიყომ“. ¹⁹⁷⁾ ეს თქმულება, შემდეგ, ქართულათაც ითარებინა და ქართულ წყაროებში შემოვიდა.

ასე გვესმის ჩვენ ამ თქმულების ისტორიული მნიშვნელობა, დედა-აზრი და თანდათანი განვითარება. ამნაირათ გაგებული, აღნიშვნული თქმულება სავსებით ეთანხმება და ამართლებს იმ ჰიპოტეზას, რომ საქართველოს ეკლესია თავი-

195) Дж. Робертсон, Ист. Хр. Церкви. т. I, стр. 284—285. ევდოქსი ანტიოქიიდან კონსტანტინოპოლში 360 წელს გადაიყვანეს.

196) მაგალით., ვანტანგ გორგასლანი კათალიკოზობის შესახებ. „ქრონიკები“ I, გვ. 48—49. შეად. „ქართლ.-უხოვრ.“ I, გვ. 203.

197) ნაბ. ნიკონ მთაშველის წერილი. Прав. Палест. Сборникъ. т. VI, вып. 1. стр. 47.

დანვე (ე. ი. 326 წლიდან) ანტიოქიის კათედრის უზენაეს გამგეობისა და ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფებოდა. მაგრამ, თუ გვსურს ჩვენს ჰიპოტეზას შესაფერი ძალა მოუპოვოთ, საჭიროა, ის შეხედულებანი განვიხილოთ, რომელნიც ერთხმათ აღიარებენ, რომ თავდაპირველათ საქართველოს ეკლესია ანტიოქიის კათედრას არ ექვემდებარებოდა.

აღნიშნული შეხედულება ყველაზე უწინ დგ-კიენს (Le-Qien) აქვს გამოთქმული. იგი ამბობს: ანტიოქიაშ იბერია მხოლოდ შემდეგში მიითვისა, პირველიდან კი იგი პონტის სამიტროპოლიტოს ეკუთვნოდა. ამ აზრს ლე-კიენი ამყარებს ვინმე ნია-დოქტერ პატრიუსის (XI საუკუნ.) პიპოტეტიურ თქმულებაზე, რომელსაც იგი ამნაირათ გადმოგვცემს: ერთ თვის თხზულებაში ნილ დოქტერატრუსის ჰგონებს, რომ იბერია უუძველეს დროში ამაზია-ჭედენიაზონტის სამიტროპოლიტოს ექვემდებარებოდა.¹⁹⁸⁾ მაგრამ განა დასაჯერებელია ეს ჰიპოტეზა? ჩვენ უკვე ვიცით, რომ მე-II მსოფლიო კრებაშ პონტის სამიტროპოლიტო დამოუკიდებელ ეკლესიად აღიარა და სასტიკი კანონი დაადო მათ, ვინც გაბედავდა და სხვის სამწყსოში თვისი უფლების გავრცელებას მოისურვებდა. მე-I¹⁹⁹⁾ მსოფლიო კრებაშ კი პონტის დიოცეზი პირდაპირ კონსტანტინოპოლის კათედრას დაუქვემდებარა. საზოგადო ტენდენციაც ისეთი იყო, რომ რაიმე-ნაირათ გავლენიან კათედრების მნიშვნელობა დამცირებულ-იყო კონსტანტინოპოლის კათედრის სასარგებლოდ. მაშ რაღა საფუძვლის ძალით შეგვიძლია ვიფიქროთ, ვითომც იბერია თავდაპირველათ პონტის სამიტროპოლიტოს კუთხებიდეს, ხოლო როცა ეს უკანასკნელი კონსტანტინოპოლის კათედრას მიათვალეს, იბერია ანტიოქიის კათედრას მიეთვი-

¹⁹⁸⁾ Le-Qien: Oriens Christianus. t. I. Parisiis. 1740 წ. სერელი 1335, მუხლი V: „Nil Doxapatrius in Notitia sua Graeca Iberiam prisca aetate Amaseae Helenoponti metropoli obnoxiam fuisse ponit“.

სებიოს?!... ერთ დროს კიბრის კუნძულის ეკლესიას ანტიო-
ქია თავის სამწევოდ თვლიდა.¹⁹⁹⁾ მე-III მსოფლიო კრების წინ
(431 წ.) ანტიოქიის პატრიარქმა კიბრის ეპისკოპოსი ხელ-
დასხა; ამ ამბავმა მსოფლიო კრებამდის მიაღწია, და ამ უკა-
ნასკნელმა ისე დიდ ცოდვად ჩაუთვალი ანტიოქიის პატრიარქს
ეს საქციელი, რომ კიბრის ეკლესია სრულიათ დამოუკიდე-
ბელ ეკლესიად აღიარა, სხვათა შორის, მი მოსაზრების ძა-
ლით, რომ „არ ყოფილი ძველი ჩვეულება, რომლითაც ან-
ტიოქიის პატრიარქს ნება ჰქონოდეს კიბრის ეკლესიაში ხელ-
დასხმანი ესრულებინაო“.²⁰⁰⁾ ამისთანა მაგალითებს შემდეგ
ნუ თუ შესაძლოა, ნილ-დოქტა-პატრიუსის ჰიბროტეტიურ აზ-
რზე დაფუძნებული, ლე-კიენის ჰიბროტეზა მივიღოთ და ის
ქართულ-ანტიოქური ტრადიციული ჩრდენა უარვყოთ, რო-
მელიც საქართველოში პარველ საკლესიო იერარქიის დაფუძ-
ნებას ანტიოქიის ეკლესიას მიაწერს?!...

ლე-კიენის შეცომა, მხოლოდ თავისებურათ გადაკეთე-
ბული, სწორა 100 წლის შემდეგ გაიმეორა ჩვენმა ისტორი-
რიკოსმა პლ. იოსელიანმა. მისი აზრით: „То несомненно,
что Грузинская церковь въ началѣ стояла въ зависимости отъ
Патріарха Константинопольского“) а потомъ вскорѣ при-
соединено къ престолу *Антиохийскому*, можетъ быть изъ-
уваженія къ Патріарху Евстаѳію, коему принадлежитъ слава
утвержденія сей церкви и рукоположенія ей архиепископа“.²⁰¹⁾ მაგრამ აյ თრი რამ გვაიცედს: თუ შართლა საქარ-
თველოს ეკლესიის განმტკიცება და პირველი ეპისკოპოსის

¹⁹⁹⁾ ნახ. ბრევის „სია“. Тр. Кіевск. Д. Ак. за 1874 г. ч. II,
стр. 362.

²⁰⁰⁾ Прав. всел. соб. съ толков. ч. I, стр. 130—136.

^{*}) ამ აზრს პლ. იოსელიანი ჩვენ მიერ ზემოთ (ნახ. შენიშვნ. 198)
ამოწერილ ნილ დოქტაპატრიუსის სიტყვებზე ამყარებს, თუმცა, როგორც
ვიცით, ნილ დოქტაპატრიუსს კონსტანტინოპოლის სიტყვაც არა აქვს
ნათქვამი.

²⁰¹⁾ Кр. Ист. Груз. Церкви. Сиб. 1843 г. стр. 143.



კურთხევა ევსტათი ანტიოქელს ეკუთნოდა,—მაშ როგორლა მომხდარა, რომ თავდაპირველათ ეს ეკლესია იმავე პატრიარქისათვის კი არ დაუქვემდებარებიათ, არამედ სულ სხვა კათედრისა და სხვა მამათმთავრისათვის? „მამათა ჩვეულება“ ხომ იმას მოითხოვდა, რომ საქართველოს ეკლესია იმ კათედრის დამორჩილებოდა, რომლისგანაც პირველი მქადაგებლები და სამღვდელოება ჰყავდა მიღებული?... მეორე მხრით, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ, თვით პლ. იოსელიანის ანგარიშით, ქართველთა მოქცევა 318 წელს მოხდა, ე. ი. ისეთს დროს. როდესაც არამც თუ „კონსტანტინოპოლის პატრიარქი“ არ არსებობდა, არამედ თვით კონსტანტინოპოლის ხსენებაც არსად იყო. მაშ როგორლა შეიძლებოდა ივერთა ეკლესია იმ თავითვე „ეჭინისტანტინოპოლის პატრიარქის“ დაქვემდებარებოდა?! ამას გარდა სიტყვა „ვეკორნ“ ათზე ან თხუთმეტს წელზე მეტს ხომ არ უნდა ნიშნავდეს;²⁰²⁾ მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ 318-წლიდან არამც თუ 15-მა, არამედ თითქმის ცხრაჯერ თხუთმეტმა წელმაც განვლო, სანამ პონტის დიოცეზი, — რომელშიაც ნილ დოქსაპატრიუსის ამაზაა ჸელენოპოლის კათედრა იმყოფებოდა, — კონსტანტინოპოლის კათედრას დაექვემდებარებოდა (451 წელს მე-IV მსოფლიო კრების დროს); პლ. იოსელიანი კი, როგორც შევნიშნეთ, სწორეთ ნილ დოქსაპატრიუსის პიპოტეტიურ აზრზე ამყარებს თავის „ეკვედოს“ დასკვნას, თუმცა ჩვენთვის კი აქ ყველა-ფერი საეჭვად და გაუგებარი.

დიდი ხანი არ არის, რაც პლ. იოსელიანის შეცდომა ბ—ნმა ა. ნატროშვილმა გაიმეორა,²⁰³⁾ თუმცა იმ აზრის და-

²⁰²⁾ არ უნდა დავივიწყოთ რომ 330 წლის მახლობლათ, არიაზის მომხრე პარტიის ჩაგონებით, იმპერატორმა კონსტანტინემ ევსტათი ანტიოქელი კათედრიდან ექსორია-ყო (Robertocon, Ист. Хр. Церкв. I, стр. 194—195); მაშასადმე, ძლიერ საეჭვად, საქართველოს ეკლესიის ანტიოქიის კათედრისადმი დაქვემდებარება იმ მოტივით, რომელსაც პლ. იოსელიანი უჩვენებს, 330 წლის შემდეგ მომხდარიყოს.

²⁰³⁾ A. Natroshvili: Мцхета и его соборъ Свети-Цховели. Тифлисъ. 1900 г. стр. 437.

სამტკიცებლად, რომ საქართველოს ეკლესია თავდაპირველათ „კონსტანტინოპოლის პატრიარქზე“ იყო დამოკიდებული პატივცემულ მკლევარს არავითარი საბუთი არ აქვს ნაჩვენები. სამაგიეროთ, საქართველოს ეკლესიის ანტიოქიის კათედრის ხელ-ქვეშ გადასვლის მიზეზად იგიც სწორეთ იმავე ტრადიციულ თქმულებას თვლის, რომელსაც პლ. იოსელიანი ემყარება და რომელიც ბ-ნ ა. ნატროშვილს, როგორც უკვე ნათქვამი გვაქვს, „მტკიცეთ დადგენილ ისტორიულ ცნობად“ მიაჩნია (ნახ. ზემოთ შენიშვნა 168). ამასთანავე იგი ერთ ახალს აზრისაც იძლევა, სახელდომრი: იგი გადაჭრით ამბობს, რომ 381 წელს, მე-II მსოფლიო კრების გარდაწყვეტილებით, საქართველოს ეკლესია ანტიოქიის საპატრიოქოში ჩაირიცხაო. სამწუხაროთ, ეს უკანასკნელი დეტალური ცნობაც სრულიათ დაუსაბუთებელადაა მოყვანილი. არ არის ნაჩვენები არც წყარო, საიდანაც ეს ცნობა ამოღებულია, და არც ერთი დადგენილება გინდ აქტი მეორე მსოფლიო კრებისა, სადაც ამ საგანზე იყოს რამე ნათქვამი. და ეს არც გასაკვირია, რადგან მე-II მსოფლიო კრების აქტებში და კანონებში საქართველოს ეკლესიის შესახებ ერთი სიტყვაც არაა მოხსენებული. ²⁰⁴⁾ ერთი სიტყვით, ბ-ნ ა. ნატროშვილის აზრი წარმოადგენს მკირეოლნათ შეცვლილს, მაგრამ სრულიათ ფრთებ-ჩამოგლეჯილს განმეორებას ლეკიენის და პლ. იოსელიანის შეხედულებისას. ამიტომ, რაც ამ უკანასკნელის წინააღმდეგ გვაქვს ნათქვამი, იგივე უნდა ითქვას პირველის წინააღმდეგაც.

ლე-კიენის და პლ. იოსელიანის შეცდომას იმეორებდა ერთ ღროს აკადემიკოსი ბროსეც. მისი აზრით, საქართველოს ეკლესია თავდაპირველათ „თრაკიის დიოცეზს“ ექვემდებარებოდა, რადგან პირველ ხანად კონსტანტინოპოლის (ქალაქ ბიზანტიის) მღვდელმთავარიც ჰერაკლიის კათედრაზე იყო

²⁰⁴⁾ შეადარე: Дѣянія вселенскихъ соборовъ. т. I. და Правила всел. соборовъ съ толкованіями ч. I. стр. 77—113.



მიწერილი. ხოლო, როცა მე-IV საუკუნეში კონსტანტინო-
პოლის პატრიარქმა მცირე აზიაში და თრაკიაში ტერიტო-
რიალური უფლებანი მოიპოვა, საქართველოს ეკლესიაც
კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში უნდა შესულიყო. ²⁰⁵⁾
საზოგადო დასკვნა კი, რომელიც აქედან გამომდანარებს,
ერთია: შე-V საუკუნის მეორე ნახევრამდეს საქართველოს
ეკიდუსია ჩატიოქიას პატრიარქას ხელში არ ეღვილა. მაგრამ
სწორეთ იმავე შრომის მეორე ნაწილში, სადაც ზემოთ
აღნიშნული აზრია გამოთქმული, ჩვენ ვპოებთ ადგილს,
რომელიც ძირიანათ უარყოფს ამ აზრს და სავსებით ამარ-
თლებს იმ მოსაზრებას, რომ საქართველოს ეკლესია პირვე-
ლიდანვე ანტიოქიის კათედრას ჩქვემდებარებოდა. აი ეს
ადგილი: „კათალიკოზობის დაარსება საქართველოში ეკუთ-
ვნის იმ დროს, როდესაც ვახტანგ-გორგასლანი ინდოეთის
ომებიდან დაბრუნდა, ე. ი. ვახუშტის ქრონილოგით, 473
წელს ქ. შობ. შემდეგ. ამ დრომდის კი, საეკლესიო მხრით,
საქართველოს უბრალო მღვდელმთავარი განაგებდა, რო-
მელსაც, ჩვეულებრივ, ანტიოქიის პატრიარქი ხელდასხმიდა
და გზავნიდა ხოლმე, როგორც ეს, სხვათა შორის, იმ ათი
ეპისკოპოსის სირიული სახელებით მტკიცდება, რომელთა
სიაც ჩვენ ხელთა გვაქესო“. ²⁰⁶⁾ ასეთია საბოლოო შეხედულება
პატივცემულ აკადემიკოსისა აღნიშნულ საგნის შესახებ.
აქედან გამომდინარი დასკვნაც ერთია, სახელდობრი ის, რომ
შე-V საუკუნის მეორე ნახევრამდის საქართველოს ეკიდუსია ანტიო-
ქიის პატრიარქას ხელშეკეთ უფლება. ჩანს, რვა წლის განმავ-
ალობაში (1849—1857 წწ.) მოუსყიდველ მკვლევარის აზრს
შესამჩნევი ცვლილება მიუღია, სხვათა შორის იმ ფილოლო-
გიურ მოსაზრების ძალით, რომ ჩვენი პირველი მღვდელ-

²⁰⁵⁾ Brosset, Hist. de la Géorgie. I. Spb. 1849 წ. 83. 192,

შენ. 1.

²⁰⁶⁾ გილეჯ: Hist. de la Géorgie. ნაწ. II. Spb. 1857 წ. წიგნი
2, გვ. 432.



მთავრები თითქმის უკელანი სირიულ სახელებს ატარებდენ.*)

საქმიათ ორიგინალურ შეერთებას ლეკიენ-პლატონ-იესელიძის და ბროსეს უკანასკნელი შეხედულებებისას წარმოადგენს მამა კალ. ცინცაძის შეხედულება. იგი ამბობს: საქართველოს მღვდელმთავარი თავდაპირველათ „პონტის მიტროპოლიტს ექვემდებარებოდა, ხოლო ამ უკანასკნელის საშუალებით — ანტიოქიის პატრიარქსათ“. ²⁰⁷⁾ და ჩვენც არა ვიტყოდით ამ შეხედულების წინააღმდეგ, უკეთუ საბუთი, რომელზედაც ავტორს ის აზრი აქვს დამყარებული, ვითომც საქართველოს ეკლესია თავდაპირველათ პონტის შიტრთ-ჰოლიტზე ყოფილიყოს დამოკიდებული, ფრიად საეჭვო ღირ-სების ცნობას არ წარმოადგენდეს. ეს ცნობაა მე-II მსოფლიო კრების აქტების ის ადგილი, სადაც სხვა ეპისკოპოსთა სიაში მოქცეულია აგრეთვე „პონტიფიც იმპერიასა — პონტის ოლქი-დან“. ²⁰⁸⁾ ჩვენ შემთხვევა გვექნება სხვა ადგილის დაწვრილებით განვიხილოთ ეს „ცნობა“ და თვით მსოფლიო კრებათა აქტებშივე ვუჩვენთ საბუთები, საიდანაც მკითხვნლით თვითონ-ვე დაინახავს, რომ მე-II მსოფლიო კრების აქტებში დასახელებული „სამ-სახელიანი“ მღვდელმთავარი „პონტიფიც-პან-სოფი-პასიფილი“ იყო ეპისკოპოსი არა ივერიასა-ქართლისა, არამედ მცირე აზიაში მდებარე იმ პატარა ქალაქის იმორასი (Ivora), რომელიც იმავე „მსოფლიო კრებათა აქტებში“ ხან იმორად იწოდება, ხან — იმპერიად, ხან — იმპერიად, ზოგან კი —

*) აი ეს სახელები: იოვანე, იაკობ, იოაბი, ელია, სიმეონ, იონა, იოანე, გრიგოლ (გიორგი), ბასილი, მობიდაგე, მიქელ. ნახ. მღვდ. პ. კარბელაშვილის მიერ შედგენილი „სია მცხეთის კათალიკოზებისა“. შეადარ. *A. Натроевъ*, Мцхетъ и его Соборъ... стр. 451—452. თვით ბროსეს კი, ვვონებთ, პლ. იოსელიანის სია უნდა ქანებოდეს სახეში. ნახ. Кр. Ист. Груз. Церкви. стр. 149—150, სადაც პეტრე კათალიკოზამდის მართლაც მარტო 10 მღვდელმთავარია ნაჩენები.

²⁰⁷⁾ ნახ. „Пастырь“ 1894 г. № 19—20, стр. 8—9.

²⁰⁸⁾ შეად. Дѣянія вселенскихъ соборовъ. т. I стр. 281.



იმერად, იმერიად და სხვ.²⁰⁹⁾ — ესეც რომ არ იყოს, ძნელი და-
საჯერებელია, საქართველოს ეკლესია თავდაპირველათ პონტიის
მიტროპოლიტის ხელში ყოფილიყოს, ხოლო, როცა ეს უკა-
ნასკნელი სამუდამოთ კონსტანტინოპოლის კათედრას დაუქვე-
მდებარდა, საქართველოს ეკლესია ანტიოქიის პატრიარქის
ხელში გადასულიყოს. ავტორი კი თვითონაც არ უარ-ყოფს,
რომ ვახტანგ გორგასლანის მეფობის უკანასკნელ წლებში სა-
ქართველოს ეკლესია საბოლოოთ ანტიოქიის პატრიარქს და-
ექვემდებარა.²¹⁰⁾

ამ რიგათ, ჩვენ განვიხილეთ ხუთი სხვა და სხვა ავტო-
რის შეხედულება საქართველოს ეკლესიის პირვენდელ ივ-
რარქიულ მდგრმარეობის შესახებ,— და ყველგან იმ აზრს
შევხვდით, რომ, თუმცა საქართველოს ეკლესია თავდაპირვე-
ლათ მცირე აზიის ერთ-ერთ სამიტროპოლიტოთაგანს ეკუთვ-
ნოდა, მაგრამ საბოლოოთ კი ანტიოქიის პატრიარქის ხელ-
ში გადავიდათ. თვით პატივცემული პროფესორი აღ. ხახანა-
შვილიც კი, რომლის აზრითაც საქართველოში ევსტათი ან-
ტიოქელის მოგზაურობის შესახები თქმულება მხოლოდ გვი-
ანდელი ეპოქის გამოძახილს წარმოადგენს, არ უარყოფს იმ
ფაქტს, რომ მე-IV საუკუნის დამლევს, კათალიკოზობის და-
არსების დროს, საქართველო ანტიოქიის პატრიარქს ექვემდე-
ბარებოდა.²¹¹⁾ ერთი სიტყვით, ყველანი ერთხმათ აღიარებენ
იმ ფაქტს, რომ იმ დროს, როცა აღმოსსვლეთის ეკლესიათა
შორის კონსტანტინოპოლის კათედრის „ვანდიდებამ“ უუმაღ-
ლეს წერტილამდის მიაღწია (მე-IV საუკუნეში), საქართველოს
ეკლესია ანტიოქიის პატრიარქის სამწყროს შეადგენდა. მაგ-
რამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ კონსტანტინოპოლის კათედრის
განდიდება უკვე მე-IV იაუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო.

²⁰⁹⁾ ნახ. მაგალ., იქვე თ. III, стр. 132, 636, 658; თ. IV, стр. 117, 144, 349.

²¹⁰⁾ Пастырь за 1894 г. № 19—20, стр. 9—10. შეად. № 23—24, стр. 7—8.

²¹¹⁾ Источники по введ. хр. въ Грузии. стр. 45.



ახლა ვიკიოთხოთ: უკეთუ საქართველოს ეკლესია იმ თავისთვის ანტიოქიის ხელში არ ყოფილიყო, ნუ თუ შესაძლო იქნებოდა იგი მაშინ დაქვემდებარებოდა ანტიოქიას, როცა კონსტანტინოპოლის თვით დამოუკიდებელი პონტის, ასიის და ორაკიის სამიტროპოლიტოებიც კი თავის საკუთრებად აღიარა? არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ 387 წლიდან, ცნობილ აჯანყების შემდეგ,²¹²⁾ ანტიოქიამ იმპერატორების რწმენა დაკარგა და ძლიერ საეჭვო პუნქტი შეიქნა. ამას გარდა, ანტიოქიის საპატრიიარქო ბიზანტიის სასტრიკ მოქმედის, სპარსეთის, მოსამზღვრედ მდებარეობდა, რაც კიდევ უფრო საეჭვოდ ხდიდა მას იმპერატორების თვალში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ახალ სარწმუნოებას სპარსეთმა დევნა დაუწყოდა ბიზანტიისთვის ომები გამართა (363 წლიდან). ცნადია, მაშასადამე, ამ წლებს შემდეგ ბიზანტიის იმპერატორები ანტიოქიას კონსტანტინოპოლიზე მაღლა არ დააყენებდნენ და თავის სავასალო საქართველოს ანტიოქიის პატრიიარქს არ დაუქვემდებარებდნენ. და უკეთუ, მიუხედავთ ამისა, ჩვენ მანც ვხედავთ, რომ მე-IV საუკუნეში და შემდეგ საქართველოს ეკლესია ანტიოქიის ხელქვეშ იმყოფება, ჩანს, ეს დახელქვეითება 330 წელზე ადრე მომხდარა, ე. ი. იმ წელზე, როცა კონსტანტინოპოლი კუტოხეს და სატახტო ქალაქად გამოაცხადეს, და როდესაც, მეორე მხრით, ევსტათი ანტიოქელის დამცირების ხანა დაიწყო.*)

ვვონებთ, ყოველივე ზემოთ თქმული საკმაო უნდა იყოს იმ აზრის დასამტკაცებლათ, რომ ევსტათი ანტიოქელის მოვზაურობის შესახებს თქმულებაში თავს იფარავს „გამოძახილი“ არა მარტო იმ ეპოქისა, რომელიც ქართველთა მოქცე-

212) სახეში გვაქვს ის აჯანყება, როდესაც გაბრაზებულმა ხალხმა მეფისა და მისი მეუღლის ქანდაკებანი დაანგრია, იოანე ოქროპირის დროს. (შეად. Рубертсонъ, Ист. Хр. Церкви. Т. I, стр. 353).

*) ამიტომ სრულიათ საფუძვლიანია დ. ბაქრაძის შენიშვნა, რომ „ქართული ეკლესია წმ. ნინოს დროდამც ანტიოქიის საპატრიიარქოს ექვემდებარებოდა“. ნამ. მისი: ისტორია საქართველოს. 1889 წ., გვ. 159.

զու Մեծագույն, արամեա ու յըռվիսապ, հռամալասպ տցու
յն թոշությա յըռտցնու.

Սյանասկեղ, տցու հայու Մեծագույն գալարից-
լաւ, սակարու թոշակինու, Մեծագու ուրու Մեծագուլութապ գա-
նցութունու. յրու յըռտցնու ծ-ն ՅԵՐԻՆՏԿՈՒ գա օլուրցնու,
հռամ, հռամաւ թոշուլու Յարհուարյա օնսթությունու
դաարսեցամցու, ուց թաս Մեծագուպ, Տայառությունու յըռլցու
մշցամ գամույուցեցելու ուր գա արւ յրու Յարհուարյա ար
յէցեմցեցարցունա. ²¹³⁾ Յեռնու յու—սոմենու օսքուրույունու
Մեծագուլութապ գա թոշակինու Յորհուարյա Յամանատլությունու գրոցու
Յարհուարյա յըռլուցեցամցու մուլցու յըռլուցապ, Տայառությունու սոմենու
յըռլուցու ար համուրություն, Տայառությունու յըռլուցու սոմենու
յըռլուցու ուց ոյրուրյուլու գամույուցեցուլո. յն անու Յո-
րհուարյա յամությունու յոնցնու սոմենու մը-X Տայառությունու միջ-
րալու յինանցնու; ²¹⁴⁾ Եռլու գուց եանո ար արու, հաւ ոյրու
անու Տարբարությունու լին ծ-նմա աննոնսկու, Մեծագույնությա ՝սոմե-
նու յըռլուցու օսքուրունու «-մ հայուլ յինանց. ²¹⁵⁾

Յորհուարյա Մեծագույն Յոնցամություն Կայուլություն արշամեն մասա մասա մասա մասա:

²¹³⁾ առ տցու ՅԵՐԻՆՏԿՈՒ սուրպանու, Յլ. ոռելուանու յագությունու.
„... Въ первыя времена, до учреждения патриарховъ, всѣ
митрополиты были независимы... да и по учреждении патрі-
арховъ, нѣкоторые митрополиты были свободны отъ всякой
подчиненности... Таковы были митрополиты Булгаріи, Кипра
и Иверіи, изъ коихъ два послѣдніе были только митропо-
литы, и однако не зависѣли ни отъ патріаршій, ни отъ
другой какой-нибудь высшей власти... Церкви Иверіи не
были подчинены ни патріарху Константинопольскому, ни дру-
гому кому-либо, но всѣ ихъ-епископы совершенно повино-
вались своему епископу...“. Եայ A. Нարօք, Մցիւ և երաց-
արքունիքի պատրիարքություն պատրիարքությունունու: մցունու

²¹⁴⁾ Եայ A. Խախանօք, Իստочники... стр. 45.

²¹⁵⁾ A. Աննինսկի, Իсторія Арм. Церкви. стр. 78—79.

დასაჯერებელია, არითხის მწვალებლობით შერყეულ ეპოქა-
ში დაარსებული ეკლესია კონსტანტინე იმპერატორს რომ-
ლისამე უმფროსი ეკლესის უხელმძღვანელოდ და უზედამხე-
დვლოდ დაეტოვებიოს. ყოველ ეჭვს გარეშე უნდა ჩაითვა-
ლოს, რომ ამ საქმეს იგი რომლისამე გავლენიან ეპისკოპო-
სის დაუკითხავათ არ მოაწესრიგებდა და ყოველ ზომას იხმარ-
და, თავისს სახელმწიფოსთან გასსალურათ შეერთებული სა-
ქართველო ეკლესიურათაც ბიზანტიისთან შეერთებული ყო-
ლებოდა. ამას მოითხოვდა როგორც საღი გონება, ისე პო-
ლიტიკური ინტერესები ბიზანტიისა. ამას გარდა, ჩვენ ვერ
გაგვიგია, რა საბუთების ძალით ფიქრობს ბ-ნი ვეტრინისკი,
ვითომც კიპრის ეკლესიის მზგავსათ, პატრიარქობის დაარსე-
ბის (შემდეგ*), საქართველოს ეკლესიაც დამოუკიდებელი სა-
მიტროპოლიტო ყოფილოყოს: როგორც ქართული, ისე ბი-
ზანტიური წყაროები ყველანი ერთხმათ აღიარებენ, რომ სა-
ნამ სრულს ავტოკეფალობას მიიღებდა, საქართველოს ეკ-
ლესია ანტიოქიის კათედრაზე იყო დამოკიდებულიო.²¹⁶⁾ ჩანს
ბ-ნ ვეტრინისკის ძლიერ სუსტი წარმოდგენა ქონებია იმ ქარ-
თულ და ბიზანტიურ წყაროებზე, რომელნიც აღნიშნულ სა-
საგანს შეეხებიან, რისგამოც მისი მსჯელობა უბრალო ზღა-
პარს უფრო მოგვაგონებს, ვინემ ისტორიულ ფაქტებზე და-
მყარებულს გამოკვლევის.

რაც შეეხება სომხის ისტორიკოსთა შეხედულებას, განა
საფიქრებელია, იმპერატორს კონსტანტინეს, რომელსაც რუ-
ფინის სიტყვით, ქართველთა მეფემ სამღვდელოება თხოვა,

*) პატრიარქის ტიტული, მისი სპეციალური მნიშვნელობით, პირვე-
ლათ მეოთხე მსოფლიო კრებაზე (451 წ.) იქნა დაღვნილი. ნახ. *Роберт-
сонъ, Ист. Хр. Церкви, т. I, стр. 284, примѣч. 1-ое.*

²¹⁶⁾ ნახ. „ქართლის-ცხოვრება“ I, გვ. 203—204; „ქრონიკები“ I,
გვ. 75—76; აგრეთვე: ნიკო მთაწევლის წერილი, იხ. *Правосл. Пал-
Сборникъ т. VI, вып. 1, стр. 47—48;* ოქთ. ვალისმონის თარგმა-
ნება მე-II მსოფლიო კრების მე-2 კანონისა=Прав. всел. соборовъ
съ толкованіями. ч. I, стр. 86; მახეილ ბრევის „ხია“=Труд. Кіевск.
Дух. Акад. за 1874 г. т. II, стр. 369 და 399—400.

საქართველოს ახლათ დანერგული ეკლესია შვიდის თუ რვა წლის წინეთ დაარსებულის სომეხთა ეკლესიისათვის დაექვემდებარებიოს?! ესეც რომ არ იყოს, ჩვენ ვიცით, რომ სომხის ეკლესია, თვით სომხების მოწმობითვე, თავდაპირველათ კესარიის მღვდელმთავარს ექვემდებარებოდა,²¹⁷⁾ თუმცა ანტიოქიის ეკლესია დღემდე იმ აზრისაა, რომ თავდაპირველათ სომხეთის კათალიკოზიც ანტიოქიის პატრიარქს ექვემდებარებოდა.²¹⁸⁾ ამ უკანასკნელ აზრს ადგია, ბროსეს სიტყვით, ასევმანიც.²¹⁹⁾ ამას გარდა, ყურადღების ღირსია ის გარემოებაც, რომ უხთანების მიერ დასახლებული ამბისა თვით „სომხეთის ისტორიის მათმთავარმა“, მოსე ქორენელმაც კი არა იცის რა, რომცა მას მშვენიერი შემთხვევა ქონდა, ამ საგნის შესახებ ორიოდე სიტყვა მაინც ეთქვა. სახელდობრ, როცა ნუნეს მიერ ქართველების მოქცევის მოგვითხობს, იგი დასხენს: ნეტარმა ქალმა წმ. გრიგოლ განმანათლებელთან მოციქული გაგზანა საკითხავად, თუ როგორ მოვიქცეო, და პასუხად მიიღო: „ჩემი მაგალითის მიხედვით, შენც კერძები დაამსხვრიყ, და წმიდა ჯვარის ნიშანი აღმართე იმ დღემდე, სანამ უფალი მწყემს მოგცემდესთ“-ო.²²⁰⁾ მაგრამ, საიდან

²¹⁷⁾ Аппинский, Ист. Арм. Церкв. стр. 11—33.

²¹⁸⁾ ნახ. მ. პრეჟიოს „ნია“—Tr. K. Дух. Ак. за 1874 г. т. II, стр. 362.

²¹⁹⁾ Brosset, Hist. de la Géorgie. I, p. 194: „Assemani dit que le catholico d'Iberi, comme celui d'Armenie, dependait du patriarche d'Antioche...“ შეად., აგრეთვე, ღ. ბაქრაძე: ისტ. საქართველოსი, გვ. 160.

²²⁰⁾ M. Хоренского, История Армении. Нов. пер. Эмина. стр. 132.—მართალია, როგორც ისტორიულმა კრიტიკამ დაამტკიცა, აღნიშნული შრომის ავტორი არც ისეთი ძევლი მწერალი ყოფილა, როგორც ეს ერთ დროს თვით სომხებს ევგანათ (ნახ. ზემოთ შენიშვნ. 24), მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, იგი უხთანებზე აღრე ცხოვრობდა და, საფიქრებელია, რომ ამ უკანასკნელზე უფრო ადვილათ შეიტყობდა, თუ როგორი იერარქიული განწყობილება სუფედა საქართველოსა და სომხეთის ეკლესიათა შორის ძევლ დროში, სანამ სომხები და ქართველები სარწმუნოების წხრივ ერთმანეთს ჩამოშორდებოდნენ.

მიიღეს ქართველებმა ეს „მწყემსი“, ამის შესახებ კი მოსე ქორენელი აღარაფერს ამბობს. ცხადია, ამ საგანზე მას გადაქრით არაფერი ცოდნია, თორემ, რაღა თქმა უნდა, ჩაუწერელს არ დატოვებდა.*.) ჩვენ არ უარვყოფთ, რომ თითქმის ერთ დროს დაარსებულ სომხურ და ქართულ ეკლესიათა შორის თავდაპირველათ მეზობლობ-მეგობრობა და სულიერი ერთობა იქნებოდა, როგორც ამას თვით ქრისტეს ეკლესიის დედა აზრიც მოითხოვს; მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, სულ სხვაა სულიერი ერთობა და სხვაა ერთობა იერარქიული, სულ სხვაა მეზობლობ-მეგობრობა და სხვაა დამოკიდებულობა იერარქიული. — ყოვლისავე თქმულის მიხედვით და, აგრეთვე, თანაბმათ იმ ტრადიციულ რწმენისა, რომელიც ქართველთა ეკლესიას იმ თავითვე ანტიოქიის კათედრაზე დამოკიდებულად აღიარებს, იძულებული ვართ ის აზრი უსაფუძვლოდ ჩავთვალოთ, თითქოს საქართველოს ეკლესია როდისმე სომხის ეკლესიაზე იერარქიულად დამოკიდებული ყოფილობას.

ამითი ვათავებთ ჩვენს შენიშვნებს ამ ფრიად საინტერესო საგნის შესახებ. არ უარვყოფთ, რომ აღძრული კითხვა („პირველი იერარქია“) გაცილებით უფრო მეტ შრომასა და მეტს კვლევა-ჩხრეებს მოითხოვს, ვინემ ეს ჩვენს გეგმაში შედიოდა. აქ ამ კითხვას ჩვენ იმდენათ შევეხეთ, რამდენათაც მას თვით ქართველთა მოქცევასთან აქვს კავშირი და კერძოთ იმ არა უსაფუძვლო თქმულებასთან, რომელიც ახლათ დანერგულის ქართველთა ეკლესიის განმტკიცებას და იერარქიულს მოწესრიგებას ევსტათი ანტიოქელს მიაწერს. ვეკლებით, სხვა დროს ეს საკითხი მეორე არა ნაკლებ საყურადღებო საგან-

*). ამიტომ სრულიად უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს ბ-ნ ანნინსკის აზრი, ვითომც ხომხის ეკლესიისადმი საქართველოს ეკლესიის დაქვემდებარება (ieparхическая зависимость) წმ. გრიგოლ განმანათლებელის დროს მომზარიყოს. (ნახ. Ист. Арм. Церкви. стр. 79, примѣчаніе 1-ое).

საქართველოს ეპლესია და მასი დასაწევისი

თან, სახელდობრ, საქართველოს ეკლესიის აცტოკეფალობასთან ერთათ განვიხილოთ.

უმთავრესი დასკვნანი, რომელზედაც მოელს ამ წერილს მივყავართ, შემდეგია:

ა) საქართველოში ქრისტიანობის ნებადართულ და სავალდებულო სარწმუნოებად გამოცხადება სრულიათ ბუნებრივი და აუცილებელი შედეგი იყო იმ პოლიტიკურ, ისტორიულ და სარწმუნოებრივ პირობებისა, რომელშიაც იმ დროს საქართველო და მისი მეზობელი ქვეყნები იმყოფებოდა.

ბ) უახლოეს იარაღად და უმთავრეს ხელ-შემწყობ პირად ამ საქმეში ის უცხო დედაქაცი შეიქნა, რომლის შესახებაც ჩევნ გადაჭრით ვიცით მხოლოდ ის, რომ იგი ტუკე იყო, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, და სახელად ნონა, ანუ ნინთ ერქვა.—მეორე პირი, რომელსაც, აგრეთვე, ისტორიაშ ამ საქმის განხორციელება არგუნა, იყო საქართველოს მეფე მირიანი, ანუ მერიბანი, და არა—ბაკური, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ. ამ მეფემ იცოცხლა 361-წლამდე და იმ დიდებულ საქმის სასურველათ დაგვირგვინების მოწამე გახდა, რომელიც მის მეფობის პირველ ნახევარში დაიწყო.

გ) ნებადართულ სარწმუნოებად ქრისტიანობა იმ წელს გამოცხადდა საქართველოში, როცა მეფემ თვით იწამა ქრისტე და ხალხსაც წინადადება მისცა—ახალი სარწმუნოება მიეღო, ე. ი. 323 წლის მეორე ნახევარში; საბერძნეთიდან სამლელოების მოსვლა და მცხეთელების მონათვლა კი 326 წელს ეკუთვნის.

დ) პირველი მღვდელმთავარი, რომელიც საქართველომ ბიზანტიიდან მიიღო, თვით ევსტათი ანტიოქელი არ ყოფილა, არამედ იგი ამ უკანასკნელის ხელდასხმული და მისივე სამწყსოს ერთი წევრთაგანი უნდა ყოფილიყო. საბუთი არა გვაქვს, „ქართლის მოქცევის“ და „ქართლის ცხოვრების“

ის ცნობა უარ-ვყოთ, რომ ამ მღვდელ-მთავარს სახელად ითანე
ერქვა;—ამ დღიდან საქართველოს ეკლესია ანტიოქიის
ფათედრას დაექვემდებარა; არც პონტის, არც თრაკიის და
არც სხვა რომლისამე ეკლესიის ხელქვეშ, ანტიოქიის გარდა,
ივერიის ეკლესია არასოდეს არ ყოფილა.

ს. გორგაძე



საზოგადოებრივი, მინაური და სარწმუნოებრივი ურთი-მდგრადი ისახოვისა

ჭევანა, ხალხი, საცხოვრებელი ბინები.

— იაპონიიდან მობრძანდით? ყვითელი საფრთხის შესახებ გვიამბეტ რამე, გეთაყვათ!

— მომხიბლველი რამ არის სწორედ! მომხიბლველი!

ასე იწყებს თავისს წიგნს „La sociéte japonaise“-ის ავტორი ბელლისორი (Bellessort), რომელსაც აღნიშნულ შრომისათვის (1904 წ. გამოცემულის) საფრანგეთის აკადემიამ ჯილდო მიუსაჯა. ეჭვი არ არის, კომპლიმენტია (გულ-მოსაგები სიტყვა) ესა, მაგრამ ორი უმთავრესი მხარე, რომელიც იაპონიის გამცნობ ევროპიელების ყურადღებას უნდა იპყრობდეს უთუოდ, თვალსაჩინოდა და მოსწორებულად არის აქ აღნიშნული.

პირველს საყურადღებო მხარეს იაპონიისას შეადგენს დღემდის ძნელად გამოსაცნობი და გასაგები ბუნება იაპონელ ხალხის ხასიათისა, ის ევროპისათვის უცნობი ვითარება იაპონიის ყოფა-მდგომარეობისა და ხალხსა თუ თვით ქვეყანაში დამალული რაღაც რამ, რომელსაც ყველა ჩვენგანი კარგადა ჰერძნობს ახლო გაცნობის შემდეგ მხალოდ. ეს საიდუმლოობაა იაპონიისა მიზეზი სწორედ, რომ უნდობლად ვეპყრობით თითქოს და მხადა ვართ ყოველ შემთხვევისათვის თავი დავიცვათ მათ წინააღმდეგ. დღემდის ხშირად

*) გ. ვოსტოკოვისა.

იაპონელს ხალხს ახალს ხალხს უწოდებდნენ, იმ აზრით, ვი-
თომ ჯერ კიდევ ბავშვი იყო იგი, მაგრამ მიიღო იგერ ევ-
როპამ ეს ბავშვი თავისს ოჯახის წევრად და გაკვირდა დი-
დად, როდესაც მის წინ წარსდგა სრულიად განვითარებუ-
ლისა და გარკვეულ ხასიათისა და ძალის ხალხი, რომელსაც
არც სიცოცხლე აკლია, არც სიმტკიცე. ეს იყო ერთის
მხრივ მიზეზი, რომ ევროპიელებს უცბად რაღაც „საფრთხის“
შიში დაებადათ.

მეორე საყურადღებო მხარეს შეადგენს ის, რომ, მიუ-
ხდავად არსებულ უნდობლობისა და შიშისა, მაინც უზომოდ
იჩიდავს ევროპიელთაგანს ცველას, ვინც კი ამ პოეტურს
ქვეყანას ცოტათიც არის ახლოდამ გასცნობია და ჰეიბლავს
თვით მათაც-კი, ვინც წინად როგორმე ცუდის თვალითა
და გულით უყურებდა.

შენება თუ ხალხი იაპონიისა, ყოველივე ჰეიბლავს
ევროპიელებს, ყვალაფერს აღტაცებაში მოჰყავს იგინი. თვით
უსულო და უგულო ხანგებსაც-კი თითქოს რაღაც რამ თა-
ვისებურ მშვერივრებისა და სიტურფის ბეჭედი აზით. „თუ
რომ მართლა ყველა საგანს სული უდგია, როგორც მტკი-
ცებენ პოეტებიო,—ამბობს მცოდნე იაპონიის მწერლობისა
ბალე—მაშინ ამ საგანთა სულს მომხიბლველი რამ ძალა
აქვს იაპონიაში და უზომოდ ჰეიბლავს ცველას, ვინც-კი მათ
შეეხებაო“.

თანამედროვე ევროპიელ მწერალთა და მოგზაურთა
შორის დიდად ცნობილი ერნსტ ფონ გესსე-ვარტეკიც ასე
ავვიწერს თავისს პირველს შთაბეჭდილებას იაპონიის შესახებ:

„როდესაც გონებრივის თვალით წარმოვიდგენ სურათს
ცველა იმ ქვეყნებისას, რომლებიც კი დედამიწის ზურგის
სხვა-და-სხვა მხარეს მინახვს, არ შემიძლიან ვპოვო სხვა
უფრო მშვენიერი, სათუთი და იდილიური კუთხე, ვიდრე ეს
აღმოსავლეთ აზიის სამოთხე—იაპონიაა, განსაკუთრებით-კი
მისი ზღვა... ნაგასაკიდამ სიმონოსეკს გემით მიმავლობისას
მრავალი აღწერს წავიკითხე იაპონიისა და უნებურად მეცი-

ნებოდა, რომ ისე გაზიადებით აქებდნენ იაპონიის ხმელთა შუა ზღვისა, რომლის კარიბქესაც სიმონოსევი წარმოადგენს. მეცინებოდა, მაგრამ... ნამდვილმა ბევრად გადააჭარბა მოლოდინსა“.

„იაპონიის ხმელთა შუა ზღვით მოგზაურნი მთელი რამდენიმე დღე საუცხოვო და ერთი მეორეზე ულამაზესსა და უმშვენიერესს, სიდიდითა და შესახედავობით სხვა-და-სხვა გვარ კუნძულთა შორის ჩისუურავენ. ათასობით არის აქა-იქ ზღვაში მოფენილი სხვილი და წვრილი კუნძულები, რომელთაგანაც ზოგიერთა სულ რამდენისამე ოთხ-ხუთ მეტრიან კლდისაგან შესდგება.

„ისე არაჩვეულებრივ მხატვრობრივნი და ლამაზები არიან ყველა ეს კუნძულები შესახედავათა, რომ უცქერი ამ იდეალურს მშვენიერს სანახაობასა და თვალი ვეღარ მოგიშორებია. ჩვენი გემის ყველა მგზავრები მთელი დღე ბაქანზე დგანან და ამ დაუსრულებელ სანახაობათა და სურათებისათვის თვალი ვეღარ მოუშორებიათ. სადილის დრომ რომ მოაღწია, მოთმინებიდან გამოსულმა გემის მსახურებმა ზარის წკარუნითა და წინწილის უღარუნით ყურები გამოვიწედეს, ისე დაუინებით გვიწვევდნენ სასადილოთა“...

ისე ეგებება იაპონიის ბუნება სტუმრებს.

ასრევ ალერსითა და სტუმართმოყვარეობით ეგებება ევროპიელებს თვითონ ხალხიც. ალერსიანები არიან და თავაზიანები იაპონელები და სამუდამოდ ინადირებენ ევროპიელთა გულსა, მაგრამ არც მათი შინაური და ქუჩის ცხოვრებაა ნაკლებ მომხიბლველი უცხოელ სტუმრებისა.

რაღაც რამ ნაზი, ქალური ელფერი დაჲკრავს როგორც ხალხს, ისე საგნებსა და იაპონელთა ყოველგვარს შინაურს მოწყობილობას. ნაზი სუნი ყვავილებისა, რომელიც შესვლისათანავე გეცემათ იაპონელის სახლში; მშვენიერი, ლამაზი წვრილი ნივთები; ორიგინალური, მაგრამ უბრალო, მმოძრავი და ფაქიზი მოწყობილობა სახლისა: ქალადის გრძელი და ვიწრო ჩაფარიშები, ზედ ლამაზად დახატულის სურათე-

ბითურთ, მარაოქბი, თვითონ პოეტის „უტას“ ხელით წაწერილ თარ-მუხლიანის ლექსითურთ, რომელიც ფორმით თუ აზრით მართლაც-და მშენებირებას წარმოადგენს, — ყველა ეს უცხო რამ ქალურს ხელოვნებასა და ხალხის დიდს გემოვნებას ამხელს. სახლის უფროსის თავაზიანი ღიმილი და ალერსით ლაპარაკი, ყოველივე ეს თაიგულია ეტიკეტისა და ამტკიცებს, რამდენად თავაზიანნი და ზრდილნი არიან იაპონელნი. დააკვირდით იაპონელის პატია, მაგრამ ცოცხალსა და მარდს ხელებსა და ჰნახავთ, რომ მათს ჯიშსა და კულტურას უეჭველადა ჰმოწმობენ: ცოცხლად მოგაგონებენ აგრეთვე იმ ფაქტზა და ტურფა ხელოვნების ნაწარმოებთ, იმ იაპონურს შესანიშნავს სათამაშო ნივთებს, რომლებიც ამ თითებს შეუქმნიათ. ეჭვი არ არის, მკაცრი და სასტიკი გრძნობებიც მოექებნება იაპონელსა, მაგრამ უნდა ჰნახოთ, რა ნაზადა და ფრთხილად ეხება იგი მეგობრის სულიერს იარას! უყვართ პატივი და დიდება, მაგრამ, ვინ იცის, იქნება ამიტომაც, არასოდეს თქვენს ღირსებას არ ივიწყებენ და ჰშიშობენ, შეურაცხყოფა არაფრით მოგაყენონ. შეიძლება ჩვენზედ მეტად იაპონელებს უყვარდეთ ზომიერად თავის მოწონება, მაგრამ სხვისა ქებას ისე ისმენენ, გეგონებათ, საკუთრივ მათ აქებენ.

ყველგან თვისს გარშემო საკუთარ, ფაქიზ გრძნობათა შესაფერს ჰარმონიასა ჰფენენ. თვით უმნიშვნელო და უბრალო სიტყვებსაც-კი ღრმა და საიდუმლოებრივს მნიშვნელობასა და აზრს აწერენ და ამიტომაც იშვიათია მეტად იაპონიაში, რომ ვისგანმე მკვახე და ბრიყვული სიტყვა გაიგონოთ, ბრუიყულადა და მოუხეშავად ვინმე მოიკცეს. მათს ღვთის-შეტყველებს ხშირად რომელისამე ნაკერ მატერიის სილამაზე უკეთ ესით, ვიდრე ღრმაზროვანი ადგილები და სიმბოლიური თქმულებანი თავიანთ საღმრთო წიგნებისა; ხოლო რაც შეეხება მათს ფილოსოფიებს, ესენი ხომ თანაბრად ღრმად იფასებენ ყვავილთა თაიგულის სიტურულესაცა და ახალ ფილოსოფიურ იდეის მოსწრებულობასა და სიმახვილესაც.



ვისაც-კი იაპონიის ისტორია შეუსწავლია, თითქმის ყველა ერთხმად ამტკიცებს, რომ იაპონელებს გამოგონების დიდი ნიჭი არ შესწევთ, მაგრამ სხვათა გამონავონს-კი აღვი-ლად და კარგად ითვისებენ. დ-რი ტენ-კატე, იმეორებს-რა იაპონელების შესახებ კოლბრიჯის სიტყვებს, ამბობს: „მშვე-ნიერი აღმადგენელი მანქანაა, მართალი ფოტოგრაფიული აპპარატია, ხშირად არტისტიულს ნიჭს არ მოკლებული, მაგრამ ინიციატივა და შემოქმედებითი აზრი აკლიაო“, (ვითომ იაპონელს).

დ-რი კატე, მომხრე უკიდურეს იაპონოფობებისა, წინა-აღმდევობას აცხადებს აქ ხმარებულ ორის სიტყვის შესახებ, სახელდობრ: „მშვენიერისა“ და „მართალისა“, რადგანაც, მისის აზრით, ამისთვის იაპონელებს ღრმა შეგნება არ შესწევთ.

ინტელექტუალური ისტორია იაპონიისა, როგორც ეს ხშირად ქალების შესახებაა ხოლმე, შეადგენს ისტორიას მა-თის რომანებისას. ჩინელებით გატაცებულნი მთელის საუკუ-ნის განმავლობაში აიაპონელებდნენ ყოველისფერს ჩინურს; ახლა-კი ჩინელების ადგილი ევროპიელებმა დაიკირეს და ევ-როპის კულტურას ითვისებენ ერთგულადა. მაგრამ ამ გარე-გან წამბაჯველობის ქვეშ დაფარულია მძიმე და ნელი მუშა-ობა შეთვისებისა და შეცვლისა, შენათვისების თავისებურად გარდაქმნისა. ამიტომაც მათ მიერ ჩვენგან შენათვისები გან-სხვავებულადა და უცხოთ გვეჩვენება მუდამ. თუ ახლა იმას ბუ-ნებრივისა და ხელოვნურის უცნაურად ერთმანერთთან შეხამე-ბის დავსძენთ, რასაც მათი ბუნება სულ უბრალოთა და აღ-ვილად ითვისებს; დავსძენთ აგრეთვე იმას, რომ მუდმივობას მოკლებულნი არიან და ერთ-თავად საეჭვოდ გილიმიან, მაშინ ხომ, ეჭვი არ არის, გასაგები იქნება, რათ არიან ასრე ქალე-ბივით მომხიბლველნი და რათა აქვთ ესდენ ძლიერი ზედმოქმე-დება ევროპიელებზედ.

ევროპის ქალაქში რომელისამე უცხო ქვეყნიდამ ჩამო-სულს მოგზაურს აღვილად შეუძლიან გაიცნოს, მაგალითად,

ქუჩის ცხოვრება ამ ქალაქისა. ყოველივე დანარჩენი-კი, რაც რამ სახლების სქელ კედლებს შიგნით ხდება, დაფარული და საიდუმლოა მისთვის. ოჯახი და შინაური ყოფა-ცხოვრება, აგრეთვე ცხოვრების საიდუმლო მხარე სათუთად დაცული გვაქვს, რომ გარეშე მაბეზარ მაყურებლის თვალს დაფუძნოთ.

ასე არ არის იაპონიაში.

საკმარისია, მაგალითად, მოგზაურისათვის, რამდენიმე საათი იაპონიის ქალაქის რომელსამე ქუჩაში დაჭყოს, რასაკვრელია, იმ უბნებში, რომელსაც ეკროპის ახალი ცხოვრება ჯერ სავსებით არ შექხებია, რომ იაპონელის კერძო, შინაურ, ოჯახურ ცხოვრების მრავალი წვრიმალი სავსებით გაიცნოს და თვალითა ნახოს: როგორ ატარებს ღროს შინა, რას აკეთებს და სხ.

ეს იმიტომ, რომ თავისებურსა და საგანგებო ტიპის სახლს იკეთებს იაპონელი; იქამდის თავისებურს, რომ ჩვენს წარმოდგენას სახლის შესახებ არც-კი რითიმე შეეფერება. სწორედ რომა ვსთვეთ, უფრო ფარდულს წააგავს იგი და არა სახლსა, რომლის შიდა თუ გარეთა მმოძრავიკედლებიც შეიძლება სურვილისამებრ, როგორც უნდა, ისე მოაწყოს პატრონშა. მაყურებელს დაუბრკოლებლივ შეუძლიან გარედამვე ნახოს ცველაფერი არამც თუ სახლში, სახლს უკანაც-კი, სადაც იაპონელებს მომეტებულ ნაწილად ბაღები აქვთ გაშენებული.

შეძლებულებს ორ-სართულიანი სახლები აქვთ, საშუალო და დაბალ შეძლების ხალხს-კი თითო-სართულიანი. გარდა ხის ბოძებისა, რომლებზედაც ჩალითა ან კრამიტით დახურული ბანია დამყარებული (მდიდრების სახლს ფაიფურის კრამიტი ახურია), სახლსა აქვს მხოლოდ ერთაღ-ერთი უძრავი ფიცრული კედელი, დანარჩენ განყოფილებათ შეადგენენ მხოლოდ გადალობილი ხისავე ჩარჩოები, რომლებზედაც ქალალდებია გაკრული. თვითონ ჩარჩოები დაღარულ ბოყვებშია ჩასხმული და შეუძლიან პატრონს სურვილისამებრ, საითაც უნდა, იქით გასწიოს: ერთი ჩასვის, მეორე ამოილოს; ან ერთის მაგივრად უცბად ორი და სამი განყოფილება ან ოთახი გამოიყვანოს, როგორც ამას მისი საჭიროება მოითხოვს.

რასაკვრელია, ასეთს სახლებს საძირკველი სრულიად არა ისაბუნება, რას მიზეზიც ხშირი მიწის ძვრა არის. მიწის ძვრის გარდა, ხშირია აგრეთვე ტაიფუნი (გრიგალი), რომელთან საბრძოლველადაც შეუმუშავებია იაპონელს. ასეთი საგანგებო ტიპის საცხოვრებელი სახლები და მათი შინაური მოწყობილობა. ზოგიერთს ადგილებში სახლის ბოძები და ძირული ხე ისე არიან ერთმანერთთან მმოძრავად შეკავშირებულნი, რომ ტაიფუნის (გრიგალის) დროს რამდენადმე ცალ მხარეს იხრებიან და უცხოელთათვის მართლაც საოცარს მოვლენას წარმოადგენ: ჰედავს უცხოელი, რომ ხეებთანა და მცენარეებთან ერთად სახლებიც ცალ მხარეს არიან გადახრილნი და ჰკვირობს, რომ ასე შეწყობილად იჩხევა მთელი სოფელი, ქარის წინ მმიმედ ქედს იხრის. დიდს ქალაქებსა და ხშირად დასახლებულს დაბებში-კი, რასაკვრელია, ასეთი მმოძრავი კავშირი საჭირო არ არის, ქარი აქ შებორკვილია და ძალასა ჰკარგავს. გაშლილ ალაგას სხვა არის.

ქალაქის ქუჩებში აქა-იქ იშვიათად სუბუქ სახლების გარდა შეგხვდებათ აგრეთვე პატარა, სრულიად საგანგებო ტიპის ჩექნებურ ალიზის მაგვარი ტალახის შენობებიც. ესენი უფრო სარაიას წააგავან, ვიდრე საცხოვრებელს სახლებსა, რომლებ-შიაც მდიდარი იაპონელები და ვაჭრები სიმღიდრესა და ძვირფასს, ადვილად დასაწველს საქონელს ინახავენ. სახელად „კურას“ ეძახიან ასეთს შენობებსა და აგებენ ცეცხლის საწინააღმდეგოდ ტალახისაგან, რომლის კედლებიც სიგანით ნახევარ არ შინს იშვიათად იღემატება. მიუხედავად იმისა, რომ ტალახისაგან აკეთებენ, შესანიშნავად ლაშაზები არიან შესახედავად, ბანები საგანგებო მაგარ კრამიტითა აქვთ დახურული, სქელს კარებებსა და დარაბებს დაკბილული ნაპირები აქვთ, რომ უფრო მაგრად იყვნენ დაკეტილები. აქა-იქ დარჩენილს ჯუჯრუტანებს ცეცხლის დროს თიხით ამოუგლესენ ხოლმე, რომელიც იქვე, „კურას“ გვერდითა, აქვთ მუდამ აზელილი. ცეცხლის გაჩენის დროს პატ-რონი თავისს სახელს ამოსკრის ახლად აზელილს თიხაზედა,

მიაკრავს „კურასა“ და დაპირის გახსნაც ცეცხლის ჩაქრობის შემდეგ მხოლოდ მოწმეთა თანადასწრებით შეიძლება. მართალი უნდა სთქვის ადამიანმა: საუცხოვოდ ინახავს ცეცხლისაგან ასეთი შენობა ყველაფერს. ხშირი ცეცხლის გაჩენა იაპონიაში, რომელიც მოკლე ხნის განმავლობაში მთელს უბნებს გადაპირებულების ხოლმე, „კურას“ სულ ვერას აკლებს, უვნებლად სტოვებს.

ამ რიგად იაპონელს სახლის შენებისა და ოჯახში მოწყობის დროს განსაკუთრებულის სტიქიურ მოვლენებით უხელმძღვანლნია და მათ-და მიხედვით უკეთებია ყველაფერი. სუბუქს სახლს იშენებს იმიტომ, რომ ხშირი მიწი სძვრა მკვიდრს შენობას თვალის დახამხამებაზედ მიანგრევ-მოანგრევდა. ამავე გარემოებამ შეამუშავებინა ოჯახის სუბუქი, სახელ-და-ხელო მოწყობილობაც. არასუერი: არც ავეჯი, არც სხვა რამ სახლის მოწყობილობა არ მოეძებნება ისეთი, რომელსაც მიწის ძვრის დროს ან ადვილად დამტვრევა შეეძლოს, ან მცხოვრების როგორმე დაზიანება, რომ დაეცეს. ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ მიწის ძვრის დროს სახლში თითქმის არავინ რჩება, ყველა საჩქაროდ გარეთ გამორბის და თავისუფალს, გაშლილს ადგილებს აფარებს თავსა, სადაც არც ნანგრევისა აქვს შიში, არც სხვა რამ საფრთხისა. ამიტომაც იაპონელები მთლად ღია სახლებში და ქუჩებში სცხოვრობენ მეტ წილადა.

მიწის ძვრის მუდმივმა შიშმა სამაგიეროდ ისე გაასუბუქა და გაამარტივა იაპონელის საცხოვრებელი სახლი, რომ თვალის დახამხამებაზედ მზად არის ჭიაკუკონასავით აპრიალდეს: ხმელი ხე-ტყისაგან ახუხულავებული პატარა სახლები თავისის ქალალდის კედლებითა და ჩალის ბანებით კვარისავით ენთება უცბად და მეზობლად ყველაფერს ანადგურებს. ამიტომაც, როგორც-კი იაპონიის ბნელი ღამეში საღმე „იედოს ყვავილები“ მოსხანს ცეცხლის ფერადა და მაღალ ჯიხურიდამ საყვირისა და დაფის ხმა ისმის, უზრუნველს მცხოვრებლებს უცბად შიშის ზარსა სცემს და მახლობელს უბნებში ყველა თავის დახურებასა სცდილობს.

და აი, ეს უბრალო შინაური მოწყობილობა უადვილებს ყველას თავის დაღწევასა: დედაკაცები მაშინვე მთელს სახლის ავეჯსა და ჭურჭელს, მეტ წილად ხისასა და ლითონისას, კალათაში უყრიან თავსა, ქალები თხელს ნაალებსა, ჭილობებსა და ტანისამოსს ალაგებენ, კაცები ქალალდ გადაკრულს მმოძრავს კედლებსა ჰშლიან, აწყობენ ერთად სახელ-და-ხელო ურემზედა და მთელს სახლს თავისის მოწყობილობით სადმე უშიშარს ადგილას მიაგორებენ. იწვის ამ რიგად მხოლოდ ბოძები, დაღარული ბოყვები და ჩალა, რომელიც ზემოდამ ახურავს სახლსა. ამიტომაც ხშირად იაპონელი მეორე დღეს-ვე არხევინადა სცხოვრობს ახალს სახლში, რადგანაც ბოძები და უშთავრესი ხე-ტყე წინადვე მეტ წილად დამზადებულიაქვს.

როგორ ატარებენ დღეს ქალაქში ძრეს გრევები იაშონელები.

შინაური ყოფა-ცხოვრება იაპონელებისა, როგორც ზე-მოდაცა ვსთქვით, ხელის გულივით გადაშლილი იქვთ უცხოელს მოგზაურებსა. საკმარისია დილიდგან საღამოს • 10-11 საათამდე რომელისამე ქალაქის ქუჩებში ყოფნა და ოვალ-ურის დევნება იმისა, რაც იაპონელთა სახლებში ხდება და მთლიანად გექმნებათ იაპონელთა ყოველდღიური შინაური ცხოვრება გაცნობილი. მთელი ქალაქის ცხოვრება, მდიდრებისა თუ ღარიბებისა, მაღალის წრისა თუ დაბალისა, ოვალ-წინ გექმნებათ გადაშლილი.

თუ რომ იაპონიის ქუჩებისა და მცხოვრებთა შინაურ ცხოვრების ყურადღებით დაკვირვება და გაცნობა გსურთ, უარი უნდა სთქვათ ეგრედ წოდებულ იაპონურ თავისებურ შტრიტ „რიკშა“-თი სეირნობაზედ და ფეხით ინებოთ სიარული. „რიკშა“*) (ჯენრიკშა) გახლოეთ სასიარულო ორ-თვლია-

*) რიკშა ახალის ღროის გამოგონებაა. ცხენების მაგივრად კაცის ღონის ეტლში გამოგონება შემოილეს სულ რაღაცა ორმოცის წლის წინად. ახლა-კი ყველაზედ მეტად გავრცელებული ხელობა ეს არის. მარტო ტოკიოსა ჰყავს 80,000 მეტი რიკშა.

ნი, მეტად მოხერხებული ეტლი, რომელშიც ცხენის მაგივ-
რად კაცი აბია. მშვენივრად ჩასხმული, მაგარ კუნთებიანი,
კან-გარუებული კაცი უდგას გვერდით თავისს „კურუპა“-სა
(სუბუქი ეტლი), უჭირავს ხელში შლაპა და თავაზიანადა
სთხოვს ყველას ჩაბრძანებასა, ვინც-კი ქუჩაში გამოვა. სი-
რუპა „ო“ (პატივცემულო) ყველა მხრივ ტკბილად გაისმის.
მაგრამ ძნელი არ არის ასეთს „კურუმას“ თავი დააღწიოთ:
საჭმარისია უბრალოთა და თავაზიანადვე უარი უთხრათ, რომ
არა გსურთ ეტლით სიარული და მაშინვე ჩამოგეხსნებიან;
აზიელების ჩვეულებისამებრ არ ჩამოგაცივდებიან, თავს არ
მოგაბეზრებენ.

იაპონიის ქუჩებს ფილაქანთენილები (ტროტუარები) თი-
თქმის არა აქვთ სრულიად. განიერს ქუჩებზედ იშვიათად მხო-
ლოდ ქუჩის შუაგულ თუ შეჰქვდებით დაგებულს ფილაქან-
ფენილსა. და არც თუ არაან საჭირონი: ყველა ან ფეხით
დაიარება, ან არა-და პატარ-პატარა „რიკშებითა“. ამიტომაც
ქუჩების სუფთად შენახვა აღვილი არის: რის აკრებასაც ხალ-
ხი ვერ ასწრობს, ქათმები ანადგურებენ და ჰკენკავენ, რომ-
ლებიც საზოგადოდ ბლომად ჰყავს ყველასა და რომლებსაც
დილ-დილაობით იღრიანად გამოუშვებენ ხოლმე ცოტა ხნით
გალიებიდამა.

დილა აღრიანად ამ დროს, სახლის წინ, ქუჩის მგველ
თითუ-ოროლა დედაკაცის გარდა, აქა-იქ ქუჩის მოსახვევებში
და ჯურედინა გზაზედ შეჰქვდებით აგრეთვე ევროპიულს მუ-
ნდირებში გამოკიმულს პოლიციელსა და პაი-პარა ერთი
სახლიდამ მეორისაკენ გაჩქარებით მიმავალს კულისა, რომ-
ლებსაც მხრებზედ გრძელი და წვრილი კასრები აღგათ. ასე
ავროვებენ მთელის დღის უწმინდურობასა და მიეზიდებიან
შორს, მინდვრის გასაპატივებლათა. ქუჩებში ამ დროს, მარ-
თალია, ცუდი სუნი სდგას, მაგრამ იაპონელები არად აგდე-
ბენ ამასა, რადგანაც ყოველ გვარს პატივს დიდი გასავალი
და ფასი აქვს აქა. ზოგიერთა ღარიბს უბნებში ფულის მაგი-
ვრად იაპონელები სახლის ქირას დღემდის პატივით იხდიან.



ასე სასარგებლოდ იყენებენ იაპონელები პატივსაც-კი, მაგრამ უბედურობა ის არის, რომ ხშირად სახადისა და ხოლების გავრცელების მიზეზათა ხდებიან. იაპონიის ბევრს ქალაქს წყლის უქონლობა აწუხებს. წყალსაყვანი მიღები იშვიათია, ქალაქის ღარიბი მცხოვრებნი ჭის ამოთხრას ვერ ახერხებენ და იძულებულნი არიან ჰუცყიანი და მოშხამული პარტია მდინარეების წყალი სვან.

დილის შვიდი საათიდამ თითქმის ყველა იღვიძებს. ხან აქ, ხან იქ კედლებში ჩასხმულს „იმაღოს“ ჰესნიან, როგორც დარაბებსა, და შინაურს მოწყობილობას საცხოვრებელ ბინისას ხელის გულივით თვალ წინ გიშლიან. ჰედავთ იგერა, მთელი ოჯახობა თეარსა და რბილს ჭილობებზედ ჩამწკრივებულა და დილის საუზმეს შეექცევიან. ყველანი ან მუხლის თავებზედა დგანან, ან ჩაყუნკებულან. საუზმედ თითქმის ყველის ერთნაირი, თოვლივით თეთრი, ახლად მოხარშული ბრინჯი უდგია, რომლის შემდეგაც წვრილის ფაიფურის ფინჯნებით ჩაის შეექცევიან. თვითონ ჩაი ფაიფურისავ ვეება ჩაიღნებით უდგიათ. დედაკაცები: ქალები და ლედები მამაკაცებზედ აღრე დგებიან. უკვე ფეხზე არიან და ჰრეცხენ, სწმენდენ, ამზადებენ რასმე იმ დროს, როცა მამაკაცები ჯერ ისევ პირდაპირ იატაკზედ გაშლილს თხელს ნაალებზედა წვანან და მოკლე ჩიბუხებს ეწევიან. დიდიდამ პატარამდე ყველა თქვენ თვალს წინ იბანს და იცვამს, არ გერიდებიან. ბანიობას იწყებენ მოურიდებლადა და დაურცხვენელად ყველის თვალ წინ, თითქოს ჩვეულებრივი ხელის გადაბანვა იყოს: ახალგაზრდა დედაკაცი ან გასათხოვარი ქალი ზის არხეინად საბანაო თაბაში, ან ამოღის სრულიად შიშველი და ქმარს ან პატარა ძმასა ჰველის და შეჩმე ისევ ბანიობას იწყებს. თუ სახლში ვიწრობაა, საბანებელს ხშირად ქუჩაში გამოსწევენ ხოლმე და მაშინ იძულებული ხდებით მიმავალმა გვერდი აუქციოთ ნელთბილს წყალში მხიარულად მოკუპალავე ქალებსა.

LXG 0'-S
1937/r
M. V.

3. ვთოვ

მარტივია და უბრალო ტუალეტი იაპონელებისა, დედა-კაცებისა და კაცებისა თითქმის სრულიად ერთგვარი: ფერი აქვთ ტანთსაცმლისა მხოლოდ განსხვავებული, ჭრილობა ერთნაირი; განსხვავდებიან კიდევ ზოგიერთა წვრიმალით, რომელსაც ეკროპიელის შეუჩვეველი თვალი ადვილად ვერას შეამჩნევს.

რომელი წრისა და წოდებისაც უნდა იყოს იაპონელი ქალი, ყველას თითქმის ერთნაირად აცვია: თეძოებზედ იხვევს თეთრს, პირსახოცის მაგვარს თხელს ქსოვილს „იუმოძის“, რომელიც უფრო თხელი და გრძელია, ვიდრე ჩვენებური პირსახოცები. ზემოდამ იცვამს „ძიბანს“, ანუ თხელი აბრეშუმის მხრარულს ხალათს; ხალათი ლამაზადა აქვს ტანზედ გამოწყობილი და პერანგობას ეწევა ვითომ, წინიდამ ღიაა. ზაფხულობით „ძიბანს“ ზემოდამ პირდაპირ „კიმონოს“ იცვამენ, ზამთრობით-კი „კიმონოს“ ქვეშ კიდევ თხელი ხალათი „სიტაჩი“ აცვიათ. სამივე ჩისაცმელი: „ძიბანი“, „სიტაჩი“ და „კიმონო“ ერთნაირის ჭრილობისაა, ტანზედ მშვენივრად გამოწყობილი. ამათგან „კიმონო“ უფრო მორთულია და იკერავენ ძვირფასის რამ ლამაზ და ნაზ ყვავილებიან მატერიისას.

„კიმონოს“ ზემოდან განიერი სარტყელი „ობი“ არტყიათ. ჩიცმულობის ამ ნაწილს ყველაზედ მეტს ყურადღებას აქვევენ იაპონელი ქალები და რაც უნდა ლამაზი „კიმონო“ ეცვათ, „ობი“ მაინც ერთი ორად მშვენიერი და მორთული უნდა ჰქონდეთ უთუოდ: იგია სიმაყე და სიმდიდრე იაპონელის ქალისა.

ქალების „ობი“ წარმოადგენს განიერსა და მძიმე აბრეშუმის მატერიას, სიგრძით ექვსს არშინს, სიგანით არშინ-ნახევარს. ასეთი სარტყელი ხშირად მეტად ძვირადა ღირს და უფრო მეტადაც, ვიდრე მთლად დანარჩენი ტანთსაცმელი. მდიდარისა და კოხტა იაპონელი ქალის სარტყელი ხშირად რამდენიმე ასი შანეთი ღირს. მამაკაცების სარტყლები-კი არასოდეს ასე ძვირფასი და მორთულები არ არის, ამით განიჩევიან თითქმის დედაკაცების ჩიცმულობისაგან. კაცებს შედარებით უბრალო, ობილი და ვიწრო სარტყელი აკრავთ, რო-

მელიც ჩვენს წარმოდგენას ქამრის შესახებ, ასე თუ ისე, ცოტა-
თიც არის უახლოვდება უფრო.

ქუჩაში მიმავლობისას ადგილად შეპნიშნავთ, რა ყოფითა
და ამბით იკვეთებს „ობის“ იაპონელი ქალი. მარტო, რასაკვ-
რელია, ვერასოდეს ვერ შემოირტყავს; ამიტომაც სხვა ჰუკე-
ლის უთუოდ: „კიმონოზედ“ ჯერ „ხოზო-ობის“ (თხელი
კრეპია) იკრავს; მერე თვითონ „ობის“ გაჭულის ჭილობზედ,
მოჰკეცავს სიგრძეზედ ორათა, ასე ნახევარ არშინის სიკანე-
ზედა და ორჯელ-სამჯერ წელზედ შემოირტყავს, ისე რომ
ნაკეცი უთუოდ ზემოთა ჰქონდეს. სარტყლის თავისუფალი
წვერი მარცულივითა აქვს უკანიდან დაყოლებული, რომელ-
შიაც გაატარებს მეორე წვერსა და ამ რიგად შეიკვრის
მთელი სარტყელი. რომ უფრო უკეთესად ადგეს „ობი“, ზე-
მოდან ახლა წმინდა აბრეშუმის ქამარს შემოიკერენ ხოლმე,
მდიდრები ოქროს ბალოებიანსა. ასეთს ქამარს „ობი-დომის“
უწოდებენ.

ძვირფას ფარჩისა და ლამაზად ნაკერს „კიმონოებს“ ია-
პონელი ქალები უფრო დღესასწაულებისა და ქუჩაში სეირ-
ნობის დროს ხმარობენ, სხვა დროს-კი, საშინაოდ, უბრალო
რამ მატერიის „კიმონოები“ აცვიათ—კაცებს უფრო თალხი,
ქალებს მხიარული. ჯიბეები სულ არ იციან არც ქალებმა და
არც კაცებმა და მაგიერობას უწევენ მრავალი ნაკეცი
„ობისა“ და განსაკუთრებით „კიმონოს“ განიერი და ღრმა
მაჯა-სახელოები. სახელოებში ილაგებს იაპონელი ყველაფერს,
რაც-კი რამ მისთვის საჭიროა: მოკლე ჩიბუხსა და სათითეს
ტელა პაწია ფინჯნებსა, რომლებსაც იაპონელი ქალი თუ
კაცი არასოდეს არ იშორებენ; გარდა ამისა, თამბაქოს ეწე-
ვიან არამც თუ ქალები და კაცები, ბავშვებიც-კი. სარტყლების
ნაკეცებსა და სახელოებში იწყობენ აგრეთვე: ჩბილი ქალალ-
დის ნაკრებს, რომლებსაც ცხვირსახოცების ნაცვლად ხმარო-
ბენ, ფულსა, პუდრას კოლოფითა, მარაოსა და წარბების დასა-
ფერს ყარანდაშა, ურომლისოდაც იაპონელს ქალს ქუჩაში
გამოსვლა არ შეუძლიან; ერთი სიტყვით, ყველაფერს, რაც-კი

რამ სახლს გარეშე დასჭირდება იაპონელსა. ყველაფერს ამჟამა განიერს სახელობებში ილავებს და ვიდრე ამოიღებდეს რასმე, ხელს სრულიადა 3მალავს სახელოში, ისე განიერსა და ლრმას იკერავენ.

შინ სრულიად არა აცვიათ რა ფეხთ იაპონელებსა; გარეთ-კი, რომ გამოვლენ, იცვამენ ქაღალდისა ან აბრეშუმის დაბალ ყელიანს წინდებს, რომლებსაც ცერა თითისათვის ცალკე განყოფილება აქვთ ჩაქსოვილი. წინდებს ძირი სქელის რამ მატერიალისა აქვთ. სახლში ყველაფერი სუფთადა აქვთ, იატაკზე კილობები უგიათ; ამიტომაც ფეხთსაცმლის სახლში ტარებას არავითარი აზრი არა აქვს. მაგრამ დაპირებენ თუ არა ქუჩაში გამოსვლასა, მაშინვე კარებში ჩვენებურ კალოშებივით დამზადებულს „გეტას“ იცვამენ და მიბრძანდებიან. „გეტა“ ჩვენებურ ქმნების მაგვარი ხის ძირებია, რომლებიც თასმებითა აქვთ ფეხზედ მიმაგრებული. ასე იცვამენ: კაცები, დედა-კაცები, ბავშვები. რასაკერელია, რაც უნდა მიჩვეულები იყვნენ ამ ფეხთსაცმელსა, მოძრაობა სწრაფად და მარტივ მაინც არ შეუძლიანოთ და შესახედავათაც უშნოებია მეტად: მთელი ტანი ამის გამო მუდამ წინა აქვთ წახრილი, მუხლები ეკეცებათ, თავისუფალი მოძრაობა არ შეუძლიანოთ.

ბავშვებსაც ისრევე აცვიათ შინა, როგორც დიდებსა: „მიბანი“ და „კიმონო“. განსხვავდებიან მხოლოდ იმითი, რომ საქმის დღითაც ბავშვებს უფრო მორთული, მხიარულ ყვავილებიანი და ნაკერი „კიმონოები“ აცვიათ. სასაკილოა სწორედ, როდესაც ოთხის წლის ჩათქვირებულს, ეშმაკობით სავსე თავ გადაპარსულს ბავშვასაც-კი დიდისავით აცვია. ციცს ამინდში ერთის მაგივრად რამდენსამე „კიმონოს“ აცმევენ ბავშვა. ლარიბს ოჯახში შინ თითქმის შიშვლები დაპყავთ თბილს ამინდში, გარეთ კი „კიმონოში“ ახვევენ.

რაც შეეხება იაპონელი ქალის თმის ვარცხნასა და დაყენებასა, რასაც ამ ბოლოს დროს მთელი ევროპისა და ჩვენი ქალებიც-კი ჰბაძავდნენ ვითომ, ეს-კი როული საქმეა მეტად. იშვიათად შეიძლება ნახოთ კიდევსა, როგორ ივარცხნიან და

იყენებენ თმას იაპონელი ქალები. ეს იმიტომ, რომ ერთხელ დავარცხნილი და დაყენებული თმა მთელს 10—12 ღლეს ასე აქვთ ხელ-უხლებლადა. მორთვა და დაყენება თმისა, სიძნელისა გამო, თვითონ ქალს არ შეუძლიან თითქმის; ამიტომაც მცირე საფასით სიგანგებო თმის ოსტატს იწვევენ უთუოდ. მაგრამ მარტო თვეისი საკუთარი შავი თმით არა კმაყოფილდებიან მეტ წილადა და ზემოდამ კიდევ სხვისას იკეთებენ; ურთავენ ლამაზადა, ხელოვნურად უმაგრებენ „შპილკებითა“ და სავარცხლებებითა და ისე მკვიდრად უყენებენ, რომ მთელს რამდენ-სამე ღლეს ასე ხელუხლებლადა აქვთ დაუვარცხნელი. ამიტომაც იაპონელის ქალისათვის ჩვენებურად პირდაპირ ბალიშ-ზედ წოლა შეუძლებელია: თავ ქვეშ იდებენ კისრისათვის განგებ ამოკრილს ხის კალაპოტსა, რომელიც თავისუფლად შოძრაობის ნებას არ აძლევს და კარგად უნახავს თმასა. თვითონ იაპონელსაც, იატაკზედ რომა წევს პირდაპირ თხელს ნიალზედა და ყვავილებიანს ჭრელს საბაზია გახვეული, ქვეშიდან უთუოდ „ძიბანი“ და ზოგჯერ „სეტაჩიც“ აცვია, იმისდა მიხედვით, თუ წლის რა დროა იმ ხანადა.

ხან აქ, ხან იქ იაპონელის სახლში ჰქედავთ, როგორა ზის წელთამდის გაშიშვლებული იაპონელი გასათხოვარი ქალი, იყურება სარკეშია და ტუჩებსა და სახეს ილამაზებს, პუდრას იყრის. ასე იქცევა ყველა და ფიქრადაც არავის მოსდის, რომ დაუმალონ ვისმეს.

დილის რვა საათზედ ქუჩები უკვე ხალხით იცხება. სრულიად მოულოდნელს შთაბეჭდილებას ახდენენ მნახველზედ სკოლაში მიმავალი ბავშვები: ბევრს იმათგანს ევროპიული ტანისამოსი: შარვლები, „კურტკები“ და ევროპიულივე ბათინკები აცვია; თავზედ ახურავთ ქუდი, იღლიაში წიგნები უკირავთ. განსხვავებულია, რასაკვრელია, ეს ჩაცმულობა, მაგრამ დროის მოთხოვნილებით არის გამოწვეული, რადგანაც მთავრობავე ითხოვს ამას სკოლაში მოსიარულე ბავშვებისაგანა. ქალებს კი მაინც იაპონური ტანისამოსი აცვიათ.

გაჰყევით ბრძოსა და მიბრძანდით უმთავრესს სავაჭრო ადგილებში. ოქენეს ყურადღებას უნეპურად მიიბყრობს ის გარემოება, რომ სანოვაგეს მხოლოდ და მხოლოდ კაცები ყიდულობენ; არსად ქალისა ჭავანება არ არის, შინა სხედან, საქმეს აკეთებენ. აქ შევიძლიანთ ნახოთ, რასა სჭამს იაპონელი, ან შისი სამზარეულო რამდენად უბრალო არის. ჯერ ერთი, იაპონელი თითქმის ყველა ვეგეტარიანია: არსად სანოვაგის დუქნებში ხორცს ვერა ჰნახავთ თითქმის გასასყიდსა; მაგრამ მრავლადა აქვთ გამოფენილი გასასყიდად სხვა და სხვა გვარი მწვანილეული, ხილი, ბრინჯი, ლობიო და ცერცი, ზღვის მცენარეები და მათ შორის-კი განსაკუთრებით ერთი ჯურა მცენარე, რომელსაც ზღვის კოშბოსტოს უწოდებენ და თვეზი. სამაგიეროდ თევზს დიდი გასავალი აქვს. ვაჭრობა ერთობ თავაზიანადა და ზრდილობიანადა სწარმოებს და არასოდეს ისეთს ბრიყეულსა და საძაგელს ქცევას ვერ ჰნახავთ, როგორიც ჩვენს დუქნებსა და ვაჭრებს ისე ახასიათებს: ლანძლვა-გინება, სავაჭროს გაზვიადებულად ქება და მუშტრის ძალათი მიპატიუება იაპონელებისათვის სრულად უჩვევი რამ არის. ყველა ეს თავაზიანად სწარმოებს, მდაბლად თავის დაკვრითა და ალერსიანის ლიმილით, სამაგალითოდ შერჩეულ ზრდილის სიტყვა-პასუხით. დუქანში შემავალი იაპონელი „გეტას“ (ფეხსაცმელს) გარეთა სტოვებს¹⁾ და პატრონს სავაჭროსას ზრდილობიანად თავს უკრავს. ვაჭარი და მისი მაშველი გამსყიდველი ქალებიც ასრულე დაბალის თავდაკვრით ეგბებიან; ერთი სიტყვით, ისრე უმაგალითოდ და თავაზიანი რამ არის ეს მათი ვაჭრობა, რომ ევროპიელს თავ-გზა ებნევა თითქმის: ჰელია, უბრალო და ხელმოკლე მცხოვრებნი-კი არ მოსულან სავაჭროდ, ვიღაცა მდიდარი მემამულენი არიან მხიარულ სათამაშოების. სასყადლად გამოსულებით. ნაცნობები ცოტათი მუხლში მოკეცით ერთმანეთს მდაბლად თავს უკრავენ და მთელს სახესა და გარეგანს გამომეტველებაზედ სიამოვნება ეხატებათ. დგანან ასე დიდხანს ერთს იდგილასა, ფერდებზედ ხელებს იხახუნებენ და კბილ მოჭრით ჰაერს

¹⁾ — სა კუთხოვა.

ისუნთქვენ, კარგა ხანს ვეღარ ჰპედავენ გაშორებასა, რომ ამ თავისის აჩქარებით ერთმანერთი არ შეურიცხვონ.

თუ კარგად დაკვირდებით ამ ბრძოსა, ორს სხვა-და სხვა ტიპს ნათლად გაარჩევთ. გეუბნებით, კარგად დაკვირდებათ-მეთქი, იმიტომა, რომ ევროპიელის უწევეს თვალს ყველა იაპონელი უთუოდ ერთი მეორის მხგავსად მააჩნია. დ-რი ტენ-კატე ამ გარემოებას იაპონელის პირადუას განუვითარებლობას ამიზეზებს. მაგრამ პირადობის განვითარებას სხვა ადგილასაც შევეხებით; ახლა-კი გავიხსენებთ, რას ამბობს ამის შესახებ ტენ-კატეს წინააღმდევ პროფესორი ბელკი, რომელმაც მთელი ოცი წელიწადი დაჭყო იაპონიაში და მკურნალობას ეწეოდა: „ევროპაში მოგზაური იაპონელებიც თურმე ამავე აზრისანი არიან ჩვენის პირადუბის შესახები“.

სავაჭრო ადგილებში ხალხიდამ ბევრი თითქმის მთლად შიშველია. მეტ ნაწილად ან უბრალო მუშები არიან ესენი, ან-და გლეხები. კანი ბევრს დახატული აქვს, რომელსაც მუშას, მაგალითად, ღია გულმკერდს მშვენივრად დახატულ ქალის სახე უმშვენებს — ცოლისა ან საყვარლისა. სხვებს გველვეშაპები, სხვა-და-სხვა ფრინველები, მხეცები და ბუნების სანახაობა აქვთ გამოხატული. ბევრს წინ და უკან მჟელი ტანი თავით ფეხამდე ასე აქვს დახატული. მეტი წილი იაპონელებისა ქუჩაში სულ თავშიშველი დადის; ავდარში-კი, ქალი თუ კაცი, ყველა ან ჩაბალახს ატარებს, რომელიც „კიმონოზე“ აქვთ მიმაგრებული, ან არა-და ქალალდის კოსტა ქოლგასა. ხშირად-კი მეტად სასაცილოდა აქვთ ევროპიული და იაპონური ტანისამოსი ერთმანერთან შეხამებული. ქალებს ამ შემთხვევაში არა ესაყველურებათ-რა, მაგრამ ფეხშიშველი იაპონელს რომ ხშირად მშვენიერი პიფაკი აცირა და ცილინდრი ჰქონავს, ეს-კი იშვიათი სანახვი არ არის, მეტადრე იმ ქალაქებში, სადაც ევროპის გავლენა უფრო ფეხმოკიდებულია, მაგალითად, ტაკიოსა და კობეში. ერთმა ჩვენებურმა ნივთმა მოინადირა მხოლოდ იაპონელ ბანოვანთა

გული: - ეს გახლავთ ევროპიული ქოლგები, რომლებმაც ადგილობრივი ქოლგები ლამის არის მთლად გამოსდევნონ.

ესთქვათ, წვიმი წამოვიდა. უცბად იაპონელები უცნაურს ჩალის „პლაზებში“ ეხვევიან. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, საუცხოვოდ იფარებს წვიმისაგან ასეთი საწვიმარი ტანისამოსსა და წყალი მთლად წკრიალით ძირს ჩადის ჩალაზედა. დიდათა ჰუცელით იგრეთვე ვევება, ქამა სოკოსავით გადაშლილი ჩალის შლაპები, რომლებსაც ზემოდამ თეთრი ტილო აქვთ გადაკრული. კოხტა „კიმონის“ დასველება და გატუჭყიანება საშინლად ემკვლელებათ იაპონელებსა. უნდა შევნიშნოთ აქვე, რომ რეცხვაც შეტად რთული საქმეა მათში, რადგანაც გარეცხვის წინ არღვევენ უთუოდ ჩასაცმელსა და მერე ისევ ხელ-ახლად ჰკერავენ.

ქუჩაში ხალხი თან-და-თან მატულობს. ცხენებით არავინ დაიარება, მაგრამ ხალხი თითქმის მთლად გარეთ გამოხვევ-ტილა. რიგი საქმობს, რიგი თავს ართობს. თვალთმაქცები, ჯამბაზები, სხვა-და-სხვა გვარი იაპონური წარმომადვენლები აქა-იქ ბრბოში დაძრწიან. ტაძრების წინ მთელი ვაჭრობაა თითქმის გამართული. ზოგს თაბებით ულავი სათამაშოები, ზოგს ტკბილეულობა გამოუფენია, რომელსაც ქალი და ბავშვი მრავლად ეხვევა; მაგრამ ისეთი რამა აქვთ მომეტებულ ნაწილად გასასყიდად გამოტანილი, რაც ჩვენს ბავშვებს არასოდეს არ დააკმაყოფილებდა: რაღაცა ცომის ნაკრები, დაშაქრული და სიროპში ამოვლებული ბოლოკი და სხვ... ტაძრებში მეტ წილად დედაჭაცები და გასათხოვარი ქალებიდან-არებიან, კაცები იშვიათად. შემავალი ჯერ იქვე ჭასთან იბანს ხელებსა, მერე მძიმედ ადის კიბით მალლა ჩარდახში; ჩამოჰკრავს იქ ჩამოკიდულს ზარსა, ტაშს გაჰკრავს და ოდნავ წახრილი ლოცვას კითხულობს. გაათავებს თუ არა ლოცვას, ერთხელ კიდევ გაჰკრავს ტაშსა, ჩააგდებს თავის წვლილს იქვე ჩამოკიდულს ყუთშია და უკან ბრუნდება.

თვალთმაქცები და არტისტები ართობენ როგორც პატარებს, ისე დიდებსა; მაგრამ დახელოვნებულებიც არიან: არამც თუ სიმარტით იბყრობენ ყურადღებასა, საუცხოვო და პოეტურნი არიან თვითონ შინაარსითაც. აგერა ზის „ამეა“. წინ ქოთნით ქერის ფელამუში უდგას. პატარა მასრით ბავ-შვებს სხვა-და-სხვა გვარს მხეცებსა, კაცებსა და ჩიტებს უკე-თებს (ამოსცხებს დუღულას მასრის ფელამუშში და მეორე წვერიდამ ისე ხელოვნურად უბერავს, რომ სურვილისამებრ ყველა მხეცსა და ფრინველს აგვანებს) ფელამუშისასა და უცბად შემხმარს იქვე სთავაზობს. აგერა კიდევ მეორე ხელო-ვანი: ხელის გულიდამ წვრილად დაჭრილს ქალალდას ნაკრებს აფრენს და მარაოთი ისე მოხერხებით აფრიალებს ჰაერში, რომ გეგონებათ ლამაზ ფრთოსანთა მთელი გუნდი მიფრინავსო. მის შორი-ახლოს ტაძრის კარებთან თავისებური ხელოვანი კიდევ სხვა ზის და ფერადის ქვიშით სურათებს პხატავს: იღებს ქვიშასა და ისე ხელოვნურადა ჰყრის წინ მდებარე ფიცარზედა, რომ თვალის დახამხამებაზედ მშვენიერს ბუნე-ბრივს სანახაობასა, ცაში მოსრიილ ფრინველებსა და წყლის პირად გაშლილს ნაზა ლოტოსს გიხატავსთ. უცბად საიდამ-ლაც მოწყენილი სალამურის ხმა გესმისთ: გაიხდავთ და, აგერა, თქვენს მახლობლად უსინათლო „ამა“ – მემასსაუე (ტანის დამზელველი) – სდგას და მცირე საფასით თავისს შრომასა გთავაზობთ. შეპევდებით აგრეთვე უცნაურის შეხე-დულობის დინჯად მომავალს სათვალებიანს იაპონელს ექიმსაც. მას უკან მოსდევს წამლებისა და შესახვევების ყუთით პატა-რა ბრჭი... და სხ. ერთი სიტყვით, უველგან მოძრაობა და სიცოცხლი, მხიარული და უზრუნველი თითქოს, გეგონებათ დღესასწაულობსო („მაცური“) ქალაქი.

განსაკუთრებით ახმაურებენ ქუჩას ბავშვები: ლაპარა-კობენ, თამაშობენ, მხიარულად კისკისებენ. თუ სავაჭრო ადგილებში ვერსად დაპარით თვალი, სამაგიეროდ ქუჩები მთლად ბავშვებით არის საესე. მათ პხედავთ უველგან: ქუ-ჩებშიაცა, ღია სახლებშიაცა, სახლის უკან ბალებშიაცა. რო-

გორც ზემოდაც მოგახსენეთ, თვით უუღარიბესს იაპონელსაც კი სახლის უკან უთუოდ პატარა ბალი აქვს. მართალია ხშირად ერთის ოთახის ოდენა ადგილიც იქნება ძლიერს ეჭიროს ასეთის ღარიბის ბალსა, მაგრამ შიგ მაინც უთუოდ ყველაფერი აქვს: ღარიბის ბალსა, მაგრამ შიგ მაინც უთუოდ ყველაფერი აქვს: პატარა სათამაშო წყლის აუზიც, რომელზედაც კუზიანი ხილია უთუოდ გადებული, ორიოდე ხეივანიცა, რომლებსაც გარშემო წვრილი, უცნაურად დაგრეხილი ხეები და ყვავრ-ლები აქვს ჩარიგებული; იქვე უდას დაბალი ქვის სკამი და წინ მაგიდა (ერთად-ერთი ადგილია ეს, საღაც იაპონელს მაგიდაცა აქს და სკამიც); აქვს ხშირად პატარა გამოქვაბუ-ლი ადგილიცა და ზოგჯერ შადრევანიც.*)

სათამაშო ბალები, პატარა სახლები და ასეთივე სათამა-შო ავეჯი სახლისა, ყველა თითქოს განგებ არის საბავშვოდ გაკეთებული. მთლად იაპონიაც თითქოს ვეება საბავშვო ბალს წარმოადგენდეს, ბავშვები არიან აქ ყველაფრის ბატონები და პატრონები: ყველაფერი მათთვის არის მოწყობილი, და ავეჯი სახლისა, შეადგენს. ამას ჰმოწმობენ მოგზაურები სიათებელს თვისებას შეადგენს. ამას ჰმოწმობენ მოგზაურები ერთხმად. მაგრამ ნურავის ეგონება, ვითომ განებივრებული და განაზებული ჰყავდეთ ბავშვები. პირ-იქით: სიცოცხლით სავსე, ჯანსაღნი, მშვიდნი და მეტად ზრდილნი არიან ყველანი. იშვიათად შექვედებით, რომ ქუჩაში ბავშვი ვისმე უტიროდეს; ვერსად ბავშვების ჩხუბს, უასჯილი ბავშვის ტირილს ვერ ჰნახავთ და ვერ გაიგონებთ. თავაზიანად და ნდობით ებყრო-ბიან საზოგადოდ უცხოელებსა და ცნობისმოყვარეობით გარს

*) დეკორატიულმა ბალოსნობამ იაპონიაში XV საუკუნიდან იწყო განვითარება და შექმნა რამდენიმე სკოლა. ერთი, მაგლითად, სცდი-ლობს შექმნას ილიუზია. და პერსპექტივას უმატოს, ე. ი. მნახველს ნამდვილზე მეტად აჩვენოს ბალი; ამ აზრით წინ უფრო დიდს ხეებსა ჰრგავნ და ფერდობებს უკეთებენ, უკან კი დაბალსა და ღაბალს ხეებსა ჰრგავნ. მეორე კი სრულიად წინააღმდეგ იქცევა: წინა ჰრგავს პატა-რებს, უკან და უკან დიდებს.

ეხვევიან თამამად, მაგრამ გზას არ უჭირენ არასოდეს, არა აბრკოლებენ. ეს კია, თუ ეშმაკად თმა გაქვთ ქერა ან წვერები, მაშინ კი ახლოს არ გეკარებიან, გაგირბიან, როგორც შეს კირს,— „ონათა“ გცნობენ (ეშმაკად), რადგანაც დედებისა თუ დების პირიდამ ეს ესმით მხოლოდ შესაშინებლად.

დედები შვილებს, დები კიდევ ძმებსა და დებს ზურგით ატარებენ. ასეა როგორც დაბლისა, ისე საშუალო წრის იაპონელთა ოჯახობაში და ბავშვებიც შესჩვევიან ამ ჩვეულებასა, არად აგდებენ. ხშირად ძიძობას უწევს ბავშვსა პაწია შვილი-რვა წლის და და ზურგზე მიბმულს მხიარულად დააბენინებს, ამხანაგებთან თამაშობს, საქმიანობს, ტვირთს არად იჩინებს. ბავშვებსაც ტკბილად სძინავთ იმ დროს, როცა პატარა ძიძა ამხანაგებთანა და ტოლებთან თამაშობს, დარბის. სირბილის დროს მძინარე ბავშვი თავს აქეთ-იქით აქნევს, აწყდება, მაგრამ არა უჭირს რა, მაგრა აქვს წელზე ფეხები შემოხვეული. ეს გარემოებაა სწორედ მიზეზი, რომ იაპონელს ჯალებსა და დედა-კაცებს ფეხის ქუსლები განზე აქვთ ყველას გასული. ორ-სამ წლამდის თითქმის ყველა ბავშვს ძუძუს აწოვებენ და ხშირად შეჰვდებით ასეთს სურათს, რომ პაწია ძიძა ტვირთის ჩამოუხსნელიდ მისჯდომია დედასა და ბავშვს ძუძუს აწოვებინებს.

როგორა ჰერდიან იაპონიაში ბავშვებს? მუდმივი ფაზიკური ვარჯიშობა: ბანაობა, სუფთა ჰაერზე ყოფნა, ზურგით ტარების დროს უნებური მოძრაობა, თამაშობა და სხვა უმაგრებს ყველას ჯანმრთელობასა და აკი ამიტომაც იშვიათია იაპონიაში ბავშვების სიკედილი. რაც შეეხება ზოგიერთა გადამდებ საბავშვო სენსა, ესენა ხომ სულ არც კი ვისმე გაუგონია აქა. მეორე მხრივ, გარეგნობით მხიარული და სუბუქი ხასიათის იაპონელი, ვითომ, პატარობიდანვე აკონებს ბავშვსა, რომ მარტო ოდენ სიხარულისათვის არ არის კაცი გაჩენილი. მაგრამ ისე ზრუნვით და სიკუარულით უნერგავს ამას უფროსი ბავშვსა, რომ მკაცრი და ნაღვლიანი დოქტრინა ცხოვრებისა ბავშვის სულს სრულიად არა სიაგრავს. არა-

სოდეს იაპონელი ბავშვს არ უბუზღუნებს, მკაცრად არ ებურობა, არცა ჰსჯის ცემით. პირ-იქით, ისე როგორლაც ტებილადა და მშეიდობიანად მოქმედებს, რომ გვინიათ ბავშვები თვითონა ჰზრდიდნენ თვიანთს თავსა. იაპონია ბავშვების სამოხხეა, სადაც ალკრძალული ნაყოფი სრულიად უცნობი ხილია. სრულიად შეუმჩნეველად და უხილავად ბავშვი გარკვეულის მიზნისაკენ ისწრაფეის. მართალია, ანგარიშს არ აძლევს თავისს თავს ბავშვი, რად ემორჩილება იგი დისციპლინასა, მაგრამ ჰერძნობს-კი, რომ ალლოს უკეთეს ეროვნულ იდეალისაკენ მიშეავს იგი.

თავისუფლად იზრდებიან იაპონელი ბავშვები: ბუნებავე აღმზრდელი მათი, რომელიც საუკუნოების განმავლობაში შესტკბობია და შესთვისებია მათა. გარდა ამისა, პატარობიდამცე ზურგით ტარება თითქოს აჩვევს კიდევა, როგორ შეეწყოს ცხოვრების მოულოდნელს ცვალებადობასა და ბუნებრივობას, სიცოცხლეს და მოძრაობას უვითარებს. ამიტომაც, თუ ზნეობას არა, თავაზიანობასა და მოხერხებულობას მაინც ცხოვრებაში სულ ადვილად და მტკიცედ ითვისებს ბავშვი. არავინ თავის დაჭრის არ ასწავლის ბავშვსა; სხვა-და-სხვა გვარი ზნეობრივი წესები, რომლითაც ჩვენში ბავშვს თავი აქვს გამოთქვეული, იაპონელებისათვის სრულიად უადგილო და გამოუსადეგარნი არიან. უჩვენებენ მხოლოდ აშეარად, თუ შვილების მორჩილება და მშვიდი, წყნარი ხასიათი რამდენად ასიამოვნებს მშობლებს; უჩვენებენ მაგალითით, როგორ უნდა მოიქცნენ ისრე, რომ მშობლებისა და უცხოელების წინაშე საწყენი არა ჩაიდინონ-რა. ამიტომაც არასოდეს მამა თავისს თავს ნებას არ მისცემს, უქმებისა და უსამართლო ქცევით თავისი მამობრივი ღირსება შელახოს როგორმე. დედაც მუდამ კმაყოფილია ქმრისა და არასოდეს ოჯახის წევრთ უზრდელად არ მოეპყრობა. ყველა ამ თავაზიანობას იქნება ნაკლიცა ჰქონდეს, მაგრამ იაპონური აღზრდა უფრო ხალხის გასაზოგადოობრივობასა სცდილობს, ვიდრე იმასა, რომ კერძოდ თვითეულ ბავშვს ნაკლი რამ

առա Ֆյոնդյես. Տանոցագու Տոյպեցյա անցըալլըեն Կյանքողածասա. Ամուրոմաւ առասուցյա մալլագրանցի առա Տվորուատ, հռմ Մյուր-
հապեսոյուն թին տացո Մյոմացրոն դա ևն.; Ֆինունազըն Շմեր-
տյա առ Տեցատա Տոյամոցնեցիսա դա Կմապոյուղըենսատցու դա Միա-
հունտ Տա՛՛նոնլագ, հռցյա ապ ԳարՄյու Թեռլու մոմլու մոմլոմահյ
դա Կմապոյուղու Տալունա Ֆյեջացըն. Օմ հուցա օճտոնյելու Մյուրը
Ցունցիս Ելուցնեցի Մյագցենս.

Տարթմյունոցիս Պանտրու մոտուղոցուրու Եմալլըենոն ու
դա Ցունցաւ Պանտրութիս—ասկ յայ Տյուլս Մյուրը Կյալո Տա-
ցանսա. Ամուրոմաւ առու, հռմ Կյուլցիլու առ Տասբույա առ
Վայրոնիոն օճտոնյելու Բաց՛չըցի Մյոնահյըցիս դա Կիուցըլըն,
հռցուրու ամաս յարունոյու Բաց՛չըցի Տիացուան. Կյուցըլուց
Մյունոնցըլու դա Պարմոնուլու գանցիուլու այցու Շար-
մուցընու Ցունցիս; Եցրալըցի Կյալուցը Իրու Կո հռմ
Սորուելունի դա Տեսնույցիս. Վայցիս Կուցու Մուշկլու հռմ
Ըանա՛՛նուլու ամ Թերու, Թաշրամ յալու Տրուլու առացուա-
րու. Պատրա օճտոնյելու յալու հռմ Եցըլու դասւցյա դասակը-
րաւ, Թուլու մուսդամու տանացրմոնիու առու առսացնյ դա Տո-
կյառուլու Մյունցը Ելու Ցուլս,—Ծայէյու; Օլծագ օմո-
ւու, հռմ Եցուունաւ մանա Ֆյացը Եցըլուսա. Իշենու Բաց՛չըց-
իսացան Շուշնցիս Շերէթի դա Ետյունա առ աթալու, մյուլու;
Իշենցը Բաց՛չըցիս այցու Ցալակույլու. օճտոնյելու Բաց՛չըցի-Կո Մուտի-
ցը Ել Կուլու առ Իսուունու ասցու Տայուցիս և առասուցյա
առ Ինքումեթու Մյուրաւեյու հռցուրու ու Շուշնցիս Շուրուլը-
նի, հռմլու Եցըլու Տայուցիս Մյուրուլըն անհյըցի դա Թեթը-
րյիս Տյուրաւու ամուցանունու.

Համլցենու աթլու ամլու ամլու գրու, օմլցենու Կալուր-
ցիս յիշիցի; Օյա-ոյ Թեռլու գրու Կալուրցի դա Բաց՛չըցի-լա
Ֆինունա Կյալու գրու Ետյունա Տայուցիս Ֆյունա արյ-մարյսա. Տամացոյ-
րու Տայուցիս Ետյունա ոյցու այցու Ետյունա ոյցու Կյալու
Ֆյունա դա հռցուրու Սայունու գրու, աթլու ու Ետյունա Կյալու
Ֆյունա դա հռցուրու Տայուցիս Մյուրուլըն անհյըցի դա Թեթը-
րյիս ոյցու Ետյունա ոյցու Կյալու Մյուրուլըն Ֆինունա Ետյունա.



ისრევე უპრალოა, როგორც საუზმე. მოაქვთ სხვა-
და-სხვა ფერად მომზადებული მოხარული ბრინჯი, სხვა-და-
სხვა ჯურა მწვანილებული საწებლებითა და თევზი, მეტ წრ-
ლად უმაღლეს გამოყვანილი. კველა ამას ზემოდან თბილ-თბილ
„საკვე“ ანუ ბრინჯის არაყს აყოლებენ პაწია ფინჯნებითა.
„შეექცევიან მერე ჩაისა, ტკბილებულია და თამბაქოს ეჭვიან.
საყოველთაო საკმელს წრის შუაგული სდგამენ ლაქდაკრულს
დაბალს სკამზედა; თამბაქოს მწევლებს კიდევ პაწია ლაქდა-
კრულს საფერფლებს უდგამენ წინა. მიმრთმევნი და ამრთმევ-
კრულს საფერფლებს უდგამენ წინა. მიმრთმევნი და ამრთმევ-
ნი სადილზედ სულ ქალები არიან, რომლებსაც იქვე მახლო-
ბელ სამზარეულოდან შემოაქვთ მზა-მზარეული საკმელი. მაგ-
ნის რამ ჩვენსას არაფრითა ჰგავს ეს მათი სამზარეულო. ოთახის
შუა-გულ ნაცრითა და ქვიშით სავსე ყუთი სდგას ცეცხლისა-
თვისა, ყუთს ზემოდან საკიდელაა ქვაბისათვის ჩამობმული.
ბუხრებიც იშვიათია იაპონელთა სატლებში, რაღვანაც მიწის
ძერის დროს ადვილად ინგრევიან. ცეცხლს ამიტომ ოთახის
შუაგულ ანთებენ. ლუმელის შენებასაც ერიდებიან; ცეცხლისა
ეშინიანთ.

სადიოლს შემდეგ ყველანი ისკენებენ: სძინავთ, ჩაის ჰსმენ, თამბაქოს შეექცევინ. ამ დროს მთელს ქალაქში სიჩუმე და მშვიდობიანობაა. ახალგაზრდა გასათხოვარი ქალები ერთმანერთთან მიღი-მოდიან სტუმრითა და იწყებენ მხიარულს ყბეჭობასა, სიმიან საკრავებზედ დამდერასა და სხ... ნაშეაღევვის ხუთი საციფრან ჯუჩები ისევ ახმაურებული და ამოძრავებულია, ზიგრამ ის საქმიანი სახე იღია სდევს, როგორც სავებულია, ზიგრამ იყო. ხუთიდან ექვსამდე ხელხი მეტ წილად აბადილს წინად იყო. შეძლებულები, რასაკრელია, შინ ბანაონში მიეშურება. შეძლებულები, რასაკრელია, „შინ ბანაონში მიეშურება. შეძლებულები, ლარიბი და შეუძლებლები-კი საკუთარს „ფურილდოში“, ლარიბი და შეუძლებლები-კი საზოგადო აბანოს აშურებენ. ასეთი აბანოები მრავალია ყველა ქალაქში და შეუძლიან ყველას გროშის ფასიდ იბანაოს. კაცები, ქალები თუ ბავშვები ყველანი ერთად ბანაობენ; იხდიან ცეცია, ალაგებენ განგებ ამ აზრით კედლებზედ ჩამოტანისამოსა, ალაგებენ განგებ ამ აზრით კედლებზედ ჩადიან-კიდებულს ყუთებში და თბილს აუზში მოურიდებლად ჩადიან-

საერთო აუზის საზღვარს შეადგენს შუაზედ გაბმული თოკი. ერთს მხარეს თავს იყრიან ქალები, მეორეს კაცები. ეს არის მათი ვანმაცალკევებელი, სხვა არასფერი. იგრა, დედაკაცებს აუზში ჩამავალს საფეხურებზედ მოუყრიათ თავი, ქალებს კი-დევ უბანავნიათ და შიშვლები დგანან, მხიარულად ლაზლან-დარობენ; იცინიან, ჰაერზედ იშრობენ ტანსა, არავის არ ერიდებიან. ხშირია ასეთი მოვლენაცა, რომ საზოგადო აბა-ნო სახაიესთან არის პირდაპირ შეერთებული და ნაბანები ახალგაზდა ქალი და კაცი დასასვენებლად პირდაპირი ქმიდის ახლა, ცალკე კაბინეთში, რბილს ჭილობებზედ ტკბილის განცხრომისათვის. და ყველა ამას შეეძლიანთ გარედან, ქუჩიდანვე, უცქიროთ დაფანჯრულ ფიცრულიდან.

ყველა ეს პირველ ხანად შეეძლება დიდად სასირცხვი-ლოდაც მიიჩნიოს ევროპიელმა, მაგრამ მოიგონეთ, აბა, ზე-თექვსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნეში ევროპაში რაღა იყო. ქალებისა და კაცებისათვის საერთო აბანები, მაგალითად, შვეიცარიაში სრულიად ჩვეულებრივს მოვლენას არ შეადგენ-და, განა? სიშიშვლე იაპონელებს სამარცხინოდ არ მიაჩნიათ და ისრევე არავინ ყურადღებას არ აქცევს შიშველს ადამიანსა, როგორც მცენარეებს, ცხოველებს, ზეცას. სამაგიეროდ სა-მარცხინოდ მიაჩნიათ იაპონელს ქალებს ჩვენებური, ევრო-პიული გულ-ამოქრილი კაბები. მათის აზრით, განზრახ გულ-მკერდის გამოჩენას უთუოდ კაცების აღელვება აქვს აზრიად. არამც თუ ტანისამოსი არა აქვს ასეთი იაპონელ ქალსა, ერი-დება თვითონ ისეთს მიმოხვრასაც-კი, რომელიც მაყურებელს მკრძნობელობას გაუღვიძებს და ვნებას, გულისტქმის აუშლის. იაპონელი ქალის წარმოდგენა სილამაზის შესახებ სიმშვიდის გამომხატველია. ასე ფიქრობენ არა მარტო საშუალო შეძლე-ბისა და უზრუნველ წრეების ქალები, თვითონ დაბალის შე-ძლების ქალები და იაპონელი „გეიშები“ და „მაიკოებიც“-კი, რომლებიც საყოველთაო ალერსისა და ტრფობის საგნად გარდაუქმნია ცხოვრებასა.

— „L-S.

3 უთებუ 1537/2



საღამოობით (ექვისი საათის შემდეგ) ისრევება ახმაურე-
ბული და გაცოცხლებული ქალაქი, როგორც სადილს წინად.
სამუშაოსა და საქმის მოთავების შემდეგ ყველა მხიარულადა
და სასიამოენოდ სცდილობს დანარჩენ დროს გატარებასა.
ფერად ფარნებით გაჩირალდნებული ქუჩები და სახლები საა-
მურს შთაბეჭდილებას ახდენს. ხალხი მოძრაობს; სახლებიდან
სიმღერისა, სიცილისა და იაპონურ გიტარის „სამიზენის“ ხმა
ისმის ყველგან. ასე ატარებენ დროს ღამის 11—12 საათამ-
ცე საქმის დღეში; რაც შეეხება უქმე დღეებს, მაშინ ხომ
უფრო მეტია მოძრაობა, ხმაურობა, სიმღერა და მრავალი
სხვა თავვართობა. უყვართ სახოგადოდ დღესასწაულების გა-
დახდა იაპონელებსა და მათ შორის განსაკუთრებით ყვავი-
ლობის დღესასწაულებისა, რომლებიც ერთი მეორეზედ უმშვე-
ნესი და მომხიბლველია. ყველა მცენარის ყვავილობას ოვისი
საკუთარი დღესასწაული აქვს*).

თუ იაპონურს თეატრში „რიკშათი“ წაბრძანებას მოი-
სურვებთ, ეტლი მხოლოდ თეატრის ქუჩამდის მიგიყვანა,
რადგანაც მთელი ქუჩა ხალხით არის საცხებით გაჭედილი. ია-
პონის ყველა მოზრდილს ქალაქში მოიპოვება უთუოდ გან-

*) ოფიციალური დღესასწაული რიცხვით სულ 16 მთელის წლის
განმავლობაში. ამათგან პირველი, მესამე და მეოთხე რიცხვის
ახალის წლის სადღესასწაულოდ არის დადებული; 17 ოქტომბერი შინტოს
ღმერთებისათვის არის დადებული, როგორც პირველ ნაყოფის გამომლებ-
ლებისა. დანარჩენი დღესასწაულები საუფლისწელოა. 11 თებერვალს
უქმობენ, მაგალითად, პირველ (მითიურ) მიკაღას ტახტებდ ასვლასა, რო-
მელიც იაპონელთა ანგარიშით ქრისტეს წინად 600 წ. მომხდარა; მაშინ-
ვე უქმობენ კანსტიტუციის გამოცხადებასაცა. მაკრამ ზალხი 20-დე კიდევ
სხვა უქმეს დღესასწაულობს. უმთავრესს იმათგანს შეადგენს „ბონ-ნო-
მაცური“ ანუ „სორო-მაცური“ და დადებულია გარდაცვალებულთა მოსა-
ხსენებლად (13 მეტ. 16 მეტათვემდე), იაპონელების წარმოდგენით ამ
დროს ყველა გარდაცვალებულის სული დედამიწაზედ ჩამოდის და ცოცხ-
ლებთან ერთად ატარებს დროსა. ყველა სახლები მთელის დღესასწაულო-
ბის დროს ფარნებით არის გაჩირალდნებული. ამიტომაც მეტ სახელად
„ფარნების დღესასწაულს“ უწოდებენ.



საკუთრებული ქუჩა, სადაც მხოლოდ თეატრებია მოთავსებული და ამიტომაც თეატრის ქუჩის უწოდებენ სახელადა. ღილიდგან საღამომდის მთელი დღე წარმოდგენებია გამართული ასეთს თეატრებშია და მაყურებელიც მუდამ ბევრი ჰყავთ, რაღვანაც სიყვარული თეატრისა ბუნებით თანდაყოლილი აქვს იაპონელსა თითქოს. თვითონ ქუჩა, რომელზედაც თეატრებია მოთავსებული, განსაკუთრებულის ხასიათისაა როგორლაც; აქა-იქ ყველგან 3-4 საეჭნის სიმაღლე ბამბუკის სარებია ჩასხმული, რომლებზედაც სხვა-და-სხვა წარწერებით აქრელებული გრძელი ლურჯი და წითელი ტილოებია გაკრული. თვითონ თეატრები ფიცრისაგან არის შეკრული და დაიტევენ სამასიდამ ხუთასამდე კაცს; მაგრამ გარედამ აქ რისამე დანახვა, როგორც ეს სახლებშია ჩვეულებრივ, შეუძლებელია. თეატრებსვე აკრავს ზედ ჩვეულებრივ აივზიანი და დერევნიანი საჩაო სახლები, სხვა-და სხვა გვარის ფარნებით მრავალნირად აქრელებულები. აქვეა მოთავსებული სხვა-და-სხვა გვარი თავგასართობები, სადაც, ვინ რესი, რა სასწაულებრივს თვალთმაქუმბას არ უჩვენებენ ხალხსა.

აგერა, იყიდეთ ბილეთი. ბილეთის მაგივრად, რომელიც ჩვენ ქალალდის პატარა ნაქრათა გვაქვს უთუოდ წარმოდგენილი, რაღაცა წარწერილს ხის ფირფიტას გაძლევენ. თეატრის შესავალს კარებში უთუოდ უნდა ფეხთ დაიხადოთ და შესანახად მიაბაროთ. კარებში მდგომი კაცი ფეხთსაცმელს ჩამოვართმევთ და იმავე რიგად, როგორც ბილეთს, ხის რაღაცა ნაფოტს მოვცემთ. თუ რომელსამე დიდს ქალაქში ხართ, უეძლება ლოფაში განგებ ევროპიელებისათვის გამართული მოწყობილობაც ნახოთ, სახელდობრ: საჯდომი სკამები და სხ.; მაგრამ თვითონ იაპონელებისთვის-კი მთელი პარტერი უბრალოდ არის ყუთებივით გადაღობილი, რომლებშიაც არხეინადა სხედან მთელის ოჯახობით. იაპონელები; შიგა ჰსმენ, შიგა სკამენ და შიგვე ეწევიან თუთუნსა. ემსახურებიან და მიართმევენ ჩაისა თუ ხილს მახლობელ საჩაოებაში ახალგაზრდა იაპონელი ქალები.

თვითონ სცენა ნალისავით არის შემოკრეალული. მეტ ნაწილად დამსწრე საზოგადოებას ქალები და ბავშვები შეა-დგენერნ. უცელანი ეწევიან, ლაყბობენ, მარაოს აქცევენ, ურთ-მლისოდაც არც ერთს იაპონელს (კაცსა თუ ქალს) გაძლება არ შეუძლიან.

გაისმის სცენის უკან სამჯერ ყრუდ დაბრაგუნება, გადი-წევა ფარდა და განაგრძობენ წარმოდგენას, რომელიც თქვენამ-დე დაუწყით. ბევრნაირად გაკვირდებით სცენაზედ ნანახით. არგითარი დეკორაციები არ მოეძებნებათ სცენაზედ: ბალის წარმოსადგენად, მაგალითად, რამდენსამე ცოცხალს ყვავილსა სდგამენ თიხის პირგანიერ ქვაბ-ქოთანათი, საჩიე სახლს კიდევ დედამიწაში ჩარქობილი ორი ფარანი და წარწერა წარმოადგენს,— ეს არის და ესა. ისე აქვთ, ერთი სიტყვით, ყველაფერი მოწყობილი უბრალოდ, როგორც შექსპირის დროს იყო ევროპაშია. პიესა გაღმოვცემს რომელილაც ზღა-პრისა თუ ზღაპრულს, რაინდთა დროის მოთხრობის შინა-არსს. უმთავრესი დანიშნულება აქ ტანისამოსსა აქვს: არტი-სტები ძვირფასის, ძველებურ იარაღით აღჭურვილნი გამოდი-ან, მანტიებ-წამოსამულები. ხშირად ისეთი რამ უცხო სამკა-ულიცა აქვთ ან იარაღი, რომლისა შოვნაც ძნელია მეტად-უმთავრეს როლის აღმასრულებელს არტისტს თან ორი მხლე-ბელი მოსდევს ხელში ფარნითა, რომ შვენიერი მოყვანილო-ბა და მორთულობა მოთამაშისა მაყურებლებს უკეთ დაანა-ხონ.

ორი სადღესასწაულოდ მორთული დედაკაცი ძირსა ზის იატაკზედ და ხმა მაღლა ქვითინებს. ცრემლები ღაპა-ლუპითა სცვივათ და რაღაცა მრგვალ საგანს ხან ერთი იკრამს გულ-ში, ხან მეორე. ეს არის სისხლში მოთხევრილი ადამიანის თავი. დედა და ქალი თურმე არიან მოკლულისა მომტირა-ლები. შემოვა მერე მამა მოკლულისა და ერთ ხანად დედა-კაცებს შუა ზის აულელვებლივ, ჩუმად. ტანთ ძველის-ძველი მშვენიერი ტანისამოსი აციია, „დაიმიოს“ იარაღით არის აღ-ჭურვილი. შვილს დასცერის. ანიშნებს მერმე ხელით დედა-

ეთნოგრაფიული და მთავრობისა

კაცებისა და ისინიც გარეთ გადიან მოთქმითა. მიიხედ-მოიხედ-
დავს და რომ პნახავს, არავინ მიცემისო, დაეცემა. გონს
რამ მოვა, ვეღარ იგონებს თითქოს, რა მოხდა მისს თავსა
ასეა ერთ ხანად დაფიქტებული. შემოისნის მერმე იარა-
ლსა, გადაიძრობს ძვირფასს სამოსელს, გადიღელს წინიღამ
„ძიბანს“, ამოიღებს მახვილსა და მუცელს გაიპობს. თქვენ
თვალ წინ ჩიგნეულობა გადმოსცვივა, სცენა სისხლით მოირ-
წყვება: ვერ აიტანა ძველმა „დამაიომ“ შეილის მწუხარება
და „ხირაკირი“ შეასრულა, ე. ი. თავი მოიკლა.

მართალი რომ ვსთქვათ, არტისტმა საუცხოველ ითამაშა
და ძლიერი შთაბეჭდილებაც იქმნია. ჩამოეშვა ფარდა და
მთლიად დარბაზს თითქოს ერთხმად ამოჰედა გმინვა; მოეწო-
ნათ ნათამაშვეი. აგრეა, გამოვიდა არტისტი და მაღლობის
ნიშნად მაყურებლებს თავი დაუკრა. მაშინვე პარტერილამ
ნიშნად მაყურებლებს თავი დაუკრა. მაშინვე პარტერილამ
ჩისერუვასაუით დააყარეს: სხვა-და-სხვა ნივთები, მარაოები, ჩი-
ბუხები... მხლებლები მაშინვე გადმოყრილს ნივთებს პატრო-
ნებს უბრუნებენ, რის მაგივრადაც არტისტის სასარგებლოდ
ნებს უბრუნებენ. მერე თავისს წვლილს იხდიან პატრონები.

თეატრიდამ ბევრი ახლა მახლობელს ბუფეტსა ან საჩაივ
სახლში მიეშურება. აქ სულ სხვა არის: ისმის მუსიკა, მხია-
რულობენ, ლამაზი ჩატმულობა მშვენიერ „მუსმე“, „მაიკო“,
„გეიშებისა“ საამური სანახავია. იქვე, შესავალ კარებთან,
ახალგაზრდა „მუსმეთა“ გუნდი თქვენ წინ მუხლს იღრეკს,
მთელის ტანით უკან იხრება, მერმე თავს გიკრავთ მდაბლოდა
და შუბლით იატაქს ეხება. სახე ერთ-თავად უღიმისო, წყნა-
და, მშვიდად საუბრობენ, მოძრაობა ნაზი და ნარნარი
რად, მშვიდად საუბრობენ, მოძრაობა ნაზი და ნარნარი
აქთ. კოტრა და მარდი თითები უცბად გაძრობენ ფეხთა-
ცმელსა და საჩაივ სახლში შებრძანდებით. იქვე კილობზედ
იაპონური შესაქცეველი დაგხვდებათ: ჩაი და თბილ-თბილი
„საკე“. მოისურვებთ და მაშინვე ქალალის კედელთან ახალ-
გაზრდა, ერთი მეორეზედ ლამაზი დამკვრელი ქილები დაგი-
სხდებიან და თავიანთს „სამიზნსა“ და „კოტოს“ საამურად
ააუღერებენ; თან დაჲმლერიან ტკბილადა. აგრეა, იქით რო-

მელიმე „მაიკო“ იშვებს ცეკვასა, მაგრამ გაპკვირდებით უთუოდ, რადგანაც ჩვენებულს, ევროპიულს ცეკვას არაფრი-თა ჰგავს: გრძელს „კიმონოში“ დამალული ფეხები სრულიად არ უჩანს და ჰქედავთ მხოლოდ, რომ ხელებითა და ტანით მოძრაობს. მოცეკვავეც უთუოდ რომელისამე გმირულ ამბის მიმოხერით გაღმოცემასა სცდილობს. მაგრამ თუ გინდათ ცო-ცხალისა და მოსწრებულ ლაპარაკით გაირთოთ თავი, უნდა უთუოდ „გეიშა“ მიიწვიოთ. ახალგაზრდა, ლამაზი, კოსტად ჩაცმული „გეიშა“ საუცხოვო გამრთობელია სწორედ, რადგა-ნაც უკეთ განვითარებულს ქალს სხვას ვერა ჰნახავთ იაპონია-ში. გონება მახვილმა „გეიშამ“ მშვენივრად იცის თავისი სამშობლო მწერლობა და მუდამ შზა არის მოგხიბლოსთ მთელის თვისის მშვენიერებით. სამაგალითო ხელოვნებით გიმლერებთ სასიმლეროსა, წაგიკითხავა ლექსებსა და საუკეთესო დრამატიულ ნაწარმოებთა ნაწყვეტებსა. მაგრამ არასოდეს თავისს ქალურს ლირსებას არ დაპკარგავს. არც ის არის ნამდვილი, ვითომ ყველა „გეიშა“ უთუოდ ნამუსახდილი და ზე-დაცემული იყოს. მართალი რომ ვსთქვათ, „გეიშა“ იგივე არტისტი ქალია, რომლის ხელობაც ხელოვნებაა: შე-ქცევა და თავგართობა ხელოვნურის კითხვა-სიმღერითა. თქვენ, როგორც იაპონურის არ მცოდნეს, მოგხიბლავთ, რასაკვრელია, მხოლოდ ახალგაზრდობით, კეკლუცობითა და სიცოცხლით სავსე მოქმედებითა; იაპონელს-კი უყვარს „გეიშა“, როგორც განვითარებული, მალხაზი მოსაუბრე. რო-დესაც რომელსამე იაპონელს მევობრების გამასპინძლება და სიამოვნება სწადიან, შინ-კი არ იპატივებს, საღმესაჩაიგ სახლში უმართავს მეჯლისსა; ოჯახის ქალები შინა რჩებიან, სტუმ-რების გასართობადა და შესაქცევად-კი „გეიშებს“ იწვევს. უმღერიან, უკითხავენ „გეიშები“, სცეკვავენ თანა; ანტრაქ-ტებში კიდევ სტუმრებს უსხამენ ღვინოს, კვილუცობენ, ლა-ზღანდარობენ, თავისის მოსწრებულის სიტყვა-პასუხითა, სი-ლამაზითა და გონებით სუფრას უმშვენებენ. მაგრამ ლირსე-ბას ქალისას არაფრით არღვევენ, სრულებით იცავენ. ამი-ტომაც არის, რომ ფასი დიდი აქვთ „გეიშებსა“ და ყველა

იაპონელი ქალი მათ შევნატრის, მათ წაბაძეასა სცდილობს. ხშირად ამიტომ იაპონელი ქალები ქმრებსა და ძმებს მისდევენ საჩაიე სახლებში, რომ „გეიშებისაგან“ მათი ქცევა და მიმოხვრა შეისწავლონ.

„გეიშების“ ოღზრდა ბევრად რთულია, ვიდრე საშუალო წრის იაპონელი ქალისა. მათვების განსაკუთრებული აკადემიებიც-კი ორსებისას, რომლებშიაც ცნობილი გვარის ქალებიც ბლობმად სწავლობენ. სულ ახალგაზრდებს „მაიკოს“ უწოდებენ, თექვსმეტი წლიდამ-კი „გეიშებად“ ხდებიან. ხშირად „გეიშები“ ქმრებსაც ირთავენ და ოჯახობას ეკიდებიან, რადგანაც ორასფერს გასაკიცხს იაპონელი არ ჰქოდავს „გეიშაში“. თუ ოჯახში რამდენიმე ქალი ჰყავთ და ყველას გათხოვება, იციან, გაუჭირდებათ, უფრო ლამაზსა და ნიკიერს მშობლები „გეიშად“ ამზადებენ, რადგანაც სხვა-დასხვა სავაჭრო თუ სხვა რამ დაწესებულებაში ადგილის შოვნა ბევრისათვის გაძელებულია მეტადა.

საჩაიე სახლშივე შეგიძლიანთ გაიცნოთ, როგორ სწარმოებს ეგრედ წოდებული იაპონური კამათი „სოდანი“. როგორც ძეველი ბერძნები იკრიბებოდნენ ხოლმე ქალაქების მოედნებზედ, რომ სოფისტებისა და სხვათა მოძღვრების კამათში მონაწილეობა მიეღოთ, ისე იაპონელები იკრიბებიან საჩაიე სახლებში „სოდანისათვის“. იკრიბებიან მეტ წილად მოწვევით, რომ მეგობრულად განსაჯონ და გაარკვიონ, რაც-კი რამ იქნება გადასაწყვეტი: სავაჭრო რამ საქმე, ოჯახური კითხვა, განზრახული მოგზაურობა თუ სხვა რამ, ერთია. შემოავლებენ ძირს კილობებზედ წრესა, შეექცევიან ჩაისა და „საკესა“, ეწევიან თამბაქოსა და მუსაიფობენ, მსჯელობენ. ლაპარაკობენ დიდ-ხანსა და ბევრს, მაგრამ არავინ ვალდებული არ არის უთუოდ საკრებულო საგანზედ ილაპარაკოს: ნება ეძლევა ორატორს უუშორეს საგნიდამ დაიწყოს, მოულოდნელად გადაუხვიოს და სხვა საგანს შეეხოს; ოღონდ საყურადღებო, გონების ამამოძრავებელი და გამრთობელი-კი იყოს სალაპარაკო საგანი, აუდიტორიამ, მსმენელთ არ მოიწყინონ. ეს არის



„სოდანი“ და ხშირად „სოდანში“ მონაწილეობას იღებდნენ „გეოშეებიც“. ყველაზედ მეტად ამ შემთხვევაში მოგვაგონებენ იაპონელნი აღმოსავლეთსა: აზიური ქეიფი, აზიურივე მიდრეკილება ღრმა მსჯელობისა და მასთან თავდაუჭერელი, ხშირად სრულიად უნიადაგო ოცნებობა; აი, რა ახასიათებს მეტ წილად მათს კამათობასა.

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში „სოდანზედ“ აზრ-დილს იაპონელს ვერასფერი ვერ გააკვირვებს: ვერც მოულოდნელი აზრი, ვერც უცნაური იდეა, რომლის შესახებაც მსჯელობა და კამათი არ მოისურეოს. მათი რეფორმატორები არ იყვნენ, რომ იაპონიის სოდანის ეროვნულ ენათ ინგლისურის შემოღება ეწადათ? საუცხოვთა „სოდანის“ ტემათ! იქნება იაპონია ერთად-ერთი ქვეყანაც იყო, რომელიც რკინის გზის მატარებლის ნახევამ არ გააკვირვა სრულიად: ისრე გულდინჯად უყურებდნენ იაპონელნი რკინის გზის პირველს მატარებელსა, გეგონებოდათ, ათი და ოცი წელიწადია უკვე თვალითა ჰედავენო.

საჩაიე სახლში დასვენების შემდეგ, თე მოისურვებთ, შეგიძლიანთ ახლა სხვა რამეცა ნახოთ: მაგალითად, როგორ იციან ჭიდაობა იაპონიაში. „სუმოტორი“ ანუ იაპონელი მოჭიდავე ფალავნები შედარებით მაღალის ტანის, ჩასხმული, მხარ-ბეჭიან-ძარღვიანები არიან. მოყვანილობისა და ტანის გარდა განირჩევიან აგრეთვე თმის დაყენებითაც: დაწნულები აქვთ სხვილი ჩალიჩივითა და ყაითნით წინ გადმოზიდული. ასე თურმე იყენებდნენ ერთს დროს ყველანი თმასა.

იაპონურს „სუმოსაც“ ანუ საჭიდაოს შორიდამვე ადვილად იცნობთ, რადგანაც ვეება მაღალს ბამბუკის სარებზედ გამოკიდულია სახელები მოჭიდავე ფალავნებისა. შედარებით ჭიდაობაზედ უფრო მეტი ფასია დადებული, ვიდრე სხვა რამ თავ-გასართობზედ. გაძლევენ ისევ ხის ფირფიტასა, რომელსაც შესვლის უმაღლევე მსახური გამოგართმევსთ. მოედნის მარჯვნივ, საღაც ჭიდაობა იმართება, ფალავნის საპირფარეშოა. აქა სხე-

დან კილობებზედა ან-და წვანან „სუმოტორები“, რომლებსაც მსახურნი უზელენ ტანსა და საგანგებო მტრედის ფერს აბრე-შუმის ფოჩებიანს ქამარს არტყავდნ. ეს არის ერთად-ერთი ტანთსაფარი მოქიდავისა. საყურებელი დარბაზი ოთხ-კუთხია, კედლებს გარშემო მცირედ შემაღლებულის გალერეით, სადაც ყველაზედ მეტ ფასიანი აღვილებია მოთავსებული. დარბაზის შუა-გულ სიგანით ასე სამ მეტრიანი რგვალი ესტ-რადაა. ნახევარ ესტრადა მიწით არის მოფენილი, დანარჩენი ნაპირები-კი ჩალითა. კიდაობენ ორნი. კიდაობას თვალს აღვნე-ბენ საქმის მცირდნე, გამოცდილი კაცები. მოკიდავებ მოპირდაპი-რე უნდა წააქციოს, მაგრამ არასფრის გულისათვის სალმასა და ამ გვარ ფანდებს არ უნდა მიპაროთს. მეორეც: სასტი-კად უნდა უფრთხილდნენ, რომ მოედნის ნაპირს, ე. ი. ჩა-ლას ფეხი არ დააკარონ. ჩალაზედ ფეხის დამკარებელი უკვე წაქცეულად ითვლება. იაპონური კიდაობის წესები ბევრად სასტიკია, ვიდრე ევროპიული. გაფაცაცებით აღვნებენ მა-ყურებლები თვალისა. საკმარისია მცირე რამ წესის დარღვე-ვა, რომ მაშინვე ღრტვინვა და ვაი-უშველებელი ატყდეს ხალხშია. ყველა გაჩუმებული და სულგანაბულია, მაგრამ რო-გორც-კი რომელიმე მოკიდავეთაგანი თქვენთვის სრულიად შეუნიშვნელსა, მაგრამ რაღაცა „გენიოსურს“ ხერხს უგდებს მოპირდაპირება, მაყურებლებში მაშინვე საშინელი ტაშის ხმა ისმის და იმ წამს ისევე ჩუმდებიან, სულსა პნაბავენ. მაგ-რამ დაეცემა თუ არა რომელიმე მოკიდავეთაგანი, წყნარი და ზრდილი იაპონელები მაშინვე საშინელს აღტაცებას ედ-ლევიან, მათს სიხარულსა და ყვირილს საზღვარი აღარა აქვს, სცენაზედ სცვივა ასობით მაყურებლების ნივთები და სხ.

მაგრამ, აგრეთვა, მორჩით ქუჩა-ქუჩა მთელი დღე სიარულ-სა და „რიკშათი“ დაბრუნდით სასტუმროში. შესავალს კარე-გშივე მშვენიერი და ტურფა „მუსმენი“ გეგებებიან და ზრ-დილობიანად დაბლა თავს გიკრავენ. გხდიან ღიმილით ფეხ-თა, დაბალის ხმით ტკბილად რაღასაც გეგებელებიან და მშვე-ნივრად გაპრიალებულ ხის იტაკით, რომლებზედაც სუფთა

ჭილობებია გაგებული, შიგნით შეჰყვეხართ. ჩამოიღებენ მერ-
მე რამდენსამე ქალალდ გადაკრულს ხის ჩარჩოსა, შეჰყვერენ
უცბად ყუთისავითა და შეგაბრძანებენ. ეს არის თქვენი ოთა-
ხი. მაგრამ არც გადარაზვა და არც დაკეტვა მისი არ შეგი-
ლიანთ, რადგანაც კარები სრულიად არა აქვს. ვიდრე საძი-
ლოთ მოემზადებოდეთ და დაწვებოდეთ, წამ და უწუმ ჰქიან
ფარდასა და კეკლუცი „მუსმენი“ ღიმილით შე ჩბიან-გარბიან.
სახელად თითქმის ყველას პოეტური რამა აქვს შერჩეული,
მაგალითად: „გაზაფხული“, „განთიადი“, „მზის სხივი“, „მთვა-
რის შუქი“. რომელიმე „ყვავილთა კონა“ ტანთა გხდით,
ვანას გიმზადებთ. ბანაობის შემდეგ „კიმონოს“ ჩაგაცმევენ,
ჩაისა და თამბაქოს მოგართმევენ და ერთ-თავად თავს გევლებიან,
ძირს, ხმელს ნაალზედ, ლოგინს გიშლიანთ, მფარველი ანგე-
ლოზივით რომელიმე „მუსმე“ მუდამ გვერდთა გყავთ, არა
გშორდებათ მაშინაც-კი, როცა უთუოდ მარტოდ უნდა იყოთ.

როგორც იყო, დაწექით ბოლოს; ჩაგთვლიმათ. ყველა-
ფერი, რაც-კი რამ ნახეთ და გამოსცადეთ დღის განმავლობა-
ში, ყოველივე ეს ისე თავისისტური და არა ჩვეულებრივი რამ
იყო, რომ მშვენიერ სიზმრათ გეჩვენებათ. უკვე ძილს შეიცით
თავი. უცბად გაისმის რაღაცა ოდნავი ტკაცუნი და თვალე-
ბი დაჭყეტილი გრჩებათ: ვიღასიც პატარა თითს ქაღალდის
კედელი შემოუხვრეტია და შავი ცნობის მოყვარე თვალი
გიცქერით... გაისმა კიდევ ტკაცუნი და... კიდევ თვალია...
პატარა „მუსმენი“ გათვალიერებენ მეზობელ თთახიდამა...


თვ. ას—და.

ვიტალიზმი და მექანიზმი

ვიტალიზმია და მექანიზმები რომ სრული წარმოდგენა ვიქონიოთ, საკიროა მოკლედ მაინც არის გავეცნოთ ამ საკითხის ისტორსულს მხარესა და აღნიშნოთ უმთავრესი მომენტები მისის განვითარებისა.

ვიტალიზმისა და მექანიზმის საგანს, მოკლედ რომა ვს-თქვათ, შეადგენს სიცოცხლის გამოცნობა, სიცოცხლის პროცესების ძიება. პირველი გამოკვლევა სიცოცხლისა იწყება უუძველეს დროს; მაგრამ არ იყო მაშინ იმდენად გამორკვეული, რომ იმ დროზედ-ლაპარაკი ღირდეს. ამიტომ ჩვენ პირდა პირ დავიწყებთ მე-XVIII-ტე საუკუნიდგან, ეს იგი იმ დაზიანებულ როდესაც მეცნიერებაში პირველად შემოღებულ იქმნა ცნობა „სიცოცხლის ძალა“ — vis vitalis.

მეჩვიდმეტე საუკუნის უკანასკნელი წლები, განსაკუთრებით-კი მეოცერამეტის პირველი ნახევარი, მეტად ნაყოფიერნი შეიქმნენ ზემოხსენებულ საკითხის ძიებაში. მიზეზი ამისა უნდა ვეძიოთ ქიმიისა და ფიზიკის განვითარებაში, რამაც მეცნიერებს საშუალება მისცა ეს საკითხი ნამდვილს, რეალურს ნიადაგზე დაეყυნებინათ და ამ გვარად ცდილოყონენ გამოეძიათ და აეხსნათ პროცესები, რომელნიც ცოცხალ ორგანიზმი სწარმოებენ. აქაც, როგორც საზოგადოდ, მეცნიერნი გამოკვლევის სხვა და სხვა გზას დაადგნენ: მეცნიერთა ერთი ჯგუფი იმ აზრისა იყო, რომ ცოცხალ ორგანიზმში მწარმოებს პროცესებს პრართავს და განაცემს ეგრედ წოდებული „სიცოცხლის ძალა“ — vis vitalis.



მეორეთა აზრით-კი ცხოველთა ორგანიზმები თავისის ორგანოებითა და მათის ფუნქციებით წარმოადგენენ რთულს მანქანას. მაშასადამც, ორგანიზმში მწარმოები პროცესები, როგორც მანქანებშიაც, ემორჩილებიან მექანიკის კანონებს. ეს აზრი პირველად წარმოსთვისა დეკარტმა, და მეცნიერთა უმეტესობასაც სიცოცხლე იმ გვარ მოვლენად ჰქონდა წარმოდგენილი, რომელიც ადვილად აიხსნებოდა სტატიკისა და დინამიკის კანონების მეოხებითა. ამის-და მიხედვით ფიზიოლოგიურს პროცესებსაც ისე უყურებდნენ, როგორც მექანიკის კანონების განხორციელებასა.

მაგრამ მალე დარწმუნდნენ ამ უკანასკნელ თეორიის მიმდევარნი, რომ მათი აზრი შემცდარი იყო, როდესაც იძულებული შეიქმნენ გაერკვიათ და აეხსნათ იმ გვარი მოვლენანი, რომელთაც არავითარი კავშირი მექანიკურ პროცესებთან არა ჰქონდათ; ამ გარემოებამ აიძულა სწორედ, დაესკვნათ, რომ სიცოცხლის მოვლენათა ასახსნელიად და განსამარტებლად, გარდა მექანიკურ კანონებისა, სახეში უნდა ჰქონდათ უთუოდ ქიმიური კანონები და პროცესებიცა. ამ რიგად, მეორე ჯგუფის აზრით, ორგანიული პროცესები სწარმოებენ ფიზიკურ და ქიმიურ კანონების თანახმად.

ასეთი იყო დედა აზრი ამ ორის მიმართულებისა, რომელიც არა ერთხელ იქნა შეცვლილი და შევსებული შემდეგში. პირველს მიმართულებას, რომელმაც ფიზიოლოგიურ პროცესების ასახსნელიად საჭიროდა სცნო მიეღო განყენებული, არა-მატერიალური „სიცოცხლის ძალა“, დაერქვა სახელიად „ციტალიზმი“; მეორე მიმართულებას-კი, რომელიც მთელს ორგანიზმს ადარებდა მანქანასა და ფიზიოლოგიურს პროცესებს ფიზიკურ-ქიმიურს კანონებს უმორჩილებდა, დაერქვა „მექანიზმი“.

ამ დროიდან, ესე იგი როდესაც ორთავ მიმართულების ფიზიონომია სრულიად გამოირკვა, თვითონეული მათგანი თავის თავად ვითარდებოდა. საზოგადოდ-კი რომ თვალი გადავავლოთ ორთავ მიმართულების გზას, რომელმაც იგინი

გიტაღიზმი და მექანიზმი

თანამედროვე მდგომარეობამდე მიიყვანა, დავინახავთ, რომ სხვა-და-სხვა მეცნიერებს სხვა-და-სხვა გვარი ცვლილება შექმნებით მათში.

ამ გვარად ვანგელმანტის „არხე“ იმავე „სიცოცხლის ძალის“ წარმოადგენდა. ვანგელმანტი მთელს ბუნებას ორ ნაწილადა ჰყოფდა: სულდგმულ და ორა სულდგმულ ბუნებადა. პირველი აღჭურვილი იყო სულიერის ძალით, რომელიც მრავალ გვარი იყო და ბუნების შემოქმედების პრინციპს წარმოადგენდა. აი, ამ ძალის უწოდა მან „არხე“, რომელიც, როგორცა ვხედავთ, ორაფრით ორ განიჩრევა „სიცოცხლის ძალისაგან“. ამ უკანასკნელს ერნესტ სტალმა „სულიერი ძალა“ უწოდა; მისის აზრით, ფიზიოლოგიურს პროცესებს ჰმართავს „სრლიერი ძალა“, რომელსაც საკვები ნივთიერება შეიცავს. სულიერი ძალა ხან შეართებს ამ ნივთიერებას, ხან კი გამოჰყოფს; ხან განვითარებას სრულს თავისუფლებას აძლევს, ხან-კი აფერხებს მისს განვითარებას. აქედგან წარმოსდგება მრავალი სხვა-და-სხვა გვარი პროცესის ცოცხალ ორგანიზმისა. დღესაც ვიტალისტთა თეორიის სტალის გამოკვლევანი უდევს საფუძვლადა.

ამ გვარად აღვნიშნეთ მოკლედ, ორთავე მიმართულების დედა აზრი და გვეძლევა საშუალება უფრო დაახლოვებით გავიცნოთ და გავარჩიოთ თვითონეული მათგანი. უმთავრესად თვითონ საკითხის თანამედროვე მდგომარეობას მივაქცევთ ყურადღებასა.

ფიზიოლოგებს, როგორც ვიტალისტებს, აგრეთვე მექანისტებს, სიცოცხლის ერთ-ერთ ტიპიურ მოვლენად მიაჩნდათ კუნთების (მუსკულების) აზრზენა (раздражимость-შეჩინებლება). მათის აზრით, ორგანოები და ქსოვილები თავისს-თავიდ უმოქმედონი არიან; მათი ამოქმედება შეიძლება მხოლოდ აზრზენით. იმ გარემოებას-კი, რომ სხვა-და-სხვა ქსოვილი სხვა-და-სხვა გვარს ფუნქციას ასრულებს, ვიტალისტები ჰქინილნენ იმითი, რომ თვითონეული ქსოვილი, თითონეული ორგანო განსაკუთრებულის ენერგიით არის ვითომდა

აღჭურვილი, და ეს ენერგია „სიცოცხლის ძალაზეა“ დამოკიდებული. ერთი სიტყვით, ვიტალისტების აზრით სიცოცხლის ძალა ორგანიზმის ყველა ფუნქციას განავებს: ამ ძალას შეუძლიან აამუშავოს ორგანო და შეაჩეროს კიდევც მისი მოქმედება. სიცოცხლის ძალა ის ძალაა, რომელიც თავისუფლადა ჰმოქმედებს და არ ემორჩილება არც ორგანოსა და არც ორგანიზმს; პირ-იქით, ორგანოები და მთელი ორგანიზმი მასზედაა დამოკიდებული და მის გავლენის ქვეშ იმყოფებიან. ეს უზენაესი ძალაა, ვიტალისტების აზრით, წარმომშობეელი ყველა იმ ნივთიერებათა, რომელიც მხოლოდ ორგანიზმში მოიპოვებიან. ამიტომაც უწოდეს ამ ნივთიერებათა „ორგანიული ნივთიერებანი“, ესე იგი ისეთი ნივთიერებანი, რომელიც წარმომშობებიან მხოლოდ ორგანიზმში და ისიც ზემოხსენებულ „სიცოცხლის ძალის“ მეოხებით. რაკი „ორგანიული ნივთიერებანი“ წარმომშობებიან დამოუკიდებელ, სრულიად თავისუფალ „სიცოცხლის ძალის“ ზედგავლენით, სჩანს, მაშ, მათი, ამ „ორგანიულ ნივთიერებათა“, ხელოვნურად შექმნა შეუძლებელი ყოფილა, და აკი კიდევაც ამ აზრისანი იყვნენ ვიტალისტები. მართლაც-და იმ დროს არც-კი იცოდნენ, თუ რა არის ხელოვნურად, განგებ შექმნილი „ორგანიული ნივთიერება“. ეს გარემოება იყო მიზეზი, რომ ხელს უწყობდა ვიტალიზმის გავრცელებასა, და საიდუმლო „სიცოცხლის ძალასაც“ არსებობის საბუთი ეძლეოდა. უნდა ვსთვევთ მხოლოდ, რომ ასეთმა მდგომარეობამ დიდხანს ვერ გასტანა.

1828 წელს პროფესორ ველლერისაგან ხელოვნურად შექმნილმა „ორგანიულმა ნივთიერებამ“ ყველას აშეარად დაუმტკიცა, რომ „ორგანიულ ნივთიერებათა“ შექმნაში „სიცოცხლის ძალის“ არავითარი წილი არ უდევს. შარდის ტუტი (მოცევინა) პირველი „ორგანიული ნივთიერებაა“, რომელიც ცოცხალ ორგანიზმის გარეშე ხელოვნურად იყო შექმნილი. შემდეგაც კიდევ არა ერთი ორგანიული ნივთიერება იყო შექმნილი, მაგ., ჭიანჭველის სიმუავე და სხვა. ამასთა-

ნავე აღმოჩნდა, რომ ორგანიული ნივთიერება წარმოსდგება იმავე არაორგანიულ ელემენტებისაგან და, ამიტომაც, თუ ჯერ კიდევ ბევრი ორგანიული ნივთიერება ვერ შეუქმნიათ ხელოვნურად, იმიტომ მხოლოდ, რომ არ ვიცით ჯერ ის რთული პირობები, რომელთა შეოხებითაც შეიძლება მათი ხელოვნურად შექმნა.

ამ გვარად, როგორცა ვხედავთ, თეორია „სიცოცხლის ძალისა“ შერყეულ იქმნა. ამ სახით მისი არსებობა შეუძლებელი გახდა. დარწმუნდნენ ამაში ვიტალისტებიც და ერთმა მათთავანმა, სახელდობრ, ცნობილმა ფიზიოლოგმა მილლერმა სრულიად გადააკეთა ზემოხსენებული თეორია. მილლერი არ უარჰყოფდა სიცოცხლის ძალის, მხოლოდ ამტკიცებდა, რომ იგი ემორჩილება ფიზიკისა და ქიმიის კანონებს; ე. ი. უწინდელი თავისუფალი ძალა ფიზიკურსა და ქიმიურს კანონებს დაუკვემდებარა. ამ გვარად, როგორცა ვხედავთ, ცოცხალს ორგანიზმში მომქმედი ძალები მილლერმა ხელახლა ფიზიკისა და ქიმიის ძალებზე ჩამოიყენა. თუ-კი შესაძლებელია, უნდა ვსთქვათ, რომ ვიტალიზმა ამით მიაღწია განვითარების უმწვერვალესს წერტილს. არ ვიცით, რა ბედი მოელოდა ვიტალიზმს მომავალში, ან რა გზას დაადგებოდა იგი, მაგრამ ის-კი ვიცით, რომ სწორედ ამ დროს ამოვარდნილმა მატერიალისტურმა ქარიშხალმა სამარე გაუთხარა ვიტალიზმა და სამუდამოდ დამარხა თითქმის. ამის შემდეგ ვიტალიზმი სამეცნიერო ასპარეზზედ იღარ გამოსულა, იმ სახით მაინც, რა სახითაც ჩვენ გავიცანით იგი.

ეს იყო სწორედ ის დრო, როდესაც მსოფლიო მატერიალისტური შეხედულება ყველგან გაბატონდა და თვით ფიზიოლოგიაშიაც-კი მოიპოვა აღვილი. იმ დროის გამოჩენილი ფიზიოლოგები—ველერი, ჰელმიტოლცი, ბიხნერი, კოლბე, მოლეშოტი და სხვანი, ყველანი მატერიალისტები იყვნენ და სიცოცხლის ყოველგვარ მოვლენას თავისებურად, მატერიალისტურად, ანუ მექანიკურად, ჰესნიდნენ. ცხოველთა ელექტრონის გამოკვლევამა და საერთოდ ფიზიოლოგის

თვალსაჩინოდ წინსვლამ ერთი მხრივ, და დარგინის თეორიამ, მეორე მხრივ, თამამი იმედები წარმოვშობეს, რომ ყოველ-გვარი ორგანიული ანუ ფიზიოლოგიური პროცესი შეიძლება აიხსნას მექანიკურადათ. ამ იმედებით გამხნევებული ზოგიერთა ფიზიოლოგი მედგრად შეუდგა ზემოხსნებულ პროცესების გა-მოკვლევასა და უნაყოფოდაც არ ჩაუარათ ღვაწლმა: მართლაც-და, გამოირკვა საბოლოოდ მრავალი ორგანიული მოვლენა და მრავალი ფიზიოლოგიური პროცესი, რომელთა აზრი და შინაარსიც ჩვენთვის დაფარული იყო, გამოკვლეული და აღს-ნილი იქმნა. მეცნიერთა ეს ჯგუფი კვლევა-ძიების ღრის მუ-დამ ნამდვილს, მეცნიერულს ნიადაგს ადგა და ერთხელაც არ უმტკუვნია მისთვის. ზოგი-კი, ახალის მატერიალისტურ მიმართულებით უზომოდ გატაცებული, ბოლოს და ბოლოს სრულიად ჰყარგვდა ფეხ ქვეშ ნიადაგსა და მექანიზმს მეტად ბრწყინვალე მომავალს უქადა. გატაცებამ იქამდის მიაღწია, რომ კარლოს ფოხტმა პირდაპირ გამოაცხადა, — აზროვნებასაც იმ გვარივე დამოკიდებულება აქვს ტვინთანა, როგორიც შარდს ჭაპებთანათ. ამ გვარმა შეუსაბამო და ცალმხრივმა მექანიკუ-რმა შეხედულობამ ორგანიულ პროცესებზედ, რასაციორვე-ლია, მალე გამოიწვია რეაქცია უფრო წინდახედულ მეცნიე-რების მხრივ. ის დასკვნა გამოიტანეს რეაქციონერთ, რომ, თუმცა ორგანიული პროცესები ფიზიკურ-ქიმიურ კანონების თანახმად სწარმოებენ, მიუხედავად ამისა, ზოგიერთა (სახეში უნდა ვიქონიოთ გონებრივი, სულიერი პროცესები) პროცე-სები მაინც გამოურკვეველი და უცნობი რჩება ჩვენთვის. ამიტომაც აშკარაა, მათის აზრით, რომ ამ პროცესებისათვის არსებობს განსაკუთრებული პირკიბი ანუ ძალა — ისევ ის „სი-ცოცხლის ძალა“, — რომელიც განაგებს ამ პროცესებსა.

ამ გვარად აღორძინდა ახალი მოძღვრება, რომელსაც სახელად „ნეოვიტალიზმი“ დაქვევა. როგორც ზევითაცა ცსთ-ქვით, ვიტალისტების აზრით, ფიზიოლოგიურს პროცესებს ჰმართავს სიცოცხლის ძალა, რომელიც თავისუფლადა ჰმოქ-მედებს და არ ემორჩილება არაორგანიულ ბუნების კანონებ-

სა. ნეოვიტალისტების აზრით-კი, ცოცხალ ორგანიზმში სწარ-
მოებენ ფიზიკურ-ქიმიური პროცესები, რომელნიც ემორჩი-
ლებიან სიცოცხლის ძალას. აშერაა აქედგან ის განსხვავე-
ბაც, რომელიც ვიტალიზმსა და ნეოვიტალიზმს შორის არ-
სებობს.

ვინაიდგან დღეს ვიტალიზმის ადგილი ნეოვიტალიზმს
უქირავს, კვემოდ ჩვენ უმთავრეს ყურადღებას მივაქცევთ ამ
უკანასკნელს და თანაც ვეცდებით შეძლებისა დაგვარად გა-
მოვარევით, თუ ნეოვიტალიზმსა და მექანიზმს შორის რა
განსხვავებაა და რომელი მათგანი უფრო უკეთ აღწევს თა-
ვისს მიზანს ფიზიოლოგიურ პროცესთა კვლევა-ძიებაში.

ნეოვიტალისტებს ჯერ-ჯერობით მოხერხებული პოზი-
ცია უქირავთ და პირველ შეხედვით გეგონებათ, ვითომ მა-
თი დაძრა ძნელიაო. ამიტომაც ნეოვიტალიზმს ჯერ კიდევ
ბლომადა ჰყავს მიმღევარი. ეგ არის მხოლოდ, ნეოვისტალის-
ტების და მექანისტების ნაწარმოები რომ ერთი შეორეს შე-
ვადაროთ, დავრწყმუნდებით, რომ ნეოვიტალიზმს განვითარება
და წინმსვლელობა არ ეტყობა. იმ დროს, როდესაც ნეოვი-
ტალისტები ისეთ პროცესების ძებნაში ვარჯიშობდნენ, რო-
მლითაც შესძლებოდათ უფრო ნათლად დაემტკიცებინათ თა-
ვიანთ აზრის სამართლიანობა, მექანისტები სცდილობდნენ
აქსენათ და გამოერევიათ თვით ფიზიოლოგიური პროცესები.
ნეოვიტალისტები თავიანთ აზრის დასამტკიცებლად ისეთს
ფაქტებზე გვითითებდნენ, რომელთაც პირველ შეხედვით
არაორგანიულ პროცესებთან საერთო არა ჰქონდათ-რა. მხო-
ლოდ ხანგრძლივ შესწავლისა და დაკვირვების შემდეგ მექა-
ნისტი მათშიაც აღმოაჩენდა ხოლმე იმავე არაორგანიულ ბუ-
ნების კანონებს. ავილოთ მაგალითი: ნეოვიტალისტების სიტყ-
ვით, სიცოცხლეში ყველაფერი ვითომ-და წინდა-წინვე შემუ-
შავებულ გეგმის თანახმად სწარმოებს. ყოველი მოვლენა
სრულდება თავისს რიგზედა და მისწრაფვის წინდაწინ გან-
საზღვრულის გზით, წინდაწინვე ამონიშნულ მიზნისაკენა.
ერთი სიტყვით, ფიზიოლოგიურ პროცესებში ნეოვიტალის-

ტები (და ჩვენც) ჰედავენ კანონზომიერების (закономѣрность). მაგ. ყოველი დანაყოფიერებული უჯრედი აღია განვითარების ერთსა და იმავე გზას, ესე იგი, ყოველს დანაყოფიერებულს უჯრედში სწარმოებენ ისეთი კანონზომიერი პროცესები, რომელთა მეოხებითაც უჯრედი მთელ ორგანიზმად იქცევა. ვინ უნდა იყოს ამ თადარიგის მიმცემი? რა უნდა იყოს მიზეზი კანონზომიერებისა იმ პროცესებში, რომელნიც მრავალჯერ მეორდება ცოცხალს უჯრედში? გვეკითხება ვიტალისტი და თვითონვე იძლევა პასუხს: სიცოცხლის ძალია. მან დაასახელო მიზეზი და ამას დასჯერდა. მექანისტს ეს პასუხი არ აქვთყოილებს. იგი არ უარპყოფს კანონზომიერებას ფიზიოლოგიურს პროცესებში. იგი უარპყოფს მხოლოდ სიცოცხლის ძალას, როგორც მიზეზს კანონზომიერებისას. მართლაც-და, განა ცოტაა არა ორგანიულ ბუნებაშიაც ისეთი პროცესები, რომლებიც კანონზომიერად სწარმოებენ? ავიღოთ, მაგალითად, კრისტალიზაცია; ჩვენ იქცევ ჰედავთ კანონზომიერებას: წყალში გახსნილი მარილი ყოველთვის იქცევა კუბიკურ და არა პრიზმატიულ, ან სხვა რამ ფორმის კრისტალებად. ამ გვარი მაგალითი მრავალია ფიზიკაში და ქიმიაშიაც, მაგრამ არავის აზრადაც არ მოჰსელია ამ რთულ პროცესების მიზეზად „სიცოცხლისა“ ანუ რომელიმე არა-მატერიალური ძალა დაესახა.

საერთოდ ფიზიოლოგებმა გულახდილად უნდა აღიარონ, რომ ჯერ-ჯერობით ფიზიოლოგიაში ბევრი რამ არის გამოურკვეველი და სიბნელით მოცული. ჩვენი ცოდნა ფიზიოლოგიურ პროცესების შესახებ ისე სუსტია, რომ უჯრედს ვერ გასცილებია. ავიღოთ, მაგ., ლვიძლი. ვიცით, რომ ლვიძლის ფუნქცია კერძო უჯრედების ფუნქციისაგან შესდგება. მაგრამ რას წარმოადგენს უჯრედის ფუნქცია, არ ვიცით; ესე იგი, ჩვენ არ ვიცით შინაარსი, აზრი იმ პროცესისა, რომელიც სწარმოებს უჯრედში. აი, ამ უცოდინარობამ აიძულო ვიტალისტი და ნეოფიტალისტი მიემართათ მეორე, ჩვენთვის აგრეთვე უცნობ, „სიცოცხლის ძალისათვის“. მეცნიერებისა და საერთოდ ყო-

გატაღიზმა და მექანიზმი

ველგვარ თეორიების მიზანს ის-ეი არ შეადგენს, რომ ერთი უცნობი მოვლენა მეორე უცნობ მოვლენად იქმნეს შეცვლილი; ეს ერთი. მეორე მხრივ, განა ცოტაა არა ორგანიულ ბუნებაშიაც ისეთი მოვლენანი, რომელთა შინაარსიც ჩვენთვის დაფარულია? განა ვიცით, რა მიზეზის გამო უერთდება, მაგ., ცილა (ტქაოცხ) რკინას, ხოლო ფოსფორს კი არა? განა ვიცით, რა არის ელექტრონი, მაგნეტიზმი და მრავალი სხვა? განა, რაჯი არ ვიცით, ნება გვეძლევა ვისაც და რასაც გვინდა, იმას დაფუძორჩილოთ ესა თუ ის მოვლენა?. გულახდილობა მოითხოვს აღვიაროთ, რომ ზემოხსენებულ პროცესსებისა არა ვიცით-რა და არა ვეძებდეთ სხვა და სხვა გვარ დროებითს თავშესაფარსა, რომლის მაგალით „სიცოცხლის ძალა“ წარმოადგენს. ვიტალისტებმა რომ ფიზიოლოგიური პროცესსები „სიცოცხლის ძალას“ დაფუძორჩილეს, განა ამითი რამე შემატეს ჩვენს ცოდნას? სრულიადაც არასფერი.

ზემოდ ნახსენები გვექნდა, ნევიტალისტებს მოხერხებული პოზიცია უკირავთო. იმიტომა ვსთქვით ესა, რომ არა გვაქვს მოკლე, პირდაპირი გზა, გავსინჯოთ ნეოვიტალიზმი და დავამტკიცოთ მისი უაზრობა. არის მხოლოდ ერთი ღონისძიება, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია დავამტკიცოთ ნეოვიტალიზმის უსაფუძვლობა. აი, რომელია ეს საშუალება: თუ დავამტკიცეთ, რომ ფიზიოლოგიური პროცესსები არასფრით არ განირჩევიან არაორგანიულ პროცესსებისაგან, ამით, ვგონებთ, დავამტკიცებთ ნევიტალიზმის უსაფუძვლობასაც, რომელიც, როგორც ვიცით, ფიზიოლოგიური პროცესსებს განკერძოებულად აყენებს და „სიცოცხლის ძალა“ მათდა მმართველად ანუ მიზეზად მიჩნია. თუ ვიცით, რომ ორი რომელიმე მოვლენა დამოკიდებულია ბუნების ერთსა და იმავე კანონზე-და, საბუთი გვეძლება ვსთქვათ, რომ ორივე მოვლენის შინაარსი ერთი და იგივეა.

მეცნიერებამ არაორგინიულ სამეცნიერო აღმოაჩინა ორი უტყუარი კანონი: I კანონი ნივთიერების დაცვისა, და II კანონი ენერგიის დაცვისა. თუ დავამტკიცეთ, რომ ფიზიო-

ლოგიური პროცესს ები სწარმოებენ ამ კანონთა თანახმად, ამითვე დამტკიცდება არაორგანიულ და ორგანიულ ან ფიზიკოლოგიურ პროცესსთა იგივეობაც (თქვესტვი).

როგორც ზემოდ ვახსენეთ, ორგანიული ნივთიერებანი შესდგებიან იმავე არაორგანიულ ელემენტებისაგან. ორგანიზმის ქსოვილები შესდგებიან: C (ნატშირმბადი), O (მეთანი), H (წყალმბადი), N (აზოტი), S (გოგირდი), Pn (ფოსფორი), Cl (ქლორი), k (კალიუმი), Na (ნატრიუმი) Ca (კალციუმი), Mg (მაგნი) და Fe (რკინი)-საგან. ყველა აქ ჩამოთვლილი ელემენტები არაორგანიული ელემენტებია. მაშასადამე, ყოველი ქსოვილი, რომელიც-კი შესდგება ამ ელემენტებისაგან, უნდა ჩაითვალოს არაორგანიულ ნივთიერების გვარ ნივთიერებად. „ორგანიულის“ მაგიერად უკეთესია ვიხმაროთ სიტყვა ნახშიროვანი, ვინაიდგან არ ვიცით ისეთი ორგანიული ნივთიერება, რომელშიაც არ შედიოდეს შემადგენელ ელემენტად ნახშირმბადი. ამიტომაც იმ ნივთიერებათათვის, რომლისაგანაც შესდგება ორგანიზმი, სახელი „ორგანიული“ ჰკარგავს აზრსა და ნამდვილსაც ეწინააღმდეგება. როგორც ყოველი არაორგანიული ნივთიერება, „ორგანიული ნივთიერებაც“ ამოღებულია არაორგანიულ ბუნებიდგან და აღრე თუ გვიან, მასვე დაუბრუნდება. ამ გვარად ის ნივთიერებანი (არაორგანიული), რომლისაგანაც შესდგება ორგანიზმის ქსოვილები, იმყოფებიან ნივთიერებათა ბრუნვის ერთ-ერთსა და იმავე ჩქარი გარდამავალს სტადიაში. ნივთიერებათა არა სულდემულ ბუნებიდგან ორგანიზმში გარდასვლისა და ორგანიზმიდგან არა სულდემულ ბუნებაში დაბრუნების დროს არც ერთი ატომი არ ჩნდება ახლად და არც იკარგება. ეს კი იმასა ვნიშნავს, რომ აქაც, ცოცხალს ორგანიზმში, კანონი ნივთიერებათა დაცვისა შეურყეველია.

ენერგიის შესახებაც იგივე ითქმის: ყოველგვარი ენერგია, რომელსაც-კი ორგანიზმი გამოიჩენს, მომდინარეობს არა სულდემულ ბუნებიდგან. ამ ენერგიის ორგანიზმი ითვისებს სხვა-და-სხვა გვარ საკვებ ნივთიერების სახით; მაგ. ხორ-

გიტადიზმა და მექანიზმი

ცი, შაქარი, ორაყი და სხვანი, ყველა ესენი საკვები ნივთიერებანი არიან. შეთვისებული საკვები მასალა მეავმბადის ზედგავლენით ორგანიზმი ნელ-ნელა უანგდება და წარმო-კუბს სითბოსა და ყოველგვარს ენერგიას. ვიდრე ორგანიზმი იკვებება და ჰსუნთქავს, ენერგია არ გამოელევა. სუნთქვა და კვება—ეს ორი ფაქტორი უსაჭიროესი პირობაა იმისათვის, რომ ორგანიზმა რაიმე ენერგია გამოიჩინოს. ორგანიზმს რომ საკვები მასალა მოვაკლოთ, ენერგია ნელ-ნელა გაუქრება; ბოლოს იმდენი ენერგიაც-კი არ შერჩება, რომ გული აამუშავოს და ორგანიზმი კვდება. რომ გამოვიანგარიშოთ (კალორიმეტრულად) ენერგია, რომელსაც ორგანიზმი გამოიჩენს, დავინახავთ, რომ იგი უდრის ენერგიას, რომელიც მან გარეგან ბუნებიდან შეითვისა. აშკარად ვხედავთ აქედგანა, რომ ორგანიზმი ახალი ენერგია არა ჩნდება (სახეში აქ ენერგიის ტრანსფორმაცია არა მაქვს) და არც შეთვისებული ენერგია იკარგება. მაშასადამე, აქაც იმავ ენერგიის დაცვის კანონსა ვხედავთ.

ამ გვარად, არა ორგანიულ და „ორგანიულ“ პროცესებში აღმოვაჩინეთ ერთი და იგივე პრინციპი, სახელდობრ, პრინციპი ნივთიერებისა და ენერგიის დაცვისა. ორივე გვარი პროცესი შეორჩილება ამ პრინციპს. მაშასადამე, „ორგანიული“ და არა ორგანიული პროცესები ერთგვარია. ორგანიულ, ანუ ფიზოლოგიურ და არა ორგანიულ პროცესების ერთგვარობის დამტკიცებით ნეოვიტალისტური თეორია ირლვევა და მექანისტურ თეორიას-კი მით უფრო საბუთი ეძლევა არსებობისათვის.

ამით გავათავებთ მექანიზმისა და ვიტალიზმის მიმოხილვასა. საერთოდ რომ თვალი გადავავლოთ ამ ორის მიმართულების განვითარების ისტორიასა, დავინახავთ, რომ განუსაზღვრელს, დამოუკიდებელსა და აღფრთოვანებულს ვიტალიზმს თან-და-თან ფრთა ეკვეცება და ვიწრო ფარგალში თავსდება. ამასთანავე „სიცოცხლის ძალისაგან“ დამოკიდებულ პროცესსთა რიცხვიც კლებულობს და თან-და-თან ვი-

ტალიზმის მნიშვნელობაც მცირდება. მომავალში ის მცირე მნიშვნელობაც დაეკარგება, რომელიც ვითომ-და დღემდის შერჩენია.

სულ სხვა სურათს წარმოადგენს მექანიზმის ისტორია. ჩვენ ვხედავთ, რომ მექანიზმის პატარა, ვიწრო სარბიელი თან-და-თან იზრდება და ბოლოს ვრცელ ასპარეზად იქცევა: მექანისტებისაგან საბოლოოდ გამორკვეულ და ახსნილ პროცესთა რიცხვი მატულობს. ზოგიერთა პროცესსის შინაარსი მხოლოდ მაშინ წარმოგვიდგა ნათლად, როდესაც მას მექანიზმა თავისი ბრწყინვალე შუქი მოჰყინა. ეს არის მიზეზი, რომ იმედი გვეძლევა, ოდესმე პსიხიურ პროცესებსაც, რომლებზედაც ასე ხშირედ გვითითებენ ნეოვიტალისტები, უთუოდ გამოარკვევს მექანიზმი. რასაკვირველია, ჩვენი იმედი დამყარებულია საზოგადოდ მეცნიერების — ქიმიისა და ფიზიოლოგიის — წინსვლაზედ. იმ დრომდის-კი, ყოველს შემთხვევაში, საბუთი არ გვაქვს პსიხიურ პროცესების, — შედარებით პატარა ჯგუფის, — ასახსნელიად მივმართოთ განყენებულს, უცნობს ძალას, ვინაიდგან უცნობი მაინც უცნობადა რჩება.

ანდრია ბატაშვილი.



ნ ა რ ე ვ ი

- 1.) მელოტის მიკრობი.—2) ახალი კუნძული.—3) მიზეზი მცენარეთა აყვავებისა.—4) პატარა ელექტრონული მოძრავი.—5) სოციალ-დემოკრატები და ეროვნული კითხვა.—6) სახალხო სკოლათა მასწავლებლების დადგენილებანი.—7) ლაჩარი—გმირი.—8) ძალა და კანონი.—9) როგორც მოხვალ, ხვინაო...

მეფოტის შეკრთხი. კაცს თავი ნუ მოეტვლიპება, თორებ ექიმი ვეღარას უშველისო, ამბობდა აქამდე მეცნიერება, რომელსაც ვერა და ვერ მიეგნო ამ სენის მიზეზისთვის. ბერლინელი დოქტორები შოდენი და ჰოჭმანი ამტკიცებენ— მეცნიერებისთვის შეუძლებელი არა არის რა და მელოტის მიზეზიც ვიპოვნეთო... მიკრობი გახლავთ, რომელსაც მეცნიერული სახელი, ლათინური, რასაკვირველია, Spirochaete pallida აქვს. ეს მიკრობი და მისი ზედგავლენა მაიმუნზედ სინჯა პროფესიორმა მეჩნიკოვმა და თავისი დაკვირვებანი პარიზის სამეცნიერო აკადემიას მოახსენა: ბერლინელ დოქტორების ნაპოვნი მიკრობი სწორედ რომ მელოტის მიზეზია და, რაკი მიზეზს მიეაგენით, წამალსაც მალე აღმოვაჩენთო.

**

ახალი კუნძული. 4 დეკემბერს იაპონიის ზღვაში ერთი ახალი კუნძული ამოვიდა ზღვის ძირიდან, სიგრძით 420 და სიგანით 280 საუკუნი. 14 ნოემბერს ოკონიმას მცხოვრებთ საშინელი ხმაურობა შემოესმათ ზღვიდგან, 28 კიდევ კომლი მოეფინა ზღვას. 4 დეკემბერს ამოვარდნილი კუნძული ექვსს უკვე ცხადად სჩანდა, მაგრამ ზედ ასვლა და მის შესწავლა იანვრის 30 ვერავინ გაბედა. ამ კუნძულის უმაღლესი წერტი-

ლის სიმაღლე არის 75 საუკენი. კუნძულზედ პატარა ტბა არის, რომლის შეყალი ჯერ ისევ დუღდა, როდესაც პირველად ნახა ადამიანმა. ამისთანა კუნძული ზღვის ძირიდგან ამონახეთქი ვულკანია და ზედ ნახული ტბა—მისი კრატერი.

**

მაზეზი აუგაგებისა. ბუნებაში უმიზეზოდ არა ხდება-რა და მაშასადამე აყვავებისაც უნდა ჰქონდეს თავისი მიზეზი. მართლა და, როგორ ხდება, რომ მცენარე, რომელიც ჯერ-ჯერობით მარტო ღეროს და ფოთლებს იზრდიდა, ყვავილს გამოიღებს? გამოჩენილმა ბოტანიკებმა ზაქსმა და მოებიუსმაც კი ვერავითარი სხივი ვერ მოაფინეს ამ კითხვას. ერთმა შეცნიერმა, რომელიც კარგა ხანია იაპონიაში ცხოვრობს და იქაურ ჭლორას—მცენარეულობას—სწავლობს, ერთს საოცარ გარემოებას მიაქცია ყურადღება: კიოტოში მშვენიერი ყვავილი იცის ოლუბალმა, საგანგებო ყვავილი, მაგრამ ნაყოფს კი არ იძლევა: ჯერ ისევ მწვანე ოლუბალს კურწი უკკნება და ძირს ცვიგა; დააკვირდა ამ გარემოებას და დარწმუნდა მრავალი ცდის შემდეგ, რომ რამდენადაც მეტი შექარი მოიპოვება მცენარის წვენში, იმდენად მეტს ყვავილს გამოიღებს. ამ დაკვირვებით, ეჭვი არ არის, ისარგებლებენ მებაღენი და მცენარეს თავიანთ ნებისად აუჩქარებენ, ან დაუგვიანებენ აყვავებას.

**

შატარა ელექტრონული მოძრავი. შეერთებულ შტატებში, ინგლისში და ამ ბოლოს დროს საფრანგეთში მეტად გახშირდა პატარა ელექტრონულ მოტორის ხმარება. ამ მოძრავით ჰკეპენ ხორცს, ლესავენ დანებს, სკრიან ჰურს, სწრენ-დენ იატაქს, ბერტყავენ ხალებს, ჰკინძავენ წიგნებს და უურნალებს. შეერთებულ შტატებში და მექსიკაში წყლის ასაყვანად ხმარობენ ამ პატარა მოტორებს, რადა იმისთანა მიწები მორწყან, სადაც წყალი თავისთავად ვერ აღის. ყველა ხელოსანს—დურგალს, ჩილინგარს და სხ. სახლში აქვს ეს მოტორები და რაც აქამდე დიდ ქარხანაში კეთდებოდა უშვე-

ლებელ მოძრავ მანქანათა დახმარებით, დღეს ხელოსნის სახლში კეთდება იმისთანა მოტორის წყალობით, რომელიც აღვილი საზიდიც არის და აღვილი სასყიდელიც.

**

სოციალ-დემოკრატები და ეროვნული ქითხვა. უნგრელი სოციალ-დემოკრატები შეიკრიბნენ ამას წინად, რომ აწინდელი პოლიტიკური მდგომარეობა გაესინჯათ და გამოერკვიათ თავიანთი გზა და საქციელი. კრების თავჯდომარებ ბ. ბოკანიმ მოახსენა, — შარშან ათის თვით ციხეში ჩამსვეს; რადგან შეურაცყოფად მიიღეს ჩემი სიტყვა: „თუ მეფე კმაყოფილი არ არის, მიბრძანდეს, უიმისოდაც კარგად ვიქნებით“. დღესკი მეფეს მთელი უნგრეთი ემუქრის — ჩვენც ნორვეგიის მაგალითს მივბაძავთ და განცალკევებულ, ავსტრიისაგან სრულიად გამოუკიდებელ, სამეფოს დავაარსებთო. მართალია, ჩვენი პარტია არსებითად კაცობრიობის ერთ ერად შეერთებას ემსახურება, მაგრამ ეგ შორეული იღელია და დღეს-კი, დღეს ჩვენც ვუერთდებით ერის სურვილს და მასთან ერთად ჩვენც ვითხოვთ ეროვნულ დამოუკიდებლობასო.

**

სახალხო სკოლათა მასწავლებლების დადგენილებანი. ბალტიის მხარის სოფლის მასწავლებლები შეიყარნენ ამას წინად თავიანთ საჭიროებაზედ მოსალაპარაკებლად და დაადგინეს: სკოლის სიცოცხლე ისე მჭიდროდ არის ჩახლართული სახელმწიფოს სიცოცხლესთან, რომ მათი განცალკევება შეუძლებელია. სკოლა მარტო მაშინ ჩადგება ბუნებრივ თავის კალაპოტში, როდესაც სახელმწიფოს მართვას თვით ხალხი ჩაუდგება სათავეში; სახელმწიფოს მმართველ კაცთა ამორჩევა უნდა დამყარებულ იქმნას დემოკრატიულ საფუძველზედ — ესე იგი მოქალაქებრივი უფლება უნდა ჰქონდეს მინიჭებული ყველას, განურჩევლად სარწმუნოებისა, ეროვნებისა და სქესისა. რადა სკოლა ღირსეულად ემსახურებოდეს თავის დანიშნულებას, საჭიროა მოსპობილ იქმნას სამხედრო წესი და დაკანონებულ იქმნას თავისუფლება სიტყვისა, წერისა, კრე-

ბისა, კავშირისა, გაფიცვისა; ადამიანი და მისი სახლი ხელ-უწყებელნი უნდა იყვნენ, გათავისუფლებულ იქმნენ ყველა პოლიტიკურ საქმეთა გამო დაჭრილნი და მოსპობილ იქმნას იაპონიასთან ომი.

სკოლის გადაკეთება და ღირსეულად მოწყობა მარტო მაშინ შეიძლება, როდესაც დაკმაყოფილებულ იქმნება ზემოდ მოყვანილი მოთხოვნილებანი საზოგადოებისა.

რადგ ღირსეულად იქმნას მოწყობილი სახალხო სკოლა საჭიროა:

1. სკოლის ადგილობრივი თვითმმართველობა განაგებდეს, და არა ცხრა-მთას იქით მყოფი ბატონი.

2. სწავლა სავალდებულო და მუქთი იყოს 8—16 წლის ბავშვებისთვის განურჩევლად სარწმუნოების, ეროვნების და სქესისა; ღარიბი მოსწავლენი სწავლის განმავლობაში საზოგადოებამ შეინახოს და საუკეთესო, ნიკიერ შეგირდებს საშუალება მისცეს იმავე საზოგადოებამ სწავლის განგრძობისა.

3. სწავლა დედა ენაზე იყოს.

4. სახალხო სკოლაში კურს დამთავრებული უეგზამენოდ შედიოდეს საშუალოა სასწავლებელში.

5. სახალხო სკოლაში ბავშვი სწავლობდეს ბუნების-მეტყველებას, ჰიგიენას, კანონმდებლობას, პოლიტიკურ ეკონომიკას და ისტორიას.

6. სკოლა სრულიად დამოუკიდებელი იყოს ეკკლესი-ისაგან.

7. გამრავლდეს სკოლათა და მასწავლებელთა რიცხვი იმდენად, რომ თითო მასწავლებელს ოცდა-ათზე მეტი შეგირდი აღარა ჰყავდეს.

8. უმაღლესს სასწავლებელში დაარსდეს ახალი ფაკულტეტი—სახალხო სკოლის მასწავლებლის მოსამზადებლად.

9. ღირსეულად იქმნას დაჯილდოვებული სახალხო სკოლის მასწავლებლის შრომა და პენსიაც საქმარისი ეძლევოდეს.

10. შესდგეს ხოლმე დროგამოშვებით. მშობელთა და მასწავლებელთა კონფერენციები სწავლაგანათლების და ორგანიზაციის შესახებ კითხვების განსამარტივად.

11. შესდგეს კავშირი რუსეთში მყოფ ყველა მასწავლებელთა თავიანთ ინტერესების და ერთობ ხალხის განათლების საქმის დასაცავად.

* *

დაჩჩარია-გმირი. შეუძლებელია, იტყვის მეტობებით: თუ ლაშარია, გმირი როგორ-ლა იქნებაო; თუ შავია, თეთრი როგორლა იქნებაო? ჩვენისთანა უბრალო მომაკვდავთაოვის იქნება მართლა შეუძლებელიც იყოს, მაგრამ როდესაც საქმე მის აღმატებულებაზე მივარდება, შეუძლებელი აღარა ჩჩება რა. მის აღმატებულება გენერალი ცერპიცი, ბრძოლის ველზედ მეათე კორპუსის მხედართ-მთავარი, ბრძანებს,— ჩვენი დამარცხების მიზეზი სხვათა შორის ის არის, რომ გმირი, დევ-გმირი რუსი ჯარის-კაცი მეტის-მეტი ლაშარი და მხდალია. თუ ერთი შეკრთა, ღმერთიც ველარ შეაყენებს და ისე დაიბნევა, თითქო ცხვარს მგელი დაერია და დააფრთხოოს. რუსის ჯარის ამგვარი კრთომა დიდი ხანია ცნობილია. გამბდავიც არის რუსის ჯარი, თავგანწირულიც, მამაციც, მაგრამ თუ ზურგი შეუბრუნა მტერს, ისე მოჰკურცხლავს, თითქო მართლა ცხვარი იყოსო და ბევრი... შიშით... აპატივეთ მის აღმატებულებას: ბრძოლის ველზედ გახლავთ დაბერებული და ჩვენებური მართებული ლაპარაკის და ცენზურის მოთხოვნილებისა არა იცის რა. მართალს ბრძანებს და ყველაფერს თავის სახელს უწოდებს!

* *

მაღა და ქანჭანი. დიდით პატარამდე ყველა იმას გაიხის, ამ არეულობას მაშინ მოეღება ბოლო, როდესაც კონსტიტუციას გამოაცხადებენ. ყველგან, ყოველთვის ეს სიტყვა გაისმის, და იმას კი არავინ კითხულობს, თუ რას ნიშნავს, კონსტიტუცია რა არის მისი შინაარსი და დედა-აზრი.

იურისტს რომ ვკითხოთ, რა არის კონსტიტუცია, მოკლედ მოგვიჭრის: კონსტიტუცია არის მეფესა და ხალხს შორის დადგებული პირობა, რომლითაც დადგენილია ძირითადი პრინციპები კანონმდებლობისა და სახელმწიფოს მართვისა.

მაგრამ შეიძლება რესპუბლიკა იყოს, ესე იგი მეფე არა ჰყავდეს ხალხს, და კონსტიტუცია კი მაინც ჰქონდეს; ამ შემთხვევაში ასეთი იქნება მისი განმარტება: კონსტიტუცია არის ძირითადი კანონი, რომელიც საფუძვლად უდევს ერის მართვა-გამგეობას.

ამგვარი განმარტება სიტყვებია და სხვა არაფერი, რადგან გარედან სინჯავს საგანს და მის შინაარსს კი არ ეხება. რომ დავკმაყოფილდეთ ამ განმარტებით და მეტად არ ჩავაკირდეთ საკითხს, არაფერი გვეცოდინება, რადგან არ შეგვეძლება კარგისა და ავი კონსტიტუციის გარჩევა.

მაგრამ მაგ განმარტებითაც ვისაჩერებლოთ. კონსტიტუცია კანონია. მერმე რა განსხვავებაა კანონსა და კონსტიტუციის შორის? კონსტიტუციის უნდა ჰქონდეს კანონის ძალა, მაშასადამე ისიც კანონი უნდა იყოს. მაგრამ ეს არა კმარა: კონსტიტუცია უფრო ძლიერი უნდა იყოს, ვიღრე კანონია და აქ არის განსხვავება ორ უნდათა შორის.

კაცთ შორის ერთმანეთში დამოკიდებულების წესიერად მოსაწყობად ახალ-ახალ კანონს აცხადებს მართებლობა და, თუ მართლა ამ მიზანს ემსახურება ეს კანონი, არავინ გამოაცხადებს მათს წინააღმდეგობას. მაგრამ, თუ მართებლობაშ გამოსცვალა რამე ერთხელ დადგებულ კონსტიტუციაში, მთელი საზოგადოება აღშფოთდება და საბრძოლველად მოემზადება. კონსტიტუციის რაიმე ნაწილის შეცვლა იმდენად სამიმო საგნად არის მიჩნეული, რომ კონსტიტუციის დადებისათვალი ურთავენ შიგ მუხლს, რომელიც შეუძლებლად ხდის, ან აძნელებს კონსტიტუციის შეცვლას: ზოგან სრულიად შეუძლებელია მის შეცვლა; ზოგან საჭიროა კანონმდებელი კრების ორი მესამედი, და არა უბრალო უმრავლესობა; ზოგან კიდევ კონსტიტუციის გამოსაცვლელად საგანგებო კრება უნდა აირჩიოს ხალხმა და მას მიანდოს ეს დიალი საქმე.

უხადია, რომ კონსტიტუცია უფრო ძლიერი, წმინდა და უცვლელი ყოფილა, ვიდრე უბრალო კანონია. მაზედ არის დამყარებული, როგორც საფუძველზე, მთელი კანონმდებლობა ამა თუ იმ ქვეყნისა, მისგან გამომდინარეობს და ამასთან მასვე ეთანხმება მთელი კანონმდებლობა.

ახლა ვნახოთ, რას აკანონებს კონსტიტუცია.

რადა უფრო გარკვევით დაიხატოს მისი შინაარსი, წარმოვიდგინოთ, რომ მთელს ჩვენს ქვეყანაში ერთსა და იმავე დღეს დაიწვა თვრამეტ ტომად დაბეჭდილი კანონმდებლობა; დაიწვა ისე, რომ დაწერილი კანონი აღარსად დარჩა. რომ დავიძახოთ, ახლა კი გვიშველა ღმერთმა, რაკი ახალ კანონს ვარდენთ, ხელმწიფე ავლაგმოთ და იმოდენ უფლებას ნუდარ მივცემთ, რამოდენიც წინადა ჰქონდაო, ან სრულებითაც გადავაყენოთ, —ძალიან შევცდებით, რადგან ხელმწიფე მოკლედ მოგვიწრის: რა ვუყოთ, რომ კანონები დაიწვა, ჯარი ხომ ჩემკენ არის! რასაც ვუბრძანებ, ამისრულებს; ვისაც ვუბრძანებ, გავაულეტინებ; ჯარი ჩემკენ არის და მე ნებას არ მოგცემთ, რომ ჩემი უფლება და უპირატესობა შეზღუდოთ.

და რადგან მეფეს ემორჩილება ჯარი და ზარბაზნები, რადგან მეფე ძალის წარმოადგენს, ამიტომ მეფე ნაწილია კონსტიტუციისა.

ან არა ხალხმა სთქვა: ჩვენ ასი მილიონი ვართ, თავად-აზნაურები რამდენიმე ათასი კაცი და მიუხედავად ამისა, ქვეყნის მართვა-გამგეობაში იმათაც ჩვენოდენივე უფლება აქვთ; რად უნდა იყოს ცალკე ხალხის წარმომადგენელთა კრება, და ცალკე აზნაურებისა? გავაუქმოთ მათი უპირატესობა! —აზნაურები ხალხთან საბრძოლველად იმავე მეფეს მიმართავენ, იმის ჯარების და ზარბაზნების დახმარებას მოითხოვენ და ისე გაუქმლავდებიან ხალხს. ამ შემთხვევაშიც თავად-აზნაურობას, რომელსაც გავლენა აქვს კარის-კაცებზე და მეფეზე, ძალა აქვს და მით იგიც ნაწილია კონსტიტუციისა.



ან კიდევ წარმოვიდგინოთ, რომ მართებლობამ კანონის გამოაცხადა, შეილის დანაშაულისთვის მამას მოექრას თავით. ამისთანა მხეცური კანონი, რასაკვირველია, ყველას ააშფოთებს, თვით გენერლებსაც კი, და ამ შემთხვევაში საზოგადოებრივი სინიღისი და განათლება ნაწილი არის კონსტიტუციისა.

ან კიდევ: მართებლობამ გამოაცხადა, დღეიდგან თავისუფალი მუშა აღარ არის... მუშა ხალხი ყმად მიგვიცია აზნაურთა და მრეწველთათვის, როგორც საშუალო საუკუნოებში იყოო. — ამას, რასაკვირველია, ვერ განახორციელებს, თუნდა ხელი ხელს მისცენ ერთმანეთს ხელმწიფებმ, ჯარმა, ზარბაზნებმა, აზნაურებმა და მრეწველებმა. ვერ მოახერხებენ, რადგან თავისუფლების დაკარგვას სიკედილს ირჩევდა მუშა ხალხი, აიღებდა იარაღსა და ჭკეუს ასწავლიდა თავხედთ. ამ შემთხვევაში მუშა ხალხი თავის ძალით ნაწილი იქნებოდა კონსტიტუციისა.

მაშ რა არის კონსტიტუცია? ქვეყანაში არსებულ ძალათა ურთიერთი დამოკიდებულება.

ახლა ენახოთ, როგორ გამოხატავს კონსტიტუცია სხვა და სხვა დაწესებულებათა და პირთა უფლებებს.

როდესაც უნდათ ასე მოაგვარონ საქმე, რომ სახელმწიფოს მართვაში თავადაზნაურობას და მდიდართ მრეწველობით დენიცენივე ძალი და უფლება ჰქონდეთ, რამდენიცა აქვთ მთელს გლეხეაცობას, მუშებს, ხელოსნებს და წვრილ ვაჭრებს, ამ განძრახვას პირდაპირ კი არ აღიარებენ! არა, ამორჩევის უფლებით აღჭურვილობ მათგან გაღებულ ხარკის მიხედვით სამ კლასად გაჰყოფენ. პრუსსიაში, მაგ. 1849 წელს, ამომრჩეველთა პირველ კლასში ირიცხებოდა 154 ათასი, — მეორეში — 410, მესამეში — 2692 ათასი კაცი.

და ამგვარად 154 ათასს ძალიან მდიდარს აძლევენ იმოდენავე ძალას და უფლებას, რამდენსაც აძლევენ 2692 ათასს მუშას და გლეხეაცს, ესე იგი მდიდარს ანიჭებენ ჩვიდმეტჯერ მეტს უფლებას, ვიდრე ლარიბს.

ნარევი

გიუგბი არ იქნებოდნენ, კონსტიტუციაში თავხელურად ჩატარდა: მდიდარს ჩვიდმეტჯერ მეტი უფლება აქვს, ვიდრე ლარიბს... ან ასე: ერთ მდიდარს იმდენივე უფლება აქვს, რამდენიც ჩვიდმეტ ლარიბსაო! რადა, როდესაც შეიძლება გაღებულ ხარჯის მიხედვით კლასებად დაჰყო ხალხი და მით თვალი აუბა?!

თუ უნდათ, ისე მოახერხონ, რომ რამდენსამე ასს აზნაურს იმოდენივე ძალი და გავლენა ჰქონდეს, რამოდენიც მთელს ხალხს, კონსტიტუციაში აღნიშნავენ: სახელმწიფოს ორი პალატი განაგებს, — ხალხის მიერ ამორჩეულნი და ძველ გვარი-შეილთა ჩამომავალ თავად-აზნაურთა ქრებული, რომლის თანხმობა აუცილებლად საჭიროა, რადა ქვემო, ხალხის პალატის დადგენილებანი ასრულებაში იქმნან მოყვანილნიო.

ან ვთქვათ, უნდათ ხელმწიფეს უფრო მეტი უფლება მისცენ, ვიდრე მთელს ხალხს. ამას პირდაპირ კი არ გამოსთქვამენ: ეგ გაუნათლებელთა და უზრდელთა წესია! ისე მოაგვარებენ, რომ ეკვი არ აეძრას ხალხს! დასწერენ, ჯარში ყველა მოსამსახურე პირთ ხელმწიფე დანიშნავსო. ცოტა ქვემოდ კიდევ ჩაუმატებენ: ჯარი ერთგულებას არ შექვიცავს კონსტიტუციასათ. და ისე მოაწყობენ საქმეს, რომ ხალხი ჯარისთვის საჭირო ფულს იხდის და სამსახურით კი ეს ჯარი ხალხს კი არა, ხელმწიფეს ემსახურება და ხელმწიფემ თუ მოინდომა, ხალხსავე მიუსევს ამ ჯარს. რაკი ჯარი ხელმწიფის-კენ იქნება, ძალიც ხელთ ექნება ხელმწიფეს, და მაშასადამე ერთად ერთი კაცი უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე მთელი ხალხი.

ეს ერთი კაცი მით უფრო ძლიერია, რომ ყოველთვის მზად არის შეიარაღებული გაწვრთნილი ჯარებით. ხალხი კი, თუმცა ერთი ათასად მძლავრიც იყოს, სუსტია, რადგან შეუერთებელია, ორგანიზაცია არა აქვს. ხალხის წარმომადგენლებმა არ იკვიან, ვინ არის მათკენ და ვინ არა, და მაშასადამე არც საჭირო გამბედაობა ექნებათ.

ამ გვარად ყველა ქვეყანაში არსებობს თავისი კონსტიტუცია, ესე იგი არსებულ ძალთა ურთიერთი დამოკიდებულება. ასეთი კონსტიტუცია ყოველთვის არსებობდა ყველა ქვეყნებში, არსებობს ყველგან ეხლაც, ოღონდ ძალთა ურთიერთი დამოკიდებულება იცვლება და ამ ცვლამ გამოიწვია საჭიროება კონსტიტუციის დაწერის და უპირატესობათა, ან შეძენილ უფლებათა დამაგრებისა და დაკანონებისა.

საშუალო საუკუნეში, როდესაც ვაჭრობა და მრეწველობა მეტად სუსტად იყო განვითარებული, ხალხი განიყოფებოდა თავად-აზნაურობად და გლეხეაცობად. მაშინდელი კონსტიტუცია წოდებრივი იქნებოდა, რაღა თქმა უნდა, უპირატესობა ყველაფერში თავად-აზნაურობას ექნებოდა მინიჭებული და მის უნგრუად ხელმწიფესაც კი არა შეეძლებოდა-რა.

ღრონი იცვალნენ: გაჩნდა ვაჭრობა, მრეწველობა, ქარხნები, ხალხი ქალაქისკენ მიიწვეს. წარმოება კაპიტალმა დაისაკუთრა და მისმა პატრონმა ბურჟუაზიამ. თავად-აზნაურობან ძალი და გავლენა უფრო და უფრო ბურჟუაზისკენ გადადის. ხელმწიფეს აღარ ესაჭიროება მისუსტებული თავად-აზნაურობა და მუხრუქს უჭერს, სადაც კი მოასწრებს; ეცდება უფლებანი შეუსუსტოს, ყოველი უპირატესობა წაართვას, გამაგრებული ციხეები დაუნგრიოდა და სხ. რაკი ძალთა დამოკიდებულება შეიცვალა, შეიცვალა თვით კონსტიტუციაც... ხალხში სწავლა განათლება ვრცელდება, იზრდება კაცობრიული და ეროვნული თვითცნობიერება, მოქალაქეობრივ უფლებათა საჭიროება... ხალხი გრძნობს თავის ძალას, გრძნობს, რომ სხვა ძალებთან შედარებით მას არაფერი უჭირავს ხელში, როდესაც სხვებს, თავადაზნაურთ და მრეწველთ, მინიჭებული აქვთ ყოველი უფლება და უპირატესობა. ხალხს უნდა თავისი ძალის განხორციელება, ესე იგი არსებულ კონსტიტუციის შეცვლა თავის სასარგებლოდ და რადგან წებით არას აძლევენ, ძალით ცდილობს თავის კუთვნილის მოპოვებას, იარაღით, რევოლუციით. გამარჯვებული ხალხი უარპყოფს წარსულს და ახალ კონსტიტუციის დაკანონებას თხოულობს.

ხელმწიფე იძულებულია ხალხს წარმომადგენლები აარჩევინოს, რადა მათთან შეთანხმებით დაადგინოს ახლი, ახლა კი დაწერილი კონსტიტუცია.

როგორი უნდა იყოს ეს კონსტიტუცია, რომ კარგი და ხანგრძლივი გამოდგეს?

დაწერილი კონსტიტუცია კარგი და ხანგრძლივი მაშინ იქნება, თუ ქვეყანაში არსებულ ძალთა დამოკიდებულებას გამოხატავს. თუ ამ ძალთა დამოკიდებულება ვერ გამოსთქვა და ვერ დააკანონა, თუ ერთს ძალს მეტი მიანიჭა, ვიღრე ერგებოდა, და მეორეს გამოსწირა რამე, ისევ ძალთა ბრძოლა მოხდება და მაშინადამე კონსტიტუცია შეიცვლება.

აქედან ცხადია, საქმე დაწერილი და დაკანონებული კონსტიტუცია კი არ არის, საქმე ძალის მოპოვებაა და მოწინააღმდეგებ ძალის შესუსტება. მაგ. მოწინააღმდეგებ ძალის შესასუსტებლად საგანგებო საშუალებაა ჯარისკაცთა ექვსი თვეის სამსახურის დაკანონება; ექვსი თვე სრულიად საკმარისია სამხედრო სამსახურის შინაგანი გარემონტირებული და გარდა ამისა ისე მოკლეა, რომ ამ ხნის განმავლობაში არ შეიძლება გლეხკაციის გარეუნა-გათახსირება და ხელმწიფის იარაღად, ხალხის მტრიდ გარდაქმნა. ყოველ ექვს თვეში შეცვლილი ჯარი ხალხთან უფრო ახლო იქნება, ვიღრე მის მოწინააღმდეგებ ხელმწიფესთან.

გარდა ამისა შეიძლება დაკანონდეს, რომ დაბალ ოფიცრებს ხელმწიფე კი არა ნიშნავს, ჯარი ირჩევს და ამგვარად ჯარის წინამძღვრლად ხალხის შვილნიც იქნებიან, და არა მარტო ხალხის მტერნი.

სამხედრო კაცის დანაშაულს უნდა არჩევდეს და სჯიდეს არა სამხედრო, არამედ სამოქალაქო სამართალი, რომ ჯარი თავის თავს ხალხის ნაწილად გრძნობდეს. ზარბაზნებს და ერთობ იარაღს, გარდა სავარჯიშოდ დანიშნულ რიცხვისა, ხალხის წარმომადგენელი უნდა ინახავდნენ, რომ ხალხის წინააღმდეგ არ იხმაროს იგინი ხელმწიფემ.

გაშ რა არის კონსტიტუცია? ძალის შეძენა და არა
სხვა-და-სხვა უფლებათა ქაღალდზე აღბეჭდა.
* *

როგორიც მოხდალ, სეინა... გომეოპატიის მამად ცნობილ
გამოჩენილ ექიმ ჰანნემანთან ერთი მდიდარი ინგლისელი მი-
ვიდა, ავადა ვარო.

ექიმმა არა ჰეითხა-რა, ხმა არ ამოაღებინა: გული და
მაჯა გაუსინჯა, ისიც ოდნავ, რამოდენიმე წუთის განმავლო-
ბაში; მერმე რაღაც წამალი აიღო, ცხვირთან მიუტანა და
უბრძანა:

— უსუნეთ! კმარა! სხვა წამალი არა გინდათ-რა.

განცვიფრებული შესცემოდა ავადმყოფი ექიმს. ბოლოს
ჰეითხა:

— რა უნდა მოგართვა?

— ათასი ფრანკი*), მიუგო ჰანნემანმა.

ინგლისელმა ფული ამოიღო, ათასი ფრანკი გადასთვა-
ლა, ცხვირთან მიუტანა ექიმს და უთხრა:

— უსუნეთ! კმარა! სხვა გასამრჯელო არა გინდათ-რა!
ფული ჯიბეში ჩაიდო და თავის გზას გაუდგა.

*) ოკედა ნეთი თუმანი, დღევანდელი კურსით კი არასცი.

მინური მიმოზია

სამღვდელოების ყრილობა. — თავად-აზნაურობისა და ბანკის კრებები. — სათავად - აზნაურო სკოლის საზოგადოების კრება. — ერობის დეპუტაცია. — საყოველთაო გაფიცვა თბილისში.

ახალმა სიომ სამღვდელოებასაც დაპბერა, ისიც აამოძრავა, დაავიწყებინა კულანდელი მცონარეობა და თითქმის ბრძოლის ველზე გამოიყვანა. მუდამ მთავრობის ყურმოქრილი და მორჩილი მღდლები, ეხლა, მაისის გასულს, საკუთარის ინიციატივით და წინააღმდეგ სასულიერო მთავრობის ბრძანებისა და განკარგულებისა მოგროვდნენ თბილისში ერთად სხვა და სხვა საკითხების გასარჩევად და საერთო საქმეების გასაკეთებლად. ამ გვარად მღვდლებიც ჩაებნენ იმ საზოგადოებრივ ფერხულში, რომელიც ითხოვს ცხოვრებისთვის ახალის საძირკვლის ჩაგდებას.

საქართველოს სამღვდელოების მოძრაობას, ჩვენის აზრით, სათავე გლეხთა მოძრაობაში აქვს. ვისაც კი თვალყური უდევნებია ჩვენს ქვეყანაში გლეხობის მოძრაობისთვის, იმისთვის აღვილად წარმოსადგენია, რა გამწვავებული უნდა იყოს ეხლა სოფლად მღვდლისა და მრევლის ურთიერთობა. გლეხებმა უველგან საჯაროდ დაჰგმეს თავისი მღვდლები, უველგან ღრმა უქმაყოფილება განუცხადეს მათ და უველგან უსამართლოებად აღიარეს ის გადასახადები, რომლებიც მათ აწევთ კისრად მღვდლების შესანახვად. ეჭვს გარეშე, ღიღი ნაწილი იმ ფულისა, რომელსაც მთავრობა ახდევინებს გლეხებს სახელმწიფო ხარჯების დასაფარავად, ისე იხარჯება და იფ-

ლანგება, რომ გლეხობისთვის არავითარი სარგებლობა არ მოაქვს, მაგრამ გლეხები მაინც იმჯენად სხვა ხარჯებით არ არიან გაბრაზებული და გამწარებული, რამდენადაც მღვდლის სასარგებლოდ დაწესებულის გადასახადებით. მიზეზი ამ გარემოებისა იქ უნდა ვეძიოთ, რომ მღვდლები, თუმცა ისინი ისეთივე მოხელეები ე. ი. ჩინოვნიკები არიან, როგორც სხვა უწყების მოსამსახურენი, მაგრამ ჯამაგირს ხაზინიდამ კი არ იღებენ, პირდაპირ თითონვე ართმევენ ხალხს. წრეს გადაცილებული ღვთის მორწმუნე და სამღვდელოების ღრმა პატივის-მცემელიც რომ იყოს გლეხი, იმას მაინც აუცილებლად შეჰქმდება თავისი მოძღვარი, რომელიც სწორედ მაშინ ატანს დატაკს და წელში მოწყვეტილს გლეხს ძალას ფულის გადასახდელად, როდესაც რაიმე სარწმუნოებრივის წესის შესრულებაა საჭირო. მღვდელი კი იძულებულია სწორედ ამ გზას დაადგეს; გაღარიბებული გლეხი ნება-ყოფლობით არ იხდის მღვდლის ხარჯს, მღვდელს კი გადასახადის ასაკრებად ერთადერთი გზა აქვს, ფული სწორედ მაშინ მოითხოვოს, როდესაც მღვდელი გლეხისთვის საჭიროდ ხდება. ამ გვარად მღვდლის სამსახური ხალხისადმი ჰკარგავს სარწმუნოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ხასიათს და თანდათან იქცევა. ფულის ასაკრეფ საშუალებად. მღვდელსაც და ერსაც სარწმუნოებრივი წესები ეჩვენება უმთავრესად იმ მხრივ, რომლითაც იგი სავაჭრო, სააღებმიცემო საგანს ემგზავსება; იკარგება სარწმუნოებრივი და სამაგიეროდ იზრდება საპოლიციო მხარე მღვდლის სამსახურისა. რა თქმა უნდა, ამ მდგომარეობას აუცილებლად მოსდევს სარწმუნოებრივი ინდიფფერენტისმი და მტრული ურთიერთობა მღვდლისა და მრევლის შორის. თი, სწორედ ამ ნიადაგზე გაჩნდა საქართველოს გლეხობაში სარწმუნოებრივი გულგრილობა და განხეთქილება მღვდლისა და მრევლის შორის.

ურთიერთობის გამწვავებას ხელს უწყობდა აგრეთვე ის გარემოება, რომ სასულიერო უწყებამ ჩვენში დიდი ხანია პოლიტიკანობა დაიწყო, და ხალხთან კი პირდაპირი დამო-

კიდებულება სასულიერო მთავრობას მღვდლების საშულებითა აქვს. ვინ არ იცის, მაგილითად, რომ სხვა-და სხვა პოლიტიკურის მოსაზრებით მღვდლებს დაევალებათ ხოლმე განსაზღვრულ შინაარსის ქადაგებანი წარმოსოფელის წინაშე და სარწმუნოებრივის დოგმატებით გაამართლონ ის ათასგვარი უსამართლო, რომელსაც ხალხი ყოველ დღე ჰქედავს. რეკველია, მღვდელი, რომელიც უმაღლეს ყოვლისა სინიდისის, რწმენის და აზრის თავისუფლებას უნდა აყენებდეს, მხოლოდ იმ შემთხვევაში დაემორჩილება ამ გვარს ბრძანებებს, როდესაც თავის დანიშნულებას მარტოოდენ ხალხისაგან ფულის აღებაში დაინახავს და არა ხალხის გონებისა და გრძნობების განათლებასა და გაწმენდაში. მღვდლის თანამდებობასაც უმთავრესად სწორედ ისინი ეტანებოდნენ, რომელთაც ცხოვრებისთვის სხვა გზა და საშუალება ვერსად ვერ გაეკათა, რა თქმა უნდა, ზოგიერთის შემთხვევის გარდა. საქართველოს სამღვდელოებას, ჩვენის ქვეყნის რუსეთთან შეერთებამდე, ხალხის თვალში საპატიო აღგილი ეჭირა და მაგრე რიგად არც არავის გადასახადების თხოვნით აბეზრებდა თავს: მაშინ სამღვდელოებას დიდ-ძალი მამულები ეჭირა ხელში და იმის შემოსავალი საქმით სარჩოს იძლეოდა. რუსეთის მთავრობამ ეს მამულები ჩამოართვა ქართველ სამღვდელოებას, როგორც საეკკლესიო ქანება, და სამაგიეროდ 118,000 მან. დანიშნა წლიურად ქართლ-კახეთის სინოდალურ კონტროლის განკარგულებაში. ეს ფული დღემდე კანტორის და უმთავრესად ისეთს საგნებზე იხარებლება კანტორის და უმთავრესად ისეთს საკიროებანი: ამ ფულით დგმულებს, ვიდრე სამღვდელოების საკიროებანი: ამ ფულით ინახება სასულიერო სემინარია, სამრევლო სკოლები და სხვა. ქართველი სამღვდელოება, რამდენადც იგი ეროვნულს ელფერს ატარებდა, მთავრობისაგან ათვალწუნებული იყო და ამიტომ იგი ზნეობრივად მოსწყდა ხალხის საკიროებას, ხალხის კირვარაშს. სამღვდელოება, როგორც ზნეობრივ და სარწმუნოებრივ სიფაქაზის მატარებელთა და მქადაგებელთა

კორპორაცია ან, თუ გნებავთ, წოდება მოისპო, დარჩა
მხოლოდ იმისი აჩრდილი, იმისი ჩვენება, რომელიც სამო-
სელით-ლა წააგავს წინანდელს სამღვდელოებას. ხალხმა შეი-
ძულა მღვდელი და მღვდელმა ხალხი. ამ ანორმალურმა
უთიერთობამ დიდი ხანია იჩინა თავი საქართველოს სხვა და
სხვა ნაწილებში, მაგალითად კახეთში, სადაც უკვე ათი,
თორმეტი წელიწადია თითქმის ყველა სოფელში დაუსრუ-
ლებელი დავაა მღვდლებსა და მრევლს შორის გადასახადების
რაოდენობაზე, მაგრამ განსაკუთრებითის სიმკაცრით და მკა-
ხედ ეს განხეთქილება გამოსჩნდა ეხლა, როდესაც საერთოდ
გლეხთა მოძრაობა დაიწყო. ამ მოძრაობამ მღვდლებსაც აუხსნა
თვალები და დაანახვა, რომ „ასე ცხოვრება აღარ შეიძლებაო“.
აუცილებელ საჭიროებად შეიქნა ან უარყოფა მღვდლის
თანამდებობისა და ან ახალის საძირკვლის ჩაგდება მრევლთან
წესიერის ურთიერთობის დასამყარებლად. ჩვეულებრივ გაუ-
ბედავი მღვდლები ამ პრობლემატიურმა მდგომარეობამ აალა-
პარაკა და საერთო ძალლონით მდგომარეობის გამოსაკეთე-
ბლად მაისის გასულს თბილისში მოაგროვა ისინი. ბევრს
მღვდელს გაეხსნა მებატონის მაღა, როდესაც მოიგონეს, რა
მდიდარი იყო რუსეთის მთავრობისაგან ჩამორთმეული ქარ-
თულის ეკკლესიის ქონება, მაგრამ გონიერებამ თავისი გაიტანა
და უმრავლესობამ სხვა მხრივ შექმნდა საჭმის ვითარებას. უმთა-
ვრესი მიზეზი მღვდელთა ოწინდელის უნუგეშო მდგომარეობისა
დაინახეს იმ ზეობრიეს სიღატაკეში, რომელიც ბუნებრივად მო-
ჰყვა ბიუროკრატიულ მთავრობისაგან ხალხის ინტერესებისაღმი
გულგრილობას და მღვდლების გადაქცევის მოხელეებად. თანა-
ხმად ამ მთავარის აზრისა, მღვდლებმა სიჭიროდ სცნეს გაუქმება
სასულიერო წოდების კარჩაკეტილობისა, მღვდლების დანიშვ-
ნისა მრევლში სასულიერო ბიუროკრატიულ მთავრობისაგან და
დაადგინეს, რომ დაიხუროს სეჭიტებიდან სასულიერო სასწავ-
ლებლები, რომ მღვდლებს თითონ მრევლი ირჩევდეს თანამდე-
ბობაზე და სამღვდელოების მთავრობას თითონ სამღვდელოება
და ხალხი. ამ აზრებზე იდგა მღვდლების უმრავლესობა კერძო

კრებებზე თათბირის დროს, სასულიერო სემინარიის სადგომის შენობაში. ივნისის პირველს რიცხვებში ოფფიციალურად უნდა გახსნილიყო საქართველოს სამღვდელოების ყრილობა, მაგრამ 31 მაისს საღამოს 8 საათზე მღვდლებს შეურაცხყოფა მიაყენეს და მღვდლებმა ამის შემდეგ შესაძლოდ ვეღარა სცნეს კრებების გამართვა. მღვდლები დაიშალნენ, სოფლად გაიფანტნენ და ამასთანავე დაადგინეს, მოსპონ უოველივე კავშირი თავის სასულიერო მთავრობასთან.

31 მაისის ინციდენტი თითოთ საჩვენებელი, სამაგალითო შემთხვევაა, რომლის მგსავი არაფერი არ უნახავს ქართველს სამღვდელოებას საქართველოს თათრებისაგან აოხრების დროსაც კი. ამ ინციდენტს გულის შემატევრობით შეჰედა ნამესტნიქმა გრაფმა ი. ი. ვორონცოვ-დაშვილმა და განსაკუთრებითი გამოძიება დანიშნა, მაგრამ, ვის ედება ბრალი ასეთის ღრმა შეურაცხყოფისა, ეს დღემდე გამოცხადებული არ არის. ვიკით მხოლოდ, რომ ამ ინციდენტის შემდეგ საქართველოს ექსარხოსი და სასულიერო სემინარიის რექტორი პეტერბურგში გაიწვიეს და, როგორც იმბობენ, უკან აღარ დაბრუნდებიან.

სამღვდელოების სურვილი, ოფფიციალურად გახსნილს კრებაზე გაემართა მსჯელობა ეხლანდელ მდგომარეობის შესახებ და გამოერკვია, რა გზას უნდა დაადგეს იგი მრევლთან წესიერის ურთიერთობის აღსადგენად, ჯერ-ჯერობით განუხორციელებელი დარჩა; ჩვენ გვვონია, რომ ღვდლებს ებლა, 31 მაისის ინციდენტის შემდეგ უფრო მეტი საბუთი და მიზეზი აქვთ ყრილობისთვის, ვიდრე წინად, და არა გვვინია, ახლო მომავალში არ განახლდეს ის ყრილობა, რომელიც უნებურად იქმნა შეწყვეტილი მაისში.

ექვსს ივნისს დაიწყო თბილისში თავად-აზნაურობის კრება, რომელმაც ჩვენის ბრწყინვალე წოდების ფიზიონომია და მიმართულება სულ სხვა გვარად დაგვანახვა, ვიდრე მარტის



არაჩვეულებრივმა ყრილობამ. იგნისში თბილისის გუბერნიატორი თავად-აზნაურობა სწორედ ისე იქცეოდა, როგორც ეს მხოლოდ ვიწრო წოდებრივის ინტერესებით გატაცებულთ შეუძლიანთ. საკმარისია მოვიგონოთ ერთ-ერთის ორატორის სიტყვა, რომელსაც გაზეთ „ივერიის“ სიტყვით საზოგადოება გულ-დასმით ისმენდა: „ქართველებს რამდენიმე კარგი თვისება გვქონდა; ეს იყო ხელმწიფის ერთგულება, უფროსებისადმი პატივისცემა და ზრდილობა. ყველა ეს ეხლა დავკარგეთ, ჩვენი კრებები კრებებს აღარა ჰგავს. ჩვენ ვართ თავად-აზნაურნი, ჩვენა გვაქვს ჩვენი კერძო ინტერესები, ვიკრიბებით ჩვენს საქმეებზე მოსალაპარაკებლად, აქ კი წამოდგება ვინე უცხო, გარეშე და იტყვის: მღვდლებს სკემეს, თავი უნდა გამოვიდოთ, მათ პატივისაცემლად კრება უნდა დავხუროთ. სკემეს, რა ვუყოთ მერე! სამწუხაროა, მაგრამ თავის გამოსადები რა გვაქვს? როდის დადიოდით ეკკლესიაში, ან როდის სკემდით მღვდლებს პატივს, რომ ახლა გინდა სკეთ? მეორე წამოდგება და იტყვის, ქალებს ნება მიეცით, კრებას დაესწრონ. რა უნდათ აქ ქალებს? ჩვენ პატივსა ვცემთ ქალებს, მაგრამ იმათ თავისი ადგილი აქვთ, აქ კი ჩვენ საქმეებზე და რაღაც ანგარიშებზე ვლაპარაკოთ. არამც თუ ქალებს და იმ გარეშეებს,—აქ ვხედავ პრესსის წარმომადგენლებსაც, რა უნდათ აქ? რატომ თავს არ დაგვანებებენ? ეგენი მხოლოდ საქმეს ამწვავებენ...“ ის კრება, რომელსაც გულ-დასმით შეუძლიან ამ გვარი სიტყვები მოისმინოს, უეჭველია საქვეყნო და საზოგადო ინტერესების დამცველი ვერ გამოდგება. აკი ასეც გამოდგა.

თავად-აზნაურობამ 58 ათასი მანათი გადასდო თბილისის სათავად-აზნაურო ბანკში შესატანად იმ გადასახადების დასაფარავად, რომელიც წელს უნდა გადაეხადნათ მოკლე და გრძელ ვაღიან სესხის სარგებელში თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურებს; 10,000 მანათი ასესხა გორის მაზრის სინდიკატს, რომელიც სავაჭრო დაწესებულების პრინციპებზეა აგებული, მაგრამ დღევანდლამდე ფულის სესხად აღების მეტი

არაფერი გაუკეთებია და ზარალის მეტი არაფერი არ უნახავს ცალკეული მიმოხილვას. უმდევე კრებას მოხსენდა გორის მაზრის თავად-აზნაურთა თხოვნა სამეურნეო თანხიდან 20,000 მან სესხად მიცემის შესახებ. მთხოვნელებს საჭიროდ არ დაუნახავთ, თვით თხოვნაში აღნიშნათ, რა საჭიროებისთვის თხოულობენ ამოდენა ფულს და სიტყვიერად კი სხვა და სხვანაირად გაიმარტა ამ ფულის დანიშნულება. ზოგი ამბობდა, ეს ფული თავად-აზნაურთა მილიციის საჭიროებისათვის უნდათო, ზოგი კი ამ-ტკიცებდა ეს ფული თანხად უნდა დაედოს გორის თავად-აზნაურთაგან განზრახულს არტელსაო. ამ თხოვნამ ფულის საღერლელი აუშალა სხვებსაც, დაიხვიეს ხელზე გლეხთა მოძრაობის გამო დაზარალება და დაადგინეს: 1) აუცილებლად საჭიროა გლეხთა მოძრაობის გამო დაზარალებულთ აღმოეჩინოთ დახმარება სამეურნეო თანხიდან, როგორც მემამულეთ, ისე მიწის მუშათ; 2) მიეცეს წინამძღოლებს და თავად-აზნაურთა დეპუტატებს სამეურნეო თანხიდან გადარჩენილი ფული, რომელიც თავის მიხედვით მაზრებზე გაანაწილონ და 3) გადადებულ ფულის დანაწილება გადასუყიტოს მაზრის საგანგებო კომისიამ. ამ დადგენილების აღსრულებით მოისპობა სამეურნეო თანხაც, გაიფლანგება წვრილ-წვრილად ისე, რომ ვერც კერძო პირი და ვერც საზოგადო საქმე ვერაფერს იხეირებს.

თავად-აზნაურთა კრებას მოჰყვა ბანკის რწმუნებულია კრება. 1904 წლის ანგარიშიდან აღმოჩნდა, რომ სათავად-აზნაურო ბანკს წლის განმავლობაში ერთი მილიონი ორასი ათასი მანეთის ზარალი მისცემია. ეს ზარალი შესდგება იმ უძრავ ქონების გირაოდ გაცემულ სესხის ჯამისაგან, რომელიც 1904 წელს წლიურ გადასახადის შემოუტანლობისა გამო საჯაროდ უნდა გაყიდულიყო, მაგრამ მსყიდველი არავინ აღმოჩნდა და ბანკს დაპრის საკუთრებად. 1. 200,000 მან. ნიმდვილი ზარალის მაჩვენებელი რიცხვი არ არის, რადგან დაგირავებულ ქონებას ცოტაოდენი ფასი მაინც აუცილებლად და აქვს, და ეხლა ძნელი გამოსაცნობია სწორედ რამდე-

ნი იზარალა ბანკმა. უეჭველია მხოლოდ ის, რომ ზარალი იყო და ზარალი თვალსაჩინო. საადგილ-მამულო ბანკი სესხის გაცემის დროს ჩვეულებრივ იმ მოსაზრებით ხელმძღვანელობს, რომ სესხი არ აღემატებოდეს მამულის ფასს და წლიური გადასახადი არ აღემატებოდეს წლიურს შემოსავალს. ამ ორის პრინციპის მიხედვით ირკვევა ის მაქსიმუმი ვალისა, რომელ-საც შეუძლიან გაუძლვეს დასაგირავებლად წარმოდგენილი მამული. თუ ბანკმა გადააჭარბა, გულხალვათობა გამოიჩინა და ამაზე მეტი მისცა სესხად, მამულის პატრონი სასარგე-ბლოდ სკრინის სრულიად ხელი აიღოს თავის მამულზე, აღარც სარგებელს შემოიტანს, აღარც თავნს და ბანკი იძულებული შეიქმნება მამული საჯაროდ გაყიდოს. ცხადია, იგივე მოსა-ზრება, რომელმაც მამულის პატრონი აიძულა უარი ეთქვა თავის ქონებაზე, ყოველ გარეშე პირზედაც იმოქმედებს და მსყადველი არ გამოჩნდება; ამ გვარად მამული ბანკს დარ-ჩება და შემდეგ თუ მიჰყიდის ვისმე დაკლებულის ფასით, თორებ სხვაფრივ თავიდან ვეღარ მოიშორებს. პირველ ყო-ვლისა, ბანკის გულისყური სესხის გაცემის დროს იმაზე უნდა იქმნას მიქცეული, რომ სწორედ და შეუცდომლად გამო-იკვლიონ დასაგირავებელ მამულის ღირებულება. თუ ბანკის მმართველები ამ ელემენტის პირობას ბანკის მოქმედების ნაყოფიერებისას წესიერად ვერ ასრულებენ ან არ ასრულე-ბენ, ცხადია ბანკი დაღუპვის გზაზე სდგება. ვიდრე განსა-ზღვრულს რაიონში ერთი რომელიმე საადგილ-მამულო კრე-დიტის დაწესებულება ჰმოქმედობს, ფაქტიურად ამ დაწესე-ბულებას მონოპოლია იქვს მინიჭებული და თავის ინტერე-სების უზრუნველსაყოფელი დაკმარისია, მუდამ მარტოოდენ იმის ცდაში იყოს, რაც შეიძლება ნაკლები სესხი გავცეო. მაგრამ თუ ერთი მეორის გვერდზე რამდენიმე საადგილ-მა-მულო ბანკი ჰმოქმედობს, უეჭველია ასეთი პოლიტიკა სრუ-ლიად გამოუსადეგარი იქნება. მამულის პატრონი ყო-ველთვის იმ ბანკს მისცემს უპირატესობას, რომელიც მეტს გულუხვობას იჩენს და მეტს ფულს გასცემს სესხიდ. შორს-

შევრეტელობა ბანკის მმართველებისა სწორედ მაშინ ჰქონდა საჭირო, რადგან სესხი ისე უნდა იქნას ნავარაუდევი, რომ არც ბანკი ჩივარდეს განსაცდელში და არც მეტის სესხის მიცემა შეიძლებოდეს: თუ მეტს გაძცემს — იზარდლებს, თუ ნაკლებს — კლიენტები არ ეყოლება. სათავად-აზნაურო სა-ადგილ-მამულო ბანკს 1.200.000 მან. მამული შეცრიხა ხელში და ეს ყოვლის უწინარეს იმის მაჩვენებელია, რომ ბანკის მმართველები რიგიანად ვერ უძლვებიან საქმეს. ვის უნდა დაედოს კერძოდ ბრალი, დამფასებლებს თუ დირექტორებს — ჩვენ ამის განხილვას არ გამოვუდგებით, ეს ბანკის პატრონებმა უნდა გამოიკვლიონ, ჩვენ კი ეს საქმე სხვა მხრიდან გვაინტერესებს.

იყო დრო, როდესაც შენობას მხოლოდ იმდენად ჰქონდა ფასი ხალხის თვალში, რამდენადაც იგი აკმაყოფილებდა ადამიანის მოთხოვნილების, როგორც სახლი ესე იგი საცხოვრებელი იდგილი ან სამეურნეო ინვენტარი. მაგრამ თანდათან შენობას სხვა ხასიათის მნიშვნელობაც მიეცა, იგი გადაიქცა სავაჭრო, სააღებ-მიცემო საგნად და დღეს შენობა, როგორც სავაჭრო ნივთი, სჩრდილავს იმის პირვანდელს, ასე ვთქვათ, ბუნებრივს მნიშვნელობას. რამდენადაც მეტად იკიდებს ჩვენს ცხოვრებაში ფეხს კაპიტალისტურ წარმოების წესი, იმდენად უფრო ნათლად სჩნდება შენობის სავაჭრო ხასიათი. წინად სახლს ხაცხოვრებლად ან გასაქირავებლად აშენებდნენ, დღეს შენობას უმთავრესად იმ აზრით ავებენ, რომ გაყიდონ და სარგებლობა ნახონ. კაპიტალიზმის დაცყარება შენობების საქმეში სწორედ იმის მომასწავებელია, რომ შენობის ავება კაპიტალისტურს წარმოების ერთ-ერთ დარგად ჰქონდება და შენობას გამკეთებელი სწორედ იმავე თვალით უცქრის, როგორც ყველა სხვა ბაზრისთვის დამზადებულს საქონელს. აუცილებლად იბადება ამასთან ერთად სპეციულიაცია შენობის საქმეში, რომელსაც თითქმის ყველგან ერთი და იგივე ისტორია აქვს. პირველს ხანებში ამ საქმის სპეციულიაცია გამოიხატება ხოლმე შენობის დამგირავებელ ბანკების მოტყუებაში!



სჩნდებიან ეგრედ წოდებული იჯარადრები, რომელიც კისრულობენ სხვისა ადგილზე შენობის ავებას თავის ხარჯით და შემდეგ დახარჯულ ფულის განაღდებას ბან კში მამულის დაგირავებით. ეს იჯარადრები ჩვეულებრივ ნისიად ეზიდებიან მასალას, რომელიც შენობისთვის არის საჭირო, ნისიადვე ამუშავებენ შენობაზე ოსტატებს, შემდეგ დამზადებულ სახლს აგირავებენ ბან კში, იღებენ დიდალ ფულს და უფრო ხშირად იმ მუშებსაც კი არ უსწორდებიან, რომლებმაც ააგეს თავის ოფლით სახლი. იჯარადარი ყოველს ღონეს ხმარობს კანონიერს და უკანონოს, რომ ბან კში შენობა რაც შეიძლება მეტად დააჭაბებინოს და რაც შეიძლება მეტი ფული გამოატანოს სესხად. იმისთვის დაგირავება და გაყიდვა ერთი და იგივეა. ეს პირველი ეტაპი კაპიტალიზმისა ეხლა ჩვენს ქვეყანაშიც არსებობს და უკვე თვალსაჩინო და ნაყოფიერი გავლენა იქონია სათავად-აზნაურო ბანკზე. ბ ნნი არღუთინკსი, კაპინი და სხვები სახლების კაპიტალისტური მწარმოებლები არიან. მაგრამ ეს მხოლოდ პირველი და ამასთან გაუბედავი ნაბიჯია კაპიტალიზმისა სახლების აშენების საქმეში; მეორე და შემდეგი ნაბიჯები უფრო გაბედული, უფრო მტკიცე და ამიტომ უფრო სახითათო იქნება ჩვენებურის ბანკებისთვის. თუ შემდეგშიაც შორს მჭვრეტელობისა და ანგარიშიანობის ისეთივე მცირე უნარი გამოიჩინეს ბინკის მმართველებმა, როგორც აქამდე, ჩვენ ძალიან საეჭვოდ მიგვაჩნია თავად-აზნაურთა ბანკის კეთილდღეობა. ბანკის პატრონებმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა უარჸყონ ის შეხედულება, რომლის მეოხებითაც ბანკის მმართველობაში არჩევნებს ისე უყურებენ, როგორც თბილ ადგილების დარიგების საქმეს, უფრო ფხიანი და მცოდნე, გამჭრიანი და ერთგული მუშაკნი უნდა იშოვონ, თორემ როცა ურემი გადაბრუნდება, გზის პოვნა სარგებლობას ველარ მოატანს.

წლევანდელ კრებაზე ბანკის მმართველები თავს იმართლებდნენ და ამტკიცებდნენ, ზარალი ეხლანდელმა საყოველთა მოძრაობამ გამოიწვიათ. შესაძლოა, ეს მიზეზიც პმოქ-

შედობდეს, მაგრამ რამდენიდაც გამოარკვია კერძო შემთხვევების დაწვრილებითმა გამოკვლევამ, წლევანდელს ზარალში ამ ზოგადს მიზეზს ან მეტად მცირე გავლენა ჰქონია, ან სულ არავითარი.

კრება დასრულდა არჩევნებით და თ. ილია ჭავჭავაძის „განცხადებით, რომ ის დღეიდან სამუდამოდ ანებებს თავს ბანკში სამსახურს. ეს შემთხვევა რომ რამდენისამე წლის წინად მომხდარიყო, როგორც სამართლიანად შეპნიშნავს გაზეთი „მოგზაური“, მთელი ქართლ-კახეთი შეინძრეოდა, მაგრამ ეხლა ამ ამბავმა წყნარიად და ჩუმად ჩაიარა; საზოგადოება გაიზარდა ზნეობრივად და გონიერივად, იმის აზრები და მოსწრაფებანი დღეს ისე შორს მიდიან, რომ ბანკის საქმეები დაიიჩრდილნენ და ბანკის მოლვაწეებს კულანდებულად ვეღარ გააღმეროთებს.

ოცდა ოთხი წელიწადია არსებობს „თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოება“, რომელიც გაზაფხულობით ან ზაფხულობით ყოველ წლივ იწვევს წევრებს საზოგადო კრებაზე და წყნარად, წრეს გადაცილებულის სიჩუმით აწარმოვებს თავის საქმეებს. დღემდე ამ საზოგადოების მნიშვნელობა მეტის-მეტად გაზიადებულია. ეს საზოგადოება ითვლება სათავად-აზნაურო სკოლის პატრონად და ამ სკოლის კი ისე უყურებენ, როგორც წმინდა ნაციონალურს დაწესებულებას; „ერთად-ერთი ქართული სკოლა გვაქვსო“ — ხშირად თავმოწონებით იტყვიან ხოლმე ამ საზოგადოების მეთაურები. წელს პირველად დაირღვა ჩვეულებრივი სიჩუმე და სიწყნარე საზოგადოების წლიურს კრებაზე, პირველად შეპნედეს წევრებმა გაშვეობის მოქმედებას კრიტიკულის თვალით და ბევრი ღრიად საინტერესო ამბავი გამოაშეარავდა. აღმოჩნდა, რომ გამგეობის მოქმედება მთელის 24-ის წლის განმავლობაში სრულიად უკანტროლოდ ყოფილა დარჩენილი, რადგან საზოგადოებას სარევიზიო კომისია არა ჰყოლია. უკანასკნელ წლებში გამგეობის ხარჯთ-

აღრიცხვა თვალსაჩინოდ გაიზარდა, წლიური ბიუჯეტის ციფრა 200, ტ00-ამდე უწევს, მაგრამ შემოსავალ-გასავლის ანგარიშებს საზოგადოება მაინც არ ამოწმებს, გამგეობას რევიზიას არ უკეთებს და გულუბრყვილოდ ამტკიცებს გამგეობისაგან წარმოდგენილს წლიურს ანგარიშებს. 1881 წელს შედგენილმა და დამტკიცებულმა წესდებამ მართალია არ იცის სარევიზიო ორგანო, მაგრამ ამ გარემოების ხელზე დახვევა ყოვლად შეუწყნარებელია. საზოგადოების წევრებს რომ სათანადო სურვილი ჰქონდათ, წესდებას ადვილად შეავსებდნენ ახალის მუხლის შეტანით ამ ოცდა ოთხის წლის განმავლობაში, მაგრამ აღმად გულ-გრილობამ და ქართულმა „საქმიანობამ“ აქცთავისი გაიტანა. ესეც რომ არ იყოს, თუ კი წელს საზოგადოებამ შესაძლოდ სცნო საკონტროლო ორგანოს დაწესება წესდების შეუცვლელად, განა აქამდე კი არ შეეძლო ასე მოქცეულიყო? ჩვენ არავითარი ეჭვი არა გვაქვს, რომ ეხლანდელი გამგებელნი საზოგადოების საქმეებისა სრულის სიმართლით აღენენ ანგარიშებს, მაგრამ განა რევიზია მაშინ არის საჭირო, როდესაც საზოგადოებას ნდობა აღარა აქვს გამგებლებისა? სრულიადაც არა; რევიზია უნდობლობას არა ჰნიშნავს, იგი მხოლოდ მაჩვენებელია საზოგადოებრივის ინტერესისა და საზოგადო საქმის უზრუნველყოფის სურვილისა ყოველსავე ბოროტმოქმედების, დაუდევრობისა და შეცდომისაგან.

წლევანდელს კრებაზე გამოირკვა აგრეთვე, რომ საზოგადოების საუნჯეს და სიამაყეს, სათავად-აზნაურო სკოლას, ძალიან ნაკლებად ჰქონია სწორედ ის თვისება, რომლითაც ასე თავმომწონეობენ აქამდე. მკითხველი მიშვდებოდა, რომ ჩვენ სკოლის ეროვნული ხასიათი გვაქვს სახეში. კრებაზე გამოქვლავნდა, რომ ერთ-ერთ მოსამზადებელს კლასში თურმე ათი წელიწადია ისეთი მასწავლებელი ჰყავთ, რომელმაც ქართული ენაც კი არ იცის და იძულებულია ბავშვებს მუჯურის მეთოდით ასწავლოს. აი ასეთი ნაციონალური ხასიათი ჰქონია სანაქებო სკოლას! სკოლის მმართველმა და

მასწავლებელთა ერთმა ჯგუფმა საჯაროდ განაცხადეს, თუ სკოლის საქმეების წარმოებაში ეხლავე რეორგანიზაცია არ მოხდა, სკოლა დაღუპვის გზაზე სდგას და დაიღუპება კი-დეცი. ერთმა მასწავლებელთაგანმა ისიც კი სთქვა, მე უხერ-ხულად მიმაჩნდა ჩემის ამხანაგების გაკვეთილებისთვის მედე-ვნებინა თვალყური და დღემდე არც კი ვიცოდი, რომ უფროსს მოსამზადებელს კლასში სწავლა რუსულს ენაზე სწარმოებს და არა ქართულზეო. სკოლის უნუგეშო მდგომარეობას არ უარჲყოფს არც ერთი მასწავლებელი და არც თვით საზო-გადოების გამგე კომიტეტი. ამ გვარიდ როგორც მასწავლე-ბელთა კორპორაცია, აგრეთვე კომიტეტი ზნეობრივად მო-ვალე იყვნენ, მოესაზრებინათ და გაეთვალწინებინათ საშუა-ლებანი სკოლის მდგომარეობის გამოსაკვეთებლად, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მოვალეობა გამგე კომიტეტმა სრულიად არ შეასრულა და მასწავლებელთა კორპორაციამ კი მხოლოდ სანახევროდ და ზედაპირულად.

მასწავლებლებმა წლიურს კრებაზე საზოგადოებას წა-რუდგინეს პროექტი სკოლის რეორგანიზაციის შესახებ და განაცხადეს, რომ თუ ამ პროექტის ორი მუხლი: სკოლის მოსამზადებელ ხასიათის გაუქმება და საპედაგოგიო რჩევის ავტონომია, მიღებულ არ იქმნა კრებისაგან, სკოლის მდგო-მარეობის გამოკვეთების იმედი არ არისო. ჯერ-ჯერობით საზოგადოების კრებები არ დასრულებულა, თუმცა 19 ივ-ნისს მოხდა პირველი სხდომა საზოგადო კრებისა და არ ვიცით, რა პასუხს მიიღებენ მასწავლებლები, მაგრამ ჩვენის მხრივ არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ ძალიან საეჭვოა სკოლის მდგომარეობის გამოკვეთება იმ სანახევრო ზომებით, რომლებიც მასწავლებელთა კორპორაციამ წამოაყენა.

დიდი მეცნიერი და განსწავლული პედაგოგი არ უნდა იყოს კაცი, რომ ერთხელ და სამუდამოდ შეითვისოს და შეი-გნოს საანბანო ქვეშარიტება სწავლის მოწყობის საჭიროები-სა სამშობლო ენაზე. ამას არც დამტკიცება სკირია და არც დიდი მითქმა-მოთქმა: აღამიანმა იმ ენის საშუალებით უნდა

შეიძინოს ცოდნა, რომელიც იცის. სათავად-აზნაურო სკოლაში მხოლოდ ქართველი ბავშვები სწავლობენ, ამ სკოლას ეროვნულ სიამაყის საბუთად ხმარობენ და ბავშვებს კი უცხო ენაზე აზეპირებენ სახელმძღვანელოებს, აუკულმართებენ ბავშვის ბუნებას, მაგრამ მასწავლებლები საჭიროდ არა სცნობენ ამ მხრივ სკოლის საქმეში ჩეფორმის შეტანას. მასწავლებელთა კორპორაციის პროექტში ნათქვამია: „ჩვენს სკოლაში ყველა საგნები ქართულ ენაზე უნდა ისწავლებოდეს, მაგრამ თუ ასეთი ცვლილება არ მოხერხდა, სათავად-აზნაურო სკოლაში ქართული ენა მთავარ საგნად მაინც უნდა იქმნეს მიჩნეული“.- აქედამ სჩანს, რომ დღემდე ჩვენს „ეროვნულს სკოლაში“ ქართული ენა მთავარ საგნადაც არ ყოფილა მიჩნეული, ქართველი საზოგადოება კი ჰუიქრობდა, რომ ეს სკოლა მართლა ეროვნულ ხასიათსა და საჭიროებასთან არისო შეწონილი. აქედანვე სჩანს, რომ საგნების სწავლება ქართულს ენაზე მასწავლებელთა კორპორაციას არც თუ საჭიროებად მიაჩნია, წინააღმდეგს შემთხვევაში, უეჭველია, ისინი ავ საგანზე მრავალ მნიშვნელოვანის „თუობით“ არ დაიწყებდნენ ლაპარაკს. რა ადგილი აქვს აქ „თუ“-ს და რატომ აფუჩეჩებენ საგანს? რას მიკვიან „თუ ასეთი ცვლილება არ მოხერხდაო“? ნუ-თუ პროექტის შემდგენელებს არ ესმით, რომ დიალ არ მოხდება ასეთი ცვლილება, ვიდრე ამ უკულმართს ოპორტუნისმ თავს არ დაანებებენ და პირდაპირ არ გვეტყვიან მასწავლებები, უცხო ენაზე სწავლება არ იქნებაო. სხვა დროს შეიძლება ამ გვარს ოპორტუნისმ და უპრინციპობას თავისი გასამართლებელი საბუთები ჰქონდა, მაგრამ დღეს, როდესაც მთელს რუსეთის იმპერიაშია ხალხმა გულ-ახლილად იწყო ლაპარაკი და მოქმედება, რა ზეობრივი უფლება აქვს ქართველ მასწავლებელს განზე გაუდგეს საყოველთაო მოძრაობას და გულხელ დაკრეფილი მტკნარს იქნებებში იყოს იმის შესახებ, თუ რა მოხდება, ძირითადი ცვლილება რომ განხორციელდეს. სადაც პრინციპის ადგილი ოპორტუნისმ უჭირავს და მოქმედების ადგილი მცნარეობას, იქ ჯერ

არაფერი გაკეთებულია და არც არა მომავალში გაკეთდება, ვინც მართლა მოწადინებულია, რომ სკოლაში საგნების სწავლება სამშობლო ენაზე იქნას მოწყობილი, ის ვერ იტყვის: თუ ეს არ განხორციელდა, სამშობლო ენა მთავარი საგანი მაინც უნდა იყოს. მასწავლებელთა პროექტის ოპორტუნისმი უფრო ნათლად მაშინ გამოირკვა, როდესაც მათ კრებაზე განაცხადეს, ეხლავე აუცილებლად საჭიროა პროექტის ზემოდ მოხსენებული ორი მუხლი დაკანონდესო, და მაშასადამე შეურიგდნენ ისეთს მდგომარეობას, როდესაც სკოლაში სამშობლო ენა მთავარ საგნადაც კი არ არის მიჩნეული. საზოგადო კრებამაც გაკმინდა ხმა სკოლის ერთ-გნულ ხასიათის შესახებ და ამ გვარად მოიწონა არსებული სისტემა ქართველის ბავშვების გარუსებისა: სხვა დროს სიჩუ-მეს ასეთი მნიშვნელობა არ ექნებოდა და იგი მოწონების ნიშანი არ იქნებოდა, მაგრამ, საბეღნიეროდ, დღეს ეზოპის ენით ლაპარაკი საჭირო აღარ არის, და ეხლა აღარ შეიძლება თავის გამართლება იმ ანდაზით, რომ სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ რა ვქნა, პირი წყლითა მაქვს სავსეო.

12 დეკემბრის და 18 ოქტომბრის უმაღლეს ბრძანებათა შემდეგ მთელი რუსეთი მოულოდნელად ელის დანამირებ რეფორმებს და ხალხის წარმომადგენელთა მიწვევას. ეხლა ეჭვი აღარვის აღარა აქვს, ყველის სწამეს, რომ ახლო მომა-ვალში ხალხის არჩეულნი წარმომადგენლები უეჭველად შეუ-დგებიან მძიმე ისტორიულ საქმის აღსრულების, მაგრამ რო-გორ განხორციელდება არჩევნები და არჩეულ წარმომადგენ-ლების ყრილობა, ამის შესახებ კი დანამდვილებით ვერავინ რას ამბობს. ბიუროკრატის მოქმედება კი ამ დიად ისტო-რიულ რეფორმის მოლოდინის დროსაც სწორედ ისეთივეა, როგორიც წინად იყო: ათასნაირი ჭიხარაკი თავისუფალ სი-ტყვის, აზრის, კრებების და გაფიცვის მოსასპობად, გაძლიე-რებულ დაცვისა და საომარ დროის წესები სწორედ ისევე პმოქმედებენ, როგორც წინად. ხალხს ახსოვს 18 ოქტომბრის



ბრძანება და ცხოვრების წესებში კი ვერავითარს ცვლილებას ვერა ჰქედავს: იბადება ეჭვი, იზრდება უნდობლობა და გაცრუებულ იმედების ადგილს საერთო გრძნობის გულმოსულობა იქნება. შინაგან საქმეთა მინისტრის ბულიგინის კომისიისაგან შედგენილ პროექტის ბეჭი, რომელიც დიდ გავლენას იქონიებს ეხლანდელ მდგომარეობის გამორკვევის საქმეში და მოძრაობის მიმდინარეობისთვის, ბიუროკრატიულის იდუმალებით არის დაფარული ხალხისგან. კრების, სიტყის და წერის თავისუფლები, რაიცა აუცილებელი პირობაა გონივრული ხალხის მიერ არჩევნების მოხდენისა, არ არსებობს კულანდელივით, და ყოველივე ეს ხალხის გონებას აშფოთებს, მოსვენებას ჰსპობს, მშვიდობიანურს განწყობილებას არღვევს.

ეს ინისს საერთო და საქალაქო მოღვაწენი წარსდგნენ მის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის წინაშე და მოახსენეს თავისი აზრი 18 თებერვლის ბრძანებაში გამოქვეყნებულ განზრახულების შესახებ. ხელმწიფე იმპერატორმა უბრძანა საზოგადო მოღვაწეებს: „უკუ აგდეთ თქვენი ეჭვი. ჩემი სიტყვა — სიტყვა მეფისა, შეუდრეველი, და მოწვევა ხალხის წარმომადგენლებისა სახელმწიფო მუშაობისთვის, უნაკლულოდ შესრულებული იქნება. მე ყოველ დღე თვალყურს ვადევნებ და თავს ვადგევარ ამ საქმეს; თქვენ შეგიძლიანთ ეს ამცნოთ თქვენს მახლობელთ, მცხოვრებთ სოფლად და ქალაქად. მე შეურყევლადა მრწამს, რომ ამ განსაკრელისაგან რუსეთი განახლებული გამოვადე, დამყარდეს, როგორც ძველად იყო, მეფესა და რუსეთის ხალხს შორის ურთიერთობა, დაე, დამყარდეს ჩემსა და საერთო მოღვაწეთა შორის ისეთი დამოკიდებულება, რომელიც რუსეთის თვითარსებით განმტკიცებულ წესიერებას საფუძვლად დაედება“. ამ სიტყვით რუსეთის იმპერატორმა ხელახლა გაიმეორა 18 თებერვლის დაპირება. საერთო მოღვაწეთა დეპუტაციის სახელით სიტყვა მოახსენა იმპერატორს თავადმატრუბეცკომ, მაგრამ ამ სიტყვაში იმან სრულებით გვერდი

აუქცია იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მეტად აინტერესებს დღეს რუსეთის საზოგადოებას: არჩევნების სისტემას და წარმომადგენელთა ხმის უფლებას. თავადმა ტრუბეციაშ ბოლოს ის აზრი გამოსთქვა, რომ რუსეთის ქვეშევრდომნი გულ-გრილი მაყურებელნი ვერ გახდებიან განზრახულის რეფორმისა და საჭიროება მოითხოვს ეხლავე გამოცხადებულ იქნას სიტყვის სრული თავისუფლებათ.

რუსეთის პრესამ იმდენად სიტყვების შინაარსს არ მია-ქცია ყურადღება, რამდენიც თვით ფაქტს საერობო მოღვაწეთა დეპუტაციის მიღებისას. მართლაც, დიდი ხანი არ არის მას უშედეგ, რაც ერობა და ერობის მოღვაწენი მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედების ბუდედ და ინიციატორებად ითვლებოდნენ, დღეს კი თვით იმპერატორმა მოინდომა მათი ნახვა. ეს აზრი უეპველად ამტკიებს, რა დიდი ცვლილება მოხდა უმაღლესს მთავრობის განზრახვებში რუსეთის შინაურ პოლიტიკის მომავლის შესახებ, თუმცა ერობის მოღვაწენი ლიბერალების პარტიას ეკუთვნიან და რუსეთის მცხოვრებთა უმრავლესობის ინტესების გამომხატავნი არ არიან.

ივნისის შუა რიცხვებში გამწვავებული ხასიათი მიიღო თბილისის რეინის გზას მუშათა დამოკიდებულებამ ეგრედ წოდებულ „კონსერვატიულ მუშათა პარტიასთან“, რომელსაც 800-მდე რუსის მუშა შეადგენს. ეს გამწვავება თანდათან გაიზარდა და, როგორც ოფფიციალური ცნობები ამბობენ, საფუძვლად დაედო თბილისის საყოველთაო გაფიცვას. გაფიცვა 20-დამ 29-ამდე გაგრძელდა: ცხრა დღის განმავლობაში თბილისში, სრულიად შესწყდა ცხოვრების მაჯის ცემა. გაფიცულ მუშებს თითქმის მოელმა ქალაქმა მისცა მხარი, დაიკეტა დუქნები, მაღაზიები, შეწყდა ტრამვაის მუშაობა, გაიფიცნენ ქალაქის მოსამსახურენი და სხვა. რეების მოწინააღმდეგება, რომელიც ბიუროკრატიულ მომხრე ჰყავს იმ მიმართულებას, რომელიც პოლიტიკურ ცვლილებას მოწინააღმდეგება და ძირითად პოლიტიკურ ცვლილებას.

ბების დაუყოვნებლივ შემოღებას თხოულობს. გაფიცვას თან დაჰყვა ბომბების სროლა; ოფფიციალურის ცნობებით, რამ-დენიმე ადგილს უპოვიათ სხვა და სხვა დამზადებული იარა-ლი, რაც, სხვათა შორის იმასაც ამტკიცებს, რომ თბილისში შეიძლება მალე უფრო, საშინელი და თავზარ დამცემი დღეები დადგეს, ვიდრე იქნისის გაფიცვის დროს იყო. საყოველთაო გაფიცვამ საომარ დროის წესები შემოაღებინა მთავრობას მშვიდობიანობის დასამყარებლად, თუმცა ეხლა საანგანო კეშმარიტებად არის გადაქცეული, რომ აღმინისტრაციის უფლებათა გაძლიერება მშვიდობიანობის დამყარებას სრუ-ლებით არ უწყობს ხელს.

უცნობეთის მიმღება

1. ს. იუგაოვის წერილი ცუსიმას ბრძოლაზედ.—2. გერმანია
და საფრანგეთი.

„სულ ნახევარი წლის წინ რუსეთი დიდ საზღვაო სახელ-
მწიფოდ ითვლებოდა; პორტ-არტურისა და ცუსიმას შემდეგ
კი რუსეთი ამ მხრივ ყურადღებაში მისაღებიც არ არის. რუ-
სის ფლოტი სულ ერთიან განადგურებულია; იაპონიის ფლო-
ტი კი არა თუ არ დაზარალებულა, გაძლიერდა კიდეც რუ-
სეთის გემების დატყვევებით...

იაპონელებმა ჩასძირეს ექვსი პირველ ხარისხოვანი ჯავ-
შნიანი გემი, ერთი სანაპირო ჯავშნოსანი, სამი ჯავშნიანი
კრეისერი, ორი პალუბა ჯავშნიანი კრეისერი, ერთიც დამხმა-
რე კრეისერი, ოთხი ნაღმოსანი და სამი ტრანსპორტი; დაა-
ტყვევეს — ორი ჯავშნიანი გემი პირველ რანგისა, ორი სანა-
პირო ჯავშნოსანი და ორიც ნაღმიანი; ნეიტრალ პორტებში
დგანან სამი პალუბა ჯავშნიანი კრეისერი, ერთი ნაღმოსანი და
ორი ტრანსპორტი; ვლადივასტოკში მივიდნენ — ერთი კრეისერი
და ორი ნაღმოსანი... დაკარგულ გემების ლირებულება დაახ-
ლოებით 127 მილიონამდეა; აქ არ შედის ხელ-ახალ შეიარაღე-
ბისა და გზის ხარჯი. პორტ-არტურში დაღუპული ფლოტი
კიდევ მეტი ლირდა. ასე რომ მარტო ფულად ზღვაზე 250
მილიონ მანეთზე მეტი ვიზარალეთ! იაპონიის მთელი ფლოტი
დიდი-დიდი ამ თანხის შესამეგდი ლირდა, ბრძოლიდან დასუსტე-
ბული კი არა, გაძლიერებული გამოვიდა. მართლაც, იაპონე-

ლებს დაუკარგავთ ორი პირველ ხარისხოვანი ჯავშნიანი გემი (ხაცუზე და იაშიმა), სამაგიეროდ დაატყვევეს ორი პირველ ხარისხოვანი ჯავშნიანი გემი „არიოლი“ და „ნიკოლოზ I“, ორიც მეორე ხარისხისა „აპრაქსინი“ და „სენიავინი“. თუმცა ჩვენი ჯავშნოსნები იაპონელებისას ჩამოუვარდება ღირსებით, სამაგიეროდ ორის მაგიერ ოთხი შეიძინეს. ამასთან იაპონელებს არ დაუკარგავთ არც ერთი ჯვშნიანი კრეისერი და ჩაძირული „ბაიანი“ კი უკვე ამოიღეს („ბაიანი“ მშვენიერი გემია, საფრანგეთში აშენებული). იაპონელებმა დაპარაგეს სამი პალუბა ჯავშნიანი კრეისერი, მაგრამ სამაგიეროდ უკვე ამოუღიათ ზღვის ძირიდან ბევრად უფრო ძლიერი გემები — „ვარიაგი“ (ამერიკაში აშენებული) და „პალადა“; იაპონელების იმ სამ გემს სულ 9 ათასი ტონა წყალწყა ჰქონდა; შეძენილებს კი 12 ათასი ტონა წყალწყა აქვთ. გარდა ამისა იაპონელებმა დაატყვევეს სამი კონტრ-ნალმოსანი და რამდენიმე ჩაძირულიც ამოიღეს. სხვა გემებსაც ამოიღებენ როგორც პორტ-არტურში, ისე კორეის სრუტეშიაც, რომელიც სრულიად არ არის ღრმა. მარტო პორტ-არტურის ნავსადგურში ოთხი უძლიერესი ჯავშნოსანია ჩაძირული (ერთი მათგანი ამერიკაშია გაკეთებული). თუ „პალადა“ ამოიღეს, რატომ ვერ უნდა ამოიღონ „პერესვეტ“-ი და „ბაიან“-ს უთუოდ „რეტვიზან“-ის ამოღებაც მოჰყება. არავინ არ ელოდა ასეთ კატასტროფას და არც შეეძლო ვისმე მოეფიქრა. ჩვენ, რუსები, დიდი სკეპტიკები ვართ, უნდო თვალით ვუცქერით ჩვენ უწყებებს, მაგრამ ჩვენც კი მოვტყუვდით. არც ჩვენ მოველოდით ასეთ სრულ უძლურებას და უმაგალითო უბედურებას...

ჯავშნიან გემის „ალექსანდრე მესამის“ უფროსს, კაპიტან ბუხვოსტოვს უთქვამს წასვლის წინ სუვორინისათვის („ნ. ვ.“-ს რედაქტორისათვის): „... ვერ გავიმარჯვებთ... იაპონელები დაგვამარცხებენ. ფლოტი უკეოესია მათი, ნამდვილი მეზღვაურებიც არიან. ერთს კი ვიტყვი თამამად: ცველანი დავიხოცებით და მტერს კი არ დავნებდებით“ - ო. პატივცემულმა

კაპიტანმა და მამაცმა ეკიპაჟმა აასრულეს ნათქვამი: გემი დაიღუპა და ერთიც არ გადარჩენილა ზედ მყოფი. მშვიდობა თქვენ სულს, მამაცმ ძმებო, დასაღუპად გაგზავნილნო შეუბრულებელ ხავსმოდებულ ბიუროკრატიის მიერ! ისტორია არ დაგივიწყებთ; მაგრამ იგივე ისტორია არ დაივიწყებს იმ სამწუხარო ფაქტს, რომ რუსის ექვსი სამხედრო გემი მტერს დანებდა... ეს უმაგალითოა...

ცუსიმას ბრძოლა უდიდესი ისტორიული მოვლენაა. ისტორიაში ორი მოვლენა ვიცით მგზავსს მნიშვნელობისა: რომაელების მიერ კართაგენის ფლოტის მოსპობა ლიპარის კუნძულებთან და სპარსეთის ფლოტის მოსპობა სალამინთან... უდიდესი მოვლენას შესაფერი მიზეზიც ჰქონდა, სახელდობრ რუსეთის ისტორია 1881 წლიდან, როცა სამსახურიდან გადადგა სამი მინისტრი.....

უდიდესი ისტორიულ მოვლენას უდიდესი მიზეზი ჰქონდა; შედეგიც უდიდესი ექნება და არა მარტო რუსეთისათვის. თუ რუსეთს ცალკე გამოვყოფთ, ცუსიმას ბრძოლამ, გარდა ხალხის თვითშეგნების გამოლვიშებისა, დაგვარწმუნა, რომ ზღვაზე იაპონელებს ვერ მოვერევით, მაშასადამე ვერ მოვერევით საზოგადოთაც. იაპონია კუნძულებზე მდებარეობს და თუ გინდა, რომ დაამარცხო, ზღვა უნდა წაართვა. ეხლა კიდეც რომ და გავიმარჯვოთ ხმელეთზე, მაინც არ იქნება გამარჯვება. მაშასადამე, არც უნდა ვეძებდეთ ამ გამარჯვებას, არ უნდა გავწიროთ ტყუილ-უბრალოდ ხალხი ასი ათასობით, არ უნდა დავხარჯოთ ას-ასი მილიონები. უნდა ზავი ჩამოვაგდოთ...

ომი რომ დაიწყო, ბრძოლის ველზე წავიდა გაზეთ „რუს“-ის კორესპონდენტი ბ. კირილოვი, რომელიც პირველ ხანებში მხურვალე პატრიოტულ წერილებს ჰგზავნიდა გაზეთში. კირილოვი მომხრე იყო ომისა და რუსის ჯარის გამარჯვების სრული იმედი ჰქონდა. ყური ვუგდოთ, რას ამბობს იგივე კირილოვი დღეს ომსა და გამარჯვებაზე. ომის ველიდან დაბრუნებული, ყველაფრის მნახველი და მშვენიერად გაცნობილი საქმის მდგომარეობასა და მიმდინარეობასთან, ამტკიცებს ეხლა,

რომ რაც არ უნდა ნიჭიერი იყოს ლინევიჩი ან სხვა რომელიმე სარდალთაგანი, საქმის გასწორება და გამობრუნება შეუძლებელი არისო. გამარჯვება კი არ არის მოსალოდნელი, არამედ ახალი დამარცხება და დამცირება. „და რაც ყველა-ფერზე უარესია, იაპონელები უთუოდ გადმოვლენ რუსეთის ტერიტორიაზე (დღეს უკვე გადმოსულები არიან — კუნძული სახალინი დაიპყრეს) და ვლადივოსტოკს პორტ-არტურის ბედი მოელის. რაც დრო მიდის, უფრო და უფრო სუსტები ვიქნებით. ჩვენი კრედიტი უფრო და უფრო დაეცემა, იაპონიის კი ამალლდება. და ზავის პირობები, უფრო და უფრო უარესი იქნება ჩვენთვის.

რუსეთში რომ ვბრუნდებოდი ომის ველიდან, მძიმე და სამწევხარო აზრებით ვბრუნდებოდი. მაგრამ პეტერბურგში რომ დავბრუნდი, კიდევ უფრო ცუდათ გავხდი: ჩემთვის ცხადი და თვალსაჩინო გახდა ის მდგომარეობა, რომელშიაც დღეს რუსეთი იმყოფება: არსებული წესწყობილება სანამ არის, გამარჯვება შეუძლებელია — ეს ეჭვს გარეშეა, მაგრამ ეს რეჟიმი ნამდვილ ზავსაც ვერ ჩამოაგდებს. ამისათვის არც საკმაო ზნეობრივილი ძალა აქვს და არც თავის თავის რწმენა; და რა კი იაპონელები ხედავენ რეჟიმის ისეთ სისუსტეს, ისეთ პირობებს მოითხოვენ, რომელსაც თავის დღეში არ მიიღებს რუსის ხალხი. გამოდის საშინელი ჯადოსნური წრე: მისაღებ ზავს ვერ ჩამოაგდებს ჩვენი ბიუროკრატიული რეჟიმი და ამიტომ იძულებულია არ შესწყვიტოს სისხლის მდინარე და განაგრძოს ეს დაუსრულებელი ომი, იმით საშინელი, რომ აჩავითარი იმედი არ არის გამარჯვებისა. შემზარავი პერსპეკტივაა... თავს შეგნებულად იღუპავდე და ხედავდე, რომ სისხლითა და ცეცხლით მოცულ შორე აღმოსავლეთს თანდათან ედებოდეს ყვითელი ფერი, რომელიც უფრო და უფრო წამოიწევს რუსეთისაკენ.

წყნარ ოკეანეს პირველი ესკადრა დაიღუპა... ლიაოიანი აღებულია.... პორტ-არტური დაეცა, მტერს გადასცეს... ჯარი დამსხვრეულია მუკუნთან... მეორე და მესამე ესკადრა მოისპო,

ჩაიძირა ან ტყვედ ჩაუგარდა ხელში მტერს ცუსიმასთან და მერე ისეთის სიადვილით, რომ მოწინააღმდეგეს თითქმის არავითარი ზარალი არ უნახავს... სახალინი, ვლადივასტოკი და შემდეგ ჩვენი მდიდარი ამურის მხარე ვერ გადარჩებიან იპონელების ცეითელ ტალღას, რომელსაც ვერ შეებრძოლება ჩვენი რეჟიმი, იმდენად სუსტია იგი.

ახალ დამარცხების შემდეგ ხარბინთან ან გუნჩულინთან, ნასკვი, რომელიც საერო კრებამ უნდა გახსნას, კიდევ უფრო რთული და ძნელი გასახსნელი იქნება.

რაღა საჭიროა გავუძნელოთ ხალხს ისედაც ძნელი საქმე? რად უნდა ვუყრიდეთ ისედაც დასისხლიანებულ ფეხებში ქვის ნატეხებს? რად უნდა დავუმძიმოთ ისედაც მძიმე ტვირთი, რომელიც მან უნდა ზიდოს თავის მხრებით?“

—

რუსეთის დამაცრცხებამ და დასუსტებამ შორე აღმოსავლეთის ომიანობის მიზეზით კინალამ ახალი კოტასტროფა გამოიწვია ევროპაში: გერმანია, ერთობ გულნატკენი საფრანგეთის პოლიტიკის ხერხიანობითა და გამარჯვებით, დიდი ხანია მოწადინებული იყო დაებრუნებია ძველი გავლენა საერთაშორისო პოლიტიკაში, და რაკი დღეს რუსეთის ხმას ძალა დაეკარგა სახელმწიფოთა კონცერტში, ვილჰელმ მეორე თამამად გამოვიდა ასპარებზე და საფრანგეთს დაეტაკა. საფრანგეთმა საგანგებო უპირატესობრივი მდგომარეობა დაიკავა მარკეოს სასულთანოში ინგლისის, იტალიის და ესპანიის თანხმობით. გერმანიას მაშინ კრინტი არ დაუძრავს ამ შეთანხმების წინააღმდეგ. მაგრამ მუკდენის ბრძოლის შემდეგ ვილჰელმმა რიხიანად გამოუცხადა: მარკეოს სასულთანო დამოუკიდებელია, გერმანიას იქ დიდი სავაჭრო ინტერესები აქვს და არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება მარკეოს საქმეებში გაერიოს და რაიმე უპირატესობა მოიპოვოს. დელკასე, საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრი, ენერგიულ

პოლიტიკის მომხრე იყო და გერმანიის მოთხოვნის წინ უკან დახევის არ ჰქოქრობდა. გერმანიისა და საფრანგეთის დამოკიდებულება იმდენად გამწვავდა, რომ დღე-დღეზე თოფის გავარდნას მოელოდნენ: უნდა იტეხილიყო საშინელი ომია-ნობა, რომელიც აუცილებლივ სხვა სახელმწიფოებსაც ჩაით-რევდა და განათლებულ ევროპაში საზარელი სისხლის ღვრა დატრიალდებოდა. მაგრამ მოწინავე დემოკრატია დარიაჯად უდგა ხალხის ინტერესებს და კაცობრიობა ასცდა საშინელ უბედურებას. რომ საფრანგეთის დემოკრატიას ის გავლენა არა ჰქონებოდა თავის ქვეყნის საქმეებზე, როგორიც დღეს აქვს, საფრანგეთისა და გერმანიის შორის ომი უთუოდ ატყ-დებოდა. ძირს ომი და გაუმარჯვოს საერთაშორისო მშვიდო-ბიანობასთ, ძლიერად დასძახა საფრანგეთის დემოკრატიამა და მისმა მეთაურმა უორესმა და ენერგიულ პოლიტიკის მომხრე დელკასე გადადგა ვინისტრობიდან, გერმანიისთან სამშვიდო-ბო მოლაპარაკება გაიმართა და საქმეც მშვიდობიანად და-სრულდა.

გერმანიის დემოკრატია მხარს აძლევდა საფრანგეთისას, მაგრამ ეს დამშარება ვერ იყო ისე ნაყოფიერი: მიუხედავათ მიმისა, რომ გერმანიის რეიხსტაგში 83 დეპუტატი ჰყავს სო-სოციალ-დემოკრატიას, გავლენა ამ პარტიისა პრაქტიკულ პოლიტიკურ საქმეების მიმდინარეობაზე შედარებით სუსტია. რაც კაცმა თავის თავს უყო, მტერმაც ვერ უყოო,—ამბობს ხალხის ანდაზა, და ეს ანდაზა ზედ გამოქრილია გერმანიის კანკულერ ბიულოვის უკანასკნელ ქცევაზე.

სახელოვანმა უორესმა, ბერლინელი სოციალ-დემო-კრატების მოწვევის თანახმად, განიზრახა სიტყვის წარმო-თქმა ბერლინში საერთაშორისო მშვიდობიანობის იდეაზე. ეს განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა საფრანგეთის სოციალის-ტების მეთაურმა, რადგან ბიულოვმა რაღაც საშიშროება დაინახა ამ განზრახვაში გერმანიისათვის. კანკულერის მინდო-ბილობით გერმანიის ელჩი ჯერ პირველ მინისტრთან მივიდა და უვიდეს განზრახვის ჩაშლა სოხოვა; რუვიემ ეს არ იყის-

რა და თ. რადოლინი თვითონ წავიდა ქორესთან და გადასცა
ბიულოვის სურვილი. ქორესი იძულებული გახდა უარი
ეთქვა ბერლინში წასვლაზე. ბიულოვის ასეთ საქციელში
დიდათ აალელვა გერმანიის საზოგადოებრივი აზრი და კანკლე-
რი სასტიკად იქმნა გაკუცხული. სხვათა შორის, ს უკალ-
დემოკრატებმა გაპმართეს ბერლინში დიდი მიტინგი, რომელ-
საც ხუთი ათასი კაცი დაეწრო; რამდენიმე ათასი სხვა
მსუბუკელი ჩუქაში იდგა უადგილობის გამო. კრების განსხი-
სათანავე თავჯრომარემ წაიკითხა ქორესის გამოგზავნილი
დეპეშა: „მთელის ჩემის გულით თქვენთანა ვარ კრებაზე,
რომელმაც უნდა განამტკიცოს ერთობა საფრანგეთისა და
გერმანიის პროლეტარიის შორის. ორივე მარის პროლე-
ტარიატის საერთო მუშაობა უზრუნველყოფს საყოველოა
მშვიდობანობას პოლიტიკურ თავისუფლებისა და საზოგა-
დოებრივ სამართლიანობის მოპივებით. ჩვენ ვერ გაგვაშორებს
ერთი მეორისაგან ვერც შოვინისტური ცრუმოშმუნოება,
ვერც აკრძალვა სიტყვისა და ვერც დიპლომატიის მოუხერავი
ლაქუცი (ბიულოვმა რომ აუკრძალა ქორესს ბერლინში ლა-
პარაკი, პირადათ ქორესს დიდი ქქა-დიდება შეასხა). ჩვენ
გაერთიანებული ვართ ერთის მისწრავებითა და ერთის
გრძნობით. თუ ერთ-ერთ ჩვენგანს სცემენ, მეორესაც ეხებიან;
თუ ერთს აქებენ, აქებენ მეორესაც. მართველ კლასების
მოძველებული ტაქტიკაა საზღვარ-გარეთელ სოციალისტების
ქება და შინაურების ძაგება. ნამდვილიდ კი ეს შიშია ს ერ-
თაშორისო სოციალისმის წინაშე და განხეთქილების ჩამოგ-
დებით სცდილობენ გაიმარჯვონ მაზედ. ამან კიდევ უფრო
მტკიცედ უნდა შეგვათვისებანოს იდეა განუყოფელ საერთა-
შორისო დემოკრატიისა“. აღტაცებულის ტაშის ცემით
მიეგება მთელი კრება ქორესის ამ სიტყვებს. შემდეგ წარი-
თქმული იყო რამდენიმე სიტყვა, რომელებშიც ამტკიცებდნენ,
რომ ასეთი საქციელი გერმანიის მთავრობისა არის მაჩვენებელი
ერთის მხრივ სოციალ-დემოკრატიის ძლიერებისა, მეორე მხრივ
მთავრობის შიშისა ამ ძლიერების წინაშე.

ლიბერალური წრეებიც მეტად უქმაყოფილონი არიან
ბიულოვის უტაქტო საქციელის გამო და მწარედ უსაყველუ-
რებენ, რომ სოციალ-დემოკრატიას ასეთი შშვენიერი შემთხვე-
ვა მისკა ძლიერის მანიფესტაციისათვის.

მაულონა

რედაქტორი
თდ. ჭეთნია.

გამომცემული
თდ. ჯაბადარი.